

**ივანე ჯავახიშვილის სახელობის  
თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი**  
ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტი  
ინგლისური ფილოლოგია

**იამზე მირახანაშვილი**

**პოლიტიკური დისკურსის ფორმირების  
პრაგმატიკული მახასიათებელი**  
(ქართულ და ინგლისურ ენათა მასალაზე)

ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის  
ფილოლოგიის დოქტორის (Ph.D.) აკადემიური ხარისხის  
მოსაპოვებლად წარმოდგენილი

**დ ი ს ე რ ტ ა ც ი ა**

სამეცნიერო ხელმძღვანელი:  
ფილოლოგიის მეცნიერებათა დოქტორი,  
ასოცირებული პროფესორი **ნინო დარასელია**

თ ბ ი ლ ი ს ი

2011

## შინაარსი

შესავალი.....	3
1. პოლიტიკური დისკურსის ზოგადი მახასიათებლები. პრეზიდენტთა გამოსვლები, როგორც პოლიტიკური დისკურსის ქვეტიპი.....	5
2. პრეზიდენტთა გამოსვლების ჟანრობრივი კლასიფიკაცია.....	10
თავი 1	
ენის ფუნქციათა რეალიზაციის თავისებურებანი პრეზიდენტთა გამოსვლებში .....	26
1.1. რეფერენციული ფუნქცია.....	28
1.2. ემოციური ფუნქცია.....	30
1.3. კონატიური ფუნქცია.....	35
1.4. ფატიკური ფუნქცია.....	38
1.5. მეტალინგვისტური ფუნქცია.....	44
1.6. პოეტური ფუნქცია.....	52
I თავის დასკვნა.....	58
თავი 2	
სამეტყველო აქტთა ლინგვისტური რეალიზაციის თავისებურებანი პრეზიდენტთა გამოსვლებში.....	63
2.1. რეპრეზენტატივები.....	69
2.2. კომისივები.....	82
2.3. დირექტივები.....	97
2.4. ექსპრესივები.....	109
2.5. დეკლარაციები.....	117
2.6. სამეტყველო აქტების ურთიერთმიმართება და ჰიბრიდული აქტები.....	121
II თავის დასკვნა.....	127
საერთო დასკვნა .....	137
გამოყენებული ლიტერატურა.....	154

## შესავალი

თანამედროვე ცხოვრება წარმოუდგენელია პოლიტიკის გარეშე. თითოეული ჩვენგანი გარკვეულწილად ჩართულია პოლიტიკაში. არჩევნებში მონაწილეობა, ტელევიზიით ახალი ამბების მოსმენა, საგაზეთო სტატიების კითხვა, ან უბრალოდ მეგობრებთან მთავრობისა და პრეზიდენტის პოლიტიკური გადაწყვეტილებების და მათი შესაძლო შედეგების განხილვა არის ჩვენი ცხოვრების განუყოფელი ნაწილი. აქედან გამომდინარე, სრულიად ბუნებრივია მზარდი ინტერესი პოლიტიკური დისკურსისადმი. განსაკუთრებულ ინტერესს იწვევს ენის ის საშუალებანი, რომლებსაც პოლიტიკოსები და განსაკუთრებით პრეზიდენტები მიმართავენ ხალხზე ზემოქმედების მოსახდენად და მათთვის სასურველი შედეგების მისაღწევად. პოლიტიკა ბევრად არის დამოკიდებული ენის გამოყენებაზე. პოლიტიკური ნების გამოხატულებისა და საზოგადოებისათვის გადაცემის პროცესში უმთავრეს როლს სწორედ ენა წარმოადგენს. სწორედ ენის მეშვეობით ხდება ნებისმიერი პოლიტიკური ქმედების მომზადება, განმარტება, გამართლება, გაკონტროლება, შეფასება, კრიტიკა და სხვა. ყოველივე ამან განაპირობა ჩემი ინტერესი-შემესწავლა პოლიტიკური დისკურსის ერთ-ერთი სახეობის, კერძოდ, პრეზიდენტთა დისკურსის ზოგიერთი პრაგმატიკული მახასიათებელი.

**თემის აქტუალობას** განსაზღვრავს ლინგვისტიკის თანამედროვე ეტაპზე არსებული მზარდი ინტერესი პოლიტიკური დისკურსის და მისი პრაგმატიკული კუთხით განხილვისადმი.

**ნაშრომის მიზანია:** ამერიკელ და ქართველ პრეზიდენტთა გამოსვლების პრაგმატიკული მახასიათებლების შეპირისპირებითი ანალიზი, რაც თავის მხრივ მოიცავს:

- ა) პრეზიდენტთა გამოსვლების ენის ფუნქციათა რეალიზაციის თვალსაზრისით შესწავლა;
- ბ) პრეზიდენტთა გამოსვლების სამეტყველო აქტთა თეორიის თვალსაზრისით განხილვა;

ნაშრომი ასევე წარმოადგენს საპრეზიდენტო გამოსვლების უანრობრივი კლასიფიკაციის მცდელობას.

**ნაშრომის სიახლე** მდგომარეობს შემდგომში:

1. შესწავლილია ენის ფუნქციათა რეალიზაციის თავისებურებანი ამერიკელ და ქართველ პრეზიდენტთა გამოსვლებში და წარმოდგენილია აღნიშნულ მახასიათებელთა შეპირისპირებითი ანალიზი;
2. შეპირისპირებულია ამერიკელ და ქართველ პრეზიდენტთა გამოსვლებში სამეტყველო აქტთა რეალიზაციის თავისებურებანი;
3. წარმოდგენილია პრეზიდენტთა გამოსვლების უანრობრივი კლასიფიკაცია;
4. ზემოთ ჩამოთვლილი პრაგმატიკული მახასიათებლების სტატისტიკური მონაცემები წარმოდგენილია უანრების მიხედვით.

**საკვლეფ მასალად** გამოყენებულია ამერიკელ და ქართველ პრეზიდენტთა 60 გამოსვლა. კერძოდ, საკვლევი კორპუსი მოიცავს შემდეგი ამერიკელი და ქართველი პრეზიდენტების გამოსვლებს:

#### **ქართველი პრეზიდენტები**

- 1) ზვიად გამსახურდია;
- 2) ედუარდ შევარდნაძე;
- 3) მიხეილ სააკაშვილი.

**ამერიკელი პრეზიდენტები**, რომლებიც, სათავეში უდგნენ ამერიკის შეერთებულ შტატებს ზემოთ ჩამოთვლილი ქართველი პრეზიდენტების მოღვაწეობის პერიოდში.

- 4) ჯორჯ ბუში უფროსი (George Herbert Walker Bush);
- 5) ბილ კლინტონი (Bill Clinton);
- 6) ჯორჯ ბუში უმცროსი (George Walker Bush);
- 7) ბარაკ ობამა (Barack Hussein Obama).

**კვლევის თეორიულ და მეთოდოლოგიურ საფუძველს** ქმნის ლინგვისტური პრაგმატიკა (Austin 1962; Jakobson 1960; Leech 1983; Levinson 1983; Mey 1994; Sadock 1988; Schmidt 1985; Searl 1969, 1979; Stilwell Peccei, 1999; Verschueren 1999; Yule 1996); დისკურსის და კრიტიკული დისკურსის ანალიზი (Cook 1989; Cutting 2002; Fries 1983; Harris 1952; Hatch 1992; McCarthy 1991; Ochs 1979; Tannen 1982; Van Dijk 1985; Weiss & Wodak 2003; Wodak & Chilton 2005); პოლიტიკური დისკურსი (Cap 2006, 2008; Chilton 2002, 2004; Chilton

& Schaffner, 1997; Geis 2006; Hart 2005; Korzi 2004; Lakoff 1996; Lim 2002; Sigelman 1996; Van Dijk, 1997); ჟანრების თეორია (Aristotle 1954; Bakhtin 1986; Bitzer 2001; Campbell & Jamieson, 1990; Miller 1984; Swales 1990); სტილისტიკა (Chilton 1993; Galperin 1977, 1990; Hart 1984; Sosnovskaya 1974; Turner 1977; Verdonk 2003).

## 1. პოლიტიკური დისკურსის ზოგადი მახასიათებლები.

### პრეზიდენტთა გამოსვლები, როგორც პოლიტიკური დისკურსის ქვეტიპი.

პოლიტიკური დისკურსი თანამედროვე დისკურსის ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი სფეროა. როგორც ცნობილია, სიტყვა “პოლიტიკა” ეტიმოლოგიურად ბერძნული სიტყვიდან πολιτικός [politikós] მომდინარეობს და ნიშნავს მოქალაქეს. პოლიტიკის განმარტებები ჯერ კიდევ არისტოტელეს შრომებში გვხვდება. თავდაპირველად პოლიტიკა ნიშნავდა ადამიანების მიერ კოლექტიური გადაწყვეტილებების მიღების პროცესს. დღევანდელი განმარტებით პოლიტიკა არის ტერმინი, რომელიც აღნიშნავს სამთავრობო ან სახელმწიფო საქმეების მმართველობას. ერთ-ერთი განმარტებით, პოლიტიკა არის ადამიანის ქმედების სფერო, რომლის მიზანია მოახდინოს გარკვეული ზემოქმედება ხალხთა მასებზე. პოლიტიკა - ესაა ძალაუფლებისათვის ბრძოლა, საშუალება იმისა, რომ გაატარო გარკვეული ინტერესები და განახორციელო იდეები. (Wikipedia Encyclopedia)

როგორც უკვე აღინიშნა, პოლიტიკური ნების გამოხატულებისა და საზოგადოებისათვის გადაცემის პროცესში უმთავრეს როლს ენა წარმოადგენს. სწორედ ენის მეშვეობით ხდება ნებისმიერი პოლიტიკური ქმედების მომზადება, განმარტება, გამართლება, გაკონტროლება, შეფასება, კრიტიკა და სხვა.

სხვადასხვა აკადემიური დისციპლინები მათი მიზნებისა და კვლევის მეთოდების გათვალისწინებით პოლიტიკურ დისკურსს განსხვავებული კუთხით შეისწავლიან. ასე მაგალითად, პოლიტოლოგები ძირითადად პოლიტიკური გადაწყვეტილებებისა და ქმედებების შედეგებს სწავლობენ, ისინი ინტერესდებიან პოლიტიკური რეალობით, რომელიც ყალიბდება და ამასთან ერთად აისახება დისკურსში. უნდა აღინიშნოს, რომ სამწუხაროდ პოლიტოლოგები უგულვებელყოფენ პოლიტიკური დისკურსის ლინგვისტური თვალსაზრისით კვლევას და არ

ითვალისწინებენ იმ ფაქტს, რომ პოლიტიკური დისკურსის ლინგვისტური ანალიზი მნიშვნელოვან სოციალურ, პოლიტიკურ და კულტურულ ინფორმაციას იძლევა.

პოლიტიკური დისკურსის ცნება, კერძოდ, თუ რა მოიაზრება პოლიტიკურ დისკურსში, ჯერ კიდევ საკამათოა (Cap 2006; Chilton 1997; Geis 2006; Van Dijk 1997). ჯერ კიდევ ბოლომდე არ არის გარკვეული როგორი დისკურსი ითვლება პოლიტიკურად. ცხადია, რომ პრეზიდენტების, ან პოლიტიკოსების გამოსვლები, რომელნიც ასახავენ გარკვეულ პოლიტიკურ მოვლენებს ან გადაწყვეტილებებს, წარმოადგენენ პოლიტიკური დისკურსის ნიმუშს. ამავდროულად საინტერესოა, შეიძლება თუ არა მივაკუთნოთ პოლიტიკურ დისკურსს ყოველდღიური მეტყველება (წერილობითი ან ზეპირი) “გლობალური პოლიტიკის” შესახებ. აღნიშნული ტიპის მეტყველება ხშირ შემთხვევაში არ მოიცავს პოლიტიკურ ტერმინებს და მიეკუთვნება არაოფიციალურ რეგისტრს, თუმცა წარმოადგენს მსჯელობას პოლიტიკური მოვლენების შესახებ. მსგავსი კითხვები, ანუ რა სახის დისკურსი ითვლება უშუალოდ პოლიტიკურ დისკურსად, ჯერ კიდევ პასუხგაუცემელია. მკვლევრებს არ გააჩნიათ პოლიტიკური დისკურსის საერთო განსაზღვრება, ამიტომ მნიშვნელოვანია დადგინდეს პოლიტიკური დისკურსის სპეციფიკური საერთო ფორმა და საზღვრები. ამის მცდელობა დისკურსის ზოგიერთ მკვლევარს ჰქონდა. პოლანდიელი ლინგვისტი ვან დეიკი პოლიტიკურ დისკურსს შემდგენაირად განმარტავს: “A class of genres defined by a social domain, namely by politics”. (Van Dijk 1997: 11:53). ამდენად, პოლიტიკურ დისკურსს იგი უანრის გარკვეულ კლასს უწოდებს, რომელსაც განსაზღვრავს სოციალური სფერო, კერძოდ, პოლიტიკა. თუმცა აქვე აღნიშნავს, რომ პოლიტიკური დისკურსი არ უნდა შემოიფარგლებოდეს მხოლოდ პოლიტიკოსთა ენით: “this clearly cannot be confined to the language of politicians”. (Van Dijk 1997: 11:67).

პოლიტიკური დისკურსი ზოგჯერ საზოგადოებრივი სფეროს ენად განიხილება. ზოგჯერ პოლიტიკური დისკურსი სოციო-პოლიტიკურ და ასევე საზოგადოებრივ სფეროში ენის აქტუალურ გამოყენებად განიშარტება. (Cap 2008: 40 (1): 17-41)

ჩილტონი გუთავაზობს იმპლიციტურ განმარტებას “Political discourse is the use of language in ways that humans, being political animals, tend to recognize as “political”. (Chilton 2004:14). იგი იზიარებს მოსაზრებას, რომ ადამიანი არის პოლიტიკური ცხოველი

და, შესაბამისად, პოლიტიკურ დისკურსად მიიჩნევენ ენის იმგვარ გამოყენებას, როდესაც ის თავად ადამიანის მიერ აღიქმება პოლიტიკურად.

ქსინგ ლუს თანახმად, პოლიტიკური დისკურსი ემსახურება აზრთა ფორმირებას და აკონტროლებს საზოგადოებრივ აზრს. მისი როლი, ფუნქცია და ეფექტი უნივერსალურია, მიუხედავად საზოგადოებების, ქვეყნებისა და სახელმწიფო წყობის და რეჟიმების განსხვავებულობისა. (Lu 1999: 4: 487-508.)

ზოგიერთი ენათმეცნიერი ”საზოგადოებრივი აზრის ენას” ან “აგიტატორის ენას” მიიჩნევენ პოლიტიკურ დისკურსად. (Geis 1987:700 -707.)

ამდენად, პოლიტიკური დისკურსი შეიძლება განვიხილოთ, როგორც მიზანმიმართული საზოგადოებრივი ქმედება პოლიტიკურ სფეროში. პოლიტიკურ დისკურსად ითვლება ის დისკურსი, რომელიც გვხვდება მთავრობის შეხვედრებზე, საპარლამენტო სესიებზე, პოლიტიკური პარტიების შეხვედრების დროს. აგრეთვე დისკურსი ითვლება პოლიტიკურად, თუ იგი პოლიტიკურ გარემოში ხორციელდება. თუმცა ამავდროულად პოლიტიკური დისკურსი არ შემოიფარგლება მხოლოდ და მხოლოდ ამით.

პოლიტიკური დისკური, როგორც უკვე აღვნიშნე, არ არის ჰომოგენური. ის შედგება რიგი ქვეტიპებისაგან, ჟანრებისაგან, რომლებიც გულისხმობენ გარკვეულ კომუნიკაციურ სიტუაციას და კომუნიკანტებს. ამ კრიტერიუმის გათვალისწინებით, პოლიტიკური დისკურსის ანალიზმა შესაძლებელია მოიცვას ენის ყველა დონე და ასპექტი (ფონეტიკა, ფონოლოგია, ლექსიკა, სინტაქსი).

ქრისტაფორ ჰარტი განიხილავს პოლიტიკური დისკურსის ანალიზის ზოგად ასპექტებს. იგი მიიჩნევენ, რომ პოლიტიკური დისკურსის ანალიზში ყურადღება უნდა მიექცეს შემდეგ მახასიათებლებს: ერთჯერადობა უნდა შეპირისპირდეს პროცესუალობასთან/ თანმიმდევრულობასთან, სადაც კრიტერიუმი უნდა იყოს დრო; მონო-/დუოტექსტუალობა შეპირისპირდეს ინტერტექსტუალობასთან, სადაც გათვალისწინებული უნდა იყოს კონტექსტი; ინდივიდუალობა შეპირისპირდეს წარმომადგენლობითთან, სადაც ყურადღება ორატორობას უნდა მიექცეს; პირდაპირი, უშუალო კონტაქტი უნდა დაუპირისპირდეს მასმედიის საშუალებით გადაცემულ შეტყობინებას; გამიზნულობა უნდა შეპირისპირდეს ტიპოლოგიურ მრავალფეროვნებასთან გამოსვლების ტიპების გათვალისწინებით; და დისკურსის დამაჯერებლობა უნდა იქნეს განხილული პოლიტიკური წარმატებულობის კუთხით,

ანუ რამდენად იქნა მიღწეული მიზანი: "singularity vs processuality/ sequentiality (criterion:time), mono-/ duotextuality vs intertextuality (context), individuality vs representation (orator), direct contact vs. mass media (medium), genus deliberativum vs. typological diversity (type of speech), and persuasion vs. political (campaign) success (aim)". (Hart 2005: 2 (2):189-194.)

პოლიტიკური დისკურსი, როგორც იარაღი-შეცვალო რეალობა, განხილულია პიოტრ ცაპის მიერ ლეგიტიმაციის და აპროქსიმაციის ცნებების გამოყენებით (Cap, 2006, 2008, 2010)

ზოგადად პოლიტიკური დისკურსის ლინგვისტური ანალიზი შეიძლება წარმატებული იყოს იმ შემთხვევაში, თუ იგი შეეხება გამომსვლელის როგორც ლინგვისტურ, ასევე პოლიტიკურ ქცევას. ეს შესაძლებელია გაკეთდეს ორი მიმართულებით: შესაძლებელია ანალიზი დავიწყოთ ლინგვისტური მიკრო-დონით და გავარკვიოთ, თუ რა სტრატეგიულ ფუნქციებს ასრულებენ კონკრეტული სტრუქტურები (სიტყვის არჩევანი, სპეციფიკური სემანტიკური სტრუქტურა) მიზნის მისაღწევად. ან შესაძლებელია ანალიზი დავიწყოთ მაკრო-დონით, ესაა მაგალითად, ტექსტის წარმოქმნელი კომუნიკაციური სიტუაციები და ფუნქციები. ორივე მიმართულებით, პოლიტიკური სიტუაცია და პროცესი შესაძლებელია დავაკავშიროთ დისკურსის ტიპებთან და დისკურსის ორგანიზაციის დონეებთან შუალედური დონით, როგორცაა სტრატეგიული ფუნქციები. (Chilton & Schaffner 1997 2: 6-23.)

ბოხმანის მოსაზრებით, პოლიტიკური დისკურსის კლასიფიკაცია ეფუძნება ფუნქციურ და თემატურ კრიტერიუმს. პოლიტიკური ტექსტები არის პოლიტიკის და მისი შედეგის ნაწილი; პოლიტიკური ტექსტები არის ისტორიულად და კულტურულად გამიზნული (Bochman 1986). ისინი ასრულებენ სხვადასხვა ფუნქციას სხვადასხვა პოლიტიკური აქტივობების შესაბამისად. თემატიკა შეეხება უმთავრესად პოლიტიკას, ასევე პოლიტიკურ დონისძიებებს, პოლიტიკურ იდეებს, პოლიტიკურ ურთიერთობებს და სხვ. ერთ-ერთი საერთო მახასიათებელი პოლიტიკური ტექსტებისათვის არის ის, რომ უმეტეს შემთხვევაში პოლიტიკური ტექსტები გამიზნულია ფართო საზოგადოებისათვის.

როგორც ცნობილია, ენის გამოყენების თვალსაზრისით განასხვავებენ შიდა და გარე პოლიტიკურ კომუნიკაციას. შიდა პოლიტიკური კომუნიკაცია მოიცავს დისკურსის ფორმებს, რომელიც ხორციელდება ისეთ პოლიტიკურ ინსტიტუტებში,



როგორცაა სამთავრობო უწყებები, პარტიები ან სხვა სახელმწიფო სტრუქტურები. ესაა ტექსტები იმ კონტექსტში, რომელიც განიხილავს პოლიტიკურ იდეებს, რწმენას, საზოგადოების ან საზოგადოების ნაწილის პოლიტიკურ საქმიანობას. ხოლო გარე პოლიტიკური კომუნიკაცია არის მიმართული ფართო საზოგადოებაზე, ხალხის მასებზე, ე.ი. არა პოლიტიკოსებზე. აღნიშნული ორივე ტიპის პოლიტიკური კომუნიკაცია ხორციელდება სხვადასხვაგვარი ტექსტების, ჟანრების მეშვეობით.

ასევე, პოლიტიკური დისკურსი მოიცავს შიდა-სახელმწიფოებრივ და გარე-სახელმწიფოებრივ დისკურსს. თუმცა, შესაძლებელია პოლიტიკურმა დისკურსმა სხვა ფორმებიც მიიღოს. პოლიტიკური დისკურსის განხორციელებისას გამომსვლელები არიან ძირითადად წამყვანი პოლიტიკოსები, რომელთაც შეუძლიათ მიმართონ იმავე პოლიტიკური ან იდეოლოგიური ჯგუფის წევრებს (მაგალითად, პარტიის ლიდერი მიმართავს წევრებს), წარმოდგენილი მაგალითი იქნება შიდა პოლიტიკური კომუნიკაციის მაგალითი. გარე, მაგრამ შიდა-სახელმწიფოებრივი პოლიტიკური კომუნიკაციის ნიმუში იქნება პოლიტიკური მიმართვა ფართო საზოგადოებისადმი ქვეყნის მაშტაბით. გარე-სახელმწიფოებრივი პოლიტიკური კომუნიკაციის მაგალითი იქნება წამყვანი პოლიტიკოსის მიმართვა პოლიტიკოსების ან საზოგადოების ნაწილისადმი საზღვარგარეთ. (Schaffner 1996 Vol.3, No 3.)

გაი კუკი გამოყოფს დისკურსის შემდეგ მნიშვნელოვან ქვეტიპებს: უკუქცევითი (reciprocal) და არაუკუქცევითი დისკურსი (უკუკავშირის არ მქონე) (non-reciprocal). პირველ შემთხვევაში მსმენელმა შეიძლება გავლენა იქონიოს კომუნიკაციის წარმართვასა და განვითარებაზე, ხოლო მეორე შემთხვევაში მსმენელსა და მოსაუბრეს შეიძლება საშუალება არ ჰქონდეს უშუალო კომუნიკაციის დამყარებისა. პოლიტიკური გამოსვლების შემთხვევაში, როგორცაა მაგალითად, პრეზიდენტების მიმართვები, მოსაუბრე ანუ პრეზიდენტი მიმართავს აუდიტორიას, ხოლო მსმენელს მხოლოდ მოსმენა თუ შეუძლია, ანუ ხორციელდება არაუკუქცევითი დისკურსი. (Cook 1989)

მნიშვნელოვანია ასევე ზეპირი და წერილობითი, მონოლოგური და დიალოგური/პოლილოგური დისკურსის გამიჯვნაც (Tannen 1989; Shiffrin 1984.) ამ თვალსაზრისით პოლიტიკური დისკურსი შესაძლებელია იყოს ნებისმიერი სახის, რაც ზემოთ არის ჩამოთვლილი.

როგორც უკვე აღინიშნა, ნაშრომში შესწავლილია პოლიტიკური დისკურსის ერთ-ერთი ძალზე საინტერესო ქვე-ტიპი, კერძოდ, პრეზიდენტების გამოსვლები. ამდენად, პრეზიდენტთა გამოსვლები ზემოთ განხილული მოსაზრებების თანახმად არის (სასურველია) მჭერმეტყველების ნიმუში, რომელიც თავისთავში აერთიანებს მიზანს-დაარწმუნოს მსმენელი ვერბალური საშუალებით და მიაღწიოს კონსენსუსს საზოგადოებაში არსებული ნორმების და ღირებულებების გათვალისწინებით. პრეზიდენტთა გამოსვლები შეიძლება იყოს დაგეგმილი ან დაუგეგმავი მეტყველების ნიმუში. პრეზიდენტთა გამოსვლები შეიძლება იყოს როგორც შიდა ასევე გარე პოლიტიკური კომუნიკაციის ნიმუში, ვინაიდან ისინი მიმართულია როგორც პოლიტიკოსების, ასევე ქვეყნის და ხშირად მსოფლიო მოსახლეობისადმი. ასევე პრეზიდენტთა გამოსვლები შეიძლება იყოს შიდა- სახელმწიფოებრივი ან/და გარე-სახელმწიფოებრივი. როგორც უკვე აღვნიშნე, პრეზიდენტთა გამოსვლები ამავე დროს არის არაუკუქცევითი დისკურსის ნიმუში. ყოველივე ეს მეტყველებს პრეზიდენტთა გამოსვლების პრაგმა-ლინგვისტური განხილვის საჭიროებაზე ექსტრალინგვისტური, სოციო-პოლიტიკური და კულტურული გარემოებების გათვალისწინებით.

## 2. პრეზიდენტთა გამოსვლების ჟანრობრივი კლასიფიკაცია

როგორც უკვე აღინიშნა, პოლიტიკურ დისკურსში ცალკე ქვეტიპად გამოიყოფა პრეზიდენტთა გამოსვლები. მათი პრაგმატიკული მახასიათებლების მიხედვით კვლევამდე მნიშვნელოვნად მივიჩნიე მომეხდინა პრეზიდენტთა გამოსვლების ჟანრობრივი კლასიფიკაცია, რათა კვლევისას მოვიცვა პრეზიდენტთა გამოსვლების სრული სპექტრი.

როგორც ცნობილია, წერილობითი ან ზეპირი კომუნიკაციის კლასიფიკაციის მიზნით ჟანრები არისტოტელეს მოღვაწეობის პერიოდიდან გამოიყენებოდა. (Aristotle 1954) ჟანრების თეორიის ხანგრძლივი არსებობის მიუხედავად, ჟანრი, როგორც დისკურსის ან ტექსტის აღწერისა და ანალიზის კრიტიკული იარაღი, მეოცე საუკუნემდე არ გამოკვეთილა. ჟანრის კრიტიკამ რამდენიმე ეტაპი განვლო:

პირველი ეტაპზე ჟანრების კლასიფიკაცია ხდებოდა მხოლოდ ფორმალური მახასიათებლების მიხედვით. (Bakhtin 1986: 62-102.)

1980-იან წლებში ჟანრების მკვლევართა ინტერესმა გადაინაცვლა ჟანრების ზოგადი ფორმების კვლევიდან ჟანრის სოციო-კულტურული მიდგომის თვალსაზრისით შესწავლისკენ. მოხდა წერილობითი და ზეპირი კომუნიკაციის გარკვეული ზოგადი ფორმების ეჭქვეშ დაყენება. ახალი თეორიები წერილობით და ზეპირ კომუნიკაციას განიხილავდნენ, როგორც სოციალურ პასუხს არსებული რიტორიკული აუცილებლობის მიმართ და არა ფორმალური, ზოგადი ელემენტების ნაკრებს. ამ პერიოდში ჟანრების თეორიის განვითარება მეორე ფაზაში შედის, რაც უკავშირდება ჟანრების ხელახალ ინტერპრეტაციას სოციო-კულტურული გარემოებების გათვალისწინებით. (Miller 1984: 151-67; Bitzer 2001)

ვფიქრობ, რომ პრეზიდენტთა გამოსვლების ანალიზი ჟანრობრივი კლასიფიკაციის მიზნით უნდა აერთიანებდეს ზემოთ აღნიშნულ ორივე მიდგომას და კვლევა უნდა ითვალისწინებდეს როგორც კომპოზიციურ სტრუქტურას, ასევე შინაარსობრივ პლანს, რიტორიკულ გამიზნულობას, სტილს, სოციო-პოლიტიკურ და კულტურულ გარემოებებს. ასევე მნიშვნელოვანია ყურადღება მიექცეს პრაგმატიკულ ასპექტებს, კერძოდ, რა წარმოადგენს მიმართვის გამიზნულობას, რა ქმედების მიღწევა სურს მთქმელს გარკვეული ჟანრისათვის დამახასიათებელი გამოთქმებით, როგორ აღიქმება, რა ტიპის ინტერპრეტაციას აძლევს ამ შეტყობინებებს მსმენელი და როგორ რეაგირებს მათზე. ყოველივე ზემოთ აღნიშნულის გათვალისწინება კი საშუალებას მოგცემს ნათელი მოგვინოთ, თუ რა გზას მიმართავენ პრეზიდენტები გარკვეული მიზნების მისაღწევად და რამდენად ეფექტურია ეს პერლოკუციური შედეგის მიღწევის თვალსაზრისით.

პრეზიდენტთა გამოსვლების ჟანრების კლასიფიკაციისას ვეყრდნობი კემპბელის და ჯემისონის მიერ ჟანრების კვლევის შესახებ შემუშავებულ მეთოდს (Campbell and Jamieson 1990), რაც ითვალისწინებს გამოსვლების ჟანრებად გამოყოფას, მათი კომპოზიციურ-სტრუქტურული მახასიათებლებისა და შინაარსის მიხედვით.

ამდენად, ემპირიული მასალის ზემოთ აღნიშნული კრიტერიუმების მიხედვით კვლევისას ასევე გაითვალისწინე ცალკეული გამოსვლების წარმოთქმის

სოციალური, პოლიტიკური და კულტურული ფონი. შედეგად გამოვეყავი შემდეგი უანრები:

- I. საინაუგურაციო გამოსვლა
- II. წინასაარჩევნო კამპანიის დროს წარმოთქმული სიტყვა
- III. სიტყვა-ანგარიში
- IV. სიტყვა - მიმართვა
- V. მილოცვა/ მისამძიმრება
- VI. შეწყალება/ დაჯილდოება
- VII. ვეტო-შეტყობინება
- VIII. ომის რიტორიკა
- IX. იმპიჩმენტის შეტყობინება
- X. გამოსამშვიდობებელი გამოსვლა

განვიხილოთ თიოეული უანრი:

#### I. ინაუგურაცია

ინგლისურენოვან სპეციალურ ლიტერატურაში საინაუგურაციო გამოსვლების უანრი ყველაზე მეტად შესწავლილი უანრია, რომელიც სხვადასხვა პერსპექტივით არის გაანალიზებული მკვლევრების მიერ.

როგორც ცნობილია, პრეზიდენტების მიერ საზეიმოდ ფიცის დადების ცერემონიალს ინაუგურაცია ეწოდება. ხოლო იმ სიტყვას, რომელსაც პრეზიდენტები კონსტიტუციით დადგენილი ფიცის ტექსტთან ერთად წარმოთქვამენ, საინაუგურაციო (საპროგრამო) სიტყვა ეწოდება.

ინაუგურაცია მომდინარეობს ლათინური სიტყვიდან 'inauguratio' და ვებსტერის ლექსიკონი სიტყვას "INAUGURATION" შემდეგნაირად განმარტავს: "The act of inducting into office with solemnity; investiture with office by appropriate ceremonies." (თანამდებობის ოფიციალური დაკავება რიტუალის დაცვით; თანამდებობის ოფიციალური დაკავება სათანადო ცერემონიალით ) (Webster's Revised Unabridged Dictionary)

მიიჩნევენ, რომ საინაუგურაციო გამოსვლები წარმოადგენს პრეზიდენტების ძალაუფლების გამოვლინებას, სადაც ენა გამოყენებულია, როგორც იარაღი. (Sigelman 1996: 81-92). საინაუგურაციო გამოსვლები წარმოადგენს არამხოლოდ

ოფიციალურ განცხადებას, არამედ ხალხთან კომუნიკაციის წყაროსაც (Ochs 1979: 64-97).

პრეზიდენტის ინაუგურაცია არამარტო კონსტიტუციით დადგენილი საზეიმო და ლამაზი ცერმონიაა, არამედ მას მნიშვნელოვანი საზოგადოებრივ-პოლიტიკური დატვირთვაც აქვს. ის განასახიერებს სახელმწიფო ხელისუფლების მემკვირდეობასა და განახლებას. სწორედ პრეზიდენტთა საინაუგურაციო გამოსვლები განსაზღვრავს ერის მიმართულებას წარსულიდან უკეთესი მომავლისაკენ, აწმყო დროში გატარებული ღონისძიებების და გონივრული პოლიტიკის გზით. პრეზიდენტთა საინაუგურაციო გამოსვლები ასახავს არამხოლოდ მიმდინარე პოლიტიკურ სიტუაციას, არამედ აყალიბებს სოციალური, კულტურული და პოლიტიკური კომუნიკაციის ახალ ფორმებს. პრეზიდენტთა საინაუგურაციო სიტყვები ლინგვისტურად, სოციალურად და კოგნიტურად რთულია. ისინი როგორც სტრუქტურით, ისევე შინაარსით და მოცულობით განსხვავდება ერთმანეთისაგან, შესაბამისად, ძალზე რთულია მათი ანალიზი (Chilton 2004:11). სწორედ სირთულის გამო პრეზიდენტთა საინაუგურაციო სიტყვებს მრავალი დისციპლინა, მიმართულება და მეცნიერი შეისწავლის სხვადასხვა კუთხით.

### **საინაუგურაციო მიმართვების კვლევის ზოგიერთი საინტერესო ასპექტი**

ზოგიერთი მკვლევარისთვის საინტერესოა ინაუგურაციისათვის დამახასიათებელი პერმანენტული და მტკიცე თემების იდენტიფიკაცია, იმ პერმანენტული თემების დადგენა, რასაც პრეზიდენტები განიხილავენ საინაუგურაციო გამოსვლებში (Campbell and Jamieson 1985 15(2): 394-11; Ericson 1997 27 (4):727-44; Beasley 2001 68(2):169-83) ზოგიერთი მეცნიერი საინაუგურაციო სიტყვებს იყენებს იმის საჩვენებლად, რომ პოლიტიკური სისტემები იცვლება დროთა განმავლობაში (Chester 1980 10(4):571-81; Hinckley 1990; Lim 2002 32(2):328-48; Ryan 1993; Tulis 1987). მეცნიერები სხვადასხვა სფეროებიდან (პოლიტიკური მეცნიერება, ფსიქოლოგია, კომუნიკაცია) აანალიზებენ საინაუგურაციო გამოსვლებს, როგორც მასალას, რომელიც ავლენს ფაქტებს პრეზიდენტების შესახებ და წინასწარ განსაზღვრავს პრეზიდენტთა ქცევებს (Whissell & Sigelman 2001 35(3):255-72.). ასევე მიმართავენ საინაუგურაციო სიტყვების ანალიზს პრეზიდენტთა რიტორიკის ანალიზის (Beasley 2001 68(2):178-83; Bradley 1983; Browne 2002 5(3):409-38; Campbell and Jamieson 1985; Carpenter 2005; Lee 1998; Lucas 1986 51(4): 354-70; Ryan 1993) ან

პოლიტიკურ სისტემაში ინაუგურაციების სემანტიკის ანალიზის მიზნით (Chester 1980; Hinckley 1990; Lim 2002; Ryan 1993; Tulis 1987.)

სმიტებმა (Smith and Smith 1985) საინაუგურაციო გამოსვლებზე დაყრდნობით საპრეზიდენტო რიტორიკისა და მართვის თეორიული ჩარჩოს შესაქმნელად შეიმუშავეს მნიშვნელობის კოორდინირებული მენეჯმენტის მიდგომა. ამ პერსპექტივის თანახმად, ხალხი ქმნის მნიშვნელობას, იმ შემთხვევაშიც კი, თუ ის არ არსებობს. სმიტები აყალიბებენ მნიშვნელობის იერარქიას, რომელიც ექვსი დონისაგან შედგება: შინაარსი, სამეტყველო აქტი, ეპიზოდი, ურთიერთობა, ინდივიდუალური ცხოვრების სცენარი და კულტურა. შინაარსის წესი მოქმედებს ჩვენი აზრების და იდეების აღწერისას და ფოკუსირდება იდეასა და სიტყვას შორის სემანტიკურ ურთიერთობაზე. ლინგვისტური არჩევანი, როგორცაა მაგალითად, "იმედი" და "ხედვა" ემყარება წინასწარგამიზნულ კრიტერიუმს. ხალხი განასხვავებს საინაუგურაციო გამოსვლების ტიპს სამეტყველო აქტებში გამოყენებული სიტყვების მეშვეობით, რომელსაც პრეზიდენტები იყენებენ შეტყობინების გადაცემისას ხმისა და ჟესტ-მიმიკის აქცენტირებით (Whitehead & Smith 2002). ეპიზოდების კომუნიკაციის წესი ხაზს უსვამს პერიოდულად განმეორებად სიტუაციურ ან სცენურ ფაქტორებს, რომელიც შეესაბამება რიტორიკის არისტოტელესეულ დეფინიციას "მოცემულ სიტუაციაში დამაჯერებლობის საშუალებების აღმოჩენის უნარს" (Aristotle 1954). ურთიერთობის წესის შესაბამისად, ის, რის გაკეთებასაც ადამიანი აპირებს, მოდიფიცირდება კომუნიკაციის მოთხოვნების, საჭიროებების და ტაბუს შესაბამისად. პრეზიდენტებს სურთ აუდიტორიასთან (მთავრობის, ჟურნალისტების და იმ პირთა ჩათვლით, რომელიც მას არ უჭერს მხარს) სასურველი სამუშაო ურთიერთობის შენარჩუნება. ინდივიდუალური ცხოვრების სცენარის წესი აჩვენებს, თუ როგორ აკეთებს პრეზიდენტი არჩევანს პირადი ღირებულებების, უპირატესობების და ნორმების საფუძველზე. კულტურის წესი კი ზოგადად მართავს საზოგადოების კომუნიკაციურ აქტივობას.

მართალია, პრეზიდენტები საინაუგურაციო გამოსვლებში საუბრობენ ერის მათეული ხედვის შესახებ, ერთ-ერთი მნიშვნელოვანი ასპექტი, რაც მკვლევრებმა შეისწავლეს არის ის, რომ საინაუგურაციო გამოსვლები ზოგადად, როგორც

კოლექტიური მთლიანობა, წარმოადგენს წლების მანძილზე ერის ზრდისა და განვითარების ისტორიას.

თავდაპირველად ამერიკელი პრეზიდენტები საინაუგურაციო გამოსვლებს იყენებდნენ მათი გამარჯვების აღსანიშნავად მაშინ, როდესაც ერს აცნობდნენ და უხსნიდნენ გამარჯვების მნიშვნელობას. აღნიშნული საბოლოოდ გადაიზარდა ხალხის გათვითცნობიერებასა და განათლებაში კონსტიტუციური მმართველობის მნიშვნელობის შესახებ. ბოლო დროს აშშ-ს პრეზიდენტები საინაუგურაციო მიმართვებს იყენებენ ხალხის გაერთიანებისა და შთაგონების მიზნით (Denton 1993: IV-VII; Korzi 2004). შედეგად პრეზიდენტები საინაუგურაციო გამოსვლებში მიმართავენ, თემატიკისა და ფორმათა მრავალფეროვნებას.

მიუხედავად საინაუგურაციო კვლევების მრავალფეროვნებისა, ამერიკაში საინაუგურაციო გამოსვლების ანალიზი ძირითადად ორი კუთხით კეთდებოდა: საინაუგურაციო გამოსვლების თემების დადგენა და პოლიტიკურ სისტემაში ცვლილების ილუსტრირება.

ერიქსონმა დაადგინა ინაუგურაციისათვის დამახასიათებელი 11 თემა (Ericson 1997). კორზიმ შეისწავლა პრეზიდენტთა საინაუგურაციო გამოსვლები ამერიკის პოლიტიკის ისტორიაში ხალხსა და პრეზიდენტის ინსტიტუტს შორის ცვალებადი ურთიერთობის პერსპექტივის დადგენის მიზნით (Korzi 2004 31(1):21-52). მან საინაუგურაციო გამოსვლების სამი მოდელი გამოყო – კონსტიტუციური, პარტიული, და პლებისციტური - სადაც თითოეული პრეზიდენტის მმართველობის და პრეზიდენტის ხალხთან ურთიერთობის განსხვავებულ გაგებას აყალიბებს.

ლიმმა დაადგინა და შეისწავლა 5 მნიშვნელოვანი ცვლილება მე-20 საუკუნის საპრეზიდენტო რიტორიკაში. იგი აყალიბებს აზრს, რომ მიმდინარეობს ინსტიტუციონალური ტრანსფორმაცია რიტორიკის გავრცობის თვალსაზრისით. ცვლილებები შეიძლება აღწერილ იქნეს, როგორც ანტი-ინტელექტუალური, აბსტრაქტული, ასერტიული, დემოკრატიული და სასაუბრო. ლიმ განავითარა შეფასების მაჩვენებლები პრეზიდენტების მიღწევების შესაფასებლად და გააანალიზა საინაუგურაციო გამოსვლები, რათა დაედგინა, რამდენად ჰქონდათ წინამორბედ პრეზიდენტებს გათავისებული ადმინისტრაციული მიზნები, რასაც საინაუგურაციო გამოსვლებში ხალხს ჰპირდებოდნენ. (Lim 2002 32(2):339-48)

კენგმა ადმინისტრაციული იდეოლოგიის კუთხით საინაუგურაციო გამოსვლების არსებული კვლევების ღირსებანი და ნაკლოვანებანი შეისწავლა. მან განიხილა საინაუგურაციო გამოყენებული 936 ღირებულების მქონე ტერმინი და ანალიზი გაუკეთა ადმინისტრაციული სისტემის იდეოლოგიურ ინდექსს სისშირის მარტივი ანალიზის გამოყენებით. (Kang 2006: 71-98.)

ერთ-ერთი მიდგომა, რომელიც პრეზიდენტთა კომუნიკაციის რიტორიკის ბუნების გაგებას უზრუნველყოფს, არის ლიტერატურული სტილის შესწავლა. საინაუგურაციო გამოსვლის ლიტერატურული სტილის შესწავლა შესაძლებელია მისი სამ მიმართულებად დაყოფის გზით. პირველი მიმართულება მოიცავს ლიტერატურული გამონათქვამების როგორც ვიწრო, ასევე ზოგად ანალიზს. ამ პერსპექტივით ლიტერატურული სტილი მოიცავს პერსონალურ გამონათქვამებს, რომელიც ინდივიდის ბუნების და იდენტობის შესაბამისად უნიკალურია. საინაუგურაციო გამოსვლების სტილის ანალიზი შესაძლებელია სტატისტიკური ინფორმაციის ან ხარისხობრივი აღწერის გამოყენებით, როგორცაა მაგალითად, ტექსტების სიგრძის, სიტყვების რაოდენობის და სისშირის შესწავლა. (Kowal 1996 26(1): 1-31; Miller & Stiles 1986 49(1):72-81; Whissell, 1998 86(4):595-613.) აღნიშნული ტიპის ანალიზი ძირითადად მოიცავს სიტყვაში მარცვლების რაოდენობის, წინადადებაში სიტყვების რაოდენობის, სიტყვების სიგრძის, წინადადებების სიგრძის, აბზაცების სიგრძის, კონკრეტული სიტყვების გამოყენების სისშირის, პუნქტუაციის, დისკურსის მარკერების, პირველი პირის მრავლობითი რიცხვის და ტექსტში გამოყენებული სინტაქსური სტრუქტურების განხილვას. ხოლო სტილისტური ღირებულება ენიჭება ლინგვისტურ ელემენტებს, რომლებიც იშვიათად გვხვდება (Yeager 1974 22: 29-36).

საინაუგურაციო გამოსვლების ლიტერატურული სტილის ანალიზი ასევე შესაძლებელია მაქსიმალური ეფექტის მისაღწევად ლინგვისტური გამონათქვამების უამრავი ერთეულიდან სათანადოს არჩევის კვლევით. საინაუგურაციო გამოსვლებში ლიტერატურული სტილი არის ლინგვისტური ელემენტების სელექციური გამოყენება, რაც გულისხმობს სასურველი ენობრივი ერთეულის შერჩევას მოსაუბრის ფასეულობების და მსოფლხედვის გათვალისწინებით (Hart 1984 2(2): 189-194.; McDevitt 1986 13(1,2,3):18-24; Sigelman, 1996 13(1):81-92). აღნიშნულით შესაძლებელია სტილის მაქსიმალურად ეფექტური გამოყენება და გარკვეული ქარიზმას მიღწევა.



საინაუგურაციო გამოსვლის, როგორც პოლიტიკური დისკურსის ერთ-ერთი უანრის კვლევას კემპბელი და ჯეიმისონი აწარმოებდნენ. (Campbell & Jamieson, 1990) მათი მოსაზრებით, პრეზიდენტთა საინაუგურაციო გამოსვლები უანრობრივად განსხვავდება და გამოირჩევა პრეზიდენტთა დისკურსის სხვა ფორმებისაგან, ეს ნამდვილად ასეა, ვინაიდან საინაუგურაციო მიმართვები ეპიდემიკური ან ცერემონიალური რიტორიკის ნიმუშია. ავტორები ამტკიცებენ, რომ საინაუგურაციო გამოსვლები მოიცავს ოთხ ძირითად ელემენტს, რომელიც მიმართულია არა აქტივობისაკენ, არამედ განჭვრეტისაკენ. მათი მოსაზრებით, საინაუგურაციო გამოსვლების მიზანია:

- აუდიტორიის გაერთიანება, როგორც ხალხის, რომელიც არის ცერემონიალის მოწმე და რატიფიკატორი;
- წარსულიდან მემკვიდრეობით მიღებული საერთო ფასეულობების გამეორება-განხილვა;
- იმ პოლიტიკური პრინციპების წამოწევა, რომლითაც ახალი ადმინისტრაცია იხელმძღვანელებს მართველობისას;
- ჩვენება იმისა, რომ პრეზიდენტი აფასებს აღმასრულებელი ფუნქციების მოთხოვნებსა და ლიმიტებს.

**საინაუგურაციო გამოსვლის უანრი ხასიათდება:**

- ხალხის ფასეულობების განსჯით;
- ინფორმაციის და საკითხების შეფასებებით;
- პოლიტიკური ხაზის რეკომენდაციებით.

ემპირიული მასალა მოიცავს ქართველი პრეზიდენტების 5 საინაუგურაციო გამოსვლას და ამერიკელი პრეზიდენტების 6 საინაუგურაციო გამოსვლას. სპეციალური ლიტერატურის შესწავლისა და ემპირიულ მასალაზე დაკვირვების საფუძველზე დავადგინე საინაუგურაციო გამოსვლების, როგორც უანრის შემდეგი სტრუქტურული მახასიათებლები:

1. შესავალი, რომელიც მოიცავს მისალმების და მადლობის გამომხატველ თავაზიან ფორმებს დამსწრე საზოგადოების მიმართ. ამერიკელ პრეზიდენტთა საინაუგურაციო გამოსვლებში ასევე აუცილებელ ელემენტს წარმოადგენს მადლობის გამომხატველი ფრაზები, რომელიც მიმართულია წინამორბედი

პრეზიდენტისადმი. აღნიშნული მონაკვეთი არ გხვდება ქართველი პრეზიდენტების საინაუგურაციო გამოსვლებში გარკვეული ისტორიული მოვლენები გამო.

2. ძირითადი ნაწილი მოიცავს: პრეზიდენტების ძირითად შეტყობინებებს ქვეყნის მდგომარეობის, მათი ხედვისა და ღირებულებების შესახებ; რეკომენდაციებს, თუ რა უნდა გაკეთდეს მთავრობის და საზოგადოების მიერ, რათა ქვეყანა და საზოგადოება (საზოგადოებრივი წყობის, საზოგადოების მართვის ჩათვლით) პრეზიდენტის მიერ დანახულ იდეალურ სამყაროსთან მოვიდეს შესაბამისობაში.
3. დასკვნითი ნაწილი მოიცავს დამასრულებელ დირექტიულ და ექსპრესიულ ფრაზებს.

აღსანიშნავია, რომ ზემოთ აღნიშნული ჟანრებიდან საინაუგურაციო გამოსვლების ჟანრი ყველაზე მეტად არის შესწავლილი ინგლისურენოვან სპეციალურ ლიტერატურაში. სხვა ჟანრების მიმართ ნაკლები ინტერესი არსებობს მკვლევრებს შორის და საჭიროებს შემდგომ სიღრმისეულ კვლევას.

## **II. წინასაარჩევნო კამპანიის დროს წარმოთქმული სიტყვა**

ინგლისურენოვან სპეციალურ ლიტერატურაში აქტიურად განიხილება წინასაარჩევნო კამპანია სხვადასხვა პერსპექტივით (Dinkin 1989; Paquette 2006; Thurber 2004), თუმცა ნაკლები ყურადღება ექცევა უშუალოდ წინასაარჩევნო სიტყვებს, როგორც პრეზიდენტთა დისკურსის ერთ-ერთ ჟანრს. აღნიშნულ ჟანრს არ გააჩნია არსებობის ხანგრძლივი ისტორია, ვინაიდან თავად წინასაარჩევნო კამპანიის დროს წარმოთქმული სიტყვა ახალი პროდუქტია პოლიტიკაში თუმცა ძალზე მნიშვნელოვანი. ამერიკაში წინასაარჩევნო კამპანიის გამოსვლები მე-19 საუკუნეში გამოიკვეთა და განსაკუთრებული მაშტაბი უკვე მე- 20-21 საუკუნეებში შეიძინა (Wikipedia Encyclopedia). კიდევ უფრო ახალი პროდუქტია ის ქართულ პოლიტიკაში. პრეზიდენტები სწორედ აღნიშნული ჟანრით წარდგებიან საზოგადოების წინაშე და წარმოაჩენენ საკუთარ თავს.

წინასაარჩევნო კამპანია სარეკლამო კამპანიის მსგავსია. აქ წარმატებული კამპანიის წინაპირობა არის კარგად დაწერილი სიტყვა - ეფექტურად შეფუთული და წარმოთქმული კოჰერენტული შეტყობინება (Snyder 2000). ვინაიდან სწორედ

წინასაარჩევნო გამოსვლა წარმოაჩენს კანდიდატს, წარადგენს მას იმგვარად, რომ იგი მიმზიდველი იყოს ამომრჩევლისათვის და მედია საშუალებებისათვის. ძალიან ბევრი კარგად ცნობილი პოლიტიკოსი ან პრეზიდენტი საზოგადოებას ახსოვს სწორედ წინასაარჩევნო გამოსვლებში გამოყენებული შეტყობინებებით.

ჩემს მიერ შესწავლილი ემპირიული მასალა მოცავს ქართველი პრეზიდენტების 3 და ამერიკელი პრეზიდენტების 4 წინასაარჩევნო კამპანიის დროს წარმოთქმულ გამოსვლებს. აღნიშნული გამოსვლების შესწავლის შედეგად გამოირკვა, რომ წინასაარჩევნო გამოსვლები გამოირჩევა ლაკონურობითა და ექსპრესიულობით. წინასაარჩევნო გამოსვლის აუცილებელი ნაწილია სწორად შერჩეული აქცენტები, სლოგანი და ტოპიკალური წინადადება. მსმენელის მიმართ გაცემული შეტყობინება უნდა იყოს მარტივი, რათა ხალხმა შეძლოს მისი დამახსოვრება და ასევე შესაძლებელი უნდა იყოს შეტყობინების დაკავშირება კანდიდატთან ასოციაციურად. შერჩეული შეტყობინება უნდა იყოს კარგად გააზრებული და თანმიმდევრული, რათა ამომრჩეველმა სათანადოდ გაითავისოს. ხშირად შერჩეული შეტყობინება არის განზოგადებული ხასიათის, რათა მოიხიდოს უფრო მეტი მხარდამჭერი და/ან ამომრჩეველი. შერჩეული შეტყობინების თემა უნდა იყოს პოზიტიური და არაპოლემიკური, მაგალითად, ბარაკ ობამას თანმიმდევრული, მარტივი შეტყობინების საკვანძო სიტყვა წინასაარჩევნო კამპანიის დროს იყო ცვლილება "change", "change you can believe in". ბარაკ ობამამ სახელი დაიმკვიდრა, როგორც დახელოვნებულმა ორატორმა, ვინაიდან ფრაზით "Yes we can" მილიონობით მხარდაჭერი მოიპოვა, გამოადვილა ხალხის ოპტიმიზმი, დაარწმუნა ისინი, რომ შესაძლებელია არსებული ეკონომიკური და პოლიტიკური გამოწვევების დაძლევა. მიხეილ სააკაშვილის დამამახსოვრებელი და შთამბეჭდავი სლოგანი, რაც ხალხმა აიტაცა და ყოველდღიურ ცხოვრებაში სხვადასხვა კონტექსტში ხშირად გვხვდება, არის ფრაზა "გასაკეთებელი კიდევ ბევრია", რაც პირველად სააკაშვილის რიტორიკაში 2008 წლის წინასაარჩევნო კამპანიის დროს გამოჩნდა.

### III. სიტყვა - ანგარიში

ეს არის პრეზიდენტთა ყოველწლიური სიტყვა-ანგარიში ქვეყნის პოლიტიკური და ეკონომიკური მდგომარეობის შესახებ, რომელიც კონსტიტუციის შესაბამისად თავდაპირველად მიმართული იყო, ქართულ რეალობაში პარლამენტარების მიმართ,

ხოლო ამერიკის შემთხვევაში კონგრესმენების მიმართ. თანამედროვე ტექნოლოგიურმა მიღწევებმა მსმენელის არიალი მკვეთრად გაზარდა, ვინაიდან დღეს პრეზიდენტების ანგარიშები პირდაპირი ეთერით გადაიცემა რადიოთი, ტელევიზიითა და ინტერნეტით. ამდენად, დღეს პრეზიდენტთა სიტყვა-ანგარიში სრულიად მოსახლეობისადმია მიმართული, რამაც გარკვეულწილად მათი ტრანსფორმაცია მოახდინა, როგორც სტრუქტურული, ასევე რიტორიკული თვალსაზრისით. ევოლუციურად შეიცვალა სიტყვა-ანგარიშის ფორმატი და სიგრძე.

ემპირიული მასალის შესწავლამ, რომელიც მოიცავს პრეზიდენტთა აღნიშნული ჟანრის 7 გამოსვლას ცხადყო, რომ უცვლელი რჩება ძირითადი თემები, რაც ამ ჟანრის გამოსვლებში განიხილება. წარსულის გახსენება, ყურადღების გამახვილება მომავალზე და ოპტიმიზმი სიტყვა-ანგარიშის ჟანრის აუცილებელი ელემენტებია. დღეს სიტყვა-ანგარიშში აღწერილია ქვეყნის მიმდინარე ეკონომიკური, პოლიტიკური და სოციალური ვითარება. ასევე, მოცემულია სამომავლო საკანონმდებლო ინიციატივები და გარკვეული რიტორიკული არგუმენტები. სიტყვა-ანგარიში განსაკუთრებით აქტუალიზებულია ენის რეფერენციული ფუნქცია, რაც გულისხმობს ფაქტებისა და სტატისტიკური მონაცემების გამოყენებას. პრეზიდენტის ყოველწლიურ ანგარიშს ახასიათებს საჯარო მედიაცია ფასეულობების შესახებ, ინფორმაციისა და საკითხების შეფასება და პოლიტიკური რეკომენდაციების გაცემა. უნდა აღინიშნოს, რომ პრეზიდენტების სიტყვა-ანგარიშები განსხვავდება, იმის მიხედვით წარმოთქმულია ეს ანგარიში არჩევნების, ან ხელახალი არჩევნების თუ ხელისუფლების მიერ გარკვეული წარმატებების მიღწევის შემდეგ. ხშირ შემთხვევაში ისინი ორიენტირებულია მედია საშუალებებზე იმ მიზნით, რომ ანგარიშის მასალები სათანადოდ გაშუქდეს მასმედიაში. მიუხედავად გარკვეული ქვე-ტიპებისა აღნიშნული ჟანრის გამოსვლები ფორმალური მახასიათებლების თვალსაზრისით მოიცავს შემდეგ საერთო სტრუქტურულ ელემენტებს:

1. შესავალი, სადაც პრეზიდენტები მიესალმებიან აუდიტორიასა და მოწვეულ განსაკუთრებულ სტუმრებს, ეხმიანებიან ან აღწერენ ქვეყანაში მომხდარ მოვლენებს.
2. ძირითადი ნაწილი მოიცავს წარსულის გახსენებასა და შეპირისპირებას აწყმოსთან, მიღწეულ ფუნდამენტურ ცვლილებებზე, ეკონომიკურ

რეფორმებზე, დაძლეულ საფრთხეებზე, სტაბილურ განვითარებაზე და ზოგადად დადებით შედეგებზე ფოკუსირების გზით.

3. დასკვნითი ნაწილი ძირითადად შემოიფარგლება სამომავლო გეგმების აღწერითა და რეკომენდაციებით

#### **IV. სიტყვა - მიმართვა (საგანგებო)**

სიტყვა-მიმართვის მიზანი სხვადასხვაგვარია ისევე, როგორც მათი სტრუქტურა. პრეზიდენტის მიმართვა შეიძლება სხვადასხვა ფაქტს ან გარემოებას შეეხებოდეს. აღნიშნული ჟანრის მიმართვებს სხვადასხვა ადრესატი ჰყავს. ზოგჯერ პრეზიდენტები საგანგებო მიმართვით მიმართავენ საზოგადოების სხვადასხვა სექტორს კონკრეტულ საკითხთან დაკავშირებით ან ზოგადად ხალებს. ასეთი ზოგადი მიმართვა იყო მაგალითად, პრეზიდენტ სააკაშვილის 2008 წლის 1 სექტემბრის მიმართვა ცოცხალი ჯაჭვის მონაწილეებისადმი ან პრეზიდენტ ბუშის 2001 წლის 11 სექტემბრის მიმართვა ამერიკელი ხალხისადმი. ზოგჯერ პრეზიდენტები უშუალოდ მთავრობას მიმართავენ, გარკვეული მითითებების მიცემის მიზნით. ნაშრომში აღნიშნული ჟანრის 6 მიმართვა არის შესწავლილი.

#### **V. მილოცვა/ მისამძიმრება**

მილოცვა მოიცავს პრეზიდენტთა ფატიკური ტიპის გამოსვლებს, როდესაც ისინი გარკვეულ რელიგიურ ან საერო დღესასწაულს ულოცავენ მოსახლეობას. ზოგჯერ კი პრეზიდენტები მისამძიმრების სიტყვებს წარმოთქვამენ, რითაც თანადგომას გამოხატავენ უბედური შემთხვევით ან სტიქიით დაზარალებულთა მიმართ, ან სამძიმარს გამოთქვამენ ცნობილი ადამიანის გარდაცვალებასთან დაკავშირებით. აღნიშნული ორი ტიპი ერთ ჟანრში ერთიანდება, ვინაიდან მათ მსგავსი სტრუქტურა და სოციალურ-კულტურული დატვირთვა გააჩნიათ. პრეზიდენტთა დისკურსში ხშირია აღნიშნული ჟანრის მიმართვები, რაც ძირითადად კლიშეობრივი ტექსტით გადმოიცემა. ემპირიული მასალა მოიცავს აღნიშნული ჟანრის 8 გამოსვლას.

#### **VI. შეწყალება/დაჯილდოება**

ემპირიული მასალა მოიცავს ამერიკელ და ქართველ პრეზიდენტთა აღნიშნული ჟანრის 8 გამოსვლას, საიდანაც 2 გამოსვლა არის შეწყალების და 6 გამოსვლა კი დაჯილდოების შესახებ. შეწყალების და/ან დაჯილდოების შესახებ გაკეთებული განცხადება პრეზიდენტთა კეთილი ნების გამოხატულებაა. ის მოიცავს სამ ძირითად ელემენტს. ესენია:

1. პრეზიდენტი სიმბოლურად, როგორც სახელმწიფოს მეთაური, ასრულებს მოვალეობას/როლს მისი უფლებამოსილების ფარგლებში;
2. აღნიშნული ჟანრის გამოსვლაში ყოველთვის არის განცხადებული, რომ შერჩეულია ამ ქმედებისათვის სათანადო დრო;
3. შეწყალებაში ყოველთვის განმარტებულია, რომ შეწყალება მნიშვნელოვანია სახალხო კეთილდღეობის თვალსაზრისით, ხოლო დაჯილდოების შემთხვევაში ყოველთვის აღნიშნულია, რომ ჯილდო ადამიანს გადაეცემა პატივისცემის ნიშნად განსაკუთრებული წვლილისა და დამსახურებისათვის.

## **VII. ვეტო-შეტყობინება**

აღნიშნული ჟანრის გამოსვლები არ გეხდება ხშირად, თუმცა მნიშვნელოვანია მათი ცალკე ჟანრად გამოყოფა. ემპირიული მასალა მოიცავს ამ ჟანრის 2 გამოსვლას. ვეტო-შეტყობინება არის პასუხი კონკრეტულ საკანონმდებლო ნაწილზე, გამოხატავს პრეზიდენტის წინააღმდეგობას გარკვეულ საკითხთან მიმართებაში. მისი მიზანია, რომ მოხდეს ვეტოდადებული საკითხის ხელახალი განხილვა სათანადო სტრუქტურებში.

## **VIII. ომის რიტორიკა**

ომის რიტორიკა ცალკე ჟანრად გამოიყოფა, ვინაიდან მას ახასიათებს გარკვეული განმასხვავებელი თავისებურებანი. ემპირიული მასალა მოიცავს ომის თემატიკაზე წარმოთქმულ ამერიკელ პრეზიდენტთა 4 გამოსვლას და ქართველ პრეზიდენტთა ასევე 4 გამოსვლას. მასალის ანალიზმა შემდეგი საკითხები გამოკვეთა:

1. ომის შესახებ წარმოთქმული სიტყვა არის კარგად გააზრებული პროდუქტი;
2. ხდება გარკვეული მოვლენების ან ფაქტების სტრატეგიულად შეცვლილი სახით რეპრეზენტაცია;

3. ქრონოლოგიური ნარატივი აღწერს გარკვეულ ძალისმიერ ინტერვენციას, მოცემულია არსებული გარემოებების განსჯა და გამოტანილია შესაბამისი არგუმენტირებული დასკვნები;
4. ომის შესახებ წარმოთქმულ სიტყვაში ყოველთვის განცხადებულია, რომ მიღებულია გარკვეული პრობლემის ძალისმიერი მეთოდით მოგვარების გადაწყვეტილება, ასევე განმარტებულია, რომ იმ მომენტში პრობლემის გადაჭრის სხვა გზა არ არსებობს;
5. გამოსვლაში ხდება არა მხოლოდ ძალის გამოყენების გამართლება, არამედ პრეზიდენტის, როგორც ძალაუფლების მქონე მთავარსარდლის ლეგიტიმაცია;
6. ხდება მსენელის დარწმუნება იმაში, რომ პრობლემის გადასაჭრელად საჭიროა ერთსულოვნება და ერთობლივი ძალისხმევა და კონტრიბუცია.

### **IX. იმპიჩმენტის შეტყობინება**

პრეზიდენტის იმპიჩმენტი დღის წესრიგში დგება იმ შემთხვევაში, თუ იგი არღვევს ფიცს, რომელსაც პრეზიდენტი კონსტიტუციის თანახმად თანამდებობის დაკავების წინ დებს. საქართველოს 1995 წლის კონსტიტუციის 71-ე მუხლის თანახმად, საქართველოს ახლად არჩეული პრეზიდენტი წარმოთქვამს საპროგრამო სიტყვას (ანუ საინაუგურაციო სიტყვას) და დებს შემდეგ ფიცს: “მე, საქართველოს პრეზიდენტი, ღვთისა და ერის წინაშე ვაცხადებ, რომ დავიცავ საქართველოს კონსტიტუციას, ქვეყნის დამოუკიდებლობას, ერთიანობასა და განუყოფლობას, კეთილსინდისიერად აღვასრულებ პრეზიდენტის მოვალეობას, ვიზრუნებ ჩემი ქვეყნის მოქალაქეთა უსაფრთხოებისა და კეთილდღეობისათვის, ჩემი ხალხისა და მამულის აღორძინებისა და ძლევა მოსილებისათვის”. (საქართველოს კონსტიტუცია, 1995: 71-ე მუხლი)

ამერიკის შეერთებული შტატების კონსტიტუციის მუხლი ორი, თავი ერთი, პარაგრაფი რვას მიხედვით ამერიკის შეერთებული შტატების პრეზიდენტი სანამ იგი შეუდგება პრეზიდენტის მოვალეობების აღსრულებას დებს შემდეგი სახის ფიცს: "I do solemnly swear (or affirm) that I will faithfully execute the Office of President of the United States, and will do the best of my ability, preserve, protect and defend the Constitution of the United States." (The United States Constitution, Article 2, Clause 8).

პრეზიდენტის ინსტიტუტს, ამერიკის შეერთებული შტატებისაგან განსხვავებით, საქართველოში დაახლოებით 20 წლის ისტორია აქვს. პრეზიდენტის ინსტიტუტი საქართველოში 1991 წლის აპრილში საქართველოს დამოუკიდებლობის აღდგენის შემდეგ შემოიღეს. თუმცა გარკვეული მცდელობები პრეზიდენტის ინსტიტუტის დაწესებასთან დაკავშირებით 1918-1921 წლებშიც იყო საქართველოში. 1991-1995 წლებში საქართველოში განხორციელებულმა მოვლენებმა განაპირობა პრეზიდენტის ინსტიტუტის გაუქმება, მაგრამ მოგვიანებით იგი აღადგინა საქართველოს 1995 წლის კონსტიტუციამ. დამოუკიდებელი საქართველოს ისტორიაში სულ რიგით მესამე პრეზიდენტი უდგას სათავეში ქვეყანას. არც ერთი მათგანის იმპიჩმენტი არ განხილულა პარლამენტის მიერ, თუმცა ადგილი ჰქონია გარკვეულ მცდელობებს. ამერიკის შეერთებული შტატები კი პრეზიდენტის ინსტიტუტის ყველაზე ხანგრძლივი ისტორიით გამოირჩევა და რიგით 44-ე პრეზიდენტს ითვლის. ამერიკის პრეზიდენტთა ინსტიტუტის ისტორიაში ყოფილა შემთხვევა, როდესაც იმპიჩმენტის შიშით დაუტოვებიათ პრეზიდენტის თანამდებობა (რიჩარდ ნიქსონი). ჩემ მიერ შესწავლილი პრეზიდენტების შემთხვევაში იმპიჩმენტს ადგილი არ ჰქონია (უნდა აღინიშნოს, რომ იმპიჩმენტის რისკი გარკვეულწილად ბილ კლინტონს დაემუქრა, თუმცა არ განხორციელებულა) შესაბამისად, არ წარმოთქმულა აღნიშნული ჟანრის გამოსვლები პრეზიდენტების მიერ.

თუმცა, ზოგადად, აღნიშნული ჟანრის გამოსვლებში პრეზიდენტი მიმართავს თავის მართლებას, რომ მის მიერ დადებული ფიცი არ დარღვეულა. პრეზიდენტი აღნიშნავს, რომ უპირველეს ყოვლისა პრეზიდენტი პასუხს აგებს ხალხის და კონსტიტუციის წინაშე და არა მათ წინაშე, ვინც მას ცილს სწამებს.

## **X. გამოსამშვიდობებელი გამოსვლა**

გამოსამშვიდობებელ გამოსვლას ახასიათებს გარკვეული თავისებურებანი. გამოსამშვიდობებელი სიტყვები წარმოითქმის პრეზიდენტების მიერ მაშინ, როდესაც ისინი ასრულებენ საპრეზიდენტო ვადას და ხალხის წინაშე წარსდგებიან შემდეგი პრეზიდენტისათვის ხელისუფლების გადაცემისას. აღნიშნული ჟანრის გამოსვლაში ხდება მთავრობის საქმიანობისა და მიღწევების შეჯამება. გამოსამშვიდობებელ გამოსვლაში ყოველთვის ჩანს როგორც პრეზიდენტის, ასევე მისი ადმინისტრაციის, ინდივიდუალიზმი და მახასიათებელი. მსგავს შემთხვევას, სამწუხაროდ,



საქართველოში გარკვეული პოლიტიკური გარემოებების გამო ადგილი ჯერ-ჯერობით არ ჰქონია. იმედია ქართველი ერი უარს იტყვის ქვეყნის მთავრობის ცვლილების ძალისმიერ მეთოდებზე (სამოქალაქო ომზე ან რევოლუციაზე) და ხელისუფლების არჩევნების გზით შეცვლის ტრადიცია საქართველოშიც დამკვიდრდება. ამდენად, აღნიშნული ჟანრი მხოლოდ ამერიკელ პრეზიდენტთა დისკურსში გხვდება. ემპირიული მასალა მოიცავს ამ ჟანრის 3 გამოსვლას.

## თავი 1

### ენის ფუნქციათა რეალიზაციის თავისებურებანი პრეზიდენტთა გამოსვლებში

წინამდებარე თავში პრეზიდენტთა გამოსვლებს განვიხილავ ერთ-ერთი პრაგმატიკული ასპექტის, კერძოდ, ენის ფუნქციათა რეალიზაციის თვალსაზრისით. როგორც ცნობილია, ენათმეცნიერებაში არსებობს ენის ფუნქციათა სხვადასხვა კლასიფიკაცია. (Halliday 1973; Turner 1977; Leech 1983). ვფიქრობ, რომ რომან იაკობსონი იძლევა ენის ფუნქციების სრულ ანალიზსა და კლასიფიკაციას, სწორედ ამიტომ პრეზიდენტთა გამოსვლების ენის ფუნქციების თვალსაზრისით კვლევისას ვეყრდნობი მის კლასიფიკაციას (Jakobson 1976).

როგორც ცნობილია, იაკობსონმა საკომუნიკაციო აქტი დაყო ელემენტები და თითოეული ელემენტი დააკავშირა ენის ფუნქციებთან. იაკობსონის მიხედვით, ვერბალური კომუნიკაცია შედგება ექვსი ელემენტისაგან, ან ფაქტორისაგან: 1. კონტექსტი (კო-ტექსტი, სამყარო/გარემო, სადაც შეტყობინებას აქვს ადგილი); 2. ადრესანტი (შეტყობინების გამცემი); 3. ადრესატი (შეტყობინების მიმღები); 4. კონტაქტი ადრესანტსა და ადრესატს შორის; 5. საერთო კოდი და 6. შეტყობინება. აღნიშნული ფაქტორები აისახება 6 ფუნქციაში (Jakobson, 1960: 33-48). შესაბამისად, იაკობსონი გამოყოფს ენის ექვს ძირითად ფუნქციას:

1. რეფერენციული ფუნქცია, რომელიც მიმართულია შეტყობინების რეფერენციულ შინაარსზე;
2. ემოციური/ექსპრესიული ფუნქცია, რომელიც მიმართულია მოსაუბრის/ადრესანტის ემოციურ მდგომარეობაზე;
3. კონატიური ფუნქცია, რომელიც მიმართულია ენის იმ ასპექტებზე, რომელთა მიზანია, გამოიწვიონ ადრესატის რეაქცია ამა თუ იმ შეტყობინებაზე;

4. ფატიკური ფუნქცია, რომელიც მიმართულია ენის გამოყენებაზე კონტაქტის დამყარებისა და შენარჩუნების მიზნით;
5. მეტალინგვისტური ფუნქცია, რომელიც მიმართულია ენის სისტემაზე, როგორც მოსაუბრეთა მიერ გამოყენებულ კოდზე;
6. პოეტური ფუნქცია, რომელიც განსაზღვრავს, თუ რა საშუალებებით არის კოდირებული ესა თუ ის შეტყობინება.

კომუნიკაციის ფაქტორებისა და ენის ფუნქციების სქემა ასე შეიძლება გამოვსახოთ:

სამიზნე ფაქტორი და ფუნქცია	სამიზნე ფაქტორი	ფაქტორის წყარო	ფუნქცია
1	კონტექსტი	შეტყობინება	რეფერენციული
2	გამცემი/ადრესანტი	შეტყობინება	ემოციური
3	მიმღები/ ადრესატი	შეტყობინება	კონატიური
4	კონტაქტი	შეტყობინება	ფატიკური
5	კოდი	შეტყობინება	მეტალინგვისტური
6	მესიჯი/ შეტყობინება	შეტყობინება	პოეტური

ვინაიდან იაკობსონის ენის ფუნქციების კლასიფიკაცია მოიცავს ყველა მნიშვნელოვან ასპექტს და სისტემურ ხასიათს ატარებს, მნიშვნელოვნად მივიჩნევ პრეზიდენტთა გამოსვლების შესწავლა თითოეული ფუნქციის რეალიზაციის კუთხით, რათა დამედგინა, თუ რა ფუნქციით იყენებენ პრეზიდენტები სხვადასხვა ენობრივ საშუალებებს, თუ რა ხერხებს მიმართავენ ისინი მსმენელისათვის სასურველი შეტყობინებების გადასაცემად და სასურველი პერლოკუციური ეფექტის მისაღწევად.

## 1.1. რეფერენციული ფუნქცია

პრეზიდენტთა ძირითადი ინტენცია გამოსვლების დროს არის გარკვეული შეტყობინებებით ფაქტობრივი ინფორმაციის მიწოდება მსმენელისათვის, რათა მან შეძლოს მოვლენების აღქმა-იდენტიფიცირება. პრეზიდენტთა გამოსვლებში ფაქტობრივი ინფორმაციის გადაცემისას ღირებულება სტატისტიკური მონაცემების გამოყენება, ვინაიდან ასეთი სახის ინფორმაცია გამოსვლას უფრო დამაჯერებელს და სანდოს ხდის. **რეფერენციული ფუნქცია** პრეზიდენტთა გამოსვლებში რეალიზდება ფაქტობრივი ინფორმაციის გადაცემით, რომელიც ზოგჯერ გამყარებულია სტატისტიკური მონაცემებით, რასაც გამოსვლის დაახლოებით ერთი მესამედი ნაწილი უკავია. თუმცა აქვე უნდა აღინიშნოს, რომ სხვადასხვა გამოსვლაში ინფორმატიულობის დონე განსხვავებულია.

### 1) ფაქტობრივი ინფორმაცია

პრეზიდენტი გამსახურდია (1) აღწერს იმ ფაქტებს, რამაც განაპირობა ქართველი ერის უდიდესი გამარჯვება. აქტების ჩამონათვალი რეპრეზენტაციის ტიპის აქტებით არის გადმოცემული:

(1) “1991 წლის 31 მარტი და 9 აპრილი ქართველი ერის და ეროვნული ხელისუფლების უდიდესი გამარჯვებაა. ეროვნულმა ხელისუფლებამ გატარებული უმნიშვნელოვანესი ცვლილებების, მრავალპარტიულობის იურიდიული და ფაქტობრივი დამკვიდრების, მთავრობის რეორგანიზაციის, ადგილობრივი მმართველობის ინსტიტუტების – საკრებულოების და პრეფექტურების შემოღების, პრეზიდენტის ინსტიტუტის დაწესების შედეგად, საპრეზიდენტო რესპუბლიკის სახით დაამკვიდრა დემოკრატიული პოლიტიკური სისტემა.” (ზ.გ. 07.06.1991)

ქვემოთ მოცემულ ამონარიდში (2) პრეზიდენტ სააკაშვილის ინტენცია არის ხალხის ინფორმირება ქვეყანაში არსებული პრობლემების შესახებ.

(2) “მნიშვნელოვნად შეფერხდა ინვესტიციები, თითქმის ყველა დიდი საწარმო განიცდის პრობლემებს, რადგან მსოფლიო ბაზარზე კატასტროფულად დაეცა ფასები მათ პროდუქციაზე, დროებით, მაგრამ მაინც იკარგება სამუშაო ადგილები, ხალხი მძიმე მდგომარეობაშია, უამრავი ოჯახი ებრძვის უმუშევრობასა და სიღარიბეს.”(მ.ს. 01.01.2009)

შემდეგ მაგალითში (3) პრეზიდენტი ობამა აცხობინებს ხალხს, რომ კრიზისის მიუხედავად გრძელდება ცხოვრება. იგი სტილისტური ჩამონათვალის მეშვეობით უზიარებს მოსახლეობას მოსაზრებას, რომ ამერიკელი ხალხის უნარი არ შემცირებულა, რომ ამერიკელ ერს გააჩნია ძალა და გონება, რათა გააგრძელოს პროდუქციის წარმოება და მომსახურების უზრუნველყოფა.

(3) “This is the journey we continue today. We remain the most prosperous, powerful nation on Earth. Our workers are no less productive than when this crisis began. Our minds are no less inventive, our goods and services no less needed than they were last week or last month or last year. Our capacity remains undiminished.” (B.O.20.01. 2009)

მე- 4 მაგალითში პრეზიდენტი ბუში 2001 წლის 11 სექტემბრის შეტევის შემდეგ მოსახლეობას გადასცემს ინფორმაციას მსოფლიოს კოლექტიური სურვილის შესახებ, დაეხმაროს ამერიკის შეერთებულ შტატებს. იგი აცნობს ხალხს უშუალოდ იმ ქვეყნებს, რომლებმაც გამოხატეს სურვილი, მონაწილეობა მიიღონ ტერორისტების წინააღმდეგ ბრძოლაში. ასვე აცხობინებს მსმენელს, რომ 40-ზე მეტმა ქვეყანამ მიანიჭა ამერიკას საჰაერო ტრანზიტის და დაშვების უფლება.

(4) “We are joined in this operation by our staunch friend, Great Britain. Other close friends, including Canada, Australia, Germany and France, have pledged forces as the operation unfolds. More than 40 countries in the Middle East, Africa, Europe and across Asia have granted air transit or landing rights. Many more have shared intelligence. We are supported by the collective will of the world”(G.W.B. 07.10.2001).

**II) სტატისტიკური მონაცემებით გამყარებული ფაქტობრივი ინფორმაცია**  
ქვემოთ მოცემულ მაგალითებში ფაქტობრივ ინფორმაციასთან ერთად პრეზიდენტები მოსახლეობას გარკვეულ კვანტიტატიურ ინფორმაციასაც აწვდიან, რაც გამყარებულია სტატისტიკური მონაცემებით. ეს არის ხალხის მანიპულირების ერთგვარი ხერხი, ვინაიდან რიცხვებით გამყარებული ფაქტები მეტად დამაჯერებელს და ემფატურს ხდის გამონათქვამს.

(1) “ათობით ათასი ჩვენი მოქალაქე არაადამიანური ეთნიკური წმენდის შედეგად საკუთარი სახლ-კარიდან გამოდევნილი აღმოჩნდა. ჩვენ მოგვიკლეს 166 პატრიოტი ჯარისკაცი, 16 სამაგალითო პოლიციელი და 220 მშვიდობიანი, სრულიად უდანაშაულო მოქალაქე. . . საქართველოს

თავს დაესხნენ 7 სხვადასხვა მიმართულებიდან, 80 ათასიანი არმიით და ათასობით საბრძოლო ტექნიკის ერთეულით, ჩვენ გვბომბავდა 200-ზე მეტი თვითმფრინავი.” (მ.ს. 01.01.2009)

(2) “Four Americans have now died from anthrax out of a total of 17 people who have been infected. The Postal Service has processed more than 30 billion pieces of mail since September 11<sup>th</sup>”. (G.W.B 08.11.2001).

ზემოთ მოყვანილ მაგალითებში ნათლად ჩანს, რომ პრეზიდენტთა გამოსვლებში რეფერენციული ფუნქცია მეტწილად რეპრეზენტატივების ტიპის სამეტყველო აქტებით არის გადმოცემული, ვინაიდან სწორედ ასერტივი/რეპრეზენტატივის ტიპის სამეტყველო აქტები ემსახურება ფაქტობრივი ინფორმაციის გადაცემას.

## 1.2. ემოციური ფუნქცია

კვლევამ გამოავლინა, რომ ემოციური/ექსპრესიული ფუნქციის რეალიზაცია პრეზიდენტთა გამოსვლებში ხორციელდება ენის სხვადასხვა დონეზე, რისთვისაც გამოიყენება სტილისტური ღირებულებების მქონე ენობრივი ერთეულები, შესიტყვებები, ფრაზები, მარტივი ან რთული კონსტრუქციები, წინადადებები. მათი მეშვეობით გადმოცემულია მოსაუბრის გრძნობები და დამოკიდებულება.

ენის ემოციური ფუნქციის განხორციელებაში განსაკუთრებით დიდ როლს თამაშობს **ლექსიკა**. პრეზიდენტთა გამოსვლებში სიტყვის დენოტაციურ მნიშვნელობასთან ერთად განსაკუთრებით საინტერესოდ გამოიყენება სიტყვის როგორც დადებითი, ასევე უარყოფითი კონოტაციური მნიშვნელობები. ვინაიდან სიტყვის კონოტაციური მნიშვნელობების გადაცემა უკეთაა შესაძლებელი სტილისტური ხერხების მეშვეობით, პრეზიდენტები ხშირად მიმართავენ მეტაფორების გამოყენებას საკუთარ მიმართებებში, რადგან, როგორც ცნობილია, მეტაფორა სალექსიკონო და კონტექსტუალური მნიშვნელობების ურთიერთობას ეფუძნება (Galperin 1990; Sosnovskaya 1974).

მაგალითად, პრეზიდენტი ბუში 2001 წლის 11 სექტემბრის გამოსვლაში ამერიკელ ხალხს თავისუფლების ყველაზე მანათობელ შუქურასთან აიგივებს:

“we're the brightest **beacon** for freedom and opportunity in the world”. (G.W.B. 11.09.2001)  
მეტაფორა “beacon”-ის გამოყენებით და ამ სიტყვის დადებითი კონოტაციების (გზის მანქანებელი შუქურა; მანათობელი ვარსკვლავი; ნათელი გზა; ბედნიერების მომასწავებელი; იმედის სხივი, რომელიც მიუძღვის მეზღვაურებს ხმელეთისაკენ), ასევე მნიშვნელობის გამაძლიერებელი აღმატებითი ხარისხის ზედსართავი სახელის “brightest” გამოყენებით პრეზიდენტი უფრო ექსპრესიულად გადასცემს მსმენელს ინფორმაციას.

საინტერესოა, რომ პრეზიდენტი ბუში 2005 წლის 10 მაისს თავისუფლების მოედანზე ქართველი ხალხისადმი წარმოთქმულ სიტყვაში საქართველოს იმავე მეტაფორით მოიხსენიებს. ასევე უნდა აღინიშნოს, რომ აღნიშნული მეტაფორა იმდენად გაცვდა ხმარებაში, რომ უკვე კლიშედაც შეიძლება ჩაითვალოს “Georgia is today both sovereign and free, and a **beacon** of liberty for this region and the world”. (G.W.B. 10.05.2005)

პრეზიდენტი სააკაშვილი საქართველოს აღწერას და სახელდებას შემდეგი მეტაფორებით ახდენს: “(საქართველო არის დემოკრატიულობის) მთავარი **მედროშე**”; “თბილისი არის თავისუფლების ახალი **ზღუდე და კარიბჭე**”; “ღღეს ჩვენი ქართული, ცოცხალი ჯაჭვისაგან იქსოვება ახალი **ჯაჭვის პერანგი**, როგორც არასდროს დიდი და ძლიერი **ჯაჭვის პერანგი**” (მ.ს.01.09.2008). პრეზიდენტი ბუშის მსგავსად, სწორად გამოყენებული მეტაფორების დამატებითი დადებითი შეფასებების მეშვეობით ემოციურად გადასცემს მსმენელს საკუთარ დამოკიდებულებას.

პრეზიდენტი ბუში 2001 წლის 11 სექტემბრის გამოსვლაში აცხადებს, რომ ამერიკა შურევეკელი და ძლიერია, შეუძლებელია ამერიკის ფუნდამენტის და სიმტკიცის რღვევა, ამ აზრის გამოსახატავად იგი ისევ მეტაფორებს მიმართავს: “Terrorist attacks can shake the **foundations** of our biggest buildings, but they cannot touch the **foundation** of America. These acts shatter **steel**, but they cannot dent the **steel** of American resolve”.(G.W.B.11.09.2001) აღნიშნულ მაგალითში გამოიყენება არასრული პარალელური კონსტრუქციები და ანტიოქსა, რაც კიდევ უფრო ამძაფრებს გადმოცემულ აზრს. (მაგალითებს სინტაქსის დონეზე ქვემოთ განვიხილავთ)

პრეზიდენტთა გამოსვლებში მრავლად ვხვდებით ეპითეტებს, ამიტომ კვლევაში ყურადღება გავამახვილეთ ზედსართავი სახელით გადმოცემულ

ეპითეტებზე და იმ მნიშვნელობებზე, რომლებიც ამ ეპითეტების გამოყენებით გადაეცემა მსმენელს.

მაგალითად, პრეზიდენტი ბუში 2001 წლის 11 სექტემბრის გამოსვლაში აცხადებს “A **great** people has been moved to defend a **great** nation” მიმართავს რა გამეორებას სიტყვისა great ხალხში, მსმენელში სიდიადის გრძნობის გაღვივებას ცდილობს და მათ უდიდესი ერის წარმომადგენლებს უწოდებს, რაც, რა თქმა უნდა, მსმენელში სიამაყის გრძნობას იწვევს. პრეზიდენტი ბუში ტერორისტული აქტის დასაგმობად ეპითეტებს არ იშურებს და ამ სახის ქმედებას ”despicable acts of terror”, ხოლო ტერორისტული აქტის განმახორციელებლებს კი ბარბაროს კრიმინალებს – “barbaric criminals” უწოდებს და მათი ქმედების აღსაკვეთად “relentless operations” გეგმავს. საინტერესოა ის უარყოფითი კონოტაციური მნიშვნელობები, რასაც სიტყვები despicable, barbaric და relentless ატარებს: despicable acts- უბადრუკი, ზიზღის აღმძვრელი ქმედებები; barbaric criminals –ბარბაროსული, ველური, ყველაფერზე წამსვლელი კრიმინალები; relentless operations – უღმობელი, მკაცრი, სასტიკი, დაუნდობელი, დაუდალავი დაუცხრომელი ღონისძიებები.

პრეზიდენტ სააკაშვილისათვის დამახასიათებელია ისეთი ეპითეტების გამოყენება, როგორცაა მაგალითად, “გაუტყხელი ერი” (მ.ს. 01.09.2008); “შეუპოვარი ხალხი” (მ.ს. 01.09.2009). იგი მსმენელს ხშირად განსაკუთრებულ ხალხს უწოდებს: ”დღეს ამ დარბაზში განსაკუთრებული ხალხი შეიკრიბა” (მ.ს. 03.05.2008), რაც ფატიკურ ფუნქციასაც ასრულებს და კიდევ უფრო აახლოებს მსმენელს მოსაუბრესთან.

როგორც უკვე აღვნიშნე, ემოციური ფუნქცია წინადადების ღონეზეც ხორციელდება, სადაც მნიშვნელოვან როლს სინტაქსური ექსპრესიული, გამომხატველობითი საშუალებები და სტილისტური ხერხები ასრულებს, რომელთაგანაც სჭარბობს ანტითეზა, პარადელური კონსტრუქციები და ანაფორული გამეორება.

2001 წლის 7 ოქტომბრის გამოსვლაში პრეზიდენტი ბუში ამერიკის შეერთებულ შტატებს შემდეგი სახით წარადგენს: “**The United States of America** is a **friend** to the Afghan people, and we are the friends of almost a billion worldwide who practice the Islamic faith. **The United States of America** is an **enemy** of those who aid terrorists and of the barbaric criminals who profane a great religion by committing murder in its name”. (G.W.B.



07.10.2001) პრეზიდენტი ერთდღულად რამდენიმე სტილისტურ ხერხს – ანტითეზას (America is a friend . . . America is an enemy), პარალელურ კონსტრუქციებს და გამეორებას მიმართავს, რითაც თავის სიტყვას ემფატურს ხდის; მისი მიზანია ზემოქმედება მოახდინოს აუდიტორიაზე და დაარწმუნოს იგი, რომ ავღანეთზე იერიშის მიტანა იყო სწორი ნაბიჯი “ბარბაროსი კრიმინალების”– ტერორისტების დასჯის მიზნით. აღნიშნულ წინადადებაში ანტითეზას მეშვეობით ერთმანეთს ორი პოლუსური სამყარო: მეგობრებისა და მტრების სამყარო უპირისპირდება.

პრეზიდენტთა გამოსვლებში გვხვდება განსაკუთრებული ემოციურობით დატვირთული დამამთავრებელი ფრაზები, რომლებიც ძირითადად ლოცვა-კურთხევის ფორმულებით არის წარმოდგენილი. (მეორე თავში ქვემოთ მოცემულ მაგალითებს დირექტივების სამეცხველო აქტთა მაგალითებადაც განვიხილავ).

ქართველ პრეზიდენტთა გამოსვლებში გვხვდება შემდეგი დამამთავრებელი ფრაზები:

- (1) “დაე აღსრულდეს ნება ღვთისა! ნება ერისა! გაუმარჯოს თავისუფალ საქართველოს! გვფარავდეს ღმერთი!” (ზ.გ. 07.06.1991);
- (2) “ყველამ ერთად თავდადებით ვიბრძოლოთ სამშობლოსა და ხალხის საკეთილდღეოდ! წინ, XXI საუკუნის საქართველოსაკენ!” (ე.შ. 25.11.1995)
- (3) “ღმერთი იყოს ჩვენი სამშობლოს -საქართველოს მფარველი!” (მ.ს. 25.01.2004)
- (4) “ღმერთი იყოს ჩვენი და ჩვენი სამშობლოს მფარველი!” (მს 25.01. 2004).
- (5) “გაუმარჯოს საქართველოს!” (მს 03.05.2008)
- (6) ”გაუმარჯოს ერთიან, თავისუფალ, დამოუკიდებელ, ძლიერ, ევროპულ გამარჯვებულ საქართველოს! (მს 01.09.2008)
- (7) “მიგვიძღოდეს წმინდა გიორგი!” (მს 03.05.2008)
- (8) “ჩვენი ძალა ერთობაშია!” (მ.ს. 01.01.2009)

მსგავს ფრაზებს ვხვდებით ამერიკელ პრეზიდენტთა გამოსვლებშიც:

- (1) “God's grace upon us.” (B.O.20.01. 2009)
- (2) “May God bless you, and may he watch over the United States of America.” (G.W.B 20.01.2005)

- (3) “God bless you all, and God bless America” (G.W.B 11.09.2001)
- (4) “May God continue to bless America. (G.W.B 07.10.2001)
- (5) “May God strengthen our hands for good work ahead, and always, always bless America.” (B.C. 20.01.1997)
- (6) “God bless you all” (B.C. 20.01.1993)
- (7) “ God bless you and God bless the United States of America. (G.H.B 1989)

საგულისხმოა, რომ ქართველი პრეზიდენტებისათვის გამოსვლის დამამთავრებელ ფრაზად ჭარბობს ლოცვა-კურთხევის ფორმულის - “ღმერთი იყოს ჩვენი მფარველი” გამოყენება, ხოლო ამერიკელი პრეზიდენტებისათვის გამოსვლების აუცილებელი დამამთავრებელი ფრაზა – “God Bless America” (ღმერთმა დალოცოს ამერია) არის.

საინტერესოა, თუ რა სახის ზეგავლენას ახდენს, ან რა ემოციებს აღძრავს მსმენელში ზემომოყვანილი ფრაზები. ამის გარკვევის მიზნით კვლევის წარმოებისას გამოიკითხა 80 ადამიანი. შედეგები საკმაოდ საინტერესო აღმოჩნდა: 80-დან 18-მა (22.5 %) ადამიანმა აღნიშნა, რომ ზემომოყვანილი ფრაზები არის ცარიელი, არაფრის მოქმედი და გაცვეთილი. გამოიკითხულთა უმრავლესობისათვის 62 ადამიანი (77.5 %) ეს ფრაზები არის დადებითი კონოტაციების მატარებელი და მათი აზრით, რაც არ უნდა არასასიამოვნო ინფორმაცია იყოს გადაცემული მსმენლისათვის, ამ ფრაზებით გამოსვლის დამთავრება იძლევა იმის გარანტიას, რომ აუდიტორიის უმეტესობას ექნება დადებითი რეაქცია. ცდის პირები ასევე თვლიან, რომ აღნიშნული ფრაზები არის სავალდებულო, აპრობირებული, დადებითი მუხტის მატარებელი კლიშეები, და პოლიტიკოსების მიერ გამოსვლების დამთავრება სხვა სახის ფრაზებით სარისკოა იმ კუთხით, რომ არასწორი, არასათანადო ფრაზების შერჩევის შემთხვევაში შესაძლოა მსმენელს მოლოდინი გაუცრუდეს: პრეზიდენტთა რიტორიკაში დამამთავრებელი ფრაზები ამავე დროს რელიგიურ ელემენტებსაც წარმოადგენენ. ფრაზების არგამოყენების შემთხვევაში არსებული სტერეოტიპების გამო მსმენელს უჩნდება უკმარისობის გრძნობა, რამაც შესაძლებელია პრეზიდენტებს მხარდამჭერიც კი დააკარგინოს.

### 1.3. კონატიური ფუნქცია

პრეზიდენტთა გამოსვლებში ენის კონატიური ფუნქცია ზოგჯერ გადმოცემულია რიტორიკული შეკითხვებით; აღნიშნული ხერხის მიზანია აღრესატზე ზემოქმედების მოხდება, მისი ჩართულობის გაზრდა, მასში გარკვეული გრძნობებისა და დამოკიდებულების აღძვრა.

ქართულენოვან გამოსვლებში ვხვდებით მხოლოდ კითხვითი ტიპის წინადადების ტიპს: “რატომ საქართველო?”; “რა არის დღეს საქართველოს მოწინააღმდეგის მთავარი ამოცანა?”; “რა არის დღეს ამ აგრესორის მთავარი მიზანი?” (მ.ს.01.11.2008)

პრეზიდენტთა ინგლისურენოვან გამოსვლებში რიტორიკული შეკითხვები სხვადასხვა ტიპის კითხვითი სტრუქტურებით გადმოიცემა.

#### 1. General Question- ზოგადი კითხვა

“Did our generation advance the cause of freedom? And did our character bring credit to that cause?”(G.W.B 20.01.2005)

“Are we enthralled with material things, less appreciative of the nobility of work and sacrifice?” (G.H.W. B. 20.01.1989)

#### 2. Disjunctive Question – გამყოფი კითხვა

“You're not related to them, are you?”(G.W.B 04.06.2007)

#### 3. Special Question - სპეციალური კითხვა

“What can I do to help in our fight?” ””What can I do to help in the war against terror?”;

“How should we live in the light of what has happened?”; (G.W.B 08.11.2001)

“What do we want the men and women who work with us to say when we are no longer there?” (G.H.W. B. 20.01.1989)

#### 4. Alternative Questions – ალტერნატიული შეკითხვა

The challenge of our past remains the challenge of our future, will we be one nation, one people, with one common destiny, or not? Will we all come together, or come apart?

(B.C. 20.01.1997)

ზოგჯერ ენის კონატიური ფუნქცია ვლინდება მსმენელისადმი მიმართულ მოწოდებებსა და დირექტივებში, ვინაიდან მოწოდებები და დირექტივები

მიმართულია სამეტყველო ქმედებაში მსმენელის ჩართულობისაკენ. ხშირია კონატიური ფუნქციის რეალიზაცია დირექტივის ტიპის სამეტყველო აქტებით. *(დირექტივის ტიპის სამეტყველო აქტების სტრუქტურასა და იმპლიკაციას დეტალურად განვიხილავ II თავის 2.3 ქვე-თავში, იხილეთ გვ. 97-108 .)*

როგორც უკვე აღვნიშნე, პრეზიდენტთა გამოსვლებში ვხვდები გარკვეული ქმედებების განხორციელებისაკენ მიმართულ მოწოდებებს. ქართველ პრეზიდენტთა გამოსვლებში ვხვდები კონსტრუქციით მრ-დრ-მ + ზმნა გამოხატულ მოწოდებებს:

**I) მრ-დრ-მ + ზმნა**

- (1) “მოდით ერთად გაუფრთხილდეთ ჩვენს ქვეყანას, მოდით ერთად ავაცილოთ მას ძალადობა.” (მ.ს. 07.08.2008)
- (2) “მოდით ყველამ ერთად მივცეთ მშვიდობასა და დიალოგს შანსი.” (მ.ს. 7.08.2008)
- (3) “მოდით ერთად ვიმუშაოთ უკეთესი მომავლისათვის.” (მ.ს. 07.08.2008)

ამერიკელ პრეზიდენტთა გამოსვლებში გამოიყენება დეონტიკური

მოდალობის გამომხატველი შემდეგი დირექტიული კონსტრუქცია:

**II) LET US + VERB**

- (1) “Let us mark this day with remembrance; let us remember these timeless words.” (B.O. 20.01.2008)
- (2) “And let’s roll (G.W.B 08.11.2001); let’s take care of the unemployed; let’s get a job package out of the Senate, let’s cut taxes on investment; let’s help them with the health care.” (G.W.B. 11.02.2002).
- (3) “Let us negotiate soon and hard. But in the end, let us produce.” (G.H.W.B. 1989)

*(ზემოთ მოცემულ კონსტრუქციებსა და მაგალითებს დეტალურად განვიხილავთ II თავის 2.3 ქვე-თავში დირექტივები, იხილეთ გვ. 99-101)*

როგორც უკვე აღვნიშნე, პრეზიდენტთა გამოსვლებში გამოიყენება უფრო ძლიერი ვალდებულების გამომხატველი კონსტრუქციებიც – არაპირდაპირი დირექტივების სახით, რომლებიც კონატიურ ფუნქციასთან ერთად ფატიკურ ფუნქციასაც ასრულებს. ვალდებულების გამოსახატავად გამოიყენება ძირითადად მოდალური კონსტრუქციები; მათი მეშვეობით მკაფიოდ არის გადმოცემული

მოქმედლის დამოკიდებულება მოქმედებისადმი, ხოლო კონსტრუქციებში მრავლობითი რიცხვის პირველი პირის ნაცვალსახელის ექსკლუზიური ან ინკლუზიური გამოყენებით (*დეიქსის კატეგორიას დეტალურად განვიხილავ I თავის 14 ქვე-თავში ფატიკური ფუნქცია, იხილეთ გვ. 39-44*), ხდება მსმენელის ჩართვა და მისთვის ძლიერი ვალდებულების დირექტივის მიცემა.

**კონატიური ფუნქციით გამოყენებული არაპირდაპირი დირექტივების ტიპები გადმოცემული მოდალური კონსტრუქციების შემდეგი ფორმულებით:**

I) ნაცვალსახელი (ჩვენ) + (არ) უნდა + ზმნა; WE + MUST (+NOT) + VERB, სადაც ჩვენ/ WE გვხვდება, როგორც ექსკლუზიური ასევე ინკლუზიური მნიშვნელობით; ექსკლუზიური ნაცვალსახელით გადმოცემული ბრძანების შემთხვევაში ბრძანების შემსრულებელი ობიექტი არის პრეზიდენტი მთავრობასთან ერთად, ხოლო ექსკლუზიური ნაცვალსახელის ჩვენ/ WE გამოყენებით, ბრძანების შემსრულებელ ობიექტთა რიგს ემატება თავად მსმენელი, ადრესატი.

II) თქვენ + უნდა + ზმნა; YOU + MUST + VERB

III) (არსებითი +) უნდა + ზმნა (მომავალ ფორმაში); Noun + MUST + VERB

III ჯგუფში შედის აგრეთვე ფორმულით “უნდა + ზმნა” გამოხატული დირექტივები, რომლებიც ქართველ პრეზიდენტთა გამოსვლებში გვხვდება. მსგავსი ფორმულები მიუკერძოებელი სტილის არის, ანუ მათში არ ჩანს, თუ ვისკენ არის მიმართული დირექტივები, ვისზეა გათვლილი ბრძანების პერლოკუციური ეფექტი, ვინ არის გაცემული ბრძანების შემსრულებელი სუბიექტი.

ამასთანავე, მოწოდებებისა და დირექტივების გაცემისას პრეზიდენტები მსმენელის მხრიდან ყურადღების გამახვილების მიზნით აქტიურად იყენებენ სხვადასხვა სინტაქსურ ექსპრესიულ საშუალებას და სტილისტურ ხერხს, როგორცაა, მაგალითად, სტილისტური ჩამონათვალი, ანაფორული გამეორება და პარალელური კონსტრუქციები; ისინი კიდევ უფრო ამახვილებენ აუდიტორიის ყურადღებას შეტყობინების შინაარსზე. ქვემოთ მოცემულია მაგალითები, სადაც პრეზიდენტები ზემოთ ჩამოტვლილ სტილისტურ ხერხებს იყენებენ:

- (1) “**მოდით ერთად გაგუფრთხილდეთ** ჩვენს ქვეყანას; **მოდით, ერთად ავაცილოთ** მას ძალადობა; **მოდით, ერთად ვიმუშაოთ** უკეთესი მომავლისათვის, გადავუსვათ ხაზი ყველაფერს უარყოფითს, რაც წარსულში გვქონდა და ვიფიქროთ საერთო მომავალზე.” (მ.ს. 07.08.2008)
- (2) “However difficult the fight is in Iraq, we must win it -- **we must succeed** for our own sake; for the security of our citizens, **we must support** our troops, **we must support** the Iraqi government, and **we must defeat** al Qaeda in Iraq.” (G.W.B 04.06.2007)

## 14. ფატიკური ფუნქცია

კვლევა ცხადყო, რომ **ფატიკური ფუნქცია** მნიშვნელოვან როლს ასრულებს პრეზიდენტთა გამოსვლებში. მისი რეალიზაცია პრეზიდენტთა პირველივე სიტყვებში ვლინდება, კერძოდ მიმართვის ფორმებში “dear fellow citizens”; “my dear fellows”; “ძვირფასო თანამემამულენო”; “ჩემო ძვირფასებო”; “ძმებო და დებო”. მსგავსი სიტყვების გამოყენებით პრეზიდენტები მსმენელთან უშუალო, მეგობრული გარემოს შექმნას ცდილობენ, რათა დასაწყისშივე განაწყონ მსმენელი დადებითად.

ფატიკური ფუნქციის განხორციელება პოლიტიკურ დისკურსში და კერძოდ პრეზიდენტთა გამოსვლებში მიმართვის დასაწყისში, შუა და ბოლო ნაწილებში გვხვდება. კვლევის შედეგად გამოვყავი ფრაზების რამდენიმე კლასი, რომელიც პრეზიდენტთა გამოსვლებში ექსპრესივის ტიპის აქტებით არის გადმოცემული და ენის ფატიკურ ფუნქციას ასრულებს. როგორც ქართველ, ასევე ამერიკელ პრეზიდენტთა მიმართვებში აქტიურად გამოიყენება:

I) მისალმების გამომხატველი ფრაზები;

II) მაღლიერების გამომხატველი თავაზიანი ფრაზები

მისალმების და მიმართვის გამომხატველი ფრაზებით პრეზიდენტები ფატიკურ კონტაქტს ამყარებენ მსმენელთან, რათა მიიპყრონ მსმენელის ყურადღება და დადებითად განაწყონ, შეამზადონ ისინი გარკვეული ინფორმაციის მისაღებად, ხოლო მაღლიერების თავაზიანი ფრაზებით ფატიკური კონტაქტი კიდევ უფრო ღრმავდება მაღლიერების თანაზიარი ემოციური გარემოს შექმნის გზით.

ამერიკელი და ქართველი პრეზიდენტების მიერ სხვადასხვა ჟანრის გამოსვლებში გამოყენებული მადლიერების გამომხატველი თავაზიანი ფრაზები სტრუქტურის მიხედვით დაყვავი რამდენიმე ქვეტიპად, რომელთა ფორმულების ხილვა შესაძლებელია II თავის 2.4 ქვე-თავში ექსპრესივები. *(იხილეთ. გვ. 113-117 ამავე თავშია შესაძლებელი მისაღმების გამომხატველი თავაზიანი ფრაზების ქვეტიპის ხილვა, გვ. 110-112)*

საპრეზიდენტო გამოსვლებში ენის ფატიკური ფუნქცია ხშირად პირის დეიქსის (პირის ნაცვალსახელები შესაბამის პრედიკატულ შეთანხმებებთან ერთად) მეშვეობით რეალიზდება. კამათი დეიქსის შესახებ ენათმეცნიერთა შორის- მიეკუთვნება ის სემანტიკას თუ პრაგმატიკას კვლავაც გძელდება. თუმცა ვეთანხმები ენათმეცნიერთა დიდ ნაწილს, რომელნიც დეიქსის პრაგმატიკის უმნიშვნელოვანეს ასპექტად განიხილავენ. (Verschueren, 1999; Yule, 1996; Levinson 1983; Mey 1994) როგორც ცნობილია, დეიქსისი გულისხმობს იმ ფენომენს, როდესაც გარკვეული სიტყვების და ფრაზების მნიშვნელობა გამონათქვამში მოითხოვს კონტექსტუალურ ინფორმაციას. დეიქსისი ცალკეულ ენაში არსებული სტრუქტურების მეშვეობით ენასა და კონტექსტს შორის დამოკიდებულების გარკვევას უწყობს ხელს. სიტყვები არის დეიქტიკური, თუ მათი სემანტიკური მნიშვნელობა არის ფიქსირებული, თუმცა მათი დენოტატიური მნიშვნელობა იცვლება დროის და/ან ადგილის შესაბამისად. როგორც ცნობილია, დეიქტიკურ სიტყვებს მიეკუთვნება ნაცვალსახელი. ჩვენთვის საინტერესოა პირის დეიქსისი, რომელიც ეხება მონაწილის როლის გადმოცემას სამეტყველო ხდომილებაში. პირველი პირი გულისხმობს ადრესანტს, (Gaynesford 2006), მეორე პირი გულისხმობს ადრესატს (Anderson & Keenan 1988; Fillmore 1982:31-59) ხოლო მესამე პირი გულისხმობს კომინკაციის არამონაწილს პირს. (Traut, 1996)


შესწავლილ მასალაში პირველი პირის მხოლოდითი ნაცვალსახელი “მე” არ გამოიყენება ხშირად, მხოლოდ იმ შემთხვევაში, როდესაც რეფერენცია მხოლოდ მთქმელზეა (ანუ მხოლოდ პრეზიდენტზე), ძირითადად იმ შემთხვევაში, როდესაც პრეზიდენტის მიერ კონკრეტულ ფაქტზე ხდება გარკვეული პასუხიმგებლობის აღება ან პიროვნული დამოკიდებულების გამოხატვა კონკრეტულ მოვლენასთან მიმართებაში. ნაცვალსახელ “მე”-ს გამოყენება მეტწილად პრეზიდენტთა საინაუგურაციო სიტყვებში გვხვდება. მაგ.:

- (1) “მე ახლა ვდგავარ თქვენს წინაშე, არა როგორც ერთი პარტიის, არამედ როგორც მთელი ერის ლიდერი.” (მ.ს. 20.01.2008)
- (2) “მე, როგორც საქართველოს პრეზიდენტი პასუხისმგებელი ვარ თქვენს წინაშე” (მ.ს. 01.01.2009)
- (3) “მე მინდა სრული პასუხისმგებლობით ვთქვა”; “მე ეს სრულიად შეგნებულად გავაკეთე”; “მე გავგზავნე ცხინვალში სახელმწიფო მინისტრი; მე გთავაზობთ ცეცხლის დაუყოვნებლივ შეწყვეტას; “მე ვითხოვე, რომ ეს ე.წ. მინისტრები უკან გაიწვიონ; მე თქვენი სიბრძნის, დიდი ისტორიული გამოცდილების იმედი მაქვს” (მ.ს. 07.08.2008)
- (4) “I am grateful for the honor of this hour; I have sworn and you have witnessed”. (G.W.B 20.01.2005)
- (5) “I appreciate so very much the members of Congress; I ask for prayer; I've directed the full resources”. (G.W.B 11.09.2001)
- (6) “I gave Taliban leaders a series of clear and specific demands”; “I recently received a touching letter”( G.W.B 07.10.2001)
- (7) “I call on Congress to quickly send me legislation; I have called our military into action; I gave fair warning to the government” (G.W.B 08.11.2001).

ემპირიული მასალის სტატისტიკური კვლევის შედეგად დადგინდა, რომ პრეზიდენტთა მიმართებაში მრავლობითი რიცხვის პირველი პირის ნაცვალსახელის გამოყენება 5.4 –ჯერ აღემატება მხოლოდითი რიცხვის პირველი პირის გამოყენებას. აღნიშნული მიმართება შემდგენაირად გამოიყურება: ჩვენ – 84 %; მე-16%.


## 1. გრაფიკული გამოსახვა





შესწავლილ მასალაში მრავლობითი რიცხვის პირველი პირის ნაცვალსახელი “ჩვენ” გამოყენებულია 3898 ჯერ, ხოლო მხოლოდობითი რიცხვის პირველი პირის ნაცვალსახელი “მე” გამოყენებულია 716 ჯერ.

2. გრაფიკული გამოსახვა



პირველი პირის მრავლობითი რიცხვის ნაცვალსახელ “ჩვენ”/WE“-ის ხშირი გამოყენება აიხსნება პრეზიდენტთა ინტენციით - გაზარდონ ერთობის სულისკვეთება თითოეულ მსმენელში, აღძრან მათში ერის ერთობის განცდა,

მიანიშნონ, რომ თითოეული მოქალაქე არის თანამონაწილე ნებისმიერი მოვლენისა, რაც ქვეყანაში ხდება.

პრეზიდენტთა მიმართებებში ნაცვალსახელი “ჩვენ”/WE საკმაოდ ფართო მნიშვნელობით გამოიყენება. გვხვდება როგორც ექსკლუზიური (exclusive), ასევე ინკლუზიური (inclusive) მრავლობითი რიცხვის პირველი პირის ნაცვალსახელის “ჩვენ”/“we” გამოყენება. კვლევამ გამოკვეთა ნაცვალსახელის “ჩვენ”/“we” ხმარების კიდევ უფრო კონკრეტებული შემთხვევები, კერძოდ:

**D) ექსკლუზიური ჩვენ ( = მოსაუბრე + სხვ(ები)ა - მსმენელი = პრეზიდენტი + მთავრობა)**

- (1) “ჩვენ არათუ ვაგვიანებთ ხელფასების გაცემას, არამედ ვზრდით კიდევ; ჩვენ შევიმუშავეთ ორი უმნიშვნელოვანესი ეკონომიკური პაკეტი.” (მ.ს. 01.01.2009)
- (2) “ჩვენ შევძლებთ საქართველოს ეკონომიკის შენარჩუნებას და გადარჩენას; ჩვენ ვაგრძელებთ დემოკრატიის კიდევ იფრო მეტად გაძლიერებას” (მ.ს. 01.01.2009)
- (3) “ჩვენ არ გადავუხვევთ განვითარების არჩეულ კურსს; ჩვენ მაინც არ შევაჩერებთ შენებას.” (მ.ს. 01.01.2009)
- (4) “ჩვენ ყველაფერს ვაკეთებთ, რომ თავიდან ავიცილოთ ძალადობა; ჩვენ გვაქვს დიდი გეგმები.” (მ.ს. 07.08.2008)

**Exclusive WE (= speaker + other (s) - addressee = president + government)**

- (1) “We will make no distinction between the terrorists (G.W.B 11.09. 2001)
- (2) “We have called up reserves to reinforce our military capability; we ask a lot of those who wear uniform; (G.W.B 07.10.2001)
- (3) “We have posted the National Guard in America's airports; We do not know whether this attack came from the same terrorists. We do not know the origin of the anthrax.” (G.W.B 08.11.2001)
- (4) “We have created a new Office of Homeland Security; We are imposing new licensing requirements; We passed a new anti-terrorism law.” (G.W.B 08.11.2001)

- (5) “We will issue appropriate alerts; We are destroying training camps; We are deliberately and systematically hunting down these murderers, and we will bring them to justice.”(G.W.B 08.11.2001)

ზემოთ მოცემულ მაგალითებში “ჩვენ,” კონტექსტიდან გამომდინარე, მოიცავს პრეზიდენტსა და მთავრობას, ყველა უფლებამოსილ პირს, რომელიც მთავრობის ქვეშ მოიაზრება (მთავრობის წევრები, პარლამენტის წევრები, სახელმწიფო და საჯარო სტრუქტურებში მომუშავე პირები), თუმცა არ მოიცავს სამეცხველო ხდომილების თანამონაწილე სხვა წევრებს - მსმენელს და/ან მკითხველს, რომელიც არ შედის მთავრობის უფლებამოსილ პირთა რიგში.

**II) ინკლუზიური ჩვენ ( = მოსაუბრე + მსმენელი = პრეზიდენტი + აუდიტორია + ყველა)**

- (1) “ჩვენ არ შეგვიძლია ავირჩიოთ ტირანია, ჩვენ არ შეგვიძლია თავისუფლებაზე უარის თქმა.”(მ.ს. 01.01.2009)
- (2) “ჩვენ გავეუძლებთ იმპერიის აგრესიას; ჩვენ არასდროს არ დაგვითმია თავისუფლება და ღირსება. . . ჩვენ არც ამ ჯერზე არ დაგვითმია და არ დაგვთმობთ არასოდეს.” (მ.ს. 01.01.2009)
- (3) “ჩვენ შეჩვეულები ვიყავით მუდმივ პროვოკაციებს.” (მ.ს. 07.08.2008)
- (4) “ჩვენ გავაჩერეთ თბილისს მომდგარი ურდო; ჩვენ ვამაყობთ დღევანდელი დღით; ჩვენ ოქროს საწმისის და არგონავტების ქვეყანა ვართ; ჩვენ ვართ უძველესი ქრისტიანული ცივილიზაციის ქვეყანა.” (მ.ს. 01.09.2009)

**Inclusive WE ( = speaker + other (s) + addressee = president + audience + all)**

- (1) “We go forwards to defend freedom; we stand together to win the war; we responded with the best of America.”(G.W.B 11.09.2001)
- (2) “We are joined in this operation; we are supported by the collective will of the world; we will make it more difficult; we will win the conflict; we are a peaceful nation; we did not ask for this mission, but we will fulfill it; we defend not only our precious freedom.” (G.W.B 07.10.2001)
- (3) “We are the target of enemies who boast they want to kill; We value life; We value the right to speak our minds; We respect people of all faiths; We wage a war to

save civilization itself. We did not seek it, but we will fight it, and we will prevail.” (G.W.B 08.11.2001).

მოცემულ მაგალითებში კონტექსტიდან ნათლად ჩანს, რომ ინკლუზიური “ჩვენ” მოიცავს თითოეულ ადამიანს, რომელიც ნებისმიერი ფორმით არის სამეტყველო ხდომილების თანამონაწილე, იქნება ეს პირდაპირი თანამონაწილეობა თუ ვირტუალური. პრეზიდენტების ინტენცია პირის დეიქსისის, კერძოდ, ინკლუზიური ნაცვალსახელის “ჩვენ” გამოყენებისას არის მსმენელის და ან/მკითხველის ჩართვა, მათში სახელმწიფოს მართვის და ერის ცხოვრების პროცესებში თანამონაწილეობის სურვილის აღძვრა, ზოგჯერ კი იმ განცდის შექმნა, რომ ისინი თავად ქმნიან არსებულ რეალობას და არა მარტო მთავრობა ან პრეზიდენტი.

## 1.5. მეტალინგვისტური ფუნქცია

ინტერესს იწვევს მეტალინგვისტური ფუნქციის რეალიზაციის თავისებურებანი. პრეზიდენტთა გამოსვლებში მეტალინგვისტური ფუნქცია სათანადო რეგისტრისა და სტილის შერჩევაში ვლინდება. პოლიტიკური მიმართვების შემთხვევაში გადამწყვეტია ოფიციალურობის ხარისხის შერჩევაც, პრეზიდენტები მეტწილად ნეიტრალურ სტილს ირჩევენ, ზოგჯერ კი ოფიციალურს ან კიდევ არაოფიციალურს, რა თქმა უნდა, ეს ექსტრალინგვისტური ფაქტორების გათვალისწინებითაც ხდება, თუ რა გარემოში და ვის მიმართ წარმოითქმის სიტყვა.

### I) ოფიციალური სტილი:

- (1) “ჩვენი ნებისა და სურვილის საწინააღმდეგოდ, საქართველო იქცა იმპერიალიზმისა და წარსულის იდეოლოგიის ძალადობრივი თავდასხმის პირველ ობიექტად.” (მ.ს. 01.01.209)
- (2) “Those who celebrate the murder of innocent men, women and children, have no religion, have no conscience, and have no mercy.” (G.W.B. 08.11.2001)

### II) არაოფიციალური სტილი:

- (1) “მე ტყუილად არ დავრბივარ საქართველოს რეგიონებში და ვხსნი ხან ერთ ეკონომიკურ ზონას და ხან მეორეს. პირადად დამაქვს პროექტები და ვცდილობ მათ განხორციელებას.” (მ.ს. 03.12.2010)
- (2) “Citizens of a free Georgia, Laura and I were in the neighborhood -- we thought we'd swing by and say gamarjoba.”(G.W.B. 10.05.2005)

საპრეზიდენტო გამოსვლებში საკმაოდ ხშირია **ამაღლებული სტილის** გამოყენება. **ამაღლებულ სტილს** ხშირად ციტატების, ალუზიების, მეტაფორებისა და სხვა სტილისტური თუ ექსპრესიული საშუალებების გამოყენება ქმნის, რაც პოეტურობასა და ექსპრესიულობას სძენს ნათქვამს და შესაბამისად ხდება ენის პოეტური და/ან ემოციური ფუნქციის რეალიზება.

- (1) “თუ რაიმე გვეამაყება ჩვენი წარსულიდან, თუკი რამეს ვეტრფით ჩვენი დიდი წინაპრების ნამოღვაწარიდან, ეს არის არა დათმობა, არამედ თავგანწირული ბრძოლა სამშობლოს და თავისუფლების დასაცავად.” (მ.ს. 01.01.2009)
- (2) “Tonight I ask for your prayers for all those who grieve, for the children whose worlds have been shattered, for all whose sense of safety and security has been threatened. And I pray they will be comforted by a power greater than any of us”. (G.W.B 11.09. 2009)

**ამაღლებულ სტილზე** ყურადღების გამახვილებისას უნდა ასევე აღინიშნოს პრეზიდენტთა მეტაენა, რაც უშუალოდ ენის მეტალინგვისტური ფუნქციის გამოხატვასთან არის კავშირში. მაგალითად, პრეზიდენტ ბუშის მეტაენა რელიგიურად, თეოლოგიურად და მორალურად დატვირთულია. საკუთარ გამოსვლებში იგი ხშირად იყენებს ციტატებს ბიბლიიდან, რაც მის გამოსვლას პოეტურობასაც სძენს. მაგალითად:

- (3) “Psalm 23: "Even though I walk through the valley of the shadow of death, I fear no evil, for you are with me." (G.W.B. 11.09.2001)

მის გამოსვლებში მრავლად დაიძებნება მაგალითი, სადაც მისი რელიგიური მეტაენა ნათლად ვლინდება:

- (4) "This will be a monumental struggle of good versus evil, but good will prevail. None of us would ever wish the evil to have been done to our country, yet we have learned that out of evil can come great good." (G.W.B 08.11.2009)

პრეზიდენტ სააკაშვილის გამოსვლებში არ არის ციტატები ბიბლიიდან, მაგრამ იგი ძალზე ხშირად მოიხსენიებს წმინდანებს. მის გამოსვლებში ასევე ხშირია სიკეთისა და ბოროტების შესახებ თემის გაშლა. ორ პრეზიდენტს შორის ამ კუთხით არსებობს საკმაოდ დიდი მსგავსება. ორივე პრეზიდენტი აღნიშნავს, რომ მისი ერისა და ქვეყნის ბრძოლა არის ბრძოლა სიკეთისა ბოროტებაზე. პრეზიდენტი სააკაშვილი 2008 წლის 3 მაისის მიმართვის ბოლო ნაწილში აცხადებს შემდეგს:

- (5) “ მსოფლიოში დღეს სიკეთის და ბოროტების ბრძოლა მიმდინარეობს. ერთ-ერთი ყველაზე მთავარი ფრონტი საქართველოშია. . . . ბოროტებისა და სიკეთის ბრძოლაში წინ გაგვიძღვება წმინდა გიორგი, ბოროტებისა და სიკეთის ბრძოლაში ერთ მუშტად შეკრული ქართველები და საქართველოში მცხოვრები ყველა სხვა ეროვნების წარმომადგენელი, გაერთიანებული, ლაღი და ამაყი საქართველო ყველანაირ უბედურებას დაამარცხებს, ჩვენი გამარჯვება ბოროტების საუკუნო დამარცხება და სიკეთის და მომავლის გამარჯვება იქნება.” (მ.ს. 03.05.2008)

სიკეთესა და ბოროტებას შორის ბრძოლის თემას თითოეული პრეზიდენტი ეხება, მათ ღრმად სჯერად, რომ მათი ქვეყანა იბრძვის სიკეთის სახელით და ღვთის წყალობით გაიმარჯვებენ ბრძოლაში ბოროტებასთან:

- (6) “ჩვენი ისტორია, ცხოვრების წესი, ბრძოლა სარწმუნოებისათვის, ეროვნული დამოუკიდებლობისათვის, არის მოწამეობრივი, ქრისტესმიერი გზა სიკეთისა, სიქველისა და სიყვარულისა. ისტორია გვაძლევს შესაძლებლობას, რათა დავუბრუნდეთ მამაპაპისეულ გზას, ავალორძინოთ რწმენით თავისუფალი საქართველო. დგება უამი როდესაც უკლებლივ ყველას სიცოცხლე მამულს ეკუთვნის. ერი უეჭველად მზად არის გადამწყვეტი ბრძოლისათვის. . . დიდი მიზნები მხოლოდ ღვთაებრივი სიყვარულით აღსრულდებიან.” (ზ.გ. 07.06.1991)

პრეზიდენტი ბუში მიიხნევს, რომ ამერიკის შეერთებულ შტატებს აკისრია დიდი და მნიშვნელოვანი მისია და რომ მისი სიძლიერე არის მომართული კეთილის საქმენადად:

(7) “America today is a proud, free nation, decent and civil, a place we cannot help but love. We know in our hearts, not loudly and proudly, but as a simple fact, that this country has meaning beyond what we see, and that our strength is a force for good.” (G.H.W.B 1989)

პრეზიდენტ კლინტონის რიტორიკით, ამერიკა უნდა მისდევდეს ღვთის სიტყვას და არ უნდა გაითანგოს სიკეთის ქმნით და უნდა უპასუხოს ღვთის გამოძახილს:

(8) “And so, my fellow Americans, at the edge of the 21st century, let us begin with energy and hope, with faith and discipline, and let us work until our work is done. The scripture says, "And let us not be weary in well-doing, for in due season, we shall reap, if we faint not." From this joyful mountaintop of celebration, we hear a call to service in the valley. We have heard the trumpets. We have changed the guard. And now, each in our way, and with God's help, we must answer the call.” (B.C. 1993)

პრეზიდენტი ბარაკ ობამა გამძლეობისკენ და სულის გაძლიერებისაკენ მოუწოდებს ამერიკელ ხალხს, ახსენებს მათ ღვთის სიტყვებს:

(9) “We remain a young nation, but in the words of Scripture, the time has come to set aside childish things. The time has come to reaffirm our enduring spirit; to choose our better history; to carry forward that precious gift, that noble idea, passed on from generation to generation: the God-given promise that all are equal, all are free, and all deserve a chance to pursue their full measure of happiness. (B.O. 2009)

თითოეული პრეზიდენტი, განსაკუთრებით კი მიხეილ სააკაშვილი დარწმუნებულია, რომ სიკეთის გამოვლინება მათი ერებისა და ქვეყნების სახით გაიმარჯვებს. ამ მხრივ უნდა აღინიშნოს პრეზიდენტ სააკაშვილის შეუდრეკელი ოპტიმიზმით შეფარული მეტაენა:

- (10) “საქართველო ყველანაირ უბედურებას დაამარცხებს; ჩვენ ყველაფერს გაგუძღვებით და ყოველთვის გადავრჩებით; ყველაფერს გაგუძღვავდებით; გავიმარჯვებთ; ჩვენ მოვახდინეთ სასწაული და ასე უნდა გავაგრძელოთ“. (მ.ს.03.05.2009).
- (11) “ჩვენ აუცილებლად გავალთ სამშვიდობოზე; ჩვენ ყველანი დავდგებით ერთად, ყველანი ვიქნებით ძლიერად, ყველანი ვიქნებით წარმატებული და გამარჯვებული” (01.09.2008).

პრეზიდენტთა დისკურსის ერთ-ერთ უმთავრეს თემას წარმოადგენს ასევე **თავისუფლება და დემოკრატია**. თუ პრეზიდენტი კარტერი თავისუფლებას ასოციაციურად ადამიანის უფლებებს უკავშირებდა, ჯორჯ ბუშის (უფროსი) დისკურსში თავისუფლება უფრო დემოკრატიასთან არის გაიგივებული. როდესაც ვკითხულობთ პრეზიდენტ ბუშის მიერ წარმოთქმულ რეპრეზენტაციებს: ”great nations of the world are marching towards democracy through the door to freedom” და რომ “the day of the dictator is over”, უნებლიეთ მივდივართ დასკვნამდე, რომ მისი განცხადებები მის რწმენას, წინასწარმეტყველურ უნარს ან უკიდურესად კარგად ინფორმირებულობას უნდა მივაწეროთ. გასათვალისწინებელია, თუ რა ხდებოდა მისი საინაუგურაციო გამოსვლის წარმოთქმის დროს (1989 წლის იანვარი) მსოფლიოში. (1989 წლის მაისში მიხეილ გორბაჩოვი იქნა არჩეული საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის გენერალურ მდივნად, ივნისიდან მოყოლებული პოლონეთში განვითარებული მოვლენების შედეგად პირველად 40 წლის მანძილზე პოლონეთის მთავრობას არაკომუნისტი მმართველი ჩაუდგა სათავეში. ამავე დროს ასევე განვითარდა ტიენანმენის მოედნის მოვლენები ჩინეთის სახალხო რესპუბლიკაში. ბერლინის კედელი და რკინის ფარდა გაიხსნა 1989 ნოემბერში, ხოლო დეკემბერში რუმინეთში ჩამოგდებულ იქნა ჩაუშესკუ. 1990 წლის დასაწყისში გათავისუფლებულ იქნა ნელსონ მანდელა, ხოლო ნიკარაგუაში დასრულდა კომუნისტური რეჟიმი.)

პრეზიდენტი კლინტონი საინაუგურაციო გამოსვლაში სიტყვა “თავისუფლებას” მხოლოდ სამჯერ იყენებს. ერთხელ იმავე პერსპექტივით იყენებს, როგორც ბუში (ხალხი აშენებს დემოკრატიას და თავისუფლებას “people are building democracy and freedom”), მეორედ ეპითეტით ამკობს და იყენებს კომბინაციას თავისუფლების მზის სხივს, რომელიც ბოლოს უღებს ცივ ომს “Today, a generation



raised in the shadows of the Cold War assumes new responsibilities in a world warmed by the sunshine of freedom but threatened still by ancient hatreds and new plagues” და მესამედ იყენებს, როგორც მოქალაქეების იდივიდუალურ პრივილეგიად, რომელიც საფრთხეშია დანაშაულის გამო “when fear of crime robs law-abiding citizens of their freedom”. (B.C.20.01.1993)

ამერიკის შეერთებული შტატების პრეზიდენტების მიერ დემოკრატია და თავისუფლება განიხილება არა როგორც მხოლოდ პრინციპები, რომელთაც ამერიკელები აფასებენ, იცავენ და იყენებენ, არამედ ამერიკის ერთადერთ პრეროგატივად. მაგალითად, ამერიკის კაპიტოლიუმს მეტაფორულად უწოდებენ “democracy’s front porch”, ინაუგურაციას “democracy’s big day”, ამერიკის სახელდებისას კი შემდეგ მეტაფორას იყენებენ “world’s oldest democracy “. არა-ამერიკელებისათვის აღნიშნული კადნიერ განაცხადად აღიქმება, თუმცა ამერიკელებისათვის ბრწყინვალედ ჟღერს, სწორედ ამაში მდგომარეობს ეპიდეიქტური რიტორიკის არსი.

გავრცობილი მეტაფორების გამოყენებით საუბრობს პრეზიდენტი ბუში უმცროსი თავისუფლებისა და დემოკრატიის შესახებ, რომელიც პრეზიდენტი ბუშისათვის დამახასიათებელი რელიგიური ელემენტებითაა გაუღენთილი და ამადროულად ამერიკის, როგორც ღვთიური ქვეყნის დემოკრატიის გამავრცელებლის ხატის შექმნისკენაა მიმართული:

(12) “Through much of the last century, America's faith **in freedom and democracy** was a rock in a raging sea. Now it is a seed upon the wind, taking root in many nations.” (G.W.B 20.01.2001)

პრეზიდენტი ბუში თავისუფლებისა და დემოკრატიისთვის ბრძოლაში მყოფ ამერიკას მეტაფორულად ასოციაციების მეშვეობით უკავშირებს აღელვებულ ზღვაში მყოფ კლდეს. მისთვის ამერიკა სხვა ერებსა და ქვეყნებში თავისუფლებისა და დემოკრატიის გამავრცელებელი მარცვალია (გავრცობილი მეტაფორა). აქვე ვხვდებით რელიგიურ აღუზიებს: ქრისტეს საუბარი მოწაფეებთან ღვთის სიტყვის გავრცელების შესახებ, სადაც ღვთის სიტყვა მეტაფორულად თესლის/მარცვალი სახით ჩნდება, საიდანაც უნდა აღმოცენდეს სიკეთე, აღნიშნულ მაგალითშიც ამერიკის შეერთებული შტატები არის თავისუფლების და დემოკრატიის თესლი,

სადაინაც ფესვი უნდა გაიდგას დემოკრატია სხვა ქვეყნებში. მე-13 მაგალითში პრეზიდენტი უზიარებს მსმენელს საკუთარ რწმენას ამერიკის უმნიშვნელოვანესი როლის შესახებ: სხვა ქვეყნებში თავისუფლების წარმატება დამოკიდებულია თავისუფლების გადარჩენაზე შტატებში.

(13) “We are led, by events and common sense, to one conclusion: The survival of liberty in our land increasingly depends on the success of liberty in other lands. . . The best hope for peace in our world is the expansion of freedom all over the world.” (G.W.B 20.01.2005)

მე-14 მაგალითში პრეზიდენტი ბუში კვლავ მეტაფორას მიმართავს და დემოკრატიას ამერიკის რწმენის აკვნად, თითოეულ ამერიკელში საწყისიდანვე თანდაყოლილ იმედად და იდეალად წარმოგიდგენს:

(14) “Our **democratic faith** is more than the creed of our country, it is the inborn hope of our humanity, an ideal we carry but do not own, a trust we bear and pass along. And even after nearly 225 years, we have **a long way yet to travel.**” (G.W.B 20.01.2001)

პრეზიდენტი ბუში განსაკუთრებულ ყურადღებას აქცევს თავისუფლების თემას 2005 წლის საინაუგურაციო გამოსვლაში, სადაც კიდევ უფრო მხატვრულად საუბრობს მისი რწმენის შესახებ, რომ ამერიკამ საკუთარი ძალისხმევით ააგიზგიზა თავისუფლების ცეცხლი, რაც, მისი რწმენით, მისწვდება სამყაროს უბნელეს წერტილებსაც თავისუფლების აყვავების მიზნით:

(15) “By our efforts we have lit a fire as well; a fire in the minds of men. It warms those who feel its power. It burns those who fight its progress. And one day this untamed fire of freedom will reach the darkest corners of our world”. (G.W.B 20.01.2005)

მისი მოსაზრებით, არ არსებობს ადამიანთა გათავისუფლება და უფლებების დაცვა თავისუფლების არსებობის გარეშე:

(16) “In the long run, there is no justice **without freedom**, and there can be no human rights without human liberty. . . .Eventually, the call **of freedom** comes to every mind and every soul. We do not accept the existence of permanent tyranny because we do not accept the possibility of permanent slavery”. (G.W.B 20.01.2005)

პრეზიდენტი ობამა ერთ-ერთი გამოსვლის ბოლოს თავისუფლებას ეპითეტით ამკობს “and with eyes fixed on the horizon and God's grace upon us we carried forth that **great gift of freedom** and delivered it safely to future generations”. (B.O. 20.01.2009)

დემოკრატია და თავისუფლება ასევე უმთავრეს თემებს წარმოადგენს ქართველ პრეზიდენტთა გამოსვლებში. პრეზიდენტ ზვიად გამსახურდიას რწმენით, უმთავრესია ხალხმა გაითავისოს თავისუფლებისა და დემოკრატიის სული:

(17) ”თავისუფლებისა და დემოკრატიისათვის მებრძოლი ხალხი, რელიგიური მსოფლხედვის და ეროვნული ცნობიერების აღორძინების საზოგადოება - ეს არის ჩვენი აწმყო, ჩვენი ბრძოლის შედეგი”. (ზ.გ. 07.06.1991)

პრეზიდენტი შევარდნაძე თავისუფლებასა და დემოკრატიას კი მიზნების კონტექსტში იხსენიებს:

(18) “პრეზიდენტისა და მთავრობის მთავარი მიზანი- არის ძველი, ტოტალიტარული სოციალ-ეკონომიკური ფორმაციის შეცვლა ახალი სოციალ-ეკონომიკური წყობით, დემოკრატიისა და თავისუფლების რეალურად დამკვიდრება . . .სამართლებლივი სახელმწიფო, ღია სამოქალაქო საზოგადოება, სოციალურად ორიენტირებული საბაზრო ეკონომიკა, ერის სულიერი და მატერიალური კულტურის ახალი რენესანსი, დემოკრატია, სუვერენიტეტი, თავისუფლება, კონსტიტუციისა და კანონის უზენაესობა, აი, ჩვენი უმთავრესი მიზნები და ამოცანები”. (ე.შ. 26.11.1995)

პრეზიდენტ სააკაშვილისათვის უმნიშვნელოვანესია თავისუფლებისა და დემოკრატიის განვითარება საქართველოში, რისი მიღწევაც მხოლოდ თავდაუზოგავი შრომითაა შესაძლებელი. იგი აღნიშნავს, რომ “საქართველოს დიდი სვლა დემოკრატიისა და თავისუფლებისაკენ გრძელდება” და “როგორც არასოდეს, ისე მტკიცეა ახლა ჩვენი ნება თავისუფლების და დემოკრატიის დასაცავად. ისტორიული ქართველები მომავლის ასაშენებლად საჭირო გააკეთებენ. გააკეთებენ, რომლებიც გვასწავლიან, რომ თავისუფლების დაცვას დიდი ჯაფა და გააზრებული გამბედაობა სჭირდება, რომ შეუქცევადი არაფერია, რომ გზა გამარჯვებისაკენ ძალიან დიდი სირთულეებითაა ჩახერგილი.” (მ.ს. 20.01.2008)

## 1.6. პოეტური ფუნქცია

პრეზიდენტთა გამოსვლებში უამრავი მაგალითის დაძებნა შეიძლება, სადაც ენის პოეტური ფუნქცია მკაფიოდ ჩანს. პოეტური ფუნქცია პრეზიდენტთა გამოსვლებში ხშირად რეალიზდება:

ა) ფონეტიკური გამომხატველობითი საშუალებებით და სტილისტური ხერხებით, როგორცაა: ალიტერაცია, რითმა, რიტმი;

ბ) სინტაქსური სტილისტური ხერხით, როგორცაა: გამეორება, პარალელური კონსტრუქციები;

გ) მყარი სიტყვათშეთანხმებებით, როგორცაა: ანდაზები, ციტატები და ლიტერატურული, ისტორიული, რელიგიური ალუზიები.

განვიხილოთ მაგალითები:

(1)

- |                          |   |
|--------------------------|---|
| 1. "We will not waver,   | a |
| 2. we will not tire,     | b |
| 3. we will not falter,   | a |
| 4. and we will not fail. | c |

5. Peace and freedom will prevail." C (G.W.B 07.10.2001)

პრეზიდენტი ბუში პარალელური კონსტრუქციების გამოყენებით, ისეთი კონცეპტუალური მნიშვნელობის მქონე სიტყვების შერჩევით, რომელიც ასევე ერთმანება ერთმანეთს, ფრაზას პოეტურობას სძენს. ფრაზაში გამოყენებულია ქორეს და დაქტილის ტიპის ორტერფიანი მეტრი და ხმოვანთა არასრული რითმა. რითმასთან ერთად გამოყენებული ზმნები ქმნიან რიტმს, რაც დინამიურობას სძენს გამოთქმას, ხოლო ექსკლუზიური ნაცვალსახელის "ჩვენ" გამოყენება უჩენს მსმენელს იმის განცდას, რომ ის თავადაც ამ პროცესის, ამ დინამიკის ნაწილია, ამ ერთობის ერთ-ერთი ელემენტია.

უნდა აღინიშნოს, რომ უფროსი ბუშიც არანაკლები პოეტურობის ფრაზებს იყენებს გამოსვლაში. ქვემოთ მოცემულია უფროსი ბუშის საინაუგურაციო გამოსვლიდან ამონარიდი, რომელიც მოიცავს 4 წინადადებას, რაც რითმისა და რიტმის კომპოზიციური ფორმის შესაბამისად შემდეგ 8 ტაქტად დავალაგე, აქ

მეტწილად გამოყენებულია იამბის და ქორეს ჰექსამეტრი (3, 4, 5, 6 პწკარები) და ოქტამეტრი (1, 2, 7, 8 პწკარები) ბევრი მოდიფიკაციით:

(2)

- 1 “ **I do not** mistrust the future;      a
- 2 **I do not** fear what is ahead.      b
- 3 For **our problems are** large,      c
- 4 but our heart is **larger**.      d
- 5 **Our challenges are** great,      c
- 6 but our will is **greater**.      d
- 7 And if our flaws are **endless**,      e
- 8 God's love is truly **boundless**.” e (G.H.W.B 1989)

გამონათქვამს პოეტურობას და რიტმულობას მატებს ხმოვანთა არასრული რითმა, გამოყენებული პარალელური კონსტრუქციები და გამეორება.

თითოეული პრეზიდენტის გამოსვლაში უამრავი ფრაზა თუ გამონათქვამი გვხვდება, რომელიც საკმაოდ რითმული და პოეტურია. შეტყობინებებში პოეტურ ფუნქციას, ძირითადად, ასრულებენ:

ა) **ალიტერაცია**

“ყველაფერს, რასაც აქამდე მივალწიეთ, მივალწიეთ მშვიდობით. ყველაფერს, რასაც მომავალში მივალწევთ, მივალწევთ მშვიდობით (მ.ს. 03.05.2008)

სიმშვიდის და მშვიდობის ატმოსფეროს შესაქმნელად ალიტერაციას მიმართავს, რაც ასობგერის “მ” და სიტყვა “მშვიდობის” გამეორებით და პარალელური კონსტრუქციების გამოყენების გზით მიიღწევა.

ბ) **ლიტერატურული, ისტორიული ან რელიგიური ალუზიები**

როგორც ცნობილია, ალუზია არის რიტორიკული ხერხი და ნიშნავს ”გადაკრულ სიტყვას”, აღნიშნული ხერხის მეშვეობით ხდება რაიმე ისტორიული, რელიგიური ამბის, ლიტერატურული ნაწარმოების, მითის, ხელოვნების ნიმუშის პირდაპირ ან იმპლიციტურად “გადაკვრით” ხსენება. ალუზიები მსმენელის და/ან მკითხველის მხრიდან გარკვეულ ფონისეულ ცოდნას მოითხოვს ასოციაციური კავშირების დასადგენად. (Abrams, 1971)

- (1) “საქართველოს ისტორია არის **დავითის და გოლიათის ბრძოლის** ისტორია და როგორი ძლიერი, ეშმაკი, დაუნდობელი და ღიდ

ბოროტებაზე წამსვლელი არ უნდა იყოს გოლიათი, ამ ბრძოლაში სულიერად ძლიერი დავითი გაიმარჯვებს” (მ.ს. 03.05.2008)

დავითის და გოლიათის ბრძოლა ერთდროულად რელიგიური და ლიტერატურული აღუზიანა. კონტექსტიდან გამომდინარე, დავითში მოიაზრება საქართველო, ხოლო გოლიათში რუსეთი; იგი გოლიათივით ძლიერი და ეშმაკია, თუმცა პრეზიდენტ სააკაშვილს სჯერა, რომ დაუნდობელ ბრძოლაში საქართველო გაიმარჯვებს, ვინაიდან საქართველო დავითის მსგავსად სულიერად უფრო ძლიერია.

(2) “ჩვენ პატივი უნდა მივაგოთ ორ დიდ ადამიანს, ორ დიდ გმირს: **ქუჯის და ფარნავაზს - საქართველოს დიდ მეფეებს**, რომლებმაც გააერთიანეს და გაამთლიანეს საქართველო. დღეს აქ მათი სულები თავს დაგვეტრიალებენ. ჩვენ უნდა გვახსოვდეს ის ოქროსხანა, რომელსაც დიდმა დავითმა ჩაუყარა საფუძველი, თამარ მეფის დიდი მოღვაწეობა, გიორგი ბრწყინვალეს ხანა. მაგრამ ამავე დროს, არ უნდა დაგვავიწყდეს ისიც, რომ იყო წლები, როცა ქართულად ლოცვის აღვლენაც კი აკრძალული იყო.” (ე.შ. 30.04.2000)

ისტორიული აღუზიანა ქვეყნის დიდებისა და ისტორიული ქარტეხილების გახსენების პოეტური გზაა, რასაც პრეზიდენტი სააკაშვილი მიმართავს მე-2 მაგალითში.

შემდეგ მაგალითში პრეზიდენტი ობამა ასევე ისტორიულ აღუზიანს მიმართავს, იხსენებს რა თავისუფლებისათვის მებრძოლი ხალხის ბრძოლებს კონკორდსა (1775 წ., ლექსინგტონის და კონკორდის ბრძოლები აშშ), გეტისბურგში (1863 წ., აშშ სამოქალაქო ომი), ნორმანდიასა (1944წ., საფრანგეთი) და ხესანში (1968 წ., ვიეტნამი):

(3) “For us, they packed up their few worldly possessions and traveled across oceans in search of a new life. For us, they toiled in sweatshops and settled the West; endured the lash of the whip and plowed the hard earth. For us, they fought and died, in places like **Concord and Gettysburg; Normandy and Khe Sanh**. Time and again these men and women struggled and sacrificed and worked till their hands were raw so that we might live a better life. They saw America as bigger

than the sum of our individual ambitions; greater than all the differences of birth or wealth or faction.” (B.O. 20.01.2009)

შემდეგი მაგალითები არის ისტორიული აღუზიების მაგალითი, სადაც პრეზიდენტი ბუში “ცოვ ომს” იხსენებს. 1947-1991 წლები, როდესაც მეორე მსოფლიო ომის შემდეგ კომუნისტურ სამყაროსა (საბჭოთა კავშირი) და დასავლურ სამყაროს (აშშ და მისი მოკავშირეები) შორის არსებობდა პოლიტიკური კონფლიქტის, სამხედრო დაძაბულობისა და ეკონომიკური შეჯიბრის მდგომარეობა. ხოლო პრეზიდენტი კლინტონი კი ამერიკის დანაპირების შესახებ საუბრობს.

- (4) “Today, a generation raised in the shadows of **the Cold War** assumes new responsibilities in a world warmed by the sunshine of freedom but threatened still by ancient hatreds and new plagues.”(B.C. 20.01.1993)
- (5) “**The promise of America** was born in the 18th century out of the bold conviction that we are all created equal. It was extended and preserved in the 19th century, when our nation spread across the continent, saved the union, and abolished the awful scourge of slavery. Then, in turmoil and triumph, that promise exploded onto the world stage to make this the American Century.” (B.C.20.01.1997)

## ვ) ციტატები

პრეზიდენტი გამსახურდია საინაუგურაციო გამოსვლაში ციტირებს პრეზიდენტ რონალდ რეიგანს:

- (1) “ჩვენ მაქსიმალურად ვეცდებით თანაბარი სასტარტო პირობები შევუქმნათ ყველას, რათა პრივატიზაციის შედეგებით ისარგებლონ ნამდვილად სამეურნეო და მეწარმეობის უნარის მქონე პირებმა. პრივატიზაცია ჩვენ გვესმის, როგორც საქონლისა და მომსახურეობის გადაცემის სტრატეგია, რომელიც ორგანიზებულია სახელმწიფო საწარმოებში კერძოდ კომპანიების ხელში მთავრობის ხარჯების შემცირებისა და იმ უპირატესობების გამოყენების მიზნით, რომელსაც იძლევა საბაზრო სისტემა.” (ზ.გ. 07.06.1991)
- (2) “არ გავცვლი სალსა კლდეებსა უკვდავებისა ხეზედა”; ვაჟკაცსა გული რკინისა, აბჯარი თუნდაც ხისაო” (მ.ს. 03.05.2008)

- (3) “The scripture says,” And let us not be weary in well-doing, for in due season, we shall reap, if we faint not”. (B.C. 20.01.1993)

როგორც უკვე აღვნიშნე, პრეზიდენტები ხშირად მიმართავენ სინტაქსური სტილისტური ხერხების გამოყენებას, რითაც ენის პოეტური ფუნქციის რეალიზაცია ხდება. პრეზიდენტთა გამოსვლებში სინტაქსური სტილისტური ხერხებიდან ყველზე ხშირად გხვდება: **სრული და არასრული პარალელური კონსტრუქციები და გამეორება** (განსაკუთრებით კი ანაფორული გამეორებები) რაც რიტმის ჩამოყალიბებას უწყობს ხელს, მიმართავს უფრო სასიმოვნოს ხდის მოსასმენად და აღსაქმელად, და თუ ფსიქოლოგებს დავუჯერებთ, აადვილებს დამახსოვრებას, ალბათ სწორედ ამ ინტენციით მიმართავენ პრეზიდენტები ხშირად მოკლე ადვილად დასამახსოვრებელი ფრაზების გამოყენებას.

განვიხილოთ შემდეგი მაგალითები. პირველ და მე-2 მაგალითებში გამოყენებულია ფრაზების “ჩვენ ვთქვით” და “We know” (სადაც ჩვენ ექსკლუზიური მნიშვნელობით გამოიყენება) ანაფორული გამეორება და არასრული პარალელური კონსტრუქციები:

- (1) “ჩვენ ვთქვით, რომ ამას მოვსპობდით და მოვსპეთ კიდევ.  
ჩვენ ვთქვით, რომ ქუჩაში პოლიციელი აღარავის გააჩერებდა.  
ჩვენ ვთქვით, რომ შევქმნიდით სახელმწიფოს.  
ამის არავის არ სჯეროდა, მაგრამ შევძელით.  
ჩვენ მოვახდინეთ სასწაული და ასე უნდა გავაგრძელოთ”.  
(მ.ს. 03.05.2008)

- (2) “We know what works: Freedom works.  
We know what's right: Freedom is right.  
We know how to secure a more just and prosperous life for man on Earth: through free markets, free speech, free elections, and the exercise of free will unhampered by the state.” (G.W.H.B. 20.01.1989)

მე-3 მაგალითში გამოყენებულია დეონტიკური მოდალობის გამომხატველი კონსტრუქციის “Let us” ანაფორული გამეორება, რაც გამიზნულია მსმენელის ყურადღების მიპყრობაზე მოწოდებებზე, რომლებსაც პრეზიდენტი კლინტონი გადასცემს მსმენელს.



(3) “And so, my fellow Americans, we must be strong, for there is much to dare. The demands of our time are great and they are different. **Let us** meet them with faith and courage, with patience and a grateful and happy heart. **Let us** shape the hope of this day into the noblest chapter in our history. Yes, **let us** build our bridge. A bridge wide enough and strong enough for every American to cross over to a blessed land of new promise.” (B.C. 20.01.1997)

(4) “90-იანი წლების დასაწყისში ჩვენ არ გვქონდა სამოქალაქო საზოგადოება. ჩვენ ბოლო ოთხი წლის მანძილზე ავაშენეთ სამოქალაქო საზოგადოების საფუძვლები. 90-იანი წლების დასაწყისში ჩვენ არ გვქონდა სოციალურად ორიენტირებული საბაზრო ეკონომიკა. ჩვენ გავასრულეთ საბაზრო ეკონომიკის ძირითადი საფუძვლების ჩამოყალიბება. ... 90-იანი წლების დასაწყისში ჩვენ არ გვქონდა ლეგიტიმური მუნიციპალური ხელისუფლება და თვითმმართველობა. ბოლო წლებში ჩამოვყალიბეთ ადგილობრივი თვითმმართველობა ... 90-იანი წლების დასაწყისში ჩვენ, ფაქტობრივად, არ გვყავდა, ორგანიზებული შეიარაღებული ძალები. ხუთი წლის მანძილზე შევქმენით ეროვნული შეიარაღებული ძალები. . . .” (ე.შ. 30.04.2000)

კვლავ ანაფორული გამეორების მაგალითი (4), თუმცა ამ შემთხვევაში კუთვნილებითი ზმნით (ქონა/ყოლა) გამოხატული ეგზისტენციალური ფრაზის “90-იანი წლების დასაწყისში “ჩვენ არ გვქონდა/გვყავდა”-ას გამოყენებით.

შემდეგ მაგალითში (5) კი ეპიფორულ გამეორებას ვხვდებით ფრაზისა “may be new”:

(5) “Our challenges may be new. The instruments with which we meet them may be new. But those values upon which our success depends - hard work and honesty, courage and fair play, tolerance and curiosity, loyalty and patriotism - these things are old. These things are true.” (B.O. 20.01.2009)

## I თავის დასკვნა

პრეზიდენტთა გამოსვლებში რეალიზებული ენის ფუნქციების ანალიზის შედეგად გამოვიტანე შემდეგი დასკვნები:

- 1.1 **რეფერენციული ფუნქცია** პრეზიდენტთა გამოსვლებში რეალიზდება ფაქტობრივი ინფორმაციის გადაცემით, რომელიც ზოგჯერ გამყარებულია სტატისტიკური მონაცემებით, რაც მეტ დამაჯერებლობას სძენს გამოსვლას და რასაც გამოსვლის დაახლოებით ერთი მესამედი ნაწილი უკავია.
- 1.2. პრეზიდენტთა სხვადასხვა გამოსვლაში ინფორმატიულობის დონე განსხვავებულია.
- 2.1. **ემოციური ფუნქციის** რეალიზაცია პრეზიდენტთა გამოსვლებში ხორციელდება ენის სხვადასხვა დონეზე, რისთვისაც გამოიყენება სტილისტური ღირებულების მქონე ენობრივი ერთეულები, შესიტყვებები, ფრაზები, მარტივი ან რთული კონსტრუქციები, წინადადებები. მათი მეშვეობით გადმოცემულია მოსაუბრის გრძნობები და დამოკიდებულება.
- 2.2. პრეზიდენტთა გამოსვლებში ემოციური ფუნქციის რეალიზება სიტყვის დონეზე შემდეგნაირად ხორციელდება: სიტყვის დენოტაციურ მნიშვნელობასთან ერთად განსაკუთრებით საინტერესოდ გამოიყენება სიტყვის როგორც დადებითი, ასევე უარყოფითი კონოტაციური მნიშვნელობები, ჭარბად გამოიყენება სალექსიკონო და კონტექსტუალური (მეტაფორა), ისევე როგორც, ლოგიკური და ემოციური (ეპითეტი) მნიშვნელობების ურთიერთქმედებები.
- 2.3. ემოციური ფუნქცია წინადადების დონეზე რეალიზდება ექსპრესიული, გამომხატველობითი საშუალებებით და სტილისტური ხერხებით, რომელთაგან სჭარბობს ანტითეზა, პარალელური კონსტრუქციები და ანაფორული გამეორება.
- 2.4. პრეზიდენტთა გამოსვლებში გამოყავი პრეზიდენტთა მიმართვების აუცილებელი ელემენტი – ემოციურად დატვირთული დამამთავრებელი

ფრაზები, რაც ლოცვა-კურთხევის ფორმულებით არის წარმოდგენილი და რაც მსმენელში დადებით ემოციებს აღძრავს.

- 3.1 პრეზიდენტთა გამოსვლებში ენის **კონატიური ფუნქცია** ზოგჯერ გადმოცემულია რიტორიკული შეკითხვებით, რაც გამიზნულია ადრესატზე ზემოქმედების მისაღწევად და მიზნად ისახავს მსმენელის ჩართულობის გაზრდას, მათში გარკვეული გრძნობებისა და დამოკიდებულების აღძვრას. პრეზიდენტთა ინგლისურენოვან გამოსვლებში რიტორიკული შეკითხვები ოთხი ტიპის კითხვითი სტრუქტურით გადმოიცემა, ხოლო ქართულენოვან გამოსვლებში ვხვდებით მხოლოდ კითხვითსიტყვიან წინადადებებს.
- 3.2. ენის კონატიური ფუნქცია ვლინდება მსმენელისადმი მიმართულ მოწოდებებსა და დირექტივებში. პრეზიდენტთა გამოსვლებში გამოვყავი შესაბამისი ფორმულებით გამოხატული მოწოდებების და დირექტივების ქვეტიპები.
- 3.3. მოწოდებებისა და დირექტივების გაცემისას პრეზიდენტები მსმენელის ყურადღების გამახვილების მიზნით აქტიურად იყენებენ სხვადასხვა სინტაქსურ ექსპრესიულ საშუალებას და სტილისტურ ხერხს, როგორცაა მაგალითად, სტილისტური ჩამონათვალი, ანაფორული გამეორება და პარალელური კონსტრუქციები, რაც კიდევ უფრო აძლიერებს აუდიტორიის ყურადღებას შეტყობინების შინაარსზე.
  
- 4.1. **ფატიკური ფუნქცია** პრეზიდენტთა გამოსვლებში რეალიზდება, როგორც მიმართვის დასაწყისში, ისე შუა და ბოლო ნაწილებში.
- 4.2. კვლევის შედეგად გამოვყავი ფრაზების რამდენიმე კლასი, რომელიც პრეზიდენტთა გამოსვლებში ენის ფატიკურ ფუნქციას ასრულებს. პრეზიდენტთა, როგორც ინგლისურენოვან ასევე ქართულენოვან მიმართვებში აქტიურად გამოიყენება **I) მაღლიერების გამომხატველი თავაზიანი ფრაზები** და **II) მისაღმების გამომხატველი ფრაზები**. ანალიზის შედეგად აღნიშნული ფრაზები სტრუქტურის მიხედვით დაყვავი რამდენიმე ქვეტიპად შესაბამისი ფორმულებით.

- 4.3. ხშირად ფატიკური ფუნქციის რეალიზაცია ექსპრესივის ტიპის სამეტყველო აქტებით ხორციელდება.
- 4.4. საპრეზიდენტო გამოსვლებში ენის ფატიკური ფუნქცია ხშირად პირის დეიქსის მეშვეობით რეალიზდება.
- 4.5. ემპირიული მასალის სტატისტიკური კვლევის შედეგად გამოირკვა, რომ პრეზიდენტთა მიმართებებში მრავლობითი რიცხვის პირველი პირის ნაცვალსახელის “ჩვენ/WE” გამოყენება 5.4 –ჯერ აღემატება მხოლოდითი რიცხვის პირველი პირის “მე/I” გამოყენებას. მრავლობითი რიცხვის პირველი პირის ნაცვალსახელის მიმართება მხოლოდითი რიცხვის პირველი პირის ნაცვალსახელთან შემდეგნაირად გამოიყურება: ჩვენ/WE – 84 %; მე/I- 16%
- 4.6 პირველი პირის მხოლოდითი ნაცვალსახელი “მე/I” არ გამოიყენება მაღალი სიხშირით, მას ვხვდებით მხოლოდ იმ შემთხვევაში, როდესაც რეფერენცია მხოლოდ მთქმელზეა, პრეზიდენტის მიერ კონკრეტულ ფაქტზე გარკვეული პასუხიმგებლობის აღების ან პიროვნული დამოკიდებულების გამოსატვის შემთხვევაში კონკრეტულ მოვლენასთან მიმართებაში.
- 4.7. პრეზიდენტთა გამოსვლებში გადაჭარბებულად გამოიყენება პირველი პირის მრავლობითი ნაცვალსახელი “ჩვენ/WE,” მისი გამოყენება ფატიკურ ფუნქციას ასრულებს და კიდევ უფრო აახლოებს მსმენელს მოსაუბრესთან. პრეზიდენტთა მიმართებებში ნაცვალსახელის “ჩვენ/WE” გამოყენება უჩენს მსმენელს იმის განცდას, რომ ის თავადაც ქვეყანაში მიმდინარე პოლიტიკური პროცესების და დინამიკის ნაწილია.
- 4.8. ნაცვალსახელი “ჩვენ/WE” საკმაოდ ფართო მნიშვნელობით გამოიყენება. კონტექსტიდან გამომდინარე, ნაცვალსახელი “ჩვენ/WE” სხვადასხვა მნიშვნელობას იძენს. კვლევის შედეგად გამოვყავი
- I) ინკლუზიური “ჩვენ/WE” (მოსაუბრე + მსმენელი = პრეზიდენტი + აუდიტორია + ყველა) (ქარ.); Inclusive “WE” (= speaker + other (s) + addressee = president + audience + all) (ინგ.)

II) ექსკლუზიური ჩვენ “ჩვენ/WE” (მოსაუბრე + სხვ(ები)ა - მსმენელი = პრეზიდენტი + მთავრობა) (ქარ.); Exclusive “WE” (= speaker + other (s) - addressee = president + government) (ინგ.)

5. პრეზიდენტთა გამოსვლებში **მეტალინგვისტური ფუნქცია** სათანადო რეგისტრის, სტილის (ოფიციალური, არაოფიციალური, ნეიტრალური, ამაღლებული სტილი) და მეტაენის შერჩევაში ვლინდება, როდესაც პრეზიდენტები საუბრობენ საერთო თემების ირგვლივ, როგორცაა ქვეყნის და ერის ღირებულებები, სიკეთის (დემოკრატიის) ბრძოლა ბოროტების (ტირანიის) წინააღმდეგ და სხვ. საპრეზიდენტო გამოსვლებში საკმაოდ ხშირია **ამაღლებული სტილის** გამოყენება. ამაღლებულ სტილს ხშირად ციტატების, ალუზიების, მეტაფორების და სხვა სტილისტური თუ ექსპრესიული საშუალებების გამოყენება ქმნის, რაც პოეტურობასა და ექსპრესიულობას სძენს ნათქვამს და შესაბამისად ხდება ენის პოეტური და/ან ემოციური ფუნქციის რეალიზებაც.

6. პრეზიდენტთა გამოსვლებში ენის **პოეტური ფუნქცია** ძალზედ ხშირად არის რეალიზებული. პოეტური ფუნქცია გამოიხატება:

- ა) ფონეტიკური გამომხატველობითი საშუალებები და სტილისტური ხერხებით, როგორცაა: ალიტერაცია, რითმა, რიტმი.
- ბ) სინტაქსური ექსპრესიული გამომხატველობითი საშუალებებით და სტილისტური ხერხებით, რომელთაგანაც სჭარბობს პარალელური კონსტრუქციები, ანაფორული გამეორება, პოლისინდეტონი;
- გ) მყარი სიტყვათშეთანხმებებით, როგორცაა: კლიშე, ანდაზები, ციტატები, და ლიტერატურული, ისტორიული, რელიგიური ალუზიები.

7. პრეზიდენტთა გამოსვლებში ენის **ექსპრესიული ფუნქცია** - რეფერენციული, ემოციური, კონატიური, ფატიკური, მეტალინგვისტური, პოეტური ფუნქცია - აქტიურად რეალიზდება და არის კორელაციაში ერთმანეთთან. პრეზიდენტების მიერ მსმენელისათვის გადაცემული ფაქტობრივი ინფორმაცია ემოციურად, ექსპრესიულად, პოეტურად დატვირთულია, რის

შედგებად პრეზიდენტები მსმენელში სათანადო, სასურველ რეაქციას აღძრავენ, ამას გარკვეულწილად მათი მეტაენაც განაპირობებს. მსმენელთან კავშირს ფატიკური ფუნქციით, ხოლო მათ ჩართულობას კონატიური ფუნქციის რელიზების გზით აღწევენ.

8. პრეზიდენტთა გამოსვლებში ექვსივე ფუნქციის რეალიზაციისას მაღალი სიხშირით გამოიყენება როგორც ლექსიკური და სინტაქსური, ასევე ფონეტიკური სტილისტური ხერხები და გამომხატველობითი საშუალებები.

## თავი 2

### სამეტყველო აქტთა ლინგვისტური რეალიზაციის თავისებურებანი პრეზიდენტთა გამოსვლებში

წინამდებარე თავში პრეზიდენტთა გამოსვლებს სამეტყველო აქტთა თეორიის კუთხით განვიხილავ. პრეზიდენტთა გამოსვლების სამეტყველო აქტთა თეორიის თვალსაზრისით განხილვა საპრეზიდენტო მიმართვების ილოკუციური ძალისა და იმ ლინგვისტური საშუალებების გარკვევას ისახავს მიზნად, რომლებიც ხელს უწყობენ, ერთი მხრივ, აღნიშნული ძალის რეალიზაციას, ხოლო მეორე მხრივ, გარკვეულ პერლოკუციურ ეფექტზე არიან გათვლილი.

კვლევის მიზანს ასევე წარმოადგენს გარკვევა იმისა, თუ რომელი სამეტყველო აქტები გამოიყენება საპრეზიდენტო გამოსვლებში, რა არის მათი გამოყენების სიხშირე, როგორი მიმართება არსებობს გამოყენებულ სამეტყველო აქტებს შორის და ასევე ილოკუციური ძალის თუ რა მაიდენტიფიცირებელი საშუალებები (IFIDs) გამოიყენება სხვადასხვა ილოკუციური მიზანის გამოსახატავად.

ემპირიული მასალის სამეტყველო აქტთა თეორიის თვალსაზრისით კვლევისას ვეყრდობი ჯ. ოსტინის და ჯ. სერლის თეორიებს სამეტყველო აქტთა შესახებ. (Austin 1962; Searl 1969)

როგორც ცნობილია, ჯ. ოსტინმა გამონათქვამის საკომუნიკაციო ეფექტი დაუკავშირა სამ ასპექტს, ესენია:

1) ლოკუცია; 2) ილოკუცია და 3) პერლოკუცია

1) ლოკუცია / ლოკუციური აქტი (Locutionary Act) მოიცავს გამონათქვამის პროპოზიციულ შინაარსს.

2) ილოკუცია/ ილოკუციური აქტი (Illocutionary Act) არის გარკვეული პროპოზიციული მნიშვნელობის გამონათქვამი, რომელიც კომუნიკაციის პროცესში იძენს სპეციფიკურ პერლოკუციურ ძალას – პრაგმატიკულ მნიშვნელობას, რომელიც შეიძლება თავდაპირველი პროპოზიციული მნიშვნელობის სრულიად საპირისპირო ოყოს.

3) პერლოკუცია/პერლოკუციური აქტი (Perlocutionary Act) არის ცალკეული ილოკუციური ძალის მქონე გამონათქვამი გათვლილი გარკვეულ პერლოკუციურ ეფექტზე, რაც გულისხმობს ადრესატზე გარკვეული ზეგავლენის მოხდენას. .

ოსტინი განსაკუთრებულ აქცენტს ილოკუციაზე აკეთებს და გამოყოფს სამეტყველო აქტების ხუთ ტიპს, როგორცაა: ექსპოზიტივები (Expositives), კომისივები (Commissives), ბიჰებიტივები (Behabitives), ექსერსიტივები (Exercitives), ვერდიქტივები (Verdictives). (Austine 1962).

მოგვიანებით სერლი აღრმავებს სამეტყველო აქტების კვლევას და გამოყოფს კლასიფიკაციისათვის საჭირო 12 ნიშანს, რაც შემდეგ ოთხ ძირითად მახასიათებლამდე დაჰყავს. ესენია:

1) სამეტყველო აქტების ილოკუციური არსი (illocutionary point), რომელიც წარმოგვიდგენს რეალობას ამა თუ იმ სახით.

2) სამეტყველო აქტების გამოყენების დროს შესაბამისობის მიმართება (direction of fit): განსაზღვრავს ენის შესაბამისობას რეალობასთან ან ირიქით. აღამიანთა ვერბალური აქტივობა პოტენციურად მაინც შეესაბამება იმ გარე სამყაროს, სადაც ვცხოვრობთ და ცვლის მას. ჩვლილები განხორციელება ხდება სამეტყველო აქტების გამოყენების საფუძველზე. ნებისმიერ სამეტყველო სიტუაციაში ინდივიდებს აქვთ სხვადასხვა ინტენცია და სამეტყველო აქტებმა, რომლებსაც ისინი გამოიყენებენ, უნდა ასახონ აღნიშნული ინტენცია, როგორც “მოსამზადებელი პირობა” (preparatory condition).

3) სამეტყველო აქტი გამოხატავს ფსიქოლოგიურ მდგომარეობას.

4) სამეტყველო აქტს საფუძველად უდევს გარკვეული პროპოზიციული შინაარსი.

ყოველივე ზემოთ ხსენებულის გათვალისწინებით სერლი გამოყოფს სამეტყველო აქტების შემდეგ ხუთ ტიპს:

1) რეპრეზენტატივი/ასერტივი (**Representative/ Assertive**) არის სამეტყველო აქტები, რომელთა არსიც მდგომარეობს საქმის ვითარების აღწერასა და წარმოდგენაში; ეს არის ჭეშმარიტების მანვენებელი აქტები, რომლებიც გამოხატავენ მოსაუბრის რწმენა-შეხედულებას რაიმე ვითარებისადმი, ამ სამეტყველო აქტში ვერბალური ქმედება შეესაბამება გარესამყაროს. (Searl 1980;



Cutting 2002) რეპრეზენტაციები მოიცავენ შემდეგ ვერბალურ ქმედებებს: მტკიცება (assert); აღწერა (describe), დასკვნის გაკეთება (conclude), დაჟინება (insist), თხოვნა (claim), ჰიპოთეზის ჩამოყალიბება (hypothesize), წინასწარგანჭვრეტა (predict) და ა.შ.

2) დირექტივა (**Directive**) არის სამეტყველო აქტი, რომელიც ორიენტირებულია ადრესატზე: ადრესანტი ადრესატის მეშვეობით ცდილობს შეცვალოს გარე სამყარო. (Searl 1980; Cutting 2002) დირექტივები გამოხატავენ ადრესანტის სურვილებს, ეს შეიძლება იყოს ბრძანება (command, order); თხოვნა (request, ask); მუდარა (beg); შეთავაზება (suggest); მიპატიჟება (invite), აკრძალვა (forbid) და ა.შ.

3) კომისივი (**Commissive**) არის სამეტყველო აქტი, რომელის არსი არის მოსაუბრის მიერ ვალდებულების აღება რაიმეს შესრულებაზე. ის უბიძგებს მოსაუბრეს მომავალი მოქმედებისაკენ. (Searl 1969; Hatch 1992; Yule 1996) კომისივებით გამოხატული მოქმედებები შესაძლოა მოსაუბრემ შეასრულოს მარტომ ან როგორც ჯგუფის წევრმა. კომისივები განსხვავდებიან სიძლიერის მიხედვით და მოიცავენ შემდეგ ვერბალურ ქმედებებს: დაპირება (promise); მუქარა (threaten); უარყოფა (refuse), ფიცის მიცემა (vow); შეთავაზება (offer); ინიციატივის აღება (volunteer) და ა.შ.

4) ექსპრესივი (**Expressive**) არის სამეტყველო აქტი, რომელის არსია გარკვეული ფსიქოლოგიური მდგომარეობის გამოხატვა; (Searl 1975; Cutting 2002; Levinson 1983) განასხვავებენ ორი ტიპის ექსპრესივს: ერთი ტიპის ექსპრესივი გამოხატავს მოსაუბრის მორალურ დამოკიდებულებას, ხოლო მეორე ტიპის კი - ემოციურ დამოკიდებულებას. (van Ek 1976; Hatch 1992) ექსპრესივები მოიცავენ შემდეგ ვერბალურ ქმედებას: ქება (praise); მობოდიშება (apologise); მილოცვა (congratulate); წუხილი (regret); სინანული (deplore); მისამძიმრება (condole); მადლობის გამოხატვა (thank), მისაღმება (welcome/greet) და ა.შ.

5) დეკლარაცია (**Declaration**) არის სამეტყველო აქტი, რომლის მიზანია შეცვალოს ვითარება გარე სამყაროში. დეკლარაციის აუცილებელი პირობაა, რომ ვერბალური ქმედება ავტორიტეტის მქონე პიროვნებამ განახორციელოს. დეკლარაცია ბადებს ახალ ვითარებას ან მდგომარეობას და ცვლის სამყაროს

მეტყველი სუბიექტის შესაბამის სოციალურ კონტექსტში. (Searl 1969, Hatch 1992, Cutting 2002; Sadock 1988).

პირდაპირ/ ექსპლიციტურ სამეტყველო აქტებთან ერთად ინტერესს იწვევს ასევე არაპირდაპირი/ იმპლიციტური სამეტყველო აქტების არსებობა, რომელსაც სერლი გამოყოფს და რაც მრავლად გვხვდება პრეზიდენტთა გამოსვლებში.

პირდაპირი სამეტყველო აქტის შემთხვევაში ხდება ინფორმაციის სიტყვასიტყვითი გადაცემა, არაპირდაპირი სამეტყველო აქტის შემთხვევაში ადგილი აქვს მინიშნებებს. არაპირდაპირი გზით გამოსატყულების შემთხვევაში, სტრუქტურასა და ფუნქციას შორის შესაბამისობა არაპირდაპირია. (Yule 1996; Krekel 1981)

სერლის მიხედვით არაპირდაპირი სამეტყველო აქტი იგივეა, რაც არაპირდაპირი “ილოკუციური” აქტი. იგი მიზნად ისახავს აუდიტორიასთან იმპლიციტურ კომუნიკაციას და ეფუძნება ადრესანტისა და ადრესატის ზიარ ფონისეურ ცოდნას.

არაპირდაპირი სამეტყველო აქტის წარმატება დამოკიდებულია აუდიტორიის მიერ მოქმედის ინტენციის ამოცნობაზე და მოქმედის მხრიდან ინტენციის შესაბამისი ლინგვისტური ფორმების შერჩევაზე, რათა გამონათქვამის იმპლიკაცია ნათელი გახადოს მსმენელისათვის.


### **ემპირიული მასალის სტატისტიკური ანალიზი**

მიზანშეწონილად მივიჩნეოთ განმეხორციელებინა ემპირიული მასალის სტატისტიკური კვლევა: დადგინდა სამეტყველო აქტთა გამოყენების სიხშირე და მათი ურთიერთმიმართება, როგორც ქართველ ასევე ამერიკელ პრეზიდენტთა გამოსვლებში.


სტატისტიკური კვლევის შედეგები ასახულია ქვემოთ მოცემულ ცხრილებში:

#### **1. პრეზიდენტთა გამოსვლებში სამეტყველო აქტების რაოდენობის გრაფიკული გამოსახვა**

D) ინგლისურენოვანი ემპირიული მასალა




II) ქართულენოვანი ემპირიული მასალა




2. პრეზიდენტის გამოსვლებში სამეტყველო აქტების რეალიზაციის პროცენტული გამოსახვა

I) ინგლისურენოვანი ემპირიული მასალა



II) ქართულენოვანი ემპირიული მასალა



ამდენად, როგორც ქართველ ასევე ამერიკელ პრეზიდენტთა გამოსვლებში რაოდენობრივად სჭარბობს რეპრეზენტაციების გამოყენება. ამერიკელ პრეზიდენტთა გამოსვლებში რეპრეზენტაციების რაოდენობა 63% აღწევს, ხოლო ქართველ პრეზიდენტთა გამოსვლებში 51% შეადგენს. რეპრეზენტაციებს მოსდევს კომისიების გამოყენება, რაც ქართველ პრეზიდენტთა გამოსვლებში 4%-ით

აღმატება კომისიების რაოდენობას ამერიკელ პრეზიდენტთა გამოსვლებში (18%). დირექტივების რაოდენობა შემდეგნაირად გადანაწილდა: 17% ქართველ პრეზიდენტთა გამოსვლებში და 13% ამერიკელ პრეზიდენტთა გამოსვლებში, ქართველ პრეზიდენტთა გამოსვლები მეტად ექსპრესიულია და შეადგენს 9%, ხოლო ამერიკელ პრეზიდენტთა შესწავლილ გამოსვლებში ექსპრესიული აქტების გამოყენება 5 %-ით შემოიფარგლება. ყველაზე მცირე რაოდენობით, როგორც ქართულ ასევე ინგლისურენოვან ემპირიულ მასალაში დეკლარაციები გამოიყენება და შეადგენს მხოლოდ 1 %. ანალიზმა ცხადყო, რომ მიუხედავად მცირე პროცენტული განსხვავებებისა, სამეტყველო აქტთა თანმიმდევრობა პროცენტული მაჩვენებლის მიხედვით მსგავსია, როგორც ქართველ ასევე ამერიკელ პრეზიდენტთა სხვადასხვა უანრის გამოსვლაში.

## 2.1. რეპრეზენტაციები

პრეზიდენტთა ძირითადი ინტენცია ანუ ილოკუციური მიზანი გამოსვლების დროს არის გარკვეული შეტყობინებებით ფაქტობრივი ინფორმაციის მიწოდება მსმენელისათვის და ასევე იმის გაზიარება, თუ რისი სჯერა და სწამს მას. ყოველივე ეს რეპრეზენტაციების ტიპის სამეტყველო აქტებით გადმოიცემა.

როგორც უკვე აღვნიშნე, რეპრეზენტაციები ყველაზე მეტად გამოყენებადი აქტებია პრეზიდენტთა გამოსვლებში (51% - ქართველ პრეზიდენტთა გამოსვლებში და 63%- ამერიკელ პრეზიდენტთა გამოსვლებში). ვხვდებით მათ მრავალფეროვან ტიპებს, ისინი სხვადასხვა პერფორმატიული ზმნით, ზოგჯერ კი პერფორმატიული ზმნის გარეშე არის გადმოცემული. შესაბამისად, რეპრეზენტაციების შემცველი მასალა ორ ტიპად წარმოვადგინე.

1) პერფორმატიული ზმნის შემცველი პირდაპირი რეპრეზენტაციები შემდეგი ზმნებით მჯერა, მწამს (**believe**); ვიცი (**know**); ვთვლი, ვფიქრობ, მიმაჩნია (**think**)

ა) რეპრეზენტაციები გამოხატული სამეტყველო აქტის ზმნით (**Speech Act Verb ( შემდგომში - SAV )** ) “ვთვლი”, “ვფიქრობ”, “მიმაჩნია” “**think**”

(1) “...მიგვაჩნია მიზანშეწონილია ამ მოლაპარაკების პროცესში საერთაშორისო ორგანიზაციების წარმომადგენელთა ჩართვაც [1]... ჩვენ ვფიქრობთ, ეს არის ერთადერთი გზა იმ გლობალური პრობლემების გადაწყვეტისა, რომელიც დგას მსოფლიოს წინაშე 70 წლის მანძილზე” [2]. (ზ.გ. 07.06.1991)

პრეზიდენტი გამსახურდია უზიარებს მსმენელს მოსაზრებას, რომ მოლაპარაკებების პროცესში სასურველია ჩართულ იქნას საერთაშორისო ორგანიზაციების წარმომადგენლები, მოსაზრებას პერფორმატივი “მიგვაჩნია”-თი გადმოსცემს, ხოლო მე-2 სამეტყველო აქტში იყენებს პერფორმატივს “ვფიქრობთ” გლობალური პრობლემის გადაჭრის გზის თანამოქალაქეებისათვის გაზიარებისას.

შემდეგ მაგალითში (2) პერფორმატივი “ვთვლით” გადმოსცემს არა მხოლოდ რეპრეზენტაციას, არამედ დირექტივასაც. თუმცა ვრცელ კონტექსტში ჩანს, რომ სახელმწიფო სწორედ რომ ზომიერად ერევა ეკონომიკაში. შესაბამისად, ქვემოთ მოცემული აქტი არის ფაქტის კონსტატაცია და არა მოწოდება.

(2) “ჩვენ ვთვლით, რომ სახელმწიფო ეკონომიკაში უნდა ჩაერიოს იმ ზომით, რომელიც აუცილებელია ქვეყნის ერთიანი პოლიტიკური და სოციალ-ეკონომიკური ინტერესების დაკმაყოფილებისა და სამეწარმეო საქმიანობის განვითარებისათვის.” (ზ.გ. 07.06.1991)

მე-3 და 4 მაგალითებში პრეზიდენტი ჯორჯ ბუში მსმენელს საკუთარ მოსაზრებას პერფორმატივი ‘think’-ის გამოყენებით გადასცემს:

(3) “. . . and I think it's fair to say we've answered the call”. ( G.W.B. 28.01.2008)

(4) “. . .and I think it's best we fight it over there...” ( G.W.B. 4.07.2007)

(5) “And he would, I think, be gladdened by this day; for today is the concrete expression of a stunning fact: our continuity these 200 years since our government began..” (G.H.W B. 20.01.1989)

ზემოთ მოცემულ მე-5 მაგალითში პრეზიდენტი ბუში (უფროსი) საუბრობს, პრეზიდენტ ვოშინგტონის შესახებ, თუ რამდენად მოხარული იქნებოდა იგი ამერიკის მთავრობის ჩამოყალიბებიდან 200 წლის თავზე. აღნიშნულ მოსაზრებას “think” პერფორმატივის გამოყენებით აყალიბებს.

**ბ) რეპრეზენტატივები გამოსატული SAV ”ვიცი” “know”**

(1) “ჩვენ არც ამ ჯერზე არ დავთმეთ და არ დავთმობთ არასოდეს. ყველა დამპყრობელმა, ყველა იმპერიამ ყოველთვის იცოდა, რომ საქართველო გაუტეხელი ხალხის ქვეყანა იყო [1]. ეს იციან დღესაც და ეცოდინებათ მომავალშიც [2]. ჩვენი ბრძოლა გაგრძელდება, ვიდრე ოკუპირებული ტერიტორია არ გათავისუფლდება, ვიდრე ბოლო ოკუპანტი არ დატოვებს საქართველოს წმინდა მიწას [3]. . . ჩვენ ვიცით, რომ ამის ძალა და უნარი შეგვწევს “ [4]. (მ.ს. 01.09.2008)

აღნიშნულ მაგალითში პერფორმატივი “ვიცით” უტოლდება რწმენას. პრეზიდენტმა სააკაშვილმა არა მხოლოდ იცის, არამედ ღრმად სჯერა, რომ ქართველ ხალხს შესწევს რუსეთის დამარცხების ძალა. მე-4 სამეტყველო აქტში ილოკუციური ძალით დატვირთული პერფორმატივის “ვიცით” გამოყენებით პრეზიდენტი უზიარებს მსმენელს, რომ იგი საუბრობს საყოველთაოდ ცნობილ ფაქტზე, რაშიც მსმენელს არ უნდა შეეპაროს ეჭვი, იმიტომ რომ ეს ჭეშმარიტია და საყოველთაოდ ცნობილია. აღნიშნულით იგი ამავდროულად ამხნეებს მსმენელს და ცდილობს მათ დარწმუნებას იმაში, რისიც მას თავად სჯერა.

შემდეგ მაგალითში (2) პერფორმატივი “ვიცით” მოცემულია შემდეგ შესიტყვებაში “ყველამ ვიცით”, სადაც პრეზიდენტის ინტენცია, არის იგივე, კერძოდ, საყოველთაოდ ცნობილი ფაქტის კონსტატაცია და ერის სულისკვეთების გაძლიერება, რომ მოცემული შანსი არ უნდა იქნეს გაშვებული ხელიდან:

(2) “დღეს საქართველოს აქვს გამოღიანებისა და ფეხზე წამოდგომის უნიკალური შანსი. ყველამ ვიცით, რომ ამ შანსის ხელიდან გაშვებას არავინ არ გვაპატიებს.” (მ.ს. 03.05.2008)

შემდეგ მაგალითში (3) რეპრეზენტატივის აქტი ასევე პერფორმატივით “ვიცით” არის გადმოცემული, რაც მიუთითებს, რომ პრეზიდენტს, აქვს ინფორმაცია იმის შესახებ თუ რა არის გასაკეთებელი კიდევ ქვეყანაში:

(3) “ჩვენ ვიცით, რომ გასაკეთებელი კიდევ ბევრია”. (მ.ს. 04.09.2010)

ქვემოთ მოცემულ მაგალითებში წარმოდგენილია ამერიკელი პრეზიდენტების მიერ წარმოთქმული რეპრეზენტატივის ტიპის აქტები, რომელიც გადმოცემულია პერფორმატივით “know” კშესიტყვებაში პირველი პირის მხოლოდითი და მრავლობითი რიცხვის ნაცვალსახელებთან.

## **WE (Inclusive) + KNOW**

- (4) “In our hearts we know what matters.” (G.H.W B. 20.01.1989)
- (5) “We know we have made the reforms necessary to sustain those benefits... (B.C. 20.01.1997)
- (6) “For we know that our patchwork heritage is a strength, not a weakness.” (B.O. 20.01.2009)
- (7) “We know that deep, persistent poverty is unworthy of our nation's promise.” (G.W. B. 28.01.2008)

## **I+ KNOW**

- (8) “I know this is in our reach because we are guided by a power larger than ourselves who creates us equal in His image.” (G.W. B. 28.01.2008)
- (9) “Some, I know, have questioned the global appeal of liberty” . (G.W. B. 20.01.2005)
- (10) “We know what works: Freedom works. We know what's right: Freedom is right. We know how to secure a more just and prosperous life for man on Earth: through free markets, free speech, free elections, and the exercise of free will unhampered by the state. (G.W.B. 20.01.2005).

მიუხედავად პერფორმატიული ზმნის “know” გამოყენებისა მე-10 მაგალითში, აღნიშნული რეპრეზენტაციის ტიპის სამეტყველო აქტი შესაძლებელია ჩაითვალოს არაპირდაპირ აქტად, ვინაიდან პრეზიდენტი ბუში არ სვამს შეკითხვებს, თუმცა იძლევა პასუხებს, შესაბამისად, კითხვა არ გადმოიცემა შესაბამისი კითხვითი წინადადებით, მაგრამ შერჩეული სტრუქტურებით ადვილად ხდება თავისუფლებაზე აქცენტების გაკეთება და მსმენელის დარწმუნება, თუ რამდენად მნიშვნელოვანი და ყოვლისმომცველია თავისუფლება. ამდენად, ილოკუციური ძალის მაინდენტიფიცირებელი/ განმსაზღვრელი ხერხებიდან (Illocutionary Force Identification Device – IFIDs) რეპრეზენტაციის ტიპის აქტის გადმოსაცემად პერფორმატიული ზმნების გამოყენებასთან ერთად პრეზიდენტები იყენებენ სიტყვათ წყობას სასურველი აქცენტების გასაკეთებლად სასურველი ილოკუციური მიზნების მიღწევის მიზნით.



**გ) რეპრეზენტაციები გამოსატული SAV “believe”/ “მჯერა, მწამს”**

(1) გვჯერა, რომ ჩვენი ლეგიტიმური და კანონიერი მიზნების მისაღწევად მშვიდობა ერთადერთი გზაა.” (მ.ს. 01.12.2010)

პრეზიდენტ სააკაშვილის რწმენით, მიზნების მიღწევის ერთადერთი გზა მშვიდობაა, რასაც იგი პერფორმატივის “გვჯერა” გამოყენებით აღნიშნავს.

შემდეგ მაგალითში პრეზიდენტი ეუთოს როლზე საუბრობს, სადაც აყალიბებს მის ღრმა რწმენას:

(2) ჩვენ საკუთარი არგუმენტები გვქონდა მათთან, მაგრამ მე მუდამ მწამდა, რომ ეუთო მონაწილეობას მიიღებს დემოკრატიული და საარჩევნო პროცესების მონიტორინგში”. (მ.ს. 01.12.2010)

ქვემოთ მოცემულ მაგალითში რთულია გარკვევა იმისა, გამოსატავს თუ არა პერფორმატივი “მჯერა” რწმენით გამყარებულ რეპრეზენტაციას თუ პრეზიდენტის დაპირებას, ანუ კომისივს, რომ საქართველო გამთლიანდება:

(3) “მჯერა, რომ საქართველო გამთლიანდება და გაერთიანდება. მჯერა, რომ საქართველოში არ იქნებიან ღატაკნი და უპოვარნი. . . . დღეს მე მჯერა: ყველას, ის ვინც შეძლებულია თუ გაჭირვებულია, გზას უნათებს ღმერთისა და საქართველოს მომავლის დიდი რწმენა (ე.შ. 26.11.1995)

მე-4 მაგალითში პრეზიდენტი ჯორჯ ბუში რეპრეზენტაციების გამოყენებით, რომელიც გადმოცემულია პერფორმატივით “believe,” საუბრობს საკუთარი და ამერიკელი ხალხის რწმენის შესახებ, რომ ქვეყნის სანდო მეგზური არის ჩვეულებრივი ხალხის კოლექტიური სიბრძნე:

(4) “As Americans, we believe in the power of individuals to determine their destiny and shape the course of history. We believe that the most reliable guide for our country is the collective wisdom of ordinary citizens.” (G.W.B 28.01.2008)

მე-5 მაგალითში პრეზიდენტი ბუში უმცროსი რეპრეზენტაციების გამოყენებით, რომლებიც პრეზიდენტი ბუშისათვის დამახასიათებელი რელიგიური ელემენტებიაა გაუღენთილი, გამოსატავს თავისუფლების უნივერსალობის მისეულ ხედვას:

(5) We believe in an Almighty, we believe in the freedom for people to worship that Almighty . . . I was proud to tell those brave souls that America stands with them in

their struggle for liberty, because we believe in the universality of liberty. I personally believe that freedom is a gift from an Almighty to every man, woman and child on the face of the Earth. (G.W.B 04.07.2007)

ეპიდემიკური რიტორიკის ნიმუშია შემდეგი რეპრეზენტატივი გადმოცემული პერფორმატიული ზმნით “believe”, რაც ასევე მოიცავს მანიპულირების ელემენტებს, როგორცაა მაგალითად, მსმენელის შექება, ეპითეტებით შემკობა, მისთვის განსაკუთრებული როლის მინიჭება, და სხვ.:

(6) “Americans are generous and strong and decent, not because we believe in ourselves, but because we hold beliefs beyond ourselves. (G.W.B. 11.09.2001)

ზოგჯერ პრეზიდენტთა ღრმა რწმენა გადმოცემულია პერფორმატივი “მჯერა, believe” გამოყენების გარეშე არაპირდაპირი (იმპლიციტური) აქტებით. პრეზიდენტი ზვიად გამსახურდია ერთ-ერთ გამოსვლაში აცხადებს:

(7) “ჩვენ ვდგავართ საქართველოს ისტორიის გასაყარზე და ახლა ქართველ ხალხს მართებს წინაპართა ღირსი იყოს. . . ჩვენი ისტორია, ცხოვრების წესი, ბრძოლა სარწმუნოებისათვის, ეს არის მოწამეობრივი, ქრისტესმიერი გზა სიკეთისა, სიქველისა და სიყვარულისა. ისტორია გვაძლევს შესაძლებლობას, რათა დაეუბრუნდეთ მამაპაპისეულ გზას, ავალრძინოთ რწმენით თავისუფალი საქართველო. დგება უამი, როცა უკლებლივ ყველას სიციცხლე მამულს ეკუთვნის. **ერი უეჭველად მზად არის გადამწყვეტი ბრძოლისათვის**” (ზ.გ. 07.06.1991).

ფრაზაში “ერი უეჭველად მზად არის გადამწყვეტი ბრძოლისათვის” პრეზიდენტი დარწმუნებულია საკუთარ სისწორეში, ფრაზაში ჭეშმარიტების ხარისხი კიდევ უფრო გაძლიერებულია პრეზიდენტის მიერ ლექსიკური “ზღუდის” (hedge) – “უეჭველად” გამოყენების გზით. როგორც ცნობილია, რეპრეზენტატივების ტიპის სამეტყველო აქტების განხილვა შესაძლებელია მათი ჭეშმარიტების ხარისხის მიხედვით. რეპრეზენტატივები განსხვავდება მტკიცების გაძლიერება/გადრმავეების კუთხით. .ე.წ. ლექსიკური ზღუდეების გამოყენებით შესაძლებელია მტკიცების შესუსტება/შერბილება ან გაძლიერება. ზღუდე შეიძლება იყოს ლექსიკური, სინტაქსური ან პროსოდიული (ინტონაციური). ზემოთ მოცემულ

მაგალითში გამოყენებულია ლექსიკური ზღუდე გამონათქვამის გაძლიერების მიზნით.

შემდეგი მაგალითი ადასტურებს იმ ფაქტს, რომ რეპრეზენტატივები პრეზიდენტთა დისკურსში სხვადასხვა საშუალებებით გადმოიცემა, ამ აქტისათვის დამახასიათებელი ვერბალური ქმედების გამომხატველი ზმნებით, სხვა აქტების ვერბალურ ქმედებებში შემავალი ზმნებით, ან საერთოდ პერფორმატივების გარეშე, არაპირაპირი ექსპლიციტური გზით, სინტაქსური მარტივი და რთული სტრუქტურებით და სხვ.:

“When our founders boldly **declared** America's independence to the world and our purposes to the Almighty [1], they **knew** that America, to endure, would have to change [2]. Not change for change's sake, but change to preserve America's ideals; life, liberty, the pursuit of happiness [3]. ... Our founders **understood** that well and gave us a democracy strong enough to endure for centuries, flexible enough to face our common challenges and advance our common dreams in **each new day** [4]. ... Our founders **taught** us that the preservation of our liberty and our union depends upon responsible citizenship [5]. And we need a new sense of responsibility for **a new century** [6]. There is work to do [7]. . . As times change, so government must change...” [8] (B.C. 20.01.1993). ზემოთ მოცემულ მაგალითში პრეზიდენტი კლინტონი პატივისცემით იხსენიებს მამამთავრებს, მათ დანატოვარს და ამავედროულად ხაზს უსვამს ცვლილების გატარების აუცილებლობას. ბილ კლინტონის რიტორიკით, ცვლილების იდეა ჯერ კიდევ დამაარსებელი მამების აზროვნებაში ჩანდა. იგი დამაარსებელი მამების დამოკიდებულებისა და რწმენის გადმოსაცემად იყენებს ზმნების **know, understand, pledge** წარსულ ფორმებს. აღნიშნული ზმნები შედის რეპრეზენტატივების ვერბალურ აქტებში, მაგრამ ამავედროულად რეპრეზენტატივის ტიპის აქტები მაგალითის 1 და 5 სამეტყველო აქტებში გადმოცემულია ისეთი ზმნებით, რომელიც არ წარმოადგენს რეპრეზენტატივის სამეტყველო აქტის ზმნას **declare, teach**. კონსტრუქციით “there is” (მე-7 აქტი) პრეზიდენტი მიუთითებს გასაკეთებელი საქმის შესახებ. მაგალითი სრულდება პრეზიდენტის დირექტივით (მე-8 აქტი) - ვინაიდან იცვლება დრო, უნდა შეიცვალოს მთავრობაც, რაც ეფუძნება წინ ჩამოთვლილ რეპრეზენტატივებს. (რეპრეზენტატივების და დირექტივების ურთიერთმიმართებას დეტალურად განვიხილავ კიბრიდულ აქტებში.)

ზოგჯერ რეპრეზენტაციების ტიპის აქტები გადმოცემულია დესკრიბციული ხასიათის პასაჟებით, სადაც არ გამოიყენება უშუალოდ რეპრეზენტაციის გამომხატველი პერფორმატივები, თუმცა პრეზიდენტები პასაჟებში აღწერენ არსებულ რეალობას და მსმენელს უზიარებენ მათ რწმენას.

2) რეპრეზენტაციები, გადმოცემული პერფორმატიული ზმნის გარეშე

ა) კონსტრუქციით **there is/are**;

ბ) კუთვნილებითი ზმნით –ქონა, ყოლა/ **have**

გ) სინტაქსურად მარტივი და/ან რთული **SVO** სტრუქტურებით

ვინაიდან აღნიშნული ფორმები ინტეგრირებულად გამოიყენება პრეზიდენტთა დისკურსში, მაგალითებს წარმოვადგენ დანაწევრების გარეშე კონტექსტის შენარჩუნების მიზნით, რადგან კონტექსტში უკეთ ჩანს აქტების ილოკუციური მიზანი და მათი ურთიერთმიმართება.

ამერიკელ პრეზიდენტთა დისკურსში ხშირად ვხვდებით ეგზისტენციურ წინადადებებს, გამოხატულს კონსტრუქციით **there is/are** . მაგალითად ჯორჯ ბუში (უფროსი) ერთ-ერთ გამოსვლაში აღნიშნავს, რომ ქვეყანაში ბევრია შიდა პრობლემა: უსახლკარობა, უმუშევრობა, ნარკოტიკები, დანაშაული, თინეიჯერების ფეხმძიმობა, დემორალიზაცია, პოლიტიკური დანაწევრება, ბიუჯეტის უკმარისობა, რომელთა ჩამოთვლას სწორედ რეპრეზენტაციების გამოყენებით ახორციელებს. ისინი გადმოცემულია კონსტრუქციით **there is/are**:

- (1) “(My friends, we have work to do [1].) **There are** the homeless, lost and roaming. **There are** the children who have nothing, no love, no normalcy [2]. **There are** those who cannot free themselves of enslavement to whatever addiction--drugs, welfare, the demoralization that rules the slums [3]. **There is** crime to be conquered, the rough crime of the streets [4]. **There are** young women to be helped who are about to become mothers of children they can't care for and might not love [5]. They need our care, our guidance, and our education, though we bless them for choosing life [6].. . And in any case, our funds are low [7]. We **have a** deficit to bring down [8]. We **have** more will than wallet [9]...” (G.H.B. 20.01.1989)

მოცემული მაგალითი მოიცავს 9 სამეტყველო აქტს. პირველი სამეტყველო აქტი დირექტივის ტიპის არის. მას მოსდევს 8 სამეტყველო აქტი, გამოხატული რეპრეზენტაციით, თუმცა სხვადასხვა საშუალებებით. (ურთიერთ მიმართებას

დირექტივისა და რეპრეზენტაციის ტიპის სამეტყველო აქტებს შორის დეტალურად განვიხილავ კიბრიდულ სამეტყველო აქტებში.) ეგზისტენციური “There is/are” გამოყენებით მე-2, 3, 4, 5 სამეტყველო აქტებში პრეზიდენტი აღწერს პრობლემებს ისევე, როგორც გადასცემს ადრესატს მისი რწმენის შესახებ, თუ რა წარმოადგენს ქვეყნის უმთავრეს პრობლემებს და რატომ უნდა მოგვარდეს დაუყოვნებლივ ისინი. მაგალითის მე-8 და 9 სამეტყველო აქტებში გვხვდება უკვე ეგზისტენცია, გამოსატული კუთვნილებითი ზმნით – **have**.

ამდენად, რეპრეზენტაციები ზოგჯერ გადმოიცემა კუთვნილებითი ზმნით – ქონა, ყოლა/ **have**. მსგავს მაგალითებს ვხვდებით ქართველი პრეზიდენტების დისკურსშიც. ქვეყანაში არსებულ სირთულეებზე საუბრისას პრეზიდენტი შევარდნაძე სწორედ კუთვნილებით ზმნას “ქონა” იყენებს და შემდეგ პრობლემებს აღწერს დესკრიბციულ პასაჟში:

(2) “ იმავე დროს **გვაქვს** სერიოზული ნაკლოვანებებიც, გადაუჭრელი პრობლემები . . . არ არის აღდგენილი საქართველოს ტერიტორიული მთლიანობა, რაც მთელი ქვეყნის, ყველა მოქალაქის და, რა თქმა უნდა, პირველ რიგში, პრეზიდენტის ყველაზე დიდი ტკივილია. ძირითადად დავძლიეთ ეკონომიკური კრიზისი, მაგრამ ვერ ავიყვანეთ საარსებო მინიმუმის დონეზე ხელფასები, პენსიები, სტიპენდიები, ლტოლვილთა და იძულებით ადგილნაცვალ პირთა შემწეობები, დიდი პრობლემები **გვაქვს** ხალხის კეთილდღეობის ამალგების სფეროში. დღემდე დაუძლეველია საბიუჯეტო ტერორი. ძირითადად, დავძლიეთ ინფლაცია, ჰიპერინფლაცია, ჩავატარეთ საბანკო და საფინანსო რეფორმები, მაგრამ სოციალური სფერო კვლავ რჩება უმთავრეს საზრუნავად”. (ე.შ. 30.04.2000)

პრეზიდენტ ობამას დისკურსში ეგზისტენციურ კონსტრუქციასთან ერთად ვხვდებით SVO ფორმულით გამოსატულ რეპრეზენტაციულ აქტებს, მათი მეშვეობით ასევე ქვეყანაში არსებული პრობლემებია აღწერილი:

(3) “Today I say to you that the challenges we face are real. **They are serious and they are many.** . . . That we are in the midst of crisis is now well understood. Our nation is at war, against a far-reaching network of violence and hatred. Our economy is badly weakened, a consequence of greed and irresponsibility on the part of some, but also our collective failure to make hard choices and prepare the nation for a new age. Homes have been lost;

jobs shed; businesses shuttered. Our health care is too costly; our schools fail too many; and each day brings further evidence that the ways we use energy strengthen our adversaries and threaten our planet”.(B.O.20.01.2009)

მაგალითის (3) პირველ აქტში პრეზიდენტი ასახავს მის მიერ დანახულ ობიექტურ რეალობას, რომ გამოწვევები რეალურია. საინტერესოა პერფორმატივი say-ის გამოყენება, რომელიც იმდენადაა დატვირთული ილოკუციური ძალით, რომ დეკლარაციასაც კი უტოლდება. კონტექსტში I say to you- ს იმპლიკაცია არის შემდეგი: მე, როგორც ქვეყნის პრეზიდენტი, რომელიც ფლობს ყოველგვარ ობიექტურ ინფორმაციას ქვეყნის მდგომარეობის ირგვლივ, ვამბობ/ვაცხადებ, რომ გამოწვევები არის რეალური, სერიოზული და ბევრი. პერფორმატივი - say-ით გამოხატული აქტის მიზანია ადრესატის დარწმუნება, რომ გაიზიარონ რეალობის აღქმის პრეზიდენტისეული ხედვა. შემდეგ სამეტყველო აქტებში პრეზიდენტი იყენებს წინადადებების SVO წყობას.

პრეზიდენტ გამსახურდიას დისკურსი გამოირჩევა კაუზალური მიმართების გამომხატველი დესკრიბციული წინადადებების გამოყენებით რეპრეზენტატივების გადმოსაცემად. პრეზიდენტი გამსახურდია საინაუგურაციო გამოსვლაში საუბრობს პოლიტიკურ, რელიგიურ და ეკონომიკურ პრობლემებზე. აღნიშნული სამი მიმართულებიდან მას სწამს, რომ დაიწყო არსებული პოლიტიკური პრობლემების მოგვარება საქართველოს დამოუკიდებლობის აღდგენის აქტით. მისი თქმით, რელიგიასთან დაკავშირებულ პრობლემებზე მუშაობა ასევე უკვე დაიწყო ეკლესიასთან მჭიდრო თანამშრომლობის გზით, ხოლო მესამე მიმართულებას, საქართველოს ეკონომიკურ მდგომარეობას “ღრმად კრიზისულად” აფასებს. მაგალითში რეპრეზენტატივები სხვადასხვა მიმართების რთული წინადადებებით არის გადმოცემული:

(4) “საბჭოთა სახელმწიფოს აგების ძირითადმა პრინციპებმა- მონოპოლიზმმა, თავსმოხვეულმა ეკონომიკურმა სისტემამ, ქართველი კაცისთვის უცხო, არატრადიციულმა წარმოებითმა ურთიერთობებმა დავიწყებას მისცა საუკუნეებით გამომუშავებული და მის ეთნოფსიქიკაზე დაფუძნებული სამეურნეო სისტემა. ყოველივე ამან გამოიწვია ეკონომიკის მოშლა, მეურნეობის მართვის გაუარესება, ეკონომიკური მიზანშეწონილობისათვის ძირის გამოთხრა და საზოგადოება მიიყვანა ზნეობრივ დეფორმაციამდე.

საქართველოს დღევანდელი ეკონომიკური მდგომარეობა შეიძლება შეფასდეს, როგორც ღრმად კრიზისული”. (ზ.გ. 07.06.1991)

ზემოთ განხილული მაგალითებიდან ჩანს, რომ რეპრეზენტაციების რეალიზაცია არ შემოიფარგლება მხოლოდ ამ აქტისათვის დამახასიათებელი სამეტყველო აქტის ზმნების, ზემოთ აღნიშნული ეგზისტენციური ან კუთვნილებითი სტრუქტურების და SVO ტიპის წინადადებების გამოყენებით. პრეზიდენტთა იდეები, მრწამსი და რწმენა სხვადასხვა გრამატიკული ფორმებითა და ზმნის კატეგორიებით ვლინდება, როდესაც ისინი საუბრობენ ყველა პრეზიდენტისათვის საერთო თემების ირგვლივ, როგორცაა მაგალითად, ქვეყნის წარსულის, ისტორიის სახელოვანი ფურცლების და დიდი წინაპრების გახსენება და წარსულის დაკავშირება მიმდინარე ეტაპის ამოცანების გადაწყვეტასთან, ცვლილების განხორციელების მნიშვნელობის ხაზგასმა. ჩამოთვლილი თემების გაშლა ქრონოლოგიურ ნარატივში სწორედ რეპრეზენტაციების მეშვეობით ხორციელდება.

მაგალითად, როდესაც პრეზიდენტი ბუში (უფროსი) ერის წარსულის შესახებ საუბრობს, რეპრეზენტაციების გამოყენებით იგი ქრონოლოგიურად საუბრობს ერის ადრეულ წარსულზე, როდესაც მოხდა ამერიკის დემოკრატიული ტრადიციების ინიცირება პირველი პრეზიდენტის მიერ ფიცის დადებისას; შემდეგ იგი იხსენებს, შუალედური წარსულის იდეალს, დროს როდესაც საერთო მიზნებმა და მოტივებმა წაახალისა ერი გადაეღაზა საზოგადოებაში არსებული განსხვავებები და დანაწევრება; და ბოლოს იგი იხსენებს ვიეტნამის ომს და მისგან გამომდინარე შედეგებს, როგორცაა უნდობლობა და აზრთა სხვადასხვაობა. ამ ისტორიულ პერსპექტივაში ზედსართავი სახელი “ძველი” იძენს ორმაგ ღირებულებას, ერთი მხრივ, ის, რაც არის ძველი, უნდა მოხდეს მისი ჩანაცვლება, ძველმა იდეებმა და ძველმა გზამ ამოწურა დრო, და ახალმა სიომ გადაყარა ისინი ძველი უსიცოცხლო ხის ფოთლების მსგავსად ““the old ideas, the old way” are “blown away “ by the “new breeze “, ” like leaves from an ancient lifeless tree “”. ხოლო მეორე მხრივ, ძველი იდეები კვლავ ახალია, ვინაიდან ურყევი და მარადიულია “The old ideas are new again because they are not old, they’re timeless”. მიუხედავად აღნიშნული დუალიზმისა, პრეზიდენტთა გამოსვლებში ხშირად ხდება ძველის და ახლის დაპირისპირება და ცვლილებების გატარების აუცილებლობის ხაზგასმა, რის გადმოსაცემადაც პრეზიდენტი ბუში იყენებს გაერცობილ მეტაფორას “**the new breeze**, which sweeps away the old leaves, which

turns the page, which causes the kite of freedom to rise, and which dispels the fog of the future”.  
პრეზიდენტი ბუში უმცროსი მის პირველ საინაუგურაციო გამოსვლაში აღნიშნავს, რომ გრძელდება ამერიკის ისტორია, იგი უპირისპირებს ძველსა და ახალს, აუდიტორიისათვის ამერიკის ისტორიის გადაცემისას რეპრეზენტატივების აქტების გამოყენებით, სადაც ზემოთ განხილული კუთვნილებითი **have** არის გამოყენებული, იგი ხაზს უსვამს ახალ სამყაროს, რომელიც ძველის მეგობარი და განმათავისუფლებელია:

(5) “We have a place, all of us, in a long story--a **story we continue**, but whose end we will not see. It is the story of a **new world** that became a friend and **liberator of the old**, a story of a slave-holding society that became a servant of freedom, the story of a power that went into the world to protect but not possess, to defend but not to conquer. It is the American story--a story of flawed and fallible people, united across the generations by grand and enduring ideals”.(G.W.H.B. 20.01.1989)

წინაპრების და ამერიკის ისტორიის გახსენება ობამას საინაუგურაციო გამოსვლის ასევე მნიშვნელოვანი ნაწილია:

(6) “Our Founding Fathers, faced with perils we can scarcely imagine, drafted a charter to assure the rule of law and the rights of man, a charter expanded by the blood of generations. Those ideals still light the world”. (B.O.20.01.2009)

რეზიდენტი ობამაც უპირისპირებს გამოსვლაში ძველსა და ახალს და აღნიშნავს, რომ სირთულეები და სირთულეებთან ბრძოლის ხერხები შეიძლება იყოს ახალი, მაგრამ ძველია წინაპრებისაგან მიღებული ღირებულებები: “Our challenges may **be new**. The instruments with which we meet them may **be new**. But those values upon which our success depends - hard work and honesty, courage and fair play, tolerance and curiosity, loyalty and patriotism - these things are **old**. These things are true.” (B.O.20.01.2009)  
მისთვის ის, რაც ძველია, ჭეშმარიტია.

პრეზიდენტ გამსახურდიას სჯერა, რომ მისი პრეზიდენტობის პერიოდში საქართველო ძალზე მნიშვნელოვანი ისტორიის გზაგასაყარზე იმყოფება, რაც რეპრეზენტატივებით არის გადმოცემული:

(7) “ჩვენ ვდგავართ საქართველოს ისტორიის გზაგასაყარზე, სადაც ქართველი კიდევ ერთხელ ამბობს უარს ამქვეყნიურ, ფიზიკურ კეთილდღეობაზე,



სულიერი ეროვნული აღორძინების სახელით. აღორძინება კი განახლებისა და საკუთარი ჭეშმარიტი მეობისაკენ დაბრუნებას ნიშნავს” (ზ.გ. 07.06.1991).

იგი აღნიშნავს აღორძინების მნიშვნელობის შესახებ და საუბრობს “უმნიშვნელოვანესი ცვლილებების შესახებ, რაც ხელისუფლებამ გაატარა: ”ეროვნულმა ხელისუფლებამ გატარებული უმნიშვნელოვანესი ცვლილებების შედეგად საპრეზიდენტო რესპუბლიკის სახით დაამკვიდრა დემოკრატიული პოლიტიკური სისტემა” (ზ.გ. 07.06.1991).

პრეზიდენტი სააკაშვილი ერთ-ერთ გამოსვლაში ანტიოპიის მეშვეობით უპირისპირებს რეპრეზენტაცივისა და ღირეპტივის ტიპის აქტებს, რითაც ხაზს უსვამს ახლო წარსულის გამოცდილებას და ახალ რეალობას:

(8) ”აქამდე ხალხი უსმენდა მთავრობას. დადგა დრო, მთავრობამ ძალიან ყურადღებით მოუსმინოს ხალხს. აქამდე მთავრობა იცავდა თავს ხალხისაგან. დადგა დრო, როცა მთავრობამ უნდა დაიცვას საკუთარი ხალხი... აქამდე ხალხი ისჯებოდა მთავრობის უნიათობით .... დგება მომენტი, როდესაც ხალხი დასჯის მთავრობას გამოჩენილი უნიათობისათვის და სამშობლოს სიყვარულის არქონისათვის”. (მ.ს. 25.01. 2004)

პრეზიდენტი შევარდნაძე კი 2000 წლის საინაუგურაციო გამოსვლაში აღნიშნავს “იცვლება რა ცხოვრება, უნდა იცვლებოდეს თვით პრეზიდენტიც, მუშაობის მისეული სტილი, მეთოდები და პრაქტიკა”. იგი ფიქრობს, რომ მნიშვნელოვანია თავად პრეზიდენტის შეცვლა. საინაუგურაციო გამოსვლის ბოლო ნაწილში იგი საკუთარი თავის შეცვლის შესახებ საუბრობს:

(9) “საქართველოს დღევანდელი პრეზიდენტი ვერ იქნება ისეთი, როგორც ის იყო 1992 ან 1995, თუნდა 2000 წლის დასაწყისში, აღარ ვლაპარაკობ საბჭოთა წლებზე. აზროვნების მასშტაბებით, ნოვატორობით, შემოქმედებითი პოტენციალით იგი თანამედროვე მსოფლიო ცივილიზაციის მოთხოვნებს უნდა პასუხობდეს, მუდმივად წინ და წინ ილტვოდეს მხოლოდ. . . ჩვენ არა ძველი, არამედ ახალი შევარდნაძე, ახალი პრეზიდენტი გვეჭირდება, ახლებურად მოაზროვნე, უფრო მტკიცე, უფრო მკაცრი, უფრო სამართლიანი, რომელიც მესამე ათასწლეულის პირველ ხუთ წელიწადშივე

ჩაუყრის საფუძველს ჩვენი ქვეყნის გამთლიანებას, გაძლიერებას, სახალხო კეთილდღეობას”.

ბედის ირონიის წყალობით, კი საქართველოს სულ მალე სათავეში ჩაუდგა სწორედ მის მიერ აღწერილი კრიტერიუმების მქონე პრეზიდენტი მიხეილ სააკაშვილის სახით.

ამდენად, რეპრეზენტაციებს პრეზიდენტთა გამოსვლებში გამოყენების სიხშირით საკმაოდ დიდი ადგილი უკავია. სხვადასხვა პერფორმატიული ზმნით (პირდაპირი სახით, ექსპლიციტურად) ზოგჯერ კი პერფორმატიული ზმნის გარეშე (არაპირდაპირ, იმპლიციტურად) არის გადმოცემული. ზოგჯერ რეპრეზენტაციების ტიპის აქტები გადმოცემულია დესკრიბციული ხასიათისა და კაუზალური მიმართების მქონე სინტაქსურად მარტივ და/ან რთულ პასაჟებსა და ქრონოლოგიურ ნარატივში.

## 2.2. კომისიები

რეპრეზენტაციების ტიპის სამეტყველო აქტების შემდეგ კომისიები ყველაზე ხშირად არის რეალიზებული საპრეზიდენტო გამოსვლებში. კომისიებს დიდი სიხშირით ვხვდებით, როგორც ქართველ (22%), ასევე ამერიკელ (18%) პრეზიდენტთა გამოსვლებში.

როგორც უკვე აღვნიშნე, კომისიის ტიპის სამეტყველო აქტებით ძირითადად ხდება მოსაუბრის მიერ ვალდებულების აღება რაღაცის შესრულებაზე პრეზიდენტთა გამოსვლებში გვხვდება როგორც 1) პირდაპირი/ექსპლიციტური, ასევე 2) არაპირდაპირი/იმპლიციტური კომისიის ტიპის სამეტყველო აქტები.

### 1. პირდაპირი (ექსპლიციტური) კომისიის ტიპის სამეტყველო აქტები

ა) კომისიები გამოხატული პერფორმატივით “პირობის მიცემა/ფიცის დადება”, ‘Pledge’

მე/ჩვენ + ზმნა ( პირობის მიცემა/ფიცის დადება)

**I/WE + Verb (Pledge)**

ქვემოთ მოცემულ მაგალითებში პერფორმატივი “pledge” გამოყენებულია პირის დეიქსთან კომბინაციაში. ზოგჯერ პრეზიდენტები იძლევიან პირობას რაიმის შესრულებაზე პირველი პირის მხოლოდითი რიცხვის ნაცვალსახელი “მე/I”-ს

გამოყენებით, რაც განპირობებულია მათ მიერ პირობის შესრულებაზე პასუხისმგებლობის აღებით საკუთარ თავზე.

- (1) “ეს არის ამოცანები, რომელთა გადასაჭრელად მე დღეს ჩემი უკანასკნელი საპრეზიდენტო ვადის ფიცი დავდე ჩემი ხალხისა და სამშობლოს წინაშე”. (მ.ს. 20.01.2008)
- (2) “თქვენ აქ, მიწაზე და მაღლა უფალს პირობა მოგეცით, რომ ამ ხუთი წლის განმავლობაში ყველაფერს გავაკეთებ იმისათვის, რომ საქართველო გაერთიანდეს და გამთლიანდეს”. (ე.შ. 30.04.2000)
- (3) “And I pledge our nation to a goal”. (G.W.B 20.01.2001)
- (4) “(To that effort) I pledge all my strength and every power of my office. I ask the members of Congress here to join in that pledge.” (B.C.20.01.1997)

ზოგჯერ პერფორმატივი “pledge” მრავლობითი რიცხვის პირველი პირის ნაცვალსახელთან “ჩვენ/we” ერთად გამოიყენება. როგორც უკვე აღვნიშნე, “ჩვენ/we” შეიძლება იყოს ინკლუზიური ან ექსკლუზიური. კომისიებში ვხვდებით ექსკლუზიური “ჩვენ/we” გამოყენებას. ექსკლუზიური ნაცვალსახელის გამოყენებით პრეზიდენტები მიცემული პირობის შესრულებაზე პასუხისმგებლობას საკუთარ თავთან ერთად მთავრობის წევრებზეც ანაწილებენ:

- (5) “ჩვენ პირობას გაძღვით, რომ გზა და გაზი ყველა სოფელს ექნება.” (მ.ს. 03.05.2008)
- (6) “ჩვენ ვდებთ პირობას, რომ სოციალური დაცვის პროექტი მალე ამოქმედდება”. (მ.ს. 05.11. 2005)
- (7) “We pledge an end to the era of deadlock and drift; a new season of American renewal has begun.” (B.C. 20.01.1993)
- (8) “(To the people of poor nations) we pledge to work alongside you to make your farms flourish and let clean waters flow; to nourish starved bodies and feed hungry minds.” (B.O. 20.01.2009)

ბ) კომისივი გადმოცემული პერფორმატივით – ვთავაზობ/ გთავაზობთ; offer  
მე/ჩვენ + ზმნა (გთავაზობ(თ))  
**I/WE +VERB (offer)**

პერფორმატივი “ვთავაზობ” (“ვ”- პირველი სუბიექტური პირის ნიშანია, “თავაზობ” ზმნის ფუძეა) გვხვდება პირველი პირის მხოლოდითი რიცხვის ნაცვალსახელთან “მე” კომბინაციაში, ხოლო “გთავაზობთ” (სადაც “გ”- მეორე ობიექტური პირის ნიშანია, “თავაზობ” ზმნის ფუძეა, “თ”- პლურალობის გამომხატველი ნიშანი) გამოიყენება პირველი პირის მხოლოდითი და/ან მრავლობითი რიცხვის ნაცვალსახელებთან კომბინაციაში. აღნიშნული ტიპის კომისივებით აღრესატი იძლევა შეთავაზებას რაიმე ქმედების შესასრულებლად:

- (1) “მე ასევე ვთავაზობდი და ვთავაზობ რუსეთის ფედერაციას, იყოს სამხრეთ ოსეთის ავტონომიის გარანტი საქართველოს ტერიტორიაზე”. (მ.ს. 07.08.2008)
- (2) “ყველას გთავაზობთ და გიწვდით მეგობრობის და პარტნიორობის ხელს მიუხედავად იმისა, თუ რა გაქვთ გაკეთებული წარსულში ქართული სახელმწიფოს ან ადგილობრივი მაცხოვრებლების წინააღმდეგ.” (მ.ს. 07.08.2008)

ინგლისურენოვან მასალაშიც გვხვდება პერფორმატიული ზმნით “offer” გამოხატული კომისივები:

- (1) “I offer my condolences and assistance ...”(G.W.B. 13. 09.2001)
- (2) “To the world, too, we offer new engagement and a renewed vow.”(G.W.H.B. 20.01.1989)

## **2. არაპირდაპირი (იმპლიციტური) კომისივის ტიპის სამეტყველო აქტები**

როგორც უკვე აღვნიშნე, კომისივების ტიპის სამეტყველო აქტი მოიცავს მუქარის გამომხატველ ვერბალურ აქტს. პრეზიდენტთა გამოსვლებში არ ვხვდებით უშუალოდ მუქარის გამომხატველი პერფორმატივის გამოყენებას. ემპირიული მასალის კვლევამ ცხადყო, რომ რაც არ უნდა მწვავე იყოს პრეზიდენტთა მიმართვები, ისინი ერიდებიან მუქარის გამომხატველი პირდაპირი სამეტყველო აქტების გამოყენებას და ამჯობინებენ, რომ მუქარა გამოხატონ შეფარვით, არაპირდაპირ/იმპლიციტურად. ქვემოთ მოცემულ მაგალითებში, მიუხედავად იმისა, რომ სიტყვა მუქარა პირდაპირ არ არის გამოყენებული შეტყობინებაში, სრული ფრაზის იდეა მუქარას წარმოადგენს. შესაბამისად, მაგალითები წარმოადგენს აღნიშნული ტიპის კომისივის ნიმუშს. არაპირდაპირი სამეტყველო აქტის შემთხვევაში ის, რასაც მოლაპარაკე ფაქტობრივად გულისხმობს არაპირდაპირი

სამეტყველო აქტით, განსხვავდება იმისაგან, რასაც ის სიტყვასიტყვითი მნიშვნელობით ამბობს, ანუ დარღვეულია სიტყვასიტყვითი მნიშვნელობა და არა ინტენციური მნიშვნელობა.

(1) “ყაჩაღებს და ბანდიტებს ბოლომდე ამოვიძირკვავთ.” (მ.ს. 02.05.2008)

პრეზიდენტ სააკაშვილის მუქარა ბანდიტების მიმართ მეტაფორულად არის გადმოცემული. პერფორმატივის “ამოვიძირკვავთ” გამოყენებით იგი ბანდიტებს და ყაჩაღებს სარეველა, ზედმეტ ორგანიზმად წარმოადგენს, რომელიც საჭიროებს ამოძირკვას, რათა საზოგადოება გაიწმინდოს მათგან და უწყესობისაგან. იგი იმავე პერფორმატივის იყენებს კორუფციული სისტემის დანგრევის შესახებ საუბრისას მე-2 მაგალითში.

(2) “ჩვენ ამოვიძირკვავთ კორუფციას და შევცვლით სისტემას, რომელმაც კორუფციის მანკიერი წრე წარმოქმნა.” (მ.ს. 25.01.2004)

შემდეგ მაგალითებშიც მუქარა იმპლიციტურად არის გადმოცემული:

(3) “მინდა თქვენი სახელით ვუთხრა მთელს მსოფლიოს, რუსული იმპერია არა მხოლოდ ვერ გაიმარჯვებს საქართველოში, არამედ რუსული იმპერიული იდეა საქართველოში ერთხელ და სამუდამოდ დასამარდება. იმპერია ვეღარ აღდგება – ამას საქართველო წინ აღუდგება.” (მ.ს. 01.09. 2008 )

(4) “ჩვენ მხოლოდ მათი მტრები ვიქნებით, ვინც ჩვენს საზღვრებზე გადმოვა, ქალაქებს დაგვიბომბავს, ფეხქვეშ გათელავს ჩვენს ღირსებას და თავისუფლების პრინციპებს. ჩვენ მხოლოდ ამ ხალხს დავეუპირისპირდებით და გავეუძალიანდებით.” (მ.ს. 01.09. 2008 )

შემდეგ მაგალითში (5) მუქარა იმპლიციტურად და მეტაფორულად არის გამოხატული, რომ დახმარების გაწვდილი ხელი საჭიროების შემთხვევაში ძლიერ და ეფექტურ მუშტად შეიძლება იქცეს:

(5) The "offered hand" is a reluctant fist; but once made, strong, and can be used with great effect. (G.W.H.B 20.01.1989)

მე-6 მაგალითში პრეზიდენტი ობამა მიმართავს ლიდერებს მსოფლიო მასშტაბით, რომლებიც ცდილობენ დათესონ კონფლიქტი მათი საზოგადოების უკეთურობის გადაბრალეების გზით დასავლეთზე. იგი აცხადებს, რომ ამისათვის

ისინი საკუთარი საზოგადოების მიერ გასამართლდებიან. გამონათქვამის იმპლიკაცია ნამდვილად არის მუქარა მისი მხიდან, თუმცა არა გაცხადებული, არამედ ფარული:

(6) To those leaders around the globe who seek to sow conflict, or blame their society's ills on the West - know that your people will judge you on what you can build, not what you destroy. (B.O. 20.01.2009)

მე-7 მაგალითში პრეზიდენტი ობამა უფრო ღიად გამოხატავს მუქარას იმ ადამიანების მიმართ, რომელნიც ტერორს აღვივებენ და უდანაშაულო ხალხს ხოცავენ. პრეზიდენტი აღნიშნავს, რომ ამერიკის სული, რომელიც მათზე უფრო მტკიცე და გაუტეხელია, დაამარცხებს მათ:

(7) We will not apologize for our way of life, nor will we waver in its defense, and for those who seek to advance their aims by inducing terror and slaughtering innocents, we say to you now that our spirit is stronger and cannot be broken; you cannot outlast us, and we will defeat you. (B.O. 20.01.2009)

როგორც უკვე აღვნიშნე, ხშირად კომისიები პრეზიდენტთა გამოსვლებში იმპლიციტურად არის გადმოცემული. მაგალითად ისევე, როგორც მუქარის დაპირების გამომხატველი კომისივი შესაძლებელია არ იყოს გადმოცემული ზმნით "გპირდებით," არამედ სხვადასხვა ზმნების მეშვეობით, რომელთაც სხვადასხვა დენოტაციური მნიშვნელობა გააჩნიათ, თუმცა კონტექსტში გარკვეულწილად დაპირების მნიშვნელობას იძენენ, რასაც გარკვეულწილად განაპირობებს ასევე მომავალი დროის გამომხატველი გრამატიკული ფორმები. პრეზიდენტთა გამოსვლებში საზგასმა პერფორმატივზე "გპირდებით" ძალიან იშვითია, მხოლოდ ძალზე ემოციურ გამოსვლებში ხდება უშუალოდ აღნიშნული პერფორმატივის გამოყენება, როგორადაც გვევლინება შემდეგი მაგალითი, სადაც რწმენით გაჯერებული დაპირებაა გადმოცემული: "მთელი მთავრობის და საკუთარი სახელით გპირდებით, რომ საქართველო გადალახავს ამ რთულ ეკონომიკურ პერიოდს და აუცილებლად დაეუბრუნდება ეკონომიკური ზრდის, კეთილდღეობის ზრდის ძველ მაჩვენებელს" (მ.ს. 01.01.2009)

ვინაიდან კომისიები ძირითადად არის დაპირება მომავალში გარკვეული ქმედებების გატარებისა, ლოგიკურია, რომ, როგორც ამერიკელ, ასევე ქართველ

პრეზიდენტთა გამოსვლებში კომისიის ტიპის სამეტყველო აქტების გამოსახატავად გამოიყენება მომავალი დროის ფორმები.

ქვემოთ მოცემულია მაგალითები პრეზიდენტთა სხვადასხვა ქანრის გამოსვლებიდან, სადაც არ გამოიყენება უშულოდ პერფორმატივი “promise/გპირდები(თ)”, თუმცა აშკარაა, რომ პრეზიდენტები მსმენელს უშუალოდ დაპირებას აძლევენ გარკვეული ქმედებების შესრულების თაობაზე.

კვლევის შედეგად პრეზიდენტთა გამოსვლებში გამოვყავი დაპირების გამომხატველი შემდეგი ტიპის კომისიები:

I) **ჩვენ + ზმნა** (მომავალ ფორმაში)

**We +WILL+VERB**

ქართველ და ამერიკელ პრეზიდენტთა გამოსვლებში დაპირებების გამოხატვისას მნიშვნელოვან როლს თამაშობს პირის დეიქსისი. მრავლობითი რიცხვის პირველი პირის ნაცვალსახელი “ჩვენ” გამოიყენება, როგორც ინკლუზიურად, ასევე ექსკლუზიურად და გარკვეულ კონცეპტუალურ ცვლილებას სძენს გამონათქვამის მნიშვნელობას.

ა) **ინკლუზიური “ჩვენ”/ Inclusive “WE”**

ინკლუზიური “ჩვენ”-ის გამოყენებით ქართველი პრეზიდენტები დანაპირების შესრულების პასუხისმგებლობასა და მოვალეობას ანაწილებენ ერთდროულად ხელისუფლებასა და ხალხზე, რათა ორივემ ერთად განახორციელოს გარკვეული ქმედებები, როგორცაა, მაგალითად საქართველოს შენება სიღარიბის გარეშე, უსაფრთხოების განმტკიცება, ცვლილებების გატარება და სხვ.

- (1) “ჩვენ ავაშენებთ საქართველოს სიღარიბის გარეშე.” (მს 20.01.2008)
- (2) “ჩვენ გავაგრძელებთ ჩვენი უსაფრთხოებისა და ერთიანობის განმტკიცებას ... ჩვენ შევძლებთ ერთად გავიაროთ ამ ცვლილების გზაზე.” (მს 20.01.2008)
- (3) “ერთ დღეში არაფერი არ მოვა, მხოლოდ პრეზიდენტი ვერაფერს ვერ გააკეთებს, მაგრამ ხალხი, ჩვენ ყველა ერთად, ხელდაკაპიწებულნი შევძლებთ, რომ საქართველო დავაყენოთ ფეხზე. თუ ვიმუშავებთ დღე და ღამე, მართლაც მივალწევთ ძალიან სერიოზულ წარმატებას.” (მ.ს. 25.01.2004)

(4) “ჩვენ გაავარძელებთ ჩვენს მშვიდობიან ბრძოლას ჩვენს ქალაქებში, სოფლებში, ქუჩებში. დავდგებით ერთად და ვიტყვით- ძალადობა და იმპერიალიზმი ვერ გაიმარჯვებს!” (მ.ს. 01.09.2008)

ქვემოთ მოცემულ მაგალითებში ამერიკელ პრეზიდენტთა მიერ პირველი პირის მრავლობითი რიცხვის ნაცვალსახელის ინკლუზიური (inclusive) “ჩვენ”/“we” გამოყენება ემსახურება იმ ინტენციას, რომ გაიზარდოს ერთობის სულისკვეთება თითოეულ მსმენელში, აღიძრას მათში ერის ერთობის განცდა, რათა გაიზარდოს მსმენელში სურვილი, თავად გახდეს ამ დანაპირების შესრულების თანამონაწილე.

მე-5 მაგალითში პრეზიდენტი ბუში (უფროსი) ამერიკელ ხალხს ჰპირდება, რომ არჩევანის გაკეთება ერთობლივად მოხდება და რომ მშვიდობას ყველა ერთად დაიცავს:

(5) “We will make the hard choices. . . And then we will do the wisest thing of all: We will turn to the only resource we have that in times of need always grows--the goodness and the courage of the American people.. . We will stay strong to protect the peace ... We will act .. “ (G.W.H.B. 20.01.1989)

პრეზიდენტი კლინტონი კი მე-6 მაგალითში პირობას დებს, რომ ყველა ერთად განახორციელებს ამერიკის დანაპირებს 21-ე საუკუნეში

(6) “We will sustain America's journey ... we will redeem the promise of America in the 21st century ... We will overcome them. And we will replace them with the generous spirit of a people who feel at home with one another.” (B.C. 20.01.1997)

პრეზიდენტი ბუში (უმცროსი) ქვემოთ მოცემულ მაგალითში დებს პირობას, რომ ყველა ერთად ააშენებს დამცავ ზღუდეს გამოწვევების დასაძლევად, რაც ვრცელი კონტექსტიდან კიდევ უკეთ ჩანს:

(7) “Together, we will reclaim America's schools, before ignorance and apathy claim more young lives. ... We will build our defenses beyond challenge...” (G.W.B. 20.01.2005)

ერთობის სულისკვეთების გამოსადვილებლად და გასამტკიცებლად ბარაკ ობამა იძლევა დანაპირებს ხალხთან ერთად გარკვეული ქმედებების შესრულების თაობაზე, ქმედებების, როგორცაა, მაგალითად, ერთობლივად გზებისა და ხიდების მშენებლობა, მეცნიერების აღდგენა, მზის, ქარის და ნიადაგის რესურსის გამოყენება, სკოლების და უნივერსიტეტების გარდაქმნა და სხვა:



(8) “We **will build** the roads and bridges, the electric grids and digital lines that feed our commerce and bind us together. We **will restore** science to its rightful place, and wield technology's wonders to raise health care's quality and lower its cost. **We will harness** the sun and the winds and the soil to fuel our cars and run our factories. And we **will transform** our schools and colleges and universities to meet the demands of a new age. All this we can do. And all this we will do”. (B.O. 20.01.2009)

ბ) ექსკლუზიური “ჩვენი”/ Exclusive “WE”

მოსაუბრის მიერ ექსკლუზიური “ჩვენი”-ის გამოყენების შემთხვევაში ხალხი (მსმენელი) არ არის ქმედების თანამონაწილე, ამ დროს დანაპირების შესრულებაზე პასუხისმგებლობას იღებს პრეზიდენტი, მთავრობის ხელშეწყობის იმედით.

- (1) “ჩვენ მაქსიმალურად ვეცდებით თანაბარი სასტარტო პირობები შევუქმნათ ყველას. .” (ზ.გ. 07.06.1991)
- (2) “ჩვენ უფრო მტკიცე ნაბიჯით გავაგრძელებთ სვლას ნატოსკენ და ევროკავშირისკენ.” (მს 20.01.2008)
- (3) “ჩვენ გავაკეთებთ ყველაფერს, რომ ეს პროცესი წარმატებით დასრულდეს.” (მს 20.01.2008)
- (4) “ჩვენ გავაფორმებთ ორმხრივ ხელშეკრულებას საქართველოსა და ამერიკის შეერთებულ შტატებს შორის სტრატეგიული მოკავშირეობის შესახებ.” (მს 01.01.2009)
- (5) “ჩვენ გავაგრძელებთ ძველი კონფლიქტის შედეგად დარჩენილი დენილების ახალი საცხოვრისით უზრუნველყოფის პროგრამას.” (მს 01.01.2009)

ქვემოთ მოცემულ მაგალითებში დაპირებები, რასაც ამერიკელი პრეზიდენტები აძლევენ მსმენელს, გაჯერებულია ასევე მათი ღრმა რწმენით, რომ ისინი ქვეყნის მთავრობასთან ერთად შეძლებენ მიცემული დანაპირების შესრულებას. აღნიშნული ინტენციის გადმოსაცემად პრეზიდენტები მიმართავენ ასევე ექსკლუზიური ნაცვალსახელის “we/ჩვენ” გამოყენებას, რითაც პრეზიდენტები დაპირების შესრულებაზე პასუხისმგებლობას საკუთარ თავთან ერთად მთავრობასაც აკისრებენ, თუმცა არა მსმენელს:

პრეზიდენტი ობამა ექსკლუზიური ნაცვალსახელის გამოყენებით პასუხისმგებლობას დანაპირების შესახებ, რასაც იგი ხალხს აძლევს, იღებს საკუთარ თავზე და მთავრობაზე. იგი ჰპირდება მოსახლეობას, რომ მოხდება ერაყიდან ჯარების გაყვანა, ხოლო ქვეყნის შიდა პრობლემების მოსაგვარებლად იძლევა დაპირებას, რომ მოხდება სოციალური უსაფრთხოების და სამედიცინო სფეროს რეფორმირება ისევე, როგორც გადასახადების შემცირება:

(6) “We will begin to responsibly leave Iraq to its people and forge a hard-earned peace in Afghanistan. With old friends and former foes, we will work tirelessly to lessen the nuclear threat, and roll back the specter of a warming planet.” (B.O. 20.01.2009)

(7) “We will reform Social Security and Medicare, sparing our children from struggles we have the power to prevent. And we will reduce taxes, to recover the momentum of our economy and reward the effort and enterprise of working Americans.” (B.O. 20.01.2009)

პრეზიდენტ ბუში უფროსის განცხადების იმპლიკაცია მე-8 მაგალითში შემდეგია: პრეზიდენტი, თეთრი სახლი და მთავრობის კაბინეტის სააგენტოები ერთობლივად იმუშავებენ დანაპირების შესრულებაზე:

(8) “We will work hand in hand, encouraging, sometimes leading, sometimes being led, rewarding. We will work on this in the White House, in the Cabinet agencies. We will stay strong to protect the peace.. . We will always try to speak clearly. . . we will continue the new closeness with the Soviet Union... “ (G.W.H.B. 20.01.1989)

## **II) ნაცვალსახელი (ჩვენ) + ზმნა (მომავალ უარყოფით ფორმაში)**

### **WE+WILL+ NOT+VERB**

პრეზიდენტთა გამოსვლებში გვხვდება დაპირების გამომხატველი ფრაზები უარყოფით ფორმაში ანუ დაპირება, რომ რაღაც არ მოხდება, არ განხორციელდება. კომისიების აღნიშნულ ქვეტიპში მრავლობითი რიცხვის პირველი პირის ნაცვალსახელი “ჩვენ/WE” გამოიყენება ძირითადად ინკლუზიური მნიშვნელობით:

### **ინკლუზიური “ჩვენი” / Inclusive “WE”**

(1) “ჩვენ არ შევშინდებით და გავაგრძელებთ ბრძოლას კორუფციის წინააღმდეგ.” (მ.ს. 03.05.2008)

- (2) “ჩვენ არ გადავუხვევთ განვითარების შერჩეულ კურსს, არ დავივიწყებთ თქვენთვის მოცემულ პირობას. . . ჩვენ არ შევაჩერებთ შენებას” (მ.ს. 01.01.2009)
- (3) “ჩვენ არასოდეს არ დაგვითმია და არც დავთმობთ თავისუფლებას.” (მ.ს. 12.08.2008)
- (4) “Those ideals still light the world, and we will not give them up for expedience's sake.” (B.O.20.01.2009)
- (5) “We will not allow it . . . We will not shrink from the challenges, nor fail to seize the opportunities, of this new world.” (G.W.B. 2005)
- (6) “Together with our friends and allies, we will work to shape change, lest it engulf us.”(B.C. 20.01.1993)
- (7) “We will not, succumb to the dark impulses that lurk in the far regions of the soul everywhere. .” (B.C. 20.01.1997)

### III) მე + ზმნა (მომავალ ფორმაში)

#### I + WILL + VERB

მხოლოდითი რიცხვის პირველი პირის ნაცვალსახელის “მე” გამოყენებით ხდება პრეზიდენტების მიერ დაპირების შესრულებაზე პასუხისმგებლობის მხოლოდ საკუთარ თავზე აღება. პრეზიდენტები ქვემოთ მოცემულ მაგალითებში მოქმედებით გვარს მიმართავენ, რითაც აჩვენებენ, რომ პასუხისმგებლობას იღებენ, როგორც სუბიექტური პირები, იმოქმედონ ობიექტზე. პრეზიდენტები იძლევიან ისეთი სახის დაპირებებს, რომელთა შესრულება მათ ხელეწიფებათ, ან გააჩნიათ ნება, უნარი, ძალა, ძალაუფლება:

- (1) “მე პირადად, როგორც პრეზიდენტი და როგორც მოქალაქე ზედმიწევნით დავიცავ კონსტიტუციას.” (ე.შ. 26.11.1995)
- (2) “მე თქვენს წინაშე გავაკეთებ ანგარიშს ჩემი საპრეზიდენტო პროგრამის მიმდინარეობის შესახებ.” (მ.ს. 20.01.2008)
- (3) “მე გავაკეთებ ყველაფერს, რომ შემდეგ პრეზიდენტს დაუტოვო გაერთიანებული საქართველო.” (მ.ს. 20.01.2008)
- (4) “მე პასუხისმგებლობას ვიღებ მის შესრულებაზე.” (მ.ს. 20.01.2008)

ქვემოთ მოცემული განცხადებებით პრეზიდენტები იღებენ ვალდებულებას გარკვეულ ქმედებებზე, როგორცაა მაგალითად, რომ იმუშავენ სამართლიანი ერის ჩამოყალიბებაზე, ისტორიული ღირებულებების დაფასებაზე და სხვ.:

- (5) “I will live and lead by these principles: to advance my convictions with civility, to pursue the public interest with courage, to speak for greater justice and compassion, to call for responsibility and try to live it as well.” (G.W.H.B. 20.01.1989)
- (6) “I will go to the people and the programs that are the brighter points of light, and I will ask every member of my government to become involved.” (G.W.H.B. 20.01.1989)
- (7) “I will work to build a single nation of justice and opportunity. . . I will strive in good faith to heal them.” (G.W.B. 20.01.2001)
- (8) “In all these ways, I will bring the values of our history to the care of our times.” (G.W.B. 20.01.2005)

**IV) არსებითი სახელი + ზმნა (მომავალ დადებით ფორმაში)  
NOUN+WILL+VERB**

მასალის კვლევის შედეგად გამოვყავი აგრეთვე აღნიშნული ქვეტიპი, რასაც კომისიების ქვეტიპად განვიხილავ, თუმცა ასე მარტივად აღნიშნული ტიპის მიკუთვნება კომისიების ტიპის სამეტყველო აქტებისათვის არ არის სწორი და საჭიროებს შემდგომ განმარტებებს. უნდა აღვნიშნო, რომ პრეზიდენტთა გამოსვლებში მოქმედებით და ვნებით გვართან ერთად ინგლისურ და ქართულენოვან გამოსვლებში გამოიყენება საშუალო გვარი, რაც გამიზნულია მოქმედი პირების იმპერსონიფიკაციაზე მოქმედების შემსრულებელი აგენსების არ მითითების გზით. კომისიების ტიპის სამეტყველო აქტების ამ ქვეტიპის ქართულენოვან მაგალითებში, რომლებიც ქვემოთ არის მოცემული, არ ჩანს, თუ ვინ არის დაპირებულის შემსრულებელი სუბიექტი.

- (1) “ახალი კონსტიტუცია ამოქმედდება მეგობრებო!” (ე.შ. 26.11.1995)
- (2) “კორუფციის წინააღმდეგ ბრძოლა გაძლიერდება სპეციალური საპრეზიდენტო პროგრამის საფუძველზე”. (ე.შ. 30.04.2000)

ზემოთ მოცემულ მაგალითებში უცნობია ვინ ამოქმედებს კონსტიტუციას ან ვინ გააძლიერებს ბრძოლას კორუფციის წინააღმდეგ. მაგალითებში არ ჩანს

საერთოდ შემსრულებელი სუბიექტი. შემდეგ მაგალითებშიც იდენტურ სირთულეს ვაწყდებით, რომლის გადაჭრაში უფრო ვრცელი კონტექსტიც არ გვეხმარება.

(3) “აფხაზეთი იქნება საქართველოში ფედერაციის ერთ-ერთი სუბიექტი, ფართო პოლიტიკური სტატუსით. აფხაზეთის რესპუბლიკას ეყოლება თავისი პარლამენტი, უმაღლესი სასამართლო, ექნება თავისი პიონი, გერბი, სხვა სახელმწიფოებრივი ატრიბუტები . (ე.შ. 26.11.1995)

(4) “საშუალო განათლება უფასო იქნება ყველგან - მთაშიც და ბარშიც.” (ე.შ. 30.04.2000)

(5) “ყველა მოქალაქე იქნება თანასწორი კანონის წინაშე, სადაც ყველა მოქალაქეს ექნება თანაბარი შესაძლებლობა, მიაღწიოს წარმატებას და მოახდინოს თავის საშუალებათა რეალიზაცია.“ (მ.ს. 20.01.2004)

განვიხილოთ ინგლისური მაგალითები:

(6) “. . . education will be every citizen's most prized possession. Our schools will have the highest standards in the world, igniting the spark of possibility in the eyes of every girl and every boy. And the doors of higher education will be open to all. The knowledge and power of the Information Age will be within reach not just of the few, but of every classroom, every library, every child. Parents and children will have time not only to work, but to read and play together. And the plans they make at their kitchen table will be those of a better home, a better job, the certain chance to go to college ... Our streets will echo again with the laughter of our children, because no one will try to shoot them or sell them drugs anymore. Everyone who can work, will work, with today's permanent under class part of tomorrow's growing middle class. “ (B.C. 20.01.1997)

რა თქმა უნდა, ზემოთ მოყვანილ მაგალითში მოცემული ჩამონათვალი არ შესრულდება თავისით, უმაღლესი განათლების კარი თავისით არ გაიღება ხალხისთვის, ცოდნა და ინფორმაციის ხანის სიძლიერე არ გახდება თავისთავად ხელმისაწვდომი ხალხისათვის, სკოლები თავისით ვერ მიაღწევს უმაღლეს სტანდარტს, ყოველივე ამას სჭირდება ძალისხმევა, ძალისხმევა, ერთი მხრივ, ხალხის მხრიდან და, მეორე მხრივ ხელისუფლების მხრიდან. საშუალი გვარის შერჩევით პრეზიდენტი ბილ კლინტონი ნაწილობრივ, როგორც ქვეყნის პრეზიდენტი, ჰპირდება ხალხს ყოველივე ამის მიღწევას მისი პრეზიდენტობის

პერიოდში, მაგრამ ამავედროულად პიროვნულად პასუხისმგებელი არ ხდება (ანუ არაპირდაპირი გზით დებს პირობას) და სწორედ ამიტომ ირჩევს საშუალო გვარს დანაპირების გამოსახატავად, თუმცა კონტექსტიდან ნათელია, რომ აღნიშნული გამონათქვამები დაპირებას გამოხატავს, დაპირებას, სადაც არ ჩანს, თუ ვინ არის შემსრულებელი. თუმცა, მსგავსი მიუკერძოებელი დაპირებები ხშირად ჰიბრიდული ტიპისაა და ერთდროულად მოიცავს როგორც მოქმედებით, ასევე საშუალო და ვნებით გვარს. განვიხილოთ შემდეგი მაგალითი, რომელშიც პრეზიდენტი კლინტონი დებს პირობას, რომ ხელისუფლებასთან ერთად დადგება თავისუფლების და მშვიდობის დასაცავად და გააგრძელებს ძლიერ დაცვას ტერორის წინააღმდეგ.

(7) “We will stand mighty for peace and freedom, and maintain a strong defense against terror and destruction. [1] Our children will sleep free from the threat of nuclear, chemical or biological weapons. [2] Ports and airports, farms and factories will thrive with trade and innovation and ideas. [3] And the world's greatest democracy will lead a whole world to democracy. [4]” (B.C. 20.01.1997)

პრეზიდენტი ბილ კლინტონი ასევე იძლევა პირობას, რომ ბავშვები გათავისუფლებიან ბირთვული საშიშროებისაგან, ქიმიური ან ბიოლოგიური იარაღისაგან. მე-3 სამეტყველო აქტში კი იგი უკვე საშუალო გვარს ირჩევს და აცხადებს, რომ პორტები და აეროპორტები, ფერმები და ქარხნები განაგრძობენ წარმატებულ ვაჭრობასა და ინოვაციური იდეების განხორციელებას და რომ უძლიერესი დემოკრატია მთელ სამყაროს წარუძღვება დემოკრატიისაკენ, რის პასუხისმგებლობასაც იგი არც საკუთარ თავზე იღებს და არც მის მთავრობას ან ქვეყნის მოსახლეობას აკისრებს, ამ შემთხვევაში ძნელია გაარკვიო, თუ ვინ არის პასუხისმგებელი დაპირების შესრულებაზე. ამავედროულად საინტერესოდ არის გამოყენებული რწმენით გაჯერებული წინასწარმეტყველური ფრაზები პირველ სამეტყველო აქტში, რომლებიც მთელ წინადადებას მტკიცების სახეს სძენს. მსგავს მაგალითებში რთულია პრეზიდენტთა რეალური ინტენციის დადგენა, თუ რა ფუნქციით ხდება, რაზეა გამიზნული მსგავსი ფორმების გამოყენება და რა სახის პერლოკუციური ეფექტის მიღწევა სურს პრეზიდენტს მსმენელზე.

აღნიშნული ტიპის კომისიის სამეტყველო აქტები ზოგჯერ გამყარებულია

სტილისტური ხერხებით, როგორცაა პერსონიფიკაცია და მეტაფორა: პერსონიფიკაცია (განპიროვნება)

(1) “პროგრამა საქართველო სიღარიბის გარეშე დაუყოვნებლივ დაიწყებს განხორციელებას და ზუსტად 50 დღეში გვექნება კონკრეტული შედეგები.” (მ.ს. 25.01.2008)

(2) “Liberty will come to those who love it.” (G.W.B. 20.01.2005)

მაგალითებში პროგრამას და თავისუფლებას ეძლევა ცოცხალი ადამიანისათვის დამახასიათებელი მოქმედებების შესრულების უნარი ანუ ხდება უსულო ობიექტების განპიროვნება.

მეტაფორა

(3) “საქართველო არასოდეს აღარ დაიჩოქებს, წელში გაიმართება და შექმნის ძალიან ლამაზ, წარმატებულ, ერთიან ქვეყანას და საქართველო და მისი მრავალეთნიკური ერი აუცილებლად გაიმარჯვებს დანარჩენ ცივილიზებულ სამყაროსთან - ევროპასთან ერთად.” (მ.ს. 01.09.2008)

მართალია, პრეზიდენტი სააკაშვილი გაცვეთილ მეტაფორებს იყენებს დანაპირების გადმოსაცემად, მაგრამ მეტაფორები: “საქართველო არ დაიჩოქებს” და “წელში გაიმართება”, წინადადებას მეტ გამომხატველობას და ექსპრესიულობას სძენს.

შემდეგ მაგალითში პრეზიდენტი ბუში მეტაფორულად საუბრობს თავისუფლების ცეცხლის შესახებ, რომ იგი მიადწევს და გაანათლებს მსოფლიოს ყველაზე ბნელ კუნჭულებს თავისუფლების მოკაშკაშე ნათელით, რაც იმას ნიშნავს, რომ იმ ქვეყნებში, მსოფლიო მაშტაბით, სადაც ჯერ კიდევ სუფევს ანარქიზმი და ტოტალიტარიზმი, დამყარდება დემოკრატია და თავისუფლება:

(4) “(And one day this untamed) fire of freedom will reach the darkest corners of our world.” (G.W.B. 20.01.2005)

ქართველი პრეზიდენტების გამოსვლებში ვხვდებით **ზმნა/შემასმენელი (მომავალ ფორმაში) + არსებითი სახელი/ ქვემდებარე** ფორმულით გადმოცემულ მიუკერძოებელი სტილის ფრაზებსა და წინადადებებს (ინგლისურენოვან მასალაში მსგავსი ფორმულით გამოხატული ფრაზები არ გვხვდება), სადაც არ ჩანს პირი, ვინც დანაპირებს შეასრულებს. ქვემოთ მოცემული წინადადებები ასევე

წინასწარმეტყველურია, პრეზიდენტებს სჯერათ, რომ გარკვეული მოვლენები განხორციელდება მომავალში, ზოგჯერ ამ რწმენის ასახსნელად გარკვეულ ფაქტებს ან სტატისტიკას იშველიებენ, ზოგჯერ კი ყოველგვარი ახსნა-განმარტების გარეშე აწვდიან მსმენელს საკუთარ მოსაზრებებს, თუ როგორ წარიმართება ქვეყნის ბედი. შესაბამისად, შესაძლოა ქვემოთ მოცემული წინადადებები მივაკუთვნოთ რეპრეზენტაციის ტიპის სამეტყველო აქტებსაც, თუმცა ვფიქრობ, რომ უფრო სწორი იქნება მსგავსი აქტების მიკუთვნება კომისიის ტიპის სამეტყველო აქტებისათვის, ვინაიდან ამ სახის წინადადებებში გადმოცემულია პრეზიდენტთა დაპირებები, რაც განპირობებულია უკეთესი მომავლის უზრუნველყოფის რწმენით. ასევე უნდა აღინიშნოს, რომ მსგავს წინადადებებს ინფორმაციის მიმღები, მსმენელი აღიქვამს, როგორც პრეზიდენტების მიერ მიცემულ პირობას და მათი შესრულება ან არ შესრულება განაპირობებს მსმენელის გარკვეულ დამოკიდებულებას და გრძნობებს პრეზიდენტებისადმი.

- (1) “მოხდება სამაჩაბლოს კონფლიქტის მოწესრიგება” (ზ.გ. 07.06.1991)
- (2) “შემცირდება აუციტაუური მოთხოვნა სამომხმარებლო ბაზარზე და ურთიერთშესაბამისობაში მოვა მოთხოვნა და მიწოდება. (ზ.გ. 07.06.1991)
- (3) ”ამაღლდება საქართველოს როგორც დამოუკიდებელი, სუვერენული, დემოკრატიული ქვეყნის იმიჯი საერთაშორისო ასპარეზზე.” (ე.შ. 26.11.1995)

**V) არსებითი სახელი + ზმნა (მომავალ უარყოფით ფორმაში)**

**NOUN+WILL+NOT + VERB**

ქართველ და ამერიკელ პრეზიდენტთა გამოსვლებში გამოვყავი ასევე აღნიშნული ფორმულით გამოხატული კომისიები, სადაც პრეზიდენტები დებენ პირობას, რომ გარკვეულ მოვლენებს, ქმედებებს არ ექნებათ ადგილი, არ მოხდება:

- (1) “დამოუკიდებლობის აღდგენა არ მოხდება ქართველთათვის ნიშნული ცხოველი სარწმუნოების აღორძინების გარეშე.” (ზ.გ. 07.06.1991)
- (2) “ძლიერი საქართველო არ იქნება ძლიერი სოფლის გარეშე.” (მ.ს. 25.01.2008)
- (3) “50 დღეში იაფი კრედიტი რეალობა იქნება.” (მ.ს. 25.01.2008)



- (4) “America **will not impose** our own style of government on the unwilling.” (G.W.B. 20.01.2005)
- (5) “The United States will not ignore your oppression, or excuse your oppressors.” (G.W.B. 20.01.2005)
- (6) “America **will not pretend** that jailed dissidents prefer their chains, or that women welcome humiliation and servitude, or that any human being aspires to live at the mercy of bullies.” (G.W.B. 20.01.2005)

ამდენად, პრეზიდენტთა გამოსვლებში ვხვდებით ორი ტიპის კომისიებს: გამოსატყულებს პირდაპირ პერფორმატივით, ან არაპირდაპირ პერფორმატივის გარეშე. ისინი ძირითადად ზმნის მომავალი დროის ფორმით გადმოიცემა. კომისიების გადმოსაცემად აგრეთვე გამოიყენება საშუალო გვარი. კომისიებს გამომხატველობას სძენს სტილისტური ხერხების გამოყენება, კერძოდ, მეტაფორები და პერსონიფიკაცია.

### 2.3. დირექტივები

დირექტივების გამოყენება ქართულ პრეზიდენტთა გამოსვლებში შეადგენს 17%, ხოლო ინგლისურენოვან ემპირიულ მასალაში 13% პროცენტს. დირექტივები პრეზიდენტთა გამოსვლებში დომინანტ აქტებად გვევლინებიან და გამოყენების გარკვეული თავისებურებებით გამოირჩევა. (ურთიერთმიმართებას სამეტყველო აქტებს შორის განვიხილავ ჰიბრიდულ აქტებში, სადაც დეტალურად არის განხილული პრეზიდენტთა გამოსვლებში დირექტივების, როგორც დომინანტი აქტების თავისებურებანი). საგულისხმოა, რომ პრეზიდენტთა გამოსვლებში არ გვხვდება დირექტივების ვერბალური აქტები, გამოსატყულები პირდაპირ პერფორმატიული ზმნებით, როგორცაა: ბრძანება (order, command), თხოვნა (request). პრეზიდენტები გამოსვლებში შერბილებულ დირექტივებს მიმართავენ, რომლებსაც უფრო მოწოდებების ფორმა აქვთ.

პრეზიდენტთა გამოსვლებში დირექტივის აქტის გადმოსაცემად ვხვდებით ზმნას ASK (თხოვნა), თუმცა გარკვეულ კონტექსტში იძენს ბრძანების ელემენტებსაც და უკვე გვხვდება, როგორც დირექტივის გამომხატველი პერფორმატიული ზმნა.

განვიხილოთ შემდეგი მაგალითები. პრეზიდენტი ბუში პირველ მაგალითში ამერიკის მოსახლეობას თხოვნივთ მიმართავს, რომ საკუთარი კომფორტის მიღმა

ეძიონ საერთო კეთილდღეობა, იყვნენ არა მარტო მაყურებელი, არამედ პასუხისმგებელი მოქალაქეები, თუმცა თხოვნა კონტექსტში ექსტრალინგვისტურ ფაქტორებთან ერთად აღიქმება, როგორც მოწოდება, რომელშიც ბძანების გარკვეული ელემენტებიც შეიმჩნევა, ვინაიდან მოწოდება მიმართულია შესრულებისაკენ პერლოკუციური შედეგის მიღწევის მიზნით. შედეგი კი ამ კონკრეტულ შემთხვევაში იქნება მოქალაქეების მიერ მომსახურების გაერთიანებების ჩამოყალიბება, რისკენაც პრეზიდენტი მოუწოდებს მოქალაქეებს და ამავდროულად რეპრეზენტაციის მეშვეობით (1 აქტი) ხაზს უსვამს, რომ მოქალაქეების მიერ გაკეთებული საქმე მთავრობის მიერ შესრულებულ საქმეზე არანაკლებ მნიშვნელოვანია:

(1) “(What you do is as important as anything government does.) I ask you to seek a common good beyond your comfort; to defend needed reforms against easy attacks; to serve your nation, beginning with your neighbor. I ask you to be citizens: citizens, not spectators; citizens, not subjects; responsible citizens, building communities of service and a nation of character.” (G.W.B. 20.01.2001)

შემდეგ მაგალითში (2) პრეზიდენტი ახალგაზრდობას არა მხოლოდ სთხოვს, არამედ მოუწოდებს, რომ ირწმუნონ მტკიცებულებებისა, რომელსაც ისინი ხედავენ:

(2) “I ask our youngest citizens to believe the evidence of your eyes.” (G.W.B. 20.01.2005)

ქართულ პრეზიდენტთა გამოსვლებში მართალია იშვიათად, მაგრამ მაინც ვხვდებით მოწოდებას, გამოხატულს უშუალოდ პერფორმატივით “მოგიწოდებთ”:

(3) მე მოეუწოდებ მსოფლიო საზოგადოებას, პირველ რიგში უშიშროების საბჭოს მუდმივი წევრი ქვეყნების ლიდერებს: შეიმუშაონ უშიშროების საბჭოს საგანგებო სხდომაზე მსოფლიოში ტერორიზმის წინააღმდეგ ბრძოლის, აგრესიული სეპარატიზმის და ექსტრემისტული ნაციონალიზმის აღკვეთის ღონისძიებანი (ე.შ. 25.11.1995)

თუმცა პრეზიდენტების მიმართებებში ხშირად ვხვდებით მოწოდების გამომხატველ ფრაზებს, სადაც გამოყენებული არ არის კონკრეტული სამეტყველო აქტის შესაბამისი პერფორმატივი და სამეტყველო აქტი იმპლიციტურად არის გადმოცემული. ქვემოთ მოცემულია სამეტყველო აქტების მაგალითები, რომლებიც მე მივაკუთნებ მოწოდების გამომხატველ არაპირდაპირი დირექტივის ტიპს.

ა) მოწოდების გამომხატველი არაპირდაპირი დირექტივები გამოსატული კონსტრუქციით მო-დი-თ + ზმნა

**LET US + VERB**

განვიხილოთ ზმნა მო-დი-თ:

როგორც ცნობილია, ქართულ ენაში ზოგიერთ ზმნას უღლებისა და წარმოების საკუთარი წესი აქვს და არ ეთანხმება ამა თუ იმ ჯგუფისათვის ენაში შემუშავებულ ზოგად წესებს, ასეთ ზმნებს თავისებური ზმნები ჰქვია. (შანიძე, 1980) მათ შეიძლება აკლდეს ზმნური კატეგორია, კერძოდ, რომელიმე მწკრივი ან მთელი სერია, ნაკლები მწკრივების შესავსებად კი იყენებენ სხვა ზმნას, ასეთ ზმნებს მწკრივში მონაცვლე ზმნები ჰქვია. შესაბამისად, ზმნა მო-დი-თ - მოდი(თ) < მოვედ(ი) < მო(ვედ) - საწყისი მოსვლა სწორედ ამ ტიპის ზმნებს მიეკუთვნება, ანუ არის მწკრივში მონაცვლე ზმნა, მო-ზმნისწინია, დი-ფუძე, თ - მრავლობითის ნიშანი. მო-დი-თ არის ერთპირიანი გარდაუვალი ზმნა (მოლით თქვენ), II სუბიექტური პირი, მრავლობითი რიცხვი, II სერია, წყვეტილი, დრო მომავალი, კილო წართქმითი ბრძანებითი (სწორედ ამიტომ ზმნა მოლით + ზმნა გამოსატავს არა მხოლოდ მოწოდებას, არამედ ბრძანებასაც), ძნელია იმის თქმა, თუ რომელ გვარს მიეკუთვნება, არის ეს საშუალო თუ ვნებითი, კონტაქტი არ აქვს, ასპექტის გაგებასაც არ იძლევა, არის სრული თუ უსრული, ასევე რთულია ქცევის დადგენა-არის ეს ზმნა საარვისო, სასხვისო თუ სათავისო.

ამდენად, მოწოდების ან ბრძანების გამოსახატავად აუცილებელია, რომ წინადადებაში მოლით იყოს კომბინაციაში სხვა ზმნებთან, რომლებიც იმ ნაკლებ კატეგორიებს შეავსებენ და სრულყოფილად გამოსატავენ მოქმედებებს, ხოლო თავად ზმნა "მოლით" ამ მოქმედებების შესრულებისაკენ მოუწოდებს.

(1) მოლით, შევაჩეროთ ძალადობის სპირალი! (მ.ს. 07.08.2008)

კომბინაცია "მოლით შევაჩეროთ" მოუწოდებს მსმენელს, რომ შესრულდეს "ძალადობის სპირალის" შეჩერების მოქმედება ერთობლივად ადრესატისა და ადრესანტის მიერ. კომბინაციაში "მოლით შევაჩეროთ" მოლით არ წარმოადგენს სრულმნიშვნელოვან ზმნას, ის მეშველი ზმნის ფუნქციას ასრულებს, რომელიც მოუწოდებს მოქმედებისკენ. მოქმედებას კი ზმნა "შევაჩეროთ" გამოსატავს. გავარჩიოთ ზმნა შე- ვ-ა-ჩერ-ო-თ: ზმნა არის მრავლობით რიცხვში, II სერია, II კავშირებითი, დრო მომავალი, კილო კავშირებითი, გვარი მოქმედებითი (შევაჩეროთ

ჩვენ ისინი, სადაც ჩვენ სუბიექტია, ხოლო ისინი - პირდაპირი ობიექტი), საარვისო ქცევა, კონტაქტი უშუალო, ასპექტი სრული. შე- ზმნისწინი, ვ- სუბიექტური I პირის ნიშანი, ა- ქცევის ნიშანი, საარვისო, ჩერ – ძირი, ო- მწკრივის ნიშანი, თ- მრავლობითი რიცხვის ნიშანი.

ზოგჯერ ერთობის სულისკვეთების გამოსაღვიძებლად პრეზიდენტები იყენებენ სიტყვას "ყველა", რათა მოუწოდონ მსმენელს, რომ იგიც უნდა გახდეს მოწოდების ან ბრძანების შესრულების თანამონაწილე.

(1) მოდით ყველამ ერთად მივცეთ მშვიდობასა და დიალოგს შანსი. (მ.ს. 07.08.2008)

(2) მოდით, ყველამ, ვისაც ეს ადგილზე ეხება, ყველაფერი ვიღონოთ იმისათვის, რომ დღეს, ხვალ, ზეგ შეწყდეს ესკალაცია და დაეუბრუნდეთ მოლაპარაკების მაგიდას. (მ.ს. 07.08.2008)

ინგლისურენოვან მასალაში გვხვდება მოწოდების გამომხატველი შემდეგი ტიპის არაპირდაპირი დირექტივები, რომლებიც გამომხატულია ფორმულით **LET US + VERB**. ამავდროულად, **LET US + VERB** არის დეონტიკური მოდალობის გამომხატველი კონსტრუქცია. როგორც ცნობილია, დეონტიკური მოდალობა არის ის ლინგვისტური მოდალობა, რომელიც გამომხატავს, თუ როგორი უნდა იყოს სამყარო გარკვეული ნორმების, მოსაუბრის მოლოდინის ან სურვილის მიხედვით, სხვა სიტყვებით რომ ვთქვათ, დეონტიკური გამონათქვამები აჩვენებს, რომ სამყარო არ შეესაბამება სტანდარტებს ან მოსაუბრის იდეალური სამყაროს ხატს. ამდენად, დეონტიკური მოდალობა გამომხატავს გარკვეულ ქმედებებს, რომელთა შესრულებით შეიცვლება სამყარო, რათა ის ჭეშმარიტების იდეალს დაუახლოვდეს. (Hermeren, 1978; David, 1985. ([http://en.wikipedia.org/wiki/Deontic\\_modality](http://en.wikipedia.org/wiki/Deontic_modality) დეონტიკური დირექტიული მოდალობა))

ამერიკელი პრეზიდენტები შემდეგი ქმედებების შესრულებისაკენ მოუწოდებენ მსმენელს, რათა ქვეყანა მათ წარმოსახვაში არსებულ იდეალურ სამყაროსთან მოვიდეს შესაბამისობაში.

(1) "Let us embrace it... Let us all take more responsibility, not only for ourselves and our families but for our communities and our country." (B.C. 20.01.1993)

პრეზიდენტი კლინტონი მიმართავს ყველას (all), რომ იგრძნონ მეტი პასუხისმგებლობა არამხოლოდ საკუთარი თავისა და ოჯახის წევრების მიმართ

არამედ საზოგადოებისა და ქვეყნის მიმართაც. ასევე, იგი მოუწოდებს, რომ ყველამ ერთად უნდა მოახდინოს პოლიტიკის რეფორმირება:

(2) “Let us resolve to reform our politics, so that power and privilege no longer shout down the voice of the people. Let us put aside personal advantage so that we can feel the pain and see the promise of America. Let us resolve to make our government a place for what Franklin Roosevelt called "bold, persistent experimentation," a government for our tomorrows, not our yesterdays. Let us give this capital back to the people to whom it belongs”. (B.C. 20.01.1993)

შემდეგ მაგალითში (3) პრეზიდენტი კლინტონი მსმენელს მისი წარმოდგენით იდეალურ ამერიკას უხატავს და მოუწოდებს, დეონტიკური მოდალობის მეშვეობით, რომ არ დაივიწყონ დროგამოცდილი სიბრძნე, გამოიჩინონ სიმამაცე და მოთმინება, რათა მათი ქვეყანა - ამერიკა იდეალურ სამყაროსთან შესაბამისობაში მოვიდეს:

(3) “Let us build that America; But let us never forget... Let us remember the timeless wisdom... Let us meet the changes with faith and courage, with patience and a grateful and happy heart. Let us shape the hope of this day into the noblest chapter in our history. Yes, let us build our bridge. Let us go forth.” (B.C. 20.01.1997)

მართალია, როგორც ქართველი, ასევე ამერიკელი პრეზიდენტები გამოსვლებში არ იყენებენ მკაცრ დირექტივებს და ძირითადად შერბილებულ ან შეფარვით დირექტივებს მიმართავენ. შემდეგი მაგალითები არაპირდაპირი დირექტივის ტიპის სამეტყველო აქტებია, სადაც გამოყენებულია ძლიერი ვალდებულების გამომხატველი მოდალური ზმნა “must“/ “უნდა”.

**ბ) არაპირდაპირი დირექტივები გამოხატული მოდალური ზმნით “must”; “უნდა”**

განვიხილოთ ზმნა უნდა: როგორც ცნობილია ქართულ ენაში მოიპოვება რამდენიმე ზმნა, რომელთა ფორმები ძველად ერთი მწკრივის ფორმებად იყო გაგებული, დღეს კიდევ სხვა მწკრივის ზმნებია: მინდა – გინდა – უნდა. მინდა – ფორმა ჯერ უწყვეტლის გაგებით გამოიყენებოდა, თუმცა მნიშვნელობა თანდათან შეიცვალა, წარსული დროის გაგება დაკარგა და ახალი შეიძინა. დღევანდელი გაგებით ზმნა უნდა-ა გრძნობა-აღქმის ზმნაა, გარდაუვალი, ინვერსიული, აწმყო დრო, I სერია, ორ- პირიანი (უნდა მას (სუბიექტი) ის (ობიექტი)). კილო თხრობითი.

უ – სასხვისო ქცევის ნიშანი, ნ (დ) – ძირი, ა – III სუბიექტური პირის ნიშანი. ზმნა “უნდა” ყოველთვის სრულმნიშვნელოვან ზმნასთან კომბინაციაში გამოიყენება. ზმნა უნდა გამოხატავს სურვილს/ დამოკიდებულებას სრულმნიშვნელოვანი ზმნის მიმართ, შესაბამისად, განყენებულად ზმნა “უნდა” არ გამოიყენება. ზოგიერთ შემთხვევაში “უნდა” მხოლოდ ნაწილაკია და იხმარება ზმნასთან და ნიშნავს აუცილებლობას, შესაძლებლობას, საჭიროებას. (ჩიქობავა, 1985) ქართველ პრეზიდენტთა გამოსვლებში არაპირდაპირი დირექტიული აქტები გადმოიცემა სწორედ “უნდა” ნაწილაკის კომბინაციით ზმნასთან, სადაც ის საჭიროებას და აუცილებლობას გამოხატავს.

პრეზიდენტთა გამოსვლებში გვხვდება ფრაზები ”ჩვენ უნდა გავაკეთოდ” ან “უნდა გააკეთდეს, უნდა ითქვას, უნდა აღმოიფხვრას” და ა.შ, რაც თავისთავად არის არაპირდაპირი დირექტივის აქტები, თუმცა ამავდროულად ამ ფრაზების უკან დგას მეტყველი სუბიექტის დამოკიდებულება თქმულის მიმართ, რომ ის ხალხს მოუწოდებს თავისი იდეების განხორციელებისაკენ არა მათგან დამოუკიდებლად, არამედ მათთან ერთად, მათი დახმარებით. ზოგჯერ ვხვდებით ისეთი ტიპის დირექტივებს, რასაც მსმენელი აუდიტორია ვერ შეასრულებს, ვინაიდან ამის უფლებამოსილება და ძალა არ გააჩნია, შესაძლო სურვილის ქონის შემთხვევაშიც კი. სხვა აქტების მსგავსად, დირექტივის ტიპის სამეტყველო აქტების განხილვისას ასევე მნიშვნელოვანია პირის დეიქსისზე დაკვირვება, კონკრეტულად კი პირველი პირის მრავლობითი რიცხვის ნაცვალსახელის ინკლუზიურ და ექსკლუზიურ გამოყენებაზე, რაც დამატებით კონოტაციებს მატებს წინადადებებს.

კვლევის შედეგად გამოვყავი დირექტიული სამეტყველო აქტების შემდეგი ქვეტიპები, სადაც გამოყენებულია “უნდა”/“must” შემდეგი ფორმულები:

**I) ნაცვალსახელი (ჩვენ) + (არ) უნდა + ზმნა;**

**WE+MUST (+NOT) +VERB**

**ექსკლუზიური ჩვენ/ WE**

ქვემოთ მოცემული მაგალითების კონტექსტიდან ვხვდებით, რომ პრეზიდენტები დირექტივებით მთავრობას და არა ხალხს მიმართავენ. ისინი მთავრობას სთხოვენ ისეთი ქმედებების განხორციელებას, რომელიც სასიკეთო

იქნება ხალხისა და ქვეყნისათვის. ეს ქმედებებია: სოციალური დაცვის პოლიტიკის დახვეწა, სოფლის კეთილდღეობის გაზრდა და სხვ.:

- (1) “ჩვენ დაუყოვნებლივ უნდა ავამოქმედოთ იაფი კრედიტი”. (მ.ს. 20.01.2008)
- (2) “ჩვენ უნდა გავზარდოთ ჩვენი სოფლის კეთილდღეობა”. (მ.ს. 20.01.2008)
- (3) “ჩვენ უნდა დაგხვეწოთ სოციალური დაცვის პოლიტიკა და უნდა შევქმნათ ისეთი მექანიზმები, რომ დახმარება მიიღოს მან, ვისაც ეს ყველაზე მეტად სჭირდება”. (მ.ს. 20.01.2008)

ამერიკელი პრეზიდენტებიც გასცემენ მთავრობაზე მოთხოვნებს, რაც უნდა შესრულდეს. ბრძანებები, რომელთა შესრულებასაც პრეზიდენტები მოითხოვენ, სხვადასხვაგვარია: შიდა და გარე გამოწვევების დაძლევა, სიმამაცის გამოჩენა, ფედერალური ბიუჯეტის დაბალანსება, უზრუნველყოფა იმისა, რომ ამერიკა მსოფლიოს წინაშე წარმოჩინდეს, როგორც გაერთიანებული, ძლიერი, მშვიდობიანი და ფინანსურად მყარი, და სხვ.:

- (1) “We must meet challenges abroad as well at home . . . We must provide for our nation the way a family provides for its children.” (B.C. 20.01.1997)
- (2) “We must show courage in a time of blessing by confronting problems instead of passing them on to future generations. “ (G.W.B. 20.01.2001)
- (3) “We must do more; we must support the Iraqi government; we must defeat alQaeda”. (G.W.B 20.01.2005)
- (4) “We must bring the Federal budget into balance. And we must ensure that America stands before the world united, strong, at peace, and fiscally sound. But, of course, things may be difficult. We need compromise; we have had dissension. We need harmony; we have had a chorus of discordant voices.” (G.W.H.B. 20.01.1989)

მე-5 მაგალითში გადმოცემულია ბილ კლინტონის მოსაზრება, რა უნდა გააკეთოს ამერიკის მთავრობამ, რათა მოხდეს ამერიკის განახლება. იგი ექსკლუზიურ “we” იყენებს იმისათვის, რომ მოუწოდოს ამერიკის მთავრობას, რომ ისინი უნდა იყვნენ მამაცნი, მეტი ინვესტიცია უნდა ჩადონ ხალხში და მათ დასაქმებაში, და ისე უნდა იზრუნონ ერზე, როგორც ოჯახი ზრუნავს საკუთარ შვილებზე.

- (5) “To renew America, we must be bold. We must do what no generation has had to do before. We must invest more in our own people, in their jobs, in their future, and at the

same time cut our massive debt. And we must do so in a world in which we must compete for every opportunity. It will not be easy; it will require sacrifice. But it can be done, and done fairly, not choosing sacrifice for its own sake, but for our own sake. We must provide for our nation the way a family provides for its children.” (B.C. 20.01.1993)

### **ინკლუზიური ჩვენ/ WE**

პრეზიდენტთა გამოსვლებში მრავლად ვხვდებით არაპირდაპირ დირექტივებს, გამოხატულს ძლიერი ვალდებულების მოდალური ზმნით უნდა/must, რომელიც ინკლუზიურ ნაცვალსახელთან ჩვენ/WE არის კოლოკაციაში, რისი მეშვეობითაც ბრძანებები არამხოლოდ მთავრობაზეა მიმართული გარკვეული ქმედებების შესასრულებლად, არამედ სრულიად მსმენელის მიმართ, რათა ისინიც გაერთიანდნენ პრეზიდენტთან და მთავრობასთან ამ აქტივობების შესასრულებლად.

- (1) “ჩვენ ყველამ უნდა ავიღოთ გეზი ასეთი საქართველოსაკენ”. (მ.ს. 03.12.2010.)
- (2) “ჩვენ უნდა შევქმნათ ძლიერი არმია. . . ჩვენ უნდა ავალორძინოთ ქართული მხედრული სული, რომელმაც გაგვაძლებინა საუკუნეების განმავლობაში. ჩვენ უნდა ავალორძინოთ ამ სფეროში დავით აღმაშენებლის, გიორგი ბრწყინვალეს ტრადიციები, ჩვენი გმირების – სამასი არაგველის და ბევრი სხვა გმირის, დიდგორის გმირების ტრადიციები.” (მ.ს. 25.01.2004)
- (3) “ჩვენ უნდა ვისწავლოთ ყველა ჭკვიანური რჩევის გაზიარება, მაგრამ უნდა ვისწავლოთ პასუხისმგებლობის აღება საკუთარ თავზე. ჩვენ ნაცვლად გადაწყვეტილებას ვერავინ ვერ მიიღებს.” (მ.ს. 01.10.2010)
- (4) “ჩვენ ძალიან მობილური მთავრობა ვართ და ჩვენ ამ ტემპით უნდა გავაგრძელოთ მუშაობა.” (მ.ს. 01.10.2010)
- (5) “რა თქმა უნდა, ჩვენ უნდა გავიზიაროთ ყველა სხვა ქვეყნის დადებითი გამოცდილება და ყველა სხვა ქვეყნის შეცდომაც.” (მ.ს. 01.10.2010)

პრეზიდენტი ბუში ხალხს მოუწოდებს, რომ ყველა ერთად შეუდგეს ამერიკის ხელახალ მშენებლობას, ვინიდან სამყაროს ცვლილებასთან ერთად საჭიროა ხალხიც შეიცვალოს:



(6) “Starting today, we must pick ourselves up, dust ourselves off, and begin again the work of remaking America... For the world has changed, and we must change with it.”

(B.O. 20.01.2009)

(7) “Americans are called to enact this promise in our lives and in our laws. And though our nation has sometimes halted, and sometimes delayed, we must follow no other course... We must live up to the calling we share”. (G.W.B.20.01.2001)

მე-8 მაგალითში ბილ კლინტონი ინკლუზიური ნაცვალსახელის “we” გამოყენებით მოუწოდებს ერს, რომ ამერიკის განახლების მიზნით ყველამ ერთად უნდა გამოაცოცხლოს დემოკრატია.

(8) “We must do what America does best: To renew America, we must revitalize our democracy.” (B.C. 20.01.1993)

შემდეგ მაგალითებში პრეზიდენტი ბუში (უფროსი) მოუწოდებს საზოგადოებას გაერთიანებისაკენ და მიუთითებს, რომ მათ ყველამ ერთად უნდა გამოუცხადონ არატოლერანტობა ნარკოტიკებს და ასწავლონ შვილებს, თუ რას ნიშნავს იყო ერთგული მეგობარი, მზრუნველი მშობელი და მოქალაქე:

(9) “There are few clear areas in which we as a society must rise up united and express our intolerance. The most obvious now is drugs..” (G.W.H.B. 20.01.1989)

(10) “My friends, we are not the sum of our possessions. They are not the measure of our lives. In our hearts we know what matters. We cannot hope only to leave our children a bigger car, a bigger bank account. We must hope to give them a sense of what it means to be a loyal friend, a loving parent, a citizen who leaves his home, his neighborhood and town better than he found it.” (G.W.H.B. 20.01.1989)

## **II) თქვენ + უნდა + ზმნა**

### **YOU + MUST + VERB**

უფრო კატეგორიულია აღნიშნული ტიპის დირექტივა, რომელიც გამოხატულია ასევე მოდალური ზმნა must-ის გამოყენებით, თუმცა აღნიშნულ ტიპს კატეგორიულობას სძენს ნაცვალსახელი თქვენ – you, რაც პირდაპირ გადასცემს მსმენელს პრეზიდენტთა მოთხოვნებს, რომ მათ არა ერთობლივად, არამედ მსმენელმა თავად უნდა შეასრულოს აღნიშნული დირექტივა. თუმცა, როგორც

მაგალითში ჩანს, პრეზიდენტი ბილ კლინტონი ამატებს სიტყვას “too,” რაც არბილებს გაცემულ ბრძანებას.

- (1) “My fellow Americans, you, too, must play your part in our renewal”. (B.C. 20.01.1995)
- (2) “პროექტები თქვენ უკვე გადმოგეცათ. ეს არის ძალიან ღამაში პროექტები, რომელთა მიხედვით, ჩვენი შავი ზღვისპირეთის ულამაზესი ახალი, პატარა უბანი და რაიონი შენდება. ახლა თქვენ უნდა შეუდგეთ საქმეს.” (მ.ს. 13.11.2010)

### III) არსებითი + უნდა + ზმნა (მომავალ ფორმაში);

#### **Noun +MUST +VERB**

პრეზიდენტთა გამოსვლებში ზოგჯერ დირექტივები მიუკერძოებელი სტილით არის გადმოცემული, კერძოდ, არ ჩანს დირექტივის ობიექტი, თუ ვინ უნდა შეასრულოს გაცემული დირექტივა. პრეზიდენტები უბრალოდ გასცემენ ბრძანებებს გარკვეული მოქმედებების განსახორციელებლად მათი მიზნებისა და მოტივების გათვალისწინებით, ვინაიდან ეს გარკვეული მოქმედებები მათ მიანჩნიათ სწორ ნაბიჯებად, რომელიც უნდა განხორციელდეს იმისათვის, რომ მოხდეს მათ მიერ დანახულ ჭეშმარიტად სწორ სამყაროსთან დაახლოება.

- (1) “შენება და წინსვლა უნდა გაგრძელდეს”. (მ.ს. 20.01.2008)
- (2) “განახლება უნდა გაგრძელდეს, ცვლილებებმა ახალი განზომილება უნდა მიიღოს”. (მ.ს. 20.01.2008)
- (3) “სახელმწიფო მოწივობას საფუძვლად უნდა დაედოს მმართველობის და თვითმმართველობის ისეთი პოლიტიკური პრინციპები, რომლებიც გამორიცხავენ სახელმწიფოსა და მისი შემადგენელი ნაწილების დაპირისპირებას.” (ზ.გ. 07.06.1991)
- (4) “რეფორმათა გატარებამ უნდა უზრუნველყოს სამართლებრივი სახელმწიფოს აშენება.” (ზ.გ. 07.06.1991)

ზოგჯერ ხდება სახელმწიფოს ან ქვეყნის, როგორც ცოცხალი ორგანიზმის წარმოჩენა, რომელიც გარკვეულ ქმედებებს განახორციელებს, ანუ ხდება სახელმწიფოს განპიროვნება/ პერსონიფიკაცია.

- (1) “სახელმწიფომ უნდა დაიცვას საეკლესიო ქონება”. (ზ.გ. 07.06.1991)

- (2) “სახელმწიფომ უნდა უზრუნველყოს ეკლესიის უფლება იყოს საერთო ცხოვრების აქტიური მონაწილე.” (ზ.გ. 07.06.1991)
- (3) “სახელმწიფომ უნდა უზრუნველყოს, რათა ეკლესიამ მიიღოს საჭირო მატერიალური დახმარება.” (ზ.გ. 07.06.1991)
- (4) “თავისუფლების სიკეთე ყველამ უნდა იგრძნოს”. (მ.ს. 20.01.2008)
- (5) “America must play its role in ushering in a new era of peace.” (b.O. 20.01.2009)
- (6) ”Clearly America must continue to lead the world we did so much to make.(B.C. 20.01.1993)
- (7) ”Great nations like great men must keep their word. (G.W.H.B. 20.01.1989)
- (8) “And our country must abandon all the habits of racism”. (G.W.B.20.01.2005)

### უნდა + ზმნა

ქართველ პრეზიდენტთა გამოსვლებში გვხვდება აგრეთვე ფორმულით “უნდა + ზმნა” გამოხატული დირექტივები, სადაც არ ჩანს, თუ ვისკენ არის მიმართული დირექტივები, ვისზეა გათვლილი ბრძანების პერლოკუციური შედეგი, ვინ არის გაცემული ბრძანების შემსრულებელი სუბიექტი. განვიხილოთ შემდეგი ორი მაგალითი, სადაც ზმნა “უნდა” გხვდება კომბინაციაში ზმნასთან “აღდგეს”- “უნდა აღდგეს”. “უნდა” გამოხატავს სურვილს, რომ სასურველია აღდგეს ტრადიციული ურთიერთობა ან საეკლესიო საკუთრება მიწაზე, თუმცა ფრაზიდან არ ჩანს, ვინ შეასრულებს მოქმედებას, ვინაიდან ზმნა “აღდგეს” ერთპირიანია (აღდგეს ის), არის მხოლოდით რიცხვში, II სერია, II კავშირებითი, არის მომავლის ფორმაში, კილო კავშირებითი, ასპექტი სრული, გვარი ვნებითია, ქცევის გაგებას არ იძლევა.

- (1) “უნდა აღდგეს ტრადიციული ურთიერთობა აფხაზთა და ქართველთა შორის” (ზ.გ. 07.06.1991)
  - (2) “უნდა აღდგეს საეკლესიო საკუთრება მიწაზე. ” (ზ.გ. 07.06.1991)
- პრეზიდენტთა გამოსვლებში ვხვდებით მსგავს სხვა მაგალითებსაც:
- (3) “უნდა ჩატარდეს საქართველოს ეროვნული სიმდიდრის ინვენტარიზაცია.” (ზ.გ. 07.06.1991)
  - (4) “უნდა გატარდეს შეღავათიანი დაბეგვრის პოლიტიკა. ” (ზ.გ. 07.06.1991)

(5) “უნდა გატარდეს ბიუჯეტის დეფიციტის აღმოფხვრის მკაცრი ზომები და კრედიტის შეზღუდვა, თავისუფალ ფასებზე გადასვლა და საზღვარგარეთული ინვესტიციების მოზიდვა.” (ზ.გ. 07.06.1991)

ცალკე ჯგუფად უნდა გამოიყოს ემოციურად დატვირთული დირექტივები, რომელთაც პრეზიდენტთა გამოსვლები სრულდება. ესენია **პრეზიდენტთა გამოსვლების დამამთავრებელი ფრაზები**, რაც პრეზიდენტთა სიტყვის სხვადასხვა უანრის დამახასიათებელი და აუცილებელი ელემენტია. დამამთავრებელი ფრაზები ძირითადად **ლოცვა-კურთხევის ფორმულებით** არის წარმოდგენილი, სადაც გამოყენებულია ძლიერი ილოკუციური ძალის სიტყვები, როგორცაა: დალოცვა, გამარჯვება, მფარველობა. მაგ.: “ღმერთი იყოს ჩვენი და ჩვენი სამშობლოს მფარველი!” (მს 25.01. 2004); “God bless you all, and God bless America” (G.W.B 11.09.2001); *(იხილეთ I თავის 1.2. ქვე-თავი ემოციური ფუნქცია გვ. 33-34 , სადაც მაგალითები დეტალურად არის განხილული)* აღსანიშნავია, რომ მსგავსი ფორმულების გამოყენებაში ასევე ვლინდება პრეზიდენტების განწყობა და სულისკვეთება.

პრეზიდენტები აღნიშნული დირექტივებით ღმერთს ავედრებენ, შესთხოვენ საკუთარი ქვეყნის კეთილდღეობას. თავისი არსით ზემოთ მოცემული ლოცვა-კურთხევის ფრაზები არის დირექტივები. თუმცა, ფრაზები ძალზე ემოციური და ექსპრესიულია, შესაბამისად, გარკვეულწილად ექსპრესიების სამეტყველო აქტების მაგალითებადაც შეიძლება მათი განხილვა. შესაძლებელია აღნიშნული ემოციური დირექტივები განვიხილოთ, ასევე როგორც დეკლარაციის სამეტყველო აქტის ტიპის მაგალითები, იმ შემთხვევაში, თუ გავითვალისწინებთ, რომ აღნიშნული ფრაზები წარმოდგენს წარსულის გადმონაშს, ხოლო თანამედროვე ცხოვრებაში პრეზიდენტები მეფეებს უტოლდებიან, მეფეებს, რომელნიც ღმერთის რჩეულები და მათი წარმომადგენლები იყვნენ ქვეყანაზე, შესაბამისად, მათ გააჩნდათ ფარული ღვთიური ძალა (ისევე როგორც უფლებამოსილება) სიტყვით მოეხდინათ სასწაული ანუ სიტყვის ძალის მეშვეობით, მხოლოდ და მხოლოდ სიტყვის წარმოთქმის გზით დაელოცათ ქვეყანა.

## 2.4. ექსპრესივები

როგორც უკვე აღვნიშნე, ექსპრესიული აქტები გამოხატავს მოსაუბრის გარკვეულ ფსიქოლოგიურ მდგომარეობას, დამოკიდებულებას და განწყობას. გამოიყოფა ორი ტიპის ექსპრესივი: **მორალური დამოკიდებულების და ემოციური დამოკიდებულების გამომხატველი ექსპრესიული აქტები.**

მორალური დამოკიდებულების გამომხატველი აქტები მოიცავს შემდეგ ვერბალურ აქტებს: პატიება / მიტევება (apologise / forgive); მოწონება / დაწუნება (approve / disapprove); დაფასება (appreciate); სინანული (regret); ინდიფერენტულობა (be indifferent).

სოლო ემოციური დამოკიდებულების გამომხატველი აქტები მოიცავს შემდეგ ვერბალურ აქტებს: ინტერესის ქონა/ არქონა (interest - lack of interest); გაოცება (surprise); იმედის ქონა/ იმედია გაცრუება (hope/ disappointment); შიში ან მღელვარება (fear or worry); უპირატესობის მინიჭება (preference); მადლიერება (gratitude); თანაგრძნობა (sympathy); განზრახვა (intention); სურვილის ქონა (want or desire)

საპრეზიდენტო გამოსვლებში გვხვდება ორივე 1) **მორალური დამოკიდებულების და 2) ემოციური დამოკიდებულების გამომხატველი ექსპრესიული აქტები.**

1) **მორალური დამოკიდებულების გამომხატველი ექსპრესიული აქტები, გამოხატული მისაღმების თავაზიანი ფრაზებით**

მინდა აღვნიშნო, რომ მისაღმების გამომხატველ აქტებს ჰქონი სოციოლიზაციის (socializing) ფუნქციის ქვეშ აქცევს და მას უსადაგებს დირექტივის სამეტყველო აქტს, თუმცა არ არის დარწმუნებული მის სწორ მიკუთვნებაში, ვინაიდან ფუნქციის ეკვივალენტური სამეტყველო აქტის გასწვრივ იგი კითხვის ნიშნით წარმოადგენს დირექტიულ სამეტყველო აქტს (Hatch, 1992:131). ჩემი აზრით, მისაღმების გამომხატველი ფრაზები უდავოდ შედის ექსპრესიულ სამეტყველო აქტებში, კონკრეტულად კი მორალურ ექსპრესიულ აქტებში, ვინაიდან მისაღმების გამომხატველი ფრაზები მოსაუბრის განწყობილებას გამოხატავს მსმენელის მიმართ. მართალია, აღნიშნული ფრაზები წარმოადგენენ ფატიკური კომუნიკაციის ელემენტს, მაგრამ მისაღმების ფრაზები მოსაუბრის მორალური პასუხისმგებლობის

გრძნობიდან გამომდინარეობს, რომ მიესალმოს, გამოხატოს დამსწრე საზოგადოებისადმი, ან მსმენელისადმი მისი აღფრთოვანება ან დადებითი დამოკიდებულება. ილოკუციური აქტი ამ შემთხვევაში არის ის, რომ მოსაუბრეს სურს მიესალმოს მსმენელს, აგრძნობინოს, რომ მასთან პირდაპირი ან ვირტუალური შეხვედრა უხარია, პერლოკუციური ეფექტი კი მსმენელში დადებითი დამოკიდებულების საპასუხო დადებითი რეაქციის აღძვრაა.

მისაღმება პრეზიდენტთა ნებისმიერ სიტყვაში აუცილებელ ელემენტს წარმოადგენს. მისაღმება ზოგჯერ გამოიხატება სამეტყველო აქტის ზმნით (პერფორმატივით) ექსპლიციტურად ზოგჯერ კი მისაღმება იმპლიციტურად, ყოველგვარი პერფორმატიული ზმნის გამოყენების გარეშე ხდება.

**1. ა. პირდაპირი (ექპლიციტური) ექსპრესიული მორალური სამეტყველო აქტები, გამოხატული პერფორმატივით “მოგესალმებით” ; “salute”; “welcome”.**

ამერიკელ პრეზიდენტთა გამოსვლებში ვხვდებით მისაღმების გამომხატველ ორ პერფორმატიულ ზმნას “salute” და “welcome”, რომლებიც შემდეგი ფორმულით გადმოიცემა I/WE SALUTE/WELCOME + OBJECT

(1) ” On behalf of our nation, I salute my predecessor, President Bush, for his half-century of service to America” (B.C.)

(2) “ I want to welcome you.” (G.W. B .04.06.2007).

ხოლო ქართულენოვან გამოსვლებში ვხვდებით მისაღმების გამომხატველ შემდეგ ფორმებს:

ა) **სიტყვა-წინადადება**, რომელიც კონსტრუქციულად სუბიექტურ პრედიკატიული ტიპისაა (თუმცა ეს მხოლოდ და მხოლოდ ქართულენოვან მიმართებებში გვხვდება, ვინაიდან ცნობილია, რომ ინგლისურ ენაში მოქმედი და მოქმედება აუცილებლად ორი სიტყვაფორმით გამოიხატება).

მო-გ-ე-საღმ-ებ-ი-თ! (მ.ს. 01.01.2009) (სადაც “მო” არის ზმნისწინი, “გ”- ირიბ ობიექტური პირის ნიშანი, “ე”- ვნებითი გვარის ნიშანი, “საღმ”- ძირი, “ებ”- თემის ნიშანი, “ი”- მწკრივის ნიშანი I სერია, მყოფადი, “თ”- მრავლობითის ნიშანი.

ბ) **ზმნა (ვე-საღმ-ებ-ი) + ობიექტი**, (სადაც “ვე”- პირველი სუბიექტური პირის ნიშანია, “ე”- ვნებითი გვარის ნიშანი, “საღმ” – ძირი

(მომდინარეობს აზიური წარმოშობის სიტყვიდან – “სალამ”), “ებ” - თემის ნიშანი, “ი” - მწკრივის ნიშანი I სერია, მყოფადი.)

- (1) “ვესალმები მთელს საქართველოს, ვესალმები აფხაზეთს, ოსეთს, კახეთს, ქართლს, ქვემო ქართლს, სამცხეს, ჯავახეთს, აჭარას, გურიას, იმერეთს, სამეგრელოს, სვანეთს, რაჭას, ლეჩხუმს, ფშავ-ხევსურეთს, თუშეთს და ქიზიყს. ვესალმები ყველა ქართველს მსოფლიოს სხვადასხვა ქვეყანაში. განსაკუთრებული პატივისცემით ვესალმები მის უწმინდესობას, საქართველოს კათოლიკოს პატრიარქს, ილია მეორეს. ვესალმები პრეზიდენტებს, პრემიერ მინისტრებს, საგარეო საქმეთა მინისტრებს და ყველა ჩვენს განსაკუთრებულ სტუმარს, ვესალმები ყველა აქ შეკრებილ ადამიანს”. (მ.ს. 20.01.2008)

ზოგჯერ პრეზიდენტთა მიმართებებში პერფორმატიული ზმნის ზედმეტ გამოყენებასაც ვხვდებით სტილისტური ხერხი - გამეორების გამოყენების გზით. ზემოთ მოცემულია ამონარიდი პრეზიდენტ სააკაშვილის 2008 წლის საინაუგურაციო სიტყვიდან, მისალმების ნაწილი მოიცავს სულ 54 სიტყვას საიდანაც 6 სიტყვა არის “ვესალმები”.

**გ) მინდა + მი-ვ-ე-სალმ-ო + ობიექტი** (სადაც “მი” არის – ზმნისწინი, “ვ” - სუბიექტური პირის ნიშანია, “ე”- ვნებითი გვარის ნიშანი, “სალმ” – ძირი (მომდინარეობს აზიური (არაბული) წარმოშობის სიტყვიდან – “სალამ”), “ო” –მწკრივის ნიშანი, II სერია, II კავშირებითი)

- (1) “მინდა მივესალმო ჩვენ გვერდით მყოფ ხალხს; მინდა მივესალმო ყველას, ვინც დღეს ქართველებთან ერთად დგას; მინდა მივესალმო ჩვენს თანამემამულეებს; მინდა მივესალმო ჩვენს მეზობლებს, მინდა მივესალმო ყველა პოლიტიკური ჯგუფის წარმომადგენლებს.” (მ.ს. 01.09.2008)

**დ) ნაცვალსახელი (მე) + ზმნა (მი-ვ-ე-სალმ-ები) + ობიექტი** (სადაც “მი” არის ზმნისწინი, “ვ”- სუბიექტური პირის ნიშანია, “ე” არის ვნებითი გვარის ნიშანი, “სალმ” – ძირი (მომდინარეობს აზიური წარმოშობის სიტყვიდან – “სალამ”), “ებ” –თემის ნიშანი, “ი” - მწკრივის ნიშანი, I სერია, მყოფადი)

- (1) “მე მივესალმები მათ და ვუსურვებ ახალ წარმატებებს. . . მე მივესალმები საქართველოს ახალი პარლამენტის თავმჯდომარეს ბატონ ზურაბ ჟვანიას. . . მე მივესალმები ჩვენს შეიარაღებულ ძალებს . . . მე მივესალმები სამართალდამცავ ორგანოებს. . . მე მივესალმები საქართველოს ინტელიგენციას, სტუდენტობას, ახალგაზრდობას.“ (ე.შ. 30.04.2000)

ზემოთ მოცემულ მაგალითში მისალმების თავაზიანი ფრაზებით გადმოცემული ექსპრესიული ემოციური აქტები ამოკრეფილია პრეზიდენტ შევარდნაძის 1995 წლის საინაუგურაციო სიტყვის მე-19, 20, 27, 28 აბზაცებიდან. ამდენად, უნდა აღინიშნოს, რომ ექსპრესიული სამეტყველო აქტები, გამოხატული მისალმების ფრაზებით, არ გხვდება პრეზიდენტთა სიტყვის მხოლოდ და მხოლოდ დასწყისში, ის შესაძლებელია მიმართვის სხვადასხვა ნაწილებში იყოს მიმოხვეული.

**1. ბ. არაპირდაპირი (იმპლიციტური) ექსპრესიული მორალური სამეტყველო აქტები სამეტყველო აქტის ზმნის გარეშე**

საგულისხმოა, რომ მისალმების ან მიმართვის ზოგიერთ ფრაზაში ექსპრესიული სამეტყველო აქტის თავად პერფორმატიული ზმნა მოვესალმებით (მივესალმები, ვესალმები, greet, salute, welcome) არ არის ნახსენები, გამოყენებული, მაგრამ ეს ხელს არ უშლის მსმენელს იმის აღქმაში, რომ ეს მიმართვის ან მისალმების გამომხატველი ფრაზებია. “My fellow citizens” – “my fellow American”-ს-კლინტონი, ობამა. “ძვირფასო თანამემამულენო” – შევარდნაძე.

საინტერესოა ის ფაქტი, რომ ზოგიერთი პრეზიდენტი მიმართვისას იერარქიულ წყობას იყენებს. ასე მაგალითად:

- (1) “Mr. Chief Justice, Mr. President, Vice President Quayle, Senator Mitchell, Speaker Wright, Senator Dole, Congressman Michel, and fellow citizens, neighbors, and friends”. (G.W.H.B. 20.01.1989)
- (2) “President Clinton, distinguished guests and my fellow citizens”. (G.W.B.20.01. 2001)
- (3) “Vice President Cheney, Mr. Chief Justice, President Carter, President Bush, President Clinton, members of the United States Congress, Reverend, clergy, distinguished guests, fellow citizens”. (G.W.B.20.01. 2001)



(4) “პატივცემულო დეპუტატებო, პატივცემულო სტუმრებო, ძვირფასო მეგობრებო!” (ზ.გ. 07.06.1991)

შესაბამისად, მაგალითებიდან ჩანს, რომ პერფორმატიული ზმნების გამოყენება აუცილებელი ან სავალდებულო არ არის ექსპრესიულ სამეტყველო აქტების გადმოცემისას.

**2) ემოციური დამოკიდებულების გამომხატველი ექსპრესიული აქტები, გამოსატყულო მაღლიერების თავაზიანი ფრაზებით**

პრეზიდენტთა მიმართებში ემოციური დამოკიდებულების გამომხატველი ექსპრესიული აქტები გადმოიცემა მაღლიერების გამომხატველი თავაზიანი ფრაზებით.

**2. ა. პირდაპირი (ექპლიციტური) ექსპრესიული ემოციური სამეტყველო აქტები გამოსატყულო პერფორმატივით thank**

პრეზიდენტთა ინგლისურენოვან გამოსვლებში ვხვდებით მაღლიერების გამომხატველი პერფორმატივით “THANK” გადმოცემულ ექსპრესიულ აქტებს, რომლებიც შემდეგი ფორმულებით არის გადმოცემული:

**I) Verb (THANK) + Object/ Noun Phrase + (Preposition (FOR))**

- (1) “Thank you” (B.C. 20.01.1993) (G.W.H.B.20.01.1989)
- (2) “Thank you all for coming; Thank you all for coming.”(G.W.B. 04.06.2007)
- (3) “Thank you for your hard work, and thank you for what your fixing to do.”(G.W.B. 04.06.2007)

**II) Pronoun (I/ WE) +Verb (THANK) + Object/ Noun Phrase**

- (1) “I thank the many world leaders who have called to offer their condolences and assistance” (G.W.B 11.09.2001)
- (2) “We also thank those whose quick response provided preventative treatment; (G.W.B 08.11.2001)

**III) Pronoun (I)+ Verb (THANK)+ Object + Preposition (FOR) + Noun Phrase**

- (1) “I thank President Clinton for his service to our nation.” (G.W.B. 20.01.2001)

- (2) “ I thank Vice President Gore for a contest conducted with spirit and ended with grace. ... we bow our heads and thank You for Your love. Accept our thanks for the peace .” (G.W.B. 20.01.2001)
- (3) “I thank you for the wonderful things that you have done for America.“ (G.W.H.B. 20.01.1989)
- (4) “(I) thank you for watching democracy's big day.” (G.W.H.B. 20.01.1989)
- (5) “ I thank President Bush for his service to our nation, as well as the generosity and cooperation he has shown throughout this transition.” (B.O.20.01. 2009)
- (6) “ And I thank you for that ; and I thank you for your sacrifices.”(G.W.B 04.06.2007)
- (7) “I thank the Congress for approving a good agreement with Peruand; I thank the Congress for supporting America's vital mission in Afghanistan.” (G.W.B 08.11.2001);

პრეზიდენტთა გამოსვლებში სიტყვა **“Thank”** გვხვდება ასევე არა როგორც პერფორმატიული ზმნა, არამედ როგორც არსებითი სახელი, ქვემოთ მოცემულია მაღლიერების გამომხატველი ფრაზების ორი ქვეტიპი, სადაც გამოყენებულია ფორმულები: **Thanks + for + smth** და **Give+thanks+ for +smth**.

**I) Thanks + for + smth**

- (1) “Thanks for the warm welcome; thanks for being here; thanks for the warm welcome.”(G.W.B. 04.06.2007)

**II) Give+thanks+ for +smth**

- (1) “On Independence Day we give thanks, we give thanks for our Founders.”(G.W.B. 04.06.2007)
- (2) “We give thanks for all the brave citizen-soldiers of our Continental Army.”(G.W.B. 04.06.2007)

მაღლობის გამოსატვის საშუალებები, რასაც პრეზიდენტები იყენებენ, განსხვავებულია. თუმცა განსხვავება არა იმდენად გამოყენებულ ფორმულაში მდგომარეობს, რომელიც ძირითადად გადმოიცემა პერფორმატივით “thank” შემდეგი სახის კომბინაციაში **Pronoun (I) +Verb (THANK) + Object + ((Preposition/FOR))**, არამედ აღნიშნული პერფორმატივით და შერჩეული კოლოკაციებით (სიტყვათშეთანხმებებით) გადმოცემული კონცეპტუალური მნიშვნელობების თვალსაზრისით. მაგ.:

I thank you for the wonderful things that you have done for America არ არის ნახევნები მკაფიოდ, თუ რისთვის უხდის მადლობას პრეზიდენტი ბუში პრეზიდენტ რეიგანს. ვფიქრობ მსგავსი ფრაზების წარმოთქმა, რომლებსაც მე კლიშეებად განვიხილავ, წარმოადგენს უფრო თავაზიანობის აუცილებელ ეტიკეტს. მსგავსი ფრაზები გამოხატავს მოსაუბრის დამოკიდებულებას ვიდრე ობიექტურ რეფერენციას, თუ რისთვის უხდიან პრეზიდენტები მადლობას წინამორბედს. პრეზიდენტი კლინტონი 1993 წლის საინაუგურაციო სიტყვაში ბუშს არ უხდის მადლობას მიღწევებისათვის და აცხადებს “I salute my predecessor, President Bush” for his half century of service to America“, ხოლო მოგვიანებით მადლობას მილიონობით ადამიანს უხდის “ I thank the millions of men and women”. პრეზიდენტი ჯორჯ ბუში უმცროსი თავის მხრივ მადლობას პრეზიდენტ კლინტონს გაწეული სამსახურისათვის უხდის: “As I begin, I thank President Clinton for his service to our nation”. პრეზიდენტი ობამა კი მის წინამორბედ პრეზიდენტ ბუშს (უმცროსი) ასევე ერის სამსახურში ყოფნისთვის, გულუხვობის და თანამშრომლობისათვის უხდის მადლობას “ I thank President Bush for his service to our nation, as well as the generosity and cooperation he has shown throughout this transition.”

მართალია, ქართველი პრეზიდენტები მადლობას არ უხდიან თავის წინამორბედს, მაგრამ პრეზიდენტთა ქართულენოვან მიმართებებში ვხვდებით მადლიერების გამომხატველ ფრაზებს, რაც გამოყენების საკმაოდ დიდი სიხშირით გამოირჩევა და გხვდება სხვადასხვა ფორმა. ქართველ პრეზიდენტთა გამოსვლებში არ გვხვდება მადლობის ზმნური ფორმა. მადლობის გამომხატველი ფრაზები გადმოიცემა ძირითადად კომბინაციით **“მადლობას მო(ვ)(გ)ახსენებ(თ),** ასევე ვხვდებით არსებითი სახელით და ზედსართავი სახელით გადმოცემულ მადლიერების გამომხატველ თავაზიან ფრაზებს:

**I) მადლობა-(ს) (არსებითი სახელი, პირდაპირი ობიექტი) + მოვახსენებ (ზმნა, შემასმენელი) + ობიექტი (არსებითი სახელი, ირიბი ობიექტი)**

- (1) “დიდ მადლობას მოვახსენებ საქართველოს პატრიარქს.” (ე.შ. 30.04.2000)
- (2) “დიდ მადლობას მოვახსენებ მსოფლიოს პრეზიდენტებსა და სახელმწიფო მეთაურებს, ჩვენს უცხოელ მეგობრებს, საქართველოს ყველა მოქალაქეს, უცხოეთში მცხოვრებ თანამემამულეებს, რომლებმაც მომილოცეს საქართველოს პრეზიდენტად არჩევა. დიდი მადლობა

არჩევნებზე ჩამოსულ მეთვალყურეებს, ჟურნალისტებს, არჩევნების ობიექტურად შეფასებისა და გაშუქებისათვის. დიდი მადლობა საქართველოში აკრედიტებულ დიპლომატიურ კორპუსს, ყველა უცხოელ მეგობარს, საზღვარგარეთის ყველა დელეგაციას და წარმომადგენლობას.” (ე.შ. 26.11.1995)

**II) მინდა (ზმნა) + მადლობა (არსებითი სახელი, პირდაპირი ობიექტი) + მოვასხენო (ზმნა, შემასმენელი) + ირიბი ობიექტი (არსებითი სახელი)**

(1) “მინდა მადლობა მოვასხენო პრეზიდენტებს, პარლამენტებს, დიპლომატებს, მსოფლიოს გამოჩენილ პოლიტიკოსებს . . . მინდა მადლობა მოვასხენო დროებით უცხოეთში მცხოვრებ საქართველოს მოქალაქეებს.” (ე.შ. 30.04.2000)

**III) მადლობა (არსებითი სახელი) + ობიექტი (არსებითი სახელი)**

(1) “მადლობა ჯარისკაცებს და ოფიცრებს, რომელნიც . . . ; მადლობა მასწავლებლებს და ექიმებს, რომელნიც . . . მადლობა ჟურნალისტებს და ადამიანის უფლებების დამცავ ორგანიზაციებს, მთელს ჩვენს სამოქალაქო საზოგადოებას, რომელნიც . . . მადლობა მთელ ქართულ დიასპორას.” (მს 20.01.2008);

(2) “დიდი მადლობა საერთაშორისო ორგანიზაციების, მსოფლიო არასამთავრობო ინსტიტუტების მეთვალყურეებს . . . მასმედიის საშუალებებს . . . მადლობა თქვენ, მადლობა უფალს!” (ე.შ. 30.04.2000)

**IV) მადლიერი (ზედსართავი სახელი)+ ზმნა (ყოფნა ზმნა)**

(1) “მადლიერი ვარ საარჩევნო კომისიების.” (ე.შ. 26.11.1995)

**V) მადლიერებ-(ით) (არსებითი სახელი) + ზმნა + ობიექტი (არსებითი სახელი)**

(2) “დიდი მადლიერების გრძნობით მივმართავ სრულიად საქართველოს, საქართველოს ხალხს, მსოფლიოთანამეგობრობის ქვეყნებს, განსაკუთრებით საქართველოს მეგობარ ქვეყნებს იმ დიდი დახმარებისა და თანადგომისათვის... “(ე.შ. 26.11.1995)

## 2.5. დეკლარაციები

დეკლარაციების ტიპის სამეტყველო აქტებს პრეზიდენტთა გამოსვლებში ყველაზე დაბალი სიხშირით ვხვდებით (როგორც ქართველ პრეზიდენტთა ასევე ამერიკელ პრეზიდენტთა სხვადასხვა ჟანრის გამოსვლებში მხოლოდ 1% შეადგენს), მიუხედავად იმისა, რომ პრეზიდენტებს გააჩნიათ დიდი ძალაუფლება და შესწევთ კიდევ უნარი შეცვალონ საკუთარი ქვეყანა, ზოგჯერ კი მთელი სამყარო მხოლოდ ერთი სიტყვის მეშვეობით, მათ გამოსვლებში იშვიათად გამოიყენება დეკლარაციების ტიპის სამეტყველო აქტები. ყველაზე ხშირად დეკლარაციის აქტებს ვხვდებით დაჯილდოებისა და შეწყალების ჟანრის გამოსვლებში.

პრეზიდენტმა სააკაშივილმა 2010 წლის 27 ივლისს უკრაინის უმაღლესი რადის დეპუტატი იაკოვ ტაბაჩნიკი ბრწყინვალეების საპრეზიდენტო ორდენით დააჯილდოვა და შემდეგი სიტყვებით მიმართა, სადაც გამოყენებულია პერფორმატივი “გაჯილდოებთ”: “ქართველი ხალხის სახელით, ქართველი და უკრაინელი ხალხის წინაშე დამსახურებისა და ქართული ურთიერთობის განმტკიცების საქმეში შეტანილი წვლილისათვის, გაჯილდოებთ ბრწყინვალეების საპრეზიდენტო ორდენით.” (მ.ს. 27.07.2010) აღნიშნული სიტყვების წარმოთქმის შედეგად იცვლება არსებული რეალობა და გარკვეულწილად იცვლება რადის დეპუტატის სტატუსი, ისევე როგორც ბრიტანეთის ყოფილი პრემიერ მინისტრის ტონი ბლერის სტატუსი ერის უმაღლესი სამოქალაქო ჯილდოს, პრეზიდენტის თავისუფლების მედლის მიღების შედეგად, რაც მას ჯორჯ ბუშ უმცროსმა გადასცა პრეზიდენტობის ვადის დასასრულს შემდეგი სიტყვებით: “... United States honors Tony Blair for his lifelong dedication to build more just and peaceful world”. (G.W.B. 13.01.2009)

შესწავლილ ამერიკელ პრეზიდენტებს შორის პრეზიდენტი კლინტონი ყველაზე ნაკლებ კონსერვატორია შეწყალების მიმართ. მან არაერთხელ გამოიყენა შეწყალების უფლებამოსილება პატიმრების მიმართ, გაათავისუფლა ან შეუმსუბუქა მათ განაჩენი. მის მიერ შეიწყალებულთა შორისაა კემა სმის პრადია, რომელმაც შეწყალების შემდეგ იურისპრუდენციას მიყო ხელი და ახლა პატიმართა უფლებებს იცავს.

(<http://imprisonedwomenprisonwatch.blogspot.com/2010/12/pardoned-by-president-clinton-ex.html>). საქართველოში პრეზიდენტთა მიერ შეწყალების შესახებ

გამოცემული ბრძანებები არ არის საჯაროდ ხელმისაწვდომი, თუმცა პრეზიდენტი სააკაშილის მიერ პატიმრების შეწყალების შესახებ განცხადებები არაერთხელ გაუღერებულა საჯაროდ ტელევიზიით.

უნდა აღინიშნოს, რომ პრეზიდენტთა გამოსვლებში ძალზედ იშვიათად გვხვდება პირდაპირი დეკლარაციის ტიპის სამეტყველო აქტი, გადმოცემული პერფორმაციით “declare”:

განვიხილოთ შემდეგი მაგალითი:

(1) “The enemy has made its intentions clear [1]. At a time when the momentum seemed to favor them, al Qaida's top commander in Iraq declared that they will not rest until they have attacked us here in Washington [2.] My fellow Americans: We will not rest either [3]. We will not rest until this enemy has been deeated [4]. “(G.W. B. 28.01.2008)

მაგალითში პრეზიდენტი ბუში ამცნობს ამერიკელ ხალხს აღქაიდას განცხადებას, რომ არ მოისვენებენ ვოშინგტონზე თავდასხმის განხორციელებამდე. განცხადება გარკვეულწილად ბადებს ახალ ვითარებას: ერაყსა და ამერიკას შორის კიდევ უფრო მეტად დაძაბულ ურთიერთობას, აქტით იბადება ახალი რეალობა. ამიტომ, ვფიქრობ, აღნიშნული განცხადება შეგვიძლია განვიხილოთ დეკლარაციის ტიპის სამეტყველო აქტად. თუმცა, ამავდროულად საინტერესოა მე-4 აქტი, რომელიც მუქარის გამომხატველი კომისიის ტიპის სამეტყველო აქტით არის გადმოცემული და სადაც პრეზიდენტი დაპირებას იძლევა, რომ ამერიკაც არ მოისვენებს სანამ მტერს არ დაამარცხებს. ორივე (მე-2 და მე-4) აქტის ილოკუციური მიზანი და პერლოკუციური შედეგი იდენტურია, ორივე აქტი ბადებს ახალ რეალობას – ერაყის და ამერიკის კონფლიქტის კიდევ უფრო მეტად გამწვავებასა და გაღრმავებას.

კიდევ ერთხელ უნდა აღინიშნოს, რომ არსებობს გარკვეული ასიმეტრია სამეტყველო აქტებსა და სამეტყველო აქტის ზმნებს შორის. ყველა სამეტყველო აქტი არ არის ყოველთვის წარმოდგენილი სამეტყველო აქტის სპეციალური ზმნით (SAV). შესაძლებელია კონკრეტული SAV განსაზღვრავდეს რაიმე ტიპის სამეტყველო აქტს, რომელსაც ეს ზმნა თავისი მნიშვნელობით უნდა განსაზღვრავდეს, არამედ სხვა ტიპის სამეტყველო აქტს, ანუ I declare ყოველთვის არ განსაზღვრავს დეკლარაციის ტიპის სამეტყველო აქტს. განვიხილოთ შემდეგი მაგალითი:

(2) “Today we can declare: Government is not the problem, and government is not the solution. We,- the American people, we are the solution.” (B.C.20.01.1997)

პრეზიდენტის განცხადება, რომ მთავრობა არ არის პრობლემა და არც ხსნა, არ ცვლის სამყაროს, სხვა ვითარებას არ ბადებს, რაც დეკლარაციის აქტით უნდა განხორციელდეს. შესაბამისად, სამეტყველო აქტის ზმნა declare არ გამოხატავს დეკლარაციას, არამედ გადმოსცემს რეპრეზენტაციის ტიპის აქტს, რომელიც პრეზიდენტის რწმენას გამოხატავს.

მსგავს მაგალითებს ვხვდებით ქართულ პრეზიდენტთა გამოსვლებშიც:

(3) “ჩვენ ვაცხადებდით და ვაცხადებთ, დრომ მოიტანა საქართველოში ფედერალურ საწყისებზე სახელმწიფოებრივი მოწყობის აუცილებლობა.” (ე.შ. 26.11.1995)

მართალია, პრეზიდენტი შევარდნაძე იყენებს პერფორმატივს “ვაცხადებთ”, მაგრამ თავად აქტი არ არის დეკლარაცია, არამედ არის რეპრეზენტაციის ტიპის სამეტყველო აქტი, სადაც გადმოცემულია პრეზიდენტის მოსაზრება, მისი ხედვა, თუ როგორ ხედავს იგი რეალობას.

განვიხილოთ კიდევ ერთი მაგალითი:

(4) “მინდა სრული პასუხიმგებლობით განვაცხადო და ვაღიარო, რომ როგორც ქვეყნის მთავარსარდალმა, რამდენიმე საათის წინ გავეცი ძალზე მტკივნეული ბრძანება იმის თაობაზე, რომ არც ერთმა ქართულმა შენაერთმა, ჩვენი კონტროლის ქვეშ მყოფმა არც ერთმა პოლიციურმა და სხვა შენაერთმა არ გახსნას საპასუხო ცეცხლი ძალზე ინტენსიური დაბომბვის შესაჩერებლადაც კი.” (მ.ს.07.08.2008)

მართალია, მაგალითში გამოყენებულია დეკლარაციის აქტის განმსაზღვრელი ზმნა “განცხადება”, თავად აქტი არ არის დეკლარაციის ტიპის. ახალი ვითარება, რომ არანაირ შემთხვევაში არ გახსნილიყო საპასუხო ცეცხლი საქართველოს მხრიდან, არის დირექტივის პერლოკუციური შედეგი.

პრეზიდენტთა გამოსვლებში ვხვდებით სხვა სამეტყველო აქტის განმსაზღვრელი პერფორმატივით გადმოცემულ არაპირაპირ დეკლარაციებს. განვიხილოთ წინადადებები პერფორმატივით “proclaim”. სალექსიკონო მნიშვნელობით “proclaim” ნიშნავს საჯაროდ განცხადებას, მაგრამ კონტექსტში

ილოკუციური ძალა იცვლება და დეკლარაციას უტოლდება. ქვემოთ მოცემულ მაგალითებში proclaim გამოყენებულია present perfect –ის დროში, რითაც განცხადება განხორციელებულ ქმედებას უტოლდება.

(5) “We have proclaimed that every man and woman on this earth has rights and dignity and matchless value, because they bear the image of the maker of heaven and Earth”.  
(G.W.B. 20.01.2005)

აღნიშნული განცხადების იმპლიკაცია არის შემდეგი: განცხადების შედეგად, მამაკაცს და ქალს, ვინაიდან ისინი შექმნილნი არიან ღვთის ხატად, ენიჭებათ უფლება, ღირსება და უსაზღვრო ღირებულება დედამიწაზე. აღნიშნულ იმპლიკაციას განაპირობებს სწორედ present perfect-ის გამოყენება, რაც გამოხატავს უკვე შესრულებულ მოქმედებას, საიდანაც გამომდინარეობს ზემოთ აღნიშნული შედეგი.

Present perfect გამოყენებულია შემდეგ მაგალითშიც, აღნიშნული ფორმის მეშვეობით თვითმმართველობა, თანასწორობა განცხადებულია იმპერატიულ ფენომენად, ამის შედეგად კი ამერიკის შეერთებულ შტატებში არც ერთი ადამიანი არ არის ბატონი და არც ერთი ადამიანი არ არის მონა. ამდენად, განცხადებით ვიღებთ პერლოკუციურ შედეგს, სამყარო მოდის შესაბამისობაში განცხადებულთან:

(6) ”Across the generations, we have proclaimed the imperative of self-government, because no one is fit to be a master and no one deserves to be a slave. Fancying these ideals is the mission that created our nation. .. Now it is the urgent requirement of our nation's security and the calling of our time. So it is the policy of the United States to seek and support the growth of democratic movements and institutions in every nation and culture with the ultimate goal of ending tyranny in our world”. (G.W.B. 20.01.2005)

პრეზიდენტ სააკაშვილის დისკურსში გვხვდება ფრაზები, როგორცაა: “გზა და გაზი ყველა სოფელს”, “ 100 საწარმო და 100 საავადმყოფო”, “სოციალური დახმარების პაკეტი სოციალურად დაუცველ ფენას”, “ინგლისური ენის მასწავლებელი ყველა მოსწავლეს” და სხვ. მსგავსი ფრაზები კონკრეტულ მიმართვაში აღიქმება დაპირების გამომხატველ კომისივად, თუმცა თუ ფრაზებს კომპლექსურად ექსტრალინგვისტურ ჭრილში განვიხილავთ, ისინი დეკლარაციის ტიპის აქტებადაც შეგვიძლია განვიხილოთ, ვინაიდან ფრაზების წარმოთქმიდან



გარკვეული პერიოდის შემდეგ განცხადებული გარკვეულწილად სრულდება. სახეზე გვაქვს მსგავსი ფრაზების პერლოკუციური შედეგი, რითაც საქართველოში ახალი რეალობა ყალიბდება.

## 2.6. სამეტყველო აქტების ურთიერთმიმართება და

### ჰიბრიდული აქტები

შესწავლილი მასალის კვლევამ ცხადყო, რომ ერთი ტიპის სამეტყველო აქტი პრეზიდენტთა გამოსვლებში არ გვხვდება განყენებულად. თითოეული სამეტყველო აქტი ერთმანეთთან არის დაკავშირებული, კავშირი/კორელაცია კი სხვადასხვაგვარი გვხვდება. ხშირია რეპრეზენტატივების და დირექტივების ტიპის აქტების გამოყენება ერთ შეტყობინებაში, თუმცა ამასთანავე მნიშვნელოვანია, რომ დადგინდეს სამეტყველო აქტების ურთიერთმიმართების გვარობა.

კვლევამ ცხადყო, რომ რეპრეზენტატივები და დირექტივები საპრეზიდენტო გამოსვლებში არ გამოიყენება ერთსა და იმავე დონეზე, მათი წყობა იერარქიულია, მათი მიმართება დომინირება-დაქვემდებარებულობის ფორმულას ეფუძნება, სადაც დომინანტი აქტი დირექტივაა, ხოლო დაქვემდებარებული აქტი კი რეპრეზენტატივის ტიპის აქტებია. ილოკუციური მიზანი გადმოცემულია დირექტივაში, ხოლო რეპრეზენტატივები მხოლოდ და მხოლოდ დამხმარე საშუალებაა, რაც ძირითადი აქტის მოტივაციას უზრუნველყოფს, ავსებს სათანადო მიზეზებით და არგუმენტებით, რაც ამართლებს გაცემულ დირექტივას მსმენელის მიმართ. თუმცა რეპრეზენტატივის ტიპის აქტები არანაკლებ მნიშვნელოვანია პერლოკუციური ეფექტის მიღწევის თვალსაზრისით, ვინაიდან სწორედ მათი მეშვეობით არის შესაძლებელი მსმენელის მომზადება დირექტივის აქტისათვის. დირექტივის გაცემამდე პრეზიდენტები მიმართავენ მსმენელის უზრუნველყოფას დირექტივისათვის საჭირო მოტივაციით ან მიზეზებით იმისათვის, რომ მოხდეს დაგეგმილი დირექტივის გამართლება. ამდენად დამოკიდებული/დაქვემდებარებული აქტები ყოველთვის რელევანტურია ძირითადი აქტისათვის. ამასთანავე გადაცემული

მიზეზები უნდა იყოს საკმარისად დამაჯერებელი იმისათვის, რომ მიღწეულ იქნას სასურველი მიზანი. განვიხილოთ მაგალითი:

(1) “We know we have to face hard truths and take strong steps[1]. But we have not done so [2]. Instead, we have drifted, and that drifting has eroded our resources, fractured our economy, and shaken our confidence [3]. Though our challenges are fearsome, so are our strengths [4]. And Americans have ever been a restless, questing, hopeful people [5]. We must bring to our task today the vision and will of those who came before us [6]”.

(B.C. 20.01.1993)

ზემოთ მოყვანილ მაგალითში გამოყენებულია 6 სამეტყველო აქტი. 5 აქტი არის რეპრეზენტაციის ტიპის, ისინი ნიადაგს უმზადებს მე-6 აქტს, რომელიც არაპირდაპირი დირექტივის ტიპით არის გადმოცემული ”We must bring to our task today the vision and will of those who came before us”. პრეზიდენტ ბილ კლინტონის ძირითადი ინტენცია ილოკუციური მიზანი არის მსმენელისათვის იმ შეტყობინების გადაცემა, რომ უნდა შესრულდეს წინაპრების მიერ მიცემული დავალება ამერიკელი ხალხისადმი. ნიადაგს კი აღნიშნული დირექტივისათვის ამზადებს რეპრეზენტაციის ტიპის რამდენიმე აქტის გამოყენებით. რეპრეზენტაციის ტიპის აქტებით აღინუსხება მიზეზები, თუ რატომ უნდა შესრულდეს დირექტივა. რეპრეზენტაციების გამოყენებით პრეზიდენტი კლინტონი მსმენელში მოტივაციას და ენთუზიაზმს აღვიძებს.

შემდეგ მაგალითშიც მთავარი შეტყობინება მსმენელისათვის არის პრეზიდენტ ბილ კლინტონის მიერ გაცემული დირექტივა, რომ ამერიკელთა თითოეულმა თაობამ უნდა გაითავისოს, თუ რას ნიშნავს ამერიკელობა, ამისათვის პრეზიდენტი რეპრეზენტაციების გამოყენებით განუმარტავს, თუ რას ნიშნავდა ამერიკელობა დამაარსებელი მამებისათვის და მხოლოდ და მხოლოდ საკუთარი განმარტებების მიცემის შემდეგ გასცემს დირექტივას მსმენელის მიმართ:

(2) “When our founders boldly declared America's independence to the world and our purposes to the Almighty, they knew that America, to endure, would have to change. Not change for change's sake, but change to preserve America's ideals; life, liberty, the pursuit of happiness. Though we march to the music of our time, our mission is

timeless. Each generation of Americans must define what it means to be an American”.  
(B.C. 20.01.1993)

განვიხილოთ შემდეგი მაგალითები:

- (3) “As times change, so government must change. We need a new government for a new century - humble enough not to try to solve all our problems for us, but strong enough to give us the tools to solve our problems for ourselves; a government that is smaller, lives within its means, and does more with less . Yet where it can stand up for our values and interests in the world, and where it can give Americans the power to make a real difference in their everyday lives, government should do more, not less. The preeminent mission of our new government is to give all Americans an opportunity,- not a guarantee, but a real opportunity to build better lives.” (B.C. 20.01.1993)

ძირითადი შეტყობინება ზემოთ მოცემულ მაგალითში არის ის, რომ ცვლილებებთან ერთად უნდა შეიცვალოს მთავრობა, რაც ღირექტივის აქტით არის გადმოცემული პირველივე წინადადებაში. რეპრეზენტატივის ტიპის შემდეგი აქტებით ხდება განმარტება, თუ რა ტიპის მთავრობაა საჭირო სასურველი შედეგების მისაღწევად. რეპრეზენტატივები ამავდროულად გარკვეულწილად ამართლებს გაცემულ ღირექტივას იმის მტკიცებით, რომ საჭიროა ისეთი მთავრობა, რომელიც იქნება იმდენად ძლიერი, რომ შეძლებს ხალხისათვის არა მხოლოდ პრობლემების მოგვარებას, არამედ პრობლემების მოგვარების საშუალებას/უნარს გადასცემს მათ, რათა თავად შეძლონ პრობლემების გადაჭრა. საჭიროა მთავრობა, რომელიც ამერიკელი ხალხის ღირებულებებს და ინტერესებს დაიცავს. პრეზიდენტი ღირექტიული დეონტიკური მოდელური ზმნით (ამ კონკრეტულ კონტექსტში - government should do more not less) კიდევ ერთხელ იძლევა ღირექტივას მთავრობის მიმართ, რომ მთავრობამ უნდა მეტი გააკეთოს ხალხისათვის და მისცეს მათ უკეთესი ცხოვრების შესაძლებლობა და არა მხოლოდ გარანტიები.

შემდეგი მაგალითი (4) მოიცავს 4 სამეტყველო აქტს, აქედან 3 სამეტყველო აქტი, რომელიც რეპრეზენტატივის ტიპისაა, ამზადებს ნიადაგს ღირექტივისათვის, რომელიც ბოლო მე-4 აქტშია გამოსატული:

- (4) “From this joyful mountaintop of celebration, we hear a call to service in the valley [1]. We have heard the trumpets[2]. We have changed the guard [3]. And now, each in our way, and with God's help, we must answer the call [4]”. (B.C.20.01.1993)

პრეზიდენტი გამსახურდიაც სამეტყველო აქტების მიმართების იგივე მოდელს იყენებს, როდესაც იგი საუბრობს კომუნისტური იდეოლოგიის სამეურნეო წყობის პრობლემების შესახებ, რამაც ზეგავლენა მოახდინა ქართველ გლეხზე და ასევე იძლევა პრობლემის გადაჭრის გზას დირექტივით “მიწა უნდა დაუბრუნდეს გლეხს”:

- (5) “დღეს ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი და მტკივნეული პრობლემაა მიწის საკითხი. კომუნისტური იდეოლოგიის ჩარჩოებში მომწყვედუღმა, ძალადობით თავსმოსხვეუღმა სამეურნეო წყობამ ქართველ გლეხს წაართვა ყველაზე მთავარი- მიწა და თავისუფლება, შეაძულა შრომა. . . . მიწა უნდა დაუბრუნდეს გლეხს. ყოვლმხრივ უნდა შეეწყოს ხელი სოფლად სხვადასხვა ასოციაციების, გაერთიანებების შექმნას და ფუნქციონირებას.” (ზ.გ. 07.06.1991)

ამდენად, დირექტივების ტიპის სამეტყველო აქტები საპრეზიდენტო გამოსვლებში დომინანტ აქტებად გვევლინება. დირექტივები პრეზიდენტთა გამოსვლებში ძირითადად არ გვევლინება განცალკევებულად, ისინი ყოველთვის გამყარებულია სხვა სამეტყველო აქტებით. ინგლისურენოვან გამოსვლებში მეტწილად გვხვდება ურთიერთმიმართება რეპრეზენტაციებსა და დირექტივებს შორის, ხოლო ქართველ პრეზიდენტთა გამოსვლების შემთხვევაში საინტერესოა დირექტივებისა და კომისიების ტიპის აქტების ურთიერთმიმართება. ამ მხრივ გამოირჩევა პრეზიდენტ შევარდნაძის საინაუგურაციო გამოსვლები: პრეზიდენტი შევარდნაძე უამრავ დაპირებას იძლევა. დამაჯერებლობისათვის სტატისტიკურ ინფორმაციასაც იშველიებს, საკმაოდ ბევრი დაპირების შემდეგ იგი დირექტივების გაცემაზე გადადის, რომელიც მიმართულია “პლანეტის ყველა ბინადარისადმი”:

- (6) “. . . მომუშავეთარიცხოვნება . . . 1 მილიონით გაიზრდება და უმუშევრობის დონე 5 პროცენტს, ანუ ნორმალურ ზღვარს მიუახლოვდება. . . . საბიუჯეტო სფეროში დასაქმებულთა ხელფასი . . . 200 ლარამდე გაიზრდება, ხოლო არასაბიუჯეტო სექტორში – 250-300

ლარს მიაღწევს . . . პენსიები გადააჭარბებს აუცილებელ “სამომხმარებლო კალათის ღირებულებას . . . დახმარებები წარიმართება მიზანმიმართულად და პირველ რიგში შეეხება მოსახლეობის განსაკუთრებით გაჭირვებულ ფენებს. საერთაშორისო საფინანსო ორგანიზაციების ხელშეწყობითა და მხარდაჭერით განხორციელდება ჯანდაცვის, განათლების, მეცნიერების, კულტურის სრული ცხოვრების ეს სფეროები იფუნქციონირებენ განვითარებულ საბაზრო ურთიერთობებთან სრული შესატყვისობით. უახლოეს წლებში კიდევ ამაღლდება საქართველოს როგორც დამოუკიდებელი, სუვერენული, დემოკრატიული ქვეყნის იმიჯი საერთაშორისო ასპარეზზე. მე ამ ტრიბუნიდან მივმართავ ჩვენი პლანეტის ყველა ბინადარს, ყველა მთავრობას, სახელმწიფოთა მეთაურებს: უფრო ენერგიულად ვიბრძოლოთ ახალი მსოფლიოს დემოკრატიული წესრიგისათვის . . . მოვუწოდებ მსოფლიო საზოგადოებას . . . შეიმუშაონ . . . მსოფლიოში ტერორიზმის წინააღმდეგ ბრძოლის . . . (ლონისძიებები)“.

(ე.შ. 26.11.1995)

განვიხილოთ შემდეგი მაგალითი:

(7) “მოკლედ რომ ვთქვათ, რა თქმა უნდა, გადასახადის გადახდა არის ყველა მეწარმის მონაწილეობა საზოგადოების განვითარებაში და ეს ყველას ვაღიანებ [1]. თუ არა გადასახადების გადახდა, ვერ შევქმნიტ განათლების კარგ სისტემას [2], ვერ გვექნება კარგი ჯანდაცვა და სოციალური დაცვა [3], ვერ ავაშენებთ გზებს [4], ვერ შევქმნიტ ახალ ტურისტულ ინფრასტრუქტურას [5], ვერ შევქმნიტ კეთილდღეობის საფუძვლებს [6], ვერ ავაშენებთ რკინიგზებს და ა. შ. [7]. უდავოა, რომ საზოგადოების განვითარებაში წვლილის შეტანა ყველას ვაღიანებ, მათ შორის, სამეწარმეო საქმიანობაში ჩაბმული თითოეული პირის ვაღიანებ [8]. სახელმწიფომ გადამხდელს ხელი კი არ უნდა წაუჭიროს ყელში, არამედ ხელი უნდა ჩაკიდოს და როგორც ჭეშმარიტი პარტნიორები, ერთად უნდა გავიდნენ სამშვიდობოს [9].” (მ.ს. 03.12.2010)

პირველი აქტი რეპრეზენტაციის ტიპის აქტია, რომელიც აღწერს პრეზიდენტ სააკაშვილის ხედვას და რწმენას, რომ მეწარმის ვალია გადაიხადოს გადასახადი, რაც თავის მხრივ საზოგადოების განვითარებაში მეწარმეთა თანამონაწილეობა არის. შემდეგი 6 აქტი უკვე კომისიის ტიპის აქტებია, სადაც აღნუსხულია, თუ რისი გაკეთება ვერ მოხერხდება მეწარმეების მიერ გადასახადების გადაუხდელობის შემთხვევაში, რაც კიდევ უფრო თვალნათლივ აჩვენებს მეწარმეებს და არა მხოლოდ მათ, თუ რატომ არის მნიშვნელოვანი გადასახადების გადახდა. შემდეგი აქტი კვლავ ისევ რეპრეზენტაციის ტიპისაა, რითაც პრეზიდენტი კიდევ ერთხელ აღნიშნავს მისი რწმენის შესახებ, რომ თითოეული ადამიანი თანაბრად უნდა იყოს ჩართული საზოგადოების განვითარებაში, აქტის ილოკუციური მიზანი ხალხში, მსმენელში თანამონაწილეობის სურვილის გაჩენა და მოტივაციის აღძვრაა. სათანადო ინფორმაციის მიწოდების შემდეგ პრეზიდენტი დირექტივების გაცემაზე გადადის (მე-9 აქტი), სადაც იგი მეწარმეებსა (ზოგადად ხალხს) და მთავრობას მოუწოდებს, რომ მათ უნდა ითანამშრომლონ, რათა მიღწეულ იქნეს ყველასთვის სასურველი შედეგი. ამდენად, მე-7 მაგალითი ნათლად აჩვენებს სამეტყველო აქტების ურთიერთკავშირსა და ურთიერთმიმართებას, პერლოკუციური შედეგის მისაღწევად თუ რაოდენ ინტეგრირებულნი და ურთიერთდამოკიდებულნი არიან ისინი ერთმანეთზე. თუმცა, დირექტივები ურთიერთმიმართებაში გამოირჩევიან თავისებურებით, კერძოდ, ძირითად/ დომინანტ აქტებად გვევლინებიან.

## II თავის დასკვნა

პრეზიდენტთა გამოსვლების სამეტყველო აქტთა თეორიის თვალსაზრისით კვლევაში ცხადყო შემდეგი:

- 1.1. პრეზიდენტთა გამოსვლებში რეპრეზენტაციის ტიპის სამეტყველო აქტის გამოყენება რაოდენობრივად დომინირებს პრეზიდენტთა გამოსვლებში. ქართველ პრეზიდენტთა გამოსვლებში რეპრეზენტაციები 51% შეადგენს, ხოლო ამერიკელ პრეზიდენტთა გამოსვლებში კი 63%. ვხვდებით რეპრეზენტაციის მრავალფეროვან ტიპებს, რომელიც სხვადასხვა პერფორმატიული ზმნით (პირდაპირი სახით, ექსპლიციტურად), ზოგჯერ კი პერფორმატიული ზმნის გარეშე (არაპირდაპირ, იმპლიციტურად) არის გადმოცემული. რეპრეზენტაციების შემცველი მასალა ორ ძირითად ტიპად იყოფა:
  - 1) პერფორმატიული ზმნის შემცველი რეპრეზენტაციები. რეპრეზენტაციები, გადმოცემული შემდეგი ზმნებით: მჯერა, მწამს (believe); ვიცი (know); ვფიქრობ, მიმაჩნია (think)
  - 2) რეპრეზენტაციები, გადმოცემული პერფორმატიული ზმნის გარეშე:
    - ა) კონსტრუქციით there is/are;
    - ბ) კუთვნილებითი ზმნით –ქონა, ყოლა/ have;
    - გ) სინტაქსურად მარტივი და/ან რთული SVO სტრუქტურებით.
- 1.2. ილოკუციური ძალის მაიდენტიფიცირებელი/ განმსაზღვრელი ხერხებიდან (Illocutionary Force Identification Device – IFIDs) რეპრეზენტაციის ტიპის აქტის გადმოსაცემად პერფორმატივების გამოყენებასთან ერთად პრეზიდენტები იყენებენ სიტყვათ-წყობას სასურველი აქცენტების გასაკეთებლად, სასურველი ილოკუციური მიზნების მიღწევის მიზნით.

13. რეპრეზენტაციები პრეზიდენტთა დისკურსში გადმოიცემა რეპრეზენტაციისთვის დამახასიათებელი ვერბალური ქმედებების გამომხატველი ზმნებით ისევე, როგორც სხვა აქტების ვერბალურ ქმედებებში შემავალი ზმნებით. ზოგჯერ რეპრეზენტაციების ტიპის აქტები გადმოცემულია დესკრიბციული ხასიათისა და კაუზალური მიმართების მქონე სინტაქსურად მარტივ და/ან რთულ პასაჟებში, ქრონოლოგიურ ნარატივში, სადაც არ გამოიყენება უშუალოდ რეპრეზენტაციის გამომხატველი პერფორმატივები, თუმცა პრეზიდენტები აღწერენ არსებულ რეალობას და მსმენელს უზიარებენ მათ დამოკიდებულებასა და რწმენას.
14. რეპრეზენტაციების ტიპის სამეტყველო აქტები განსხვავდება ჭეშმარიტების ხარისხის, მტკიცების გაძლიერება/გაღრმავების ან შესუსტება/შერბილების მიხედვით, რაც მიიღწევა ლექსიკური და სინტაქსური ზღუდეების გამოყენებით.
- 2.1. რეპრეზენტაციების ტიპის სამეტყველო აქტების შემდეგ კომისიები ყველაზე ხშირად არის რეალიზებული საპრეზიდენტო გამოსვლებში. კომისიებს დიდი სიხშირით ვხვდებით, როგორც ქართველ (22%), ასევე ამერიკელ (18%) პრეზიდენტთა გამოსვლებში.
- პრეზიდენტთა გამოსვლებში გვხვდება:
- 1) პირდაპირი/ექსპლიციტური
  - 2) არაპირდაპირი/იმპლიციტური კომისიის ტიპის სამეტყველო აქტები.
- 2.2 1. პირდაპირი (ექსპლიციტური) კომისიის ტიპის სამეტყველო აქტები გამოიხატება შემდეგი პერფორმატიული ზმნების, შესაბამისი ფორმულებით:
- ა) კომისიები გამოხატული პერფორმატივით “Pledge” I/WE + V (Pledge)); “პირობის/ფიცის მიცემა”, (მე/ჩვენ + ზმნა ( პირობის მიცემა/ფიცის დადება);
  - ბ) კომისიები გადმოცემული პერფორმატივით – “offer” I/WE +Verb (offer)); “გთავაზობ/ გთავაზობთ”; (მე/ჩვენ + ზმნა (გთავაზობ(თ))).
2. არაპირდაპირი (იმპლიციტური) კომისიის ტიპის სამეტყველო აქტები.



ა) პრეზიდენტები ერიდებიან მუქარის გამომხატველი პირდაპირი სამეტყველო აქტების გამოყენებას და ამჯობინებენ, რომ მუქარა გამოსატონ შეფარვით, არაპირდაპირ/იმპლიციტურად, ზოგჯერ კი მეტაფორულად.

ბ) დაპირების გამომხატველი კომისივი ხშირად არ არის გადმოცემული პერფორმატივით "გპირდებით", არამედ სხვადასხვა ზმნების მეშვეობით, რომელთაც სხვადასხვა დენოტაციური მნიშვნელობა გააჩნიათ, თუმცა კონტექსტში გარკვეულწილად დაპირების მნიშვნელობას იძენენ.

კვლევის შედეგად პრეზიდენტთა გამოსვლებში გამოვყავი დაპირების გამომხატველი შემდეგი ტიპის კომისივები:

I) ჩვენ + ზმნა (მომავალ ფორმაში); We+WILL+VERB

II) ჩვენ + ზმნა (მომავალ უარყოფით ფორმაში); WE+WILL+ NOT+VERB

III) მე + ზმნა (მომავალ ფორმაში); I+WILL+VERB

IV) არსებითი სახელი + ზმნა (მომავალ დადებით ფორმაში); NOUN+WILL+VERB

IV ჯგუფის ცალკე ქვეჯგუფში შედის ასევე ზმნა/შემასმენელი (მომავალ ფორმაში) + ქვემდებარე ფორმულით გადმოცემული მიუკერძოებელი სტილის ფრაზები და წინადადებები, რომლებსაც ქართველი პრეზიდენტების გამოსვლებში ვხვდებით და სადაც არ ჩანს დანაპირების შემსრულებელი სუბიექტი.

V) არსებითი სახელი + ზმნა (მომავალ უარყოფით ფორმაში); NOUN+WILL+NOT + VERB

2.3 კომისივის ორივე ტიპის აქტებში პირის დეიქსისი მნიშვნელოვან როლს თამაშობს ქმედების შემსრულებელი სუბიექტის დადგენის თვალსაზრისით. აღნიშნული ქვეტიპის კომისივებში მრავლობითი რიცხვის პირველი პირის ნაცვალსახელი "ჩვენ" გამიზნულად

გამოიყენება როგორც ინკლუზიურად, ასევე ექსკლუზიურად და გარკვეულ კონცეპტუალურ ცვლილებას სძენს გამონათქვამის მნიშვნელობას. ინკლუზიური ნაცვალსახელის გამოყენების შემთხვევაში ხალხი ხდება ქმედების ნაწილი, ხოლო ექსკლუზიურის შემთხვევაში დანაპირის შესრულებაზე პასუხისმგებლობა ეკისრება პრეზიდენტსა და მთავრობას. მხოლოდითი რიცხვის პირველი პირის ნაცვალსახელის “მე” გამოყენებით ხდება პრეზიდენტების მიერ დაპირების შესრულებაზე პასუხისმგებლობის მხოლოდ საკუთარ თავზე აღება.

- 2.4 პრეზიდენტთა გამოსვლებში მოქმედებით და ვნებით გვართან ერთად პრეზიდენტთა ინგლისურ და ქართულენოვან გამოსვლებში გამოიყენება საშუალო გვარი, რაც გამიზნულია მოქმედი პირების იმპერსონიფიკაციაზე მოქმედების შემსრულებელი აგენსების არმითითების გზით. თუმცა, მსგავსი მიუკერძოებელი დაპირებები ხშირად ჰიბრიდული ტიპისაა და ერთდროულად მოიცავს როგორც მოქმედებით, ასევე ვნებით და საშუალო გვარს.
- 2.5 ვინაიდან კომისიები ძირითადად არის დაპირება მომავალში გარკვეული ქმედებების გატარებისა, როგორც ამერიკელ, ასევე ქართველ პრეზიდენტთა გამოსვლებში კომისივის ტიპის სამეტყველო აქტების გამოსახატავად გამოიყენება მომავალი დროის ფორმები.
- 2.6 კომისივის სამეტყველო აქტები ზოგჯერ გამყარებულია სტილისტური ხერხებით, როგორიცაა: პერსონიფიკაცია და მეტაფორა, რაც ფრაზებს მეტ გამომხატველობასა და ექსპრესიულობას სძენს.
- 3.1 პრეზიდენტთა გამოსვლებში **ღირექტივების** გამოყენება ქართველ პრეზიდენტთა გამოსვლებში შეადგენს 17%, ხოლო ინგლისურ ენოვან ემპირიულ მასალაში 13% პროცენტს. ღირექტივები პრეზიდენტთა გამოსვლებში დომინანტ აქტებად გვევლინებიან და გამოყენების გარკვეული თავისებურებებით გამოირჩევა. ღირექტივების ტიპის სამეტყველო აქტები საპრეზიდენტო გამოსვლებში ძირითად აქტებად

გვევლინება. დირექტივები პრეზიდენტთა გამოსვლებში არ გვხვდება განცალკევებულად, ისინი ყოველთვის გამყარებულია სხვა სამეტყველო აქტებით. ინგლისურენოვან გამოსვლებში მეტწილად გვხვდება ურთიერთმიმართება რეპრეზენტაცივებს და დირექტივებს შორის, ხოლო ქართველ პრეზიდენტთა გამოსვლების შემთხვევაში საინტერესოა დირექტივებისა და კომისიების ტიპის აქტების ურთიერთმიმართება.

3.2 პრეზიდენტთა გამოსვლებში არ გვხვდება მკაცრი დირექტივები, კერძოდ დირექტივების ვერბალური აქტები, გამოხატული პირდაპირ პერფორმატიული ზმნებით: ბრძანება (order, command), თხოვნა (request). პრეზიდენტები გამოსვლებში შერბილებულ დირექტივებს მიმართავენ, რომლებსაც უფრო მოწოდებების ფორმა აქვთ. ზოგჯერ მოწოდებები გადმოიცემა პირდაპირ პერფორმატივით “მოგიწოდებთ”, ხოლო ამერიკელ პრეზიდენტთა გამოსვლებში პერფორმატივი “ask” მეშვეობით. პრეზიდენტების მიმართებებში ვხვდებით ასევე მოწოდების გამომხატველ ფრაზებს, სადაც გამოყენებული არ არის კონკრეტული სამეტყველო აქტის შესაბამისი პერფორმატივი და სამეტყველო აქტი იმპლიციტურად არის გადმოცემული ამერიკელ პრეზიდენტთა გამოსვლებში დეონტიკური დირექტიული მოდალობის გზით, რომელიც გამოხატულია კონსტრუქციით **LET US + VERB**, ხოლო ქართველ პრეზიდენტთა გამოსვლებში კომბინაციით **მო-დი-თ + ზმნა**.

3.3 დირექტივები პრეზიდენტთა გამოსვლებში ზოგჯერ უფრო ძლიერი ვალდებულების გამომხატველი მოდალური ზმნით გადმოიცემა, როგორცაა “must” / “უნდა”. ქართველ პრეზიდენტთა გამოსვლებში ნაწილაკი “უნდა” გამოიყენება ზმნასთან კომბინაციაში, სადაც ის მოქმედების ან მდგომარეობის საჭიროებას და აუცილებლობას გამოხატავს. სხვა აქტების მსგავსად, დირექტივის ტიპის სამეტყველო აქტების განხილვისას ასევე მნიშვნელოვანია პირის დეიქსისზე დაკვირვება, კონკრეტულად კი პირველი პირის მრავლობითი რიცხვის ნაცვალსახელის ინკლუზიურ და ექსკლუზიურ გამოყენებაზე, რაც დამატებით კონოტაციებს მატებს წინადადებებს. კვლევის შედეგად გამოვყავი დირექტიული სამეტყველო აქტების შემდეგი ქვეტიპები,

რომელიც მოდალური ზმნით “must” /“უნდა” არის ფორმულირებული: (ქართველ პრეზიდენტთა გამოსვლებში არაპირდაპირი დირექტიული აქტები გადმოიცემა “უნდა” ნაწილაკის კომბინაციით სრულმნიშვნელოვან ზმნასთან, სადაც ის საჭიროებას და აუცილებლობას გამოხატავს).

I) ნაცვალსახელი (ჩვენ) + (არ) უნდა + ზმნა; WE + MUST (+NOT) +VERB, სადაც ჩვენ/ WE გვხვდება როგორც ექსკლუზიური, ასევე ინკლუზიური მნიშვნელობით; ექსკლუზიური ნაცვალსახელით გადმოცემული ბრძანების შემთხვევაში ბრძანების შემსრულებელი სუბიექტი არის პრეზიდენტი მთავრობასთან ერთად, ხოლო ინკლუზიური ნაცვალსახელის ჩვენ/ WE გამოყენებით, ბრძანების შემსრულებელ სუბიექტთა რიგს ემატება თავად მსმენელი, ადრესატი.

II) თქვენ + უნდა + ზმნა; YOU + MUST + VERB

III) არსებითი + უნდა + ზმნა (მომავალ ფორმაში);

Noun +MUST +VERB

III ჯგუფის დირექტივებში შედის აგრეთვე ფორმულით “უნდა + ზმნა” გამოხატული დირექტივები, რომლებიც ქართველ პრეზიდენტთა გამოსვლებში გვხვდება. ასეთი ტიპის დირექტივები მიუკერძოებელი სტილის არის, სადაც არ ჩანს თუ ვისკენ არის მიმართული დირექტივები, ვისზეა გათვლილი ბრძანების პერლოკუციური შედეგი, ვინ არის გაცემული ბრძანების შემსრულებელი სუბიექტი.

3.4 ცალკე ჯგუფად გამოიყოფა ემოციურად დატვირთული დირექტივები, რომელებითაც პრეზიდენტთა გამოსვლები სრულდება. ესენია პრეზიდენტთა გამოსვლების დამამთავრებელი ფრაზები, რაც პრეზიდენტთა სიტყვის სხვადასხვა უანრის დამახასიათებელი და აუცილებელი ელემენტია. დამამთავრებელი ფრაზები ძირითადად ლოცვა-კურთხევის ფორმულებით არის წარმოდგენილი, სადაც გამოყენებულია ძლიერი ილოკუციური ძალის სიტყვები, როგორცაა: დალოცვა, გამარჯვება, მფარველობა.

4.1 პროცენტული მაჩვენებლის მიხედვით რიგით მეოთხე აქტი, რომელიც პრეზიდენტთა გამოსვლებშია არის რეალიზებული ექსპრესივობა. საპრეზიდენტო გამოსვლებში გვხვდება როგორც მორალური დამოკიდებულების, ასევე ემოციური დამოკიდებულების გამომხატველი ექსპრესიული აქტები.

4.2 პრეზიდენტთა გამოსვლებში მორალური დამოკიდებულების გამომხატველი ექსპრესიული აქტები გადმოიცემა მისაღმების თავაზიანი ფრაზებით. მისაღმება პრეზიდენტთა ნებისმიერ სიტყვაში აუცილებელ ელემენტს წარმოადგენს. მისაღმების ფრაზები მოსაუბრის მორალური პასუხისმგებლობის გრძნობიდან გამომდინარეობს, რომ მიესაღმოს, გამოხატოს დამსწრე საზოგადოებისადმი, ან მსმენელისადმი მისი აღფრთოვანება ან დადებითი დამოკიდებულება, რომ მოხარულია მათი მისაღმებით. ილოკუციური აქტი ამ შემთხვევაში არის ის რომ, მოსაუბრეს სურს მიესაღმოს მსმენელს, აგრძნობინოს, რომ მასთან პირდაპირი ან ვირტუალური შეხვედრა უხარია, პერლოკუციური ეფექტი კი მსმენელში დადებითი დამოკიდებულების საპასუხო დადებითი რეაქციის აღძვრაა. მისაღმება ზოგჯერ გამოიხატება სამეტყველო აქტის ზმნით (პერფორმატივით) ექსპლიციტურად, ზოგჯერ კი მისაღმება იმპლიციტურად, ყოველგვარი პერფორმატიული ზმნის გამოყენების გარეშე ხდება.

ა) პირდაპირი (ექპლიციტური) ექსპრესიული მორალური სამეტყველო აქტები გამოხატული პერფორმატივით “მოგესაღმებით” ; “salute”; “welcome”.

ქართველ პრეზიდენტთა გამოსვლებში გამოიყენება შემდეგი ფორმულები:

D) სიტყვა-წინადადება, რომელიც კონსტრუქციულად სუბიექტურ პრედიკატიული ტიპისაა (თუმცა ეს მხოლოდ და მხოლოდ ქართულენოვან მიმართებებში გვხვდება, ვინაიდან ცნობილია, რომ ინგლისურ ენაში მოქმედი და მოქმედება აუცილებლად ორი სიტყვაფორმით გამოიხატება)

II) ზმნა (გ-ე-საღმ-ებ-ი) + ობიექტი

III) მინდა + მი-ვ-ე-საღმ-ო + ობიექტი

IV) ნაცვალსახელი (მე) + ზმნა (მივესაღმები) + ობიექტი

ხოლო ამერიკელ პრეზიდენტთა გამოსვლებში გამოიყენება შემდეგი ფორმულები:

D) I/WE + SALUTE/WELCOME + OBJECT

ბ) არაპირდაპირი (იმპლიციტური) ექსპრესიული მორალური სამეტყველო აქტები სამეტყველო აქტის ზმნის გარეშე.

საგულისხმოა, რომ მისაღმების ან მიმართვის ზოგიერთ ფრაზაში ექსპრესიული სამეტყველო აქტის თავად პერფორმატიული ზმნა მოგესაღმებით (მივესაღმები, ვესაღმები, greet, salute, welcome) არ არის ნახსენები. ამ ტიპის მიმართვებისას პრეზიდენტები იერარქიულ წყობას იყენებენ.

4.3. პრეზიდენტთა მიმართვებში ემოციური დამოკიდებულების გამომხატველი ექსპრესიული აქტები გადმოიცემა მაღლიერების გამომხატველი თავაზიანი ფრაზებით.

ა. პირდაპირი (ექპლიციტური) ექსპრესიული ემოციური სამეტყველო აქტები გამოსატული პერფორმატივით thank

კვლევის შედეგად ამერიკელ პრეზიდენტთა გამოსვლებში გამოიკვეთა შემდეგი ფორმულებით გადმოცემული პირდაპირი ექსპრესიული ემოციური აქტები:

I) Verb (THANK) + Object/ Noun Phrase + (Preposition (FOR))

II) Pronoun (I/ WE) + Verb (THANK) + Object/ Noun Phrase

III) Pronoun (I)+ Verb (THANK)+ Object + Preposition (FOR) + Noun Phrase

პრეზიდენტთა გამოსვლებში სიტყვა “Thank” გვხვდება ასევე არა როგორც პერფორმატიული ზმნა, არამედ როგორც არსებითი სახელი, ქვემოთ მოცემულია მაღლიერების გამომხატველი ფრაზების ორი ქვეტიპი, სადაც გამოყენებულია ფორმულები Thanks + for + smth და Give+thanks+ for +smth

პრეზიდენტთა ქართულენოვან მიმართებებში ვხვდებით მადლიერების გამომხატველ ფრაზებს, რაც გამოყენების საკმაოდ დიდი სიხშირით გამოირჩევა და სხვადასხვა სტრუქტურული ფორმებით გადმოიცემა. ქართველ პრეზიდენტთა გამოსვლებში არ გვხვდება “მადლობა” ზმნური ფორმით (გმადლობთ), მადლობის გამომხატველი ფრაზები გადმოიცემა ძირითადად კომბინაციით “მადლობას მო(ვ)(გ)ახსენებ(თ), თუმცა ვხვდებით არსებითი სახელით და ზედსართავი სახელით გადმოცემულ მადლიერების გამომხატველ თავაზიან ფრაზებს. კვლევის შედეგად გამოვლინდა შემდეგი ფორმულები:

- I) მადლობა-ს (არსებითი სახელი, პირდაპირი ობიექტი) + მოვახსენებ (ზმნა, შემასმენელი) + ობიექტი (არსებითი სახელი, ირიბი ობიექტი)
- II) მინდა (ზმნა) + მადლობა (არსებითი სახელი, პირდაპირი ობიექტი) + მოვახსენო (ზმნა, შემასმენელი) + ირიბი ობიექტი (არსებითი სახელი)
- III) მადლობა (არსებითი სახელი) + ობიექტი (არსებითი სახელი)
- IV) მადლიერი (ზედსართავი სახელი)+ ზმნა (ყოფნა ზმნა)
- V) მადლიერებ-(ით) (არსებითი სახელი) + ზმნა + ობიექტი (არსებითი სახელი)

5. **დეკლარაციების** ტიპის სამეტყველო აქტებს პრეზიდენტთა გამოსვლებში ყველაზე დაბალი სიხშირით ვხვდებით (1%). როდენობივად მეტი დეკლარაცია დაჯილდოვების და შეწყალების უანრის პრეზიდენტთა გამოსვლებში გხვდება. ძალზე იშვიათად გვხვდება პირდაპირი დეკლარაციის ტიპის სამეტყველო აქტი, გადმოცემული პერფორმატივით “declare”, “ვაცხადებთ”. ამავედროულად აღნიშნული პერფორმატივი ყოველთვის არ გულისხმობს დეკლარაციის სამეტყველო აქტის არსებობას. პრეზიდენტთა გამოსვლებში ვხვდებით სხვა სამეტყველო აქტის განმსაზღვრელი პერფორმატივით გადმოცემულ არაპირაპირ დეკლარაციებს, გამოხატულს ზმნით “proclaim”. გრამატიკული კატეგორიის, კერძოდ, სწორი დროის შერჩევა შეიძლება ხელს უწყობდეს

პერლოკუციური შედეგის მიღწევას. დირექტივის და კომისიის ტიპის აქტების კომპლექსური განხილვა ექსტრალინგვისტურ ჭრილში გვაძლევს საფუძველს დავასკვნათ, რომ აღნიშნული აქტები, ამავე დროს წარმოადგენენ დეკლარაციის ტიპის აქტებს.

6. **პრეზიდენტთა დისკურსში სამეტყველო აქტები ინტეგრირებულად გამოიყენება** შეტყობინებების პერლოკუციური შედეგის მისაღწევად. აქტებს შორის არსებობს კავშირი და ურთიერთმიმართება, რაც დომინირება-დაქვემდებარებულობის პრინციპზეა აგებული. დირექტივები გვევლინება დომინანტ აქტებად, ვინაიდან სწორედ დირექტივები გადასცემენ მსმენელს შესასრულებელ მითითებას, თუმცა პრეზიდენტთა დისკურსში დირექტივებთან ერთად არანაკლებ მნიშვნელოვანია სხვა აქტების გამოყენება, ვინაიდან თითოეულ აქტს აკისრია შესაბამისი რელევანტური მისია იმისათვის, რომ ადრესატსა და ადრესანტს შორის შედგეს წარმატებული ურთიერთგაგებინება. ამ მხრივ უნდა გამოიყოს დირექტივებისა და რეპრეზენტაციების ურთიერთმიმართება: ილოკუციური მიზანი გადმოიცემა დირექტივაში, ხოლო რეპრეზენტაციები არის დამხმარე საშუალება, რაც ძირითადი აქტის მოტივაციას უზრუნველყოფს, ავსებს სათანადო მიზეზებით და არგუმენტებით, რაც ამართლებს გაცემულ დირექტივას მსმენელის მიმართ. თუმცა რეპრეზენტაციის ტიპის აქტები არანაკლებ მნიშვნელოვანია პერლოკუციური ეფექტის მიღწევის თვალსაზრისით, ვინაიდან სწორედ მათი მეშვეობით არის შესაძლებელი მსმენელის მომზადება დირექტივის აქტის მისაღებად. დირექტივის გაცემამდე საჭიროა დირექტივის გამართლება და მსმენელის უზრუნველყოფა დირექტივისათვის საჭირო მოტივაციით ან მიზეზებით, რაც რეპრეზენტაციების, ზოგჯერ კი კომისიების აქტებით არის შესაძლებელი.



## საერთო დასკვნა

1. პრეზიდენტთა გამოსვლები არის (სასურველია) მჭერმეტყველების ნიმუში, რომელიც თავისთავში აერთიანებს მიზანს-დაარწმუნოს მსმენელი ვერბალური საშუალებით და მიადწიოს კონსენსუსს საზოგადოებაში არსებული ნორმების და ღირებულებების გათვალისწინებით. პრეზიდენტთა გამოსვლები შეიძლება იყოს დაგეგმილი ან დაუგეგმავი მეტყველების ნიმუში. პრეზიდენტთა გამოსვლები შეიძლება იყოს როგორც შიდა-ჯგუფური ასევე გარე-ჯგუფური პოლიტიკური კომუნიკაციის ნიმუში, ვინაიდან ისინი შესაძლებელია მიმართული იყოს პოლიტიკოსების ან ქვეყნის მოსახლეობისადმი. ასევე პრეზიდენტთა გამოსვლები შეიძლება იყოს შიდა-სახელმწიფოებრივი ან/და გარე-სახელმწიფოებრივი. პრეზიდენტთა გამოსვლები ამავე დროს არის არაუკუქცევითი დისკურსის ნიმუში. ყოველივე ეს მეტყველებს პრეზიდენტთა გამოსვლების პრაგმა-ლინგვისტური განხილვის საჭიროებაზე ექსტრალინგვისტური, სოციო-პოლიტიკური და კულტურული გარემოებების გათვალისწინებით.

2. ნაშრომში პრეზიდენტთა გამოსვლების ანალიზი ჟანრობრივი კლასიფიკაციის მიზნით ეფუძნება შემდეგ მახასიათებლებს: კომპოზიციური სტრუქტურა; შინაარსობრივი პლანი; რიტორიკული გამიზნულობა; სტილი; სოციო-პოლიტიკური და კულტურულ გარემოებები. ასევე ყურადღება გამახვილებულია პრაგმატიკულ ასპექტებზე, კერძოდ, რა წარმოადგენს მიმართვის საკომუნიკაციო გამიზნულობას და როგორი პერლოკუციური ეფექტის მიღწევა სურს მთქმელს. ემპირიული მასალის აღნიშნული ასპექტების კვლევის შედეგად ნაშრომში გამოიყოფა პრეზიდენტთა გამოსვლების 10 ჟანრი და გაანალიზებულია თითოეული ცალ-ცალკე. ეს ჟანრებია:

1. საინაუგურაციო გამოსვლა
2. წინასაარჩევნო კამპანიის დროს წარმოთქმული სიტყვა
3. სიტყვა-ანგარიში

4. სიტყვა – მიმართვა
5. მილოცვა/ მისამძიმრება
6. შეწყალება/ დაჯილდოება
7. ვეტო-შეტყობინება
8. ომის რიტორიკა
9. იმპინჩმენტის შეტყობინება
10. გამოსამშვიდობებელი გამოსვლა

3. **რეფერენციული ფუნქცია** პრეზიდენტთა გამოსვლებში რეალიზდება ფაქტობრივი ინფორმაციის გადაცემით, რომელიც ზოგჯერ გამყარებულია სტატისტიკური მონაცემებით, რაც მეტ დამაჯერებლობას სძენს გამოსვლას და რასაც გამოსვლის დაახლოებით ერთი მესამედი ნაწილი უკავია.
4. პრეზიდენტთა სხვადასხვა გამოსვლაში ინფორმატიულობის დონე განსხვავებულია.
5. პრეზიდენტთა გამოსვლებში რეფერენციული ფუნქცია მეტწილად რეპრეზენტატივების ტიპის სამეტყველო აქტებით არის გადმოცემული, ვინაიდან სწორედ რეპრეზენტატივის ტიპის სამეტყველო აქტები ემსახურება ფაქტობრივი ინფორმაციის გადაცემას.
6. **ემოციური ფუნქციის** რეალიზაცია პრეზიდენტთა გამოსვლებში ხორციელდება ენის სხვადასხვა დონეზე, რისთვისაც გამოიყენება სტილისტური ღირებულების მქონე ენობრივი ერთეულები, შესიტყვებები, ფრაზები, მარტივი ან რთული კონსტრუქციები, წინადადებები. მათი მეშვეობით გადმოცემულია მოსაუბრის გრძნობები და დამოკიდებულება.
7. პრეზიდენტთა გამოსვლებში ემოციური ფუნქციის რეალიზება სიტყვის დონეზე შემდეგნაირად ხორციელდება: სიტყვის დენოტაციურ მნიშვნელობასთან ერთად განსაკუთრებით საინტერესოდ გამოიყენება

სიტყვის როგორც დადებითი, ასევე უარყოფითი კონოტაციური მნიშვნელობები, ჭარბად გამოიყენება სალექსიკონო და კონტექსტუალური (მეტაფორა), ისევე როგორც, ლოგიკური და ემოციური (ეპითეტი) მნიშვნელობების ურთიერთქმედებები.

8. ემოციური ფუნქცია წინადადების დონეზე რეალიზდება ექსპრესიული, გამომხატველობითი საშუალებებით და სტილისტური ხერხებით, რომელთაგან სჭარბობს ანტითეზა, პარალელური კონსტრუქციები და ანაფორული გამეორება.
9. პრეზიდენტთა გამოსვლებში გამოყავი პრეზიდენტთა მიმართვების აუცილებელი ელემენტი – ემოციურად დატვირთული დამამთავრებელი ფრაზები, რაც ლოცვა-კურთხევის ფორმულებით არის წარმოდგენილი და რაც მსმენელში დადებით ემოციებს აღძრავს.
10. პრეზიდენტთა გამოსვლებში ენის კონატიური ფუნქცია ზოგჯერ გადმოცემულია რიტორიკული შეკითხვებით, რაც გამიზნულია ადრესატზე ზემოქმედების მისაღწევად და მიზნად ისახავს მსმენელის ჩართულობის გაზრდას, მათში გარკვეული გრძნობებისა და დამოკიდებულების აღძვრას. პრეზიდენტთა ინგლისურენოვან გამოსვლებში რიტორიკული შეკითხვები ოთხი ტიპის კითხვითი სტრუქტურით გადმოიცემა, ხოლო ქართულენოვან გამოსვლებში ვხვდებით მხოლოდ კითხვითსიტყვიან წინადადებებს.
11. ენის კონატიური ფუნქცია ვლინდება მსმენელისადმი მიმართულ მოწოდებებსა და ღირექტივებში. პრეზიდენტთა გამოსვლებში გამოყავი შესაბამისი ფორმულებით გამოხატული მოწოდებების და ღირექტივების ქვეტიპები.
12. მოწოდებებისა და ღირექტივების გაცემისას პრეზიდენტები მსმენელის ყურადღების გამახვილების მიზნით აქტიურად იყენებენ სხვადასხვა სინტაქსურ ექსპრესიულ საშუალებას და სტილისტურ ხერხს, როგორცაა

მაგალითად, სტილისტური ჩამონათვალი, ანაფორული გამეორება და პარალელური კონსტრუქციები, რაც კიდევ უფრო აძლიერებს აუდიტორიის ყურადღებას შეტყობინების შინაარსზე.

13. ფატიკური ფუნქცია პრეზიდენტთა გამოსვლებში რეალიზდება, როგორც მიმართვის დასაწყისში, ისე შუა და ბოლო ნაწილებში.
14. კვლევის შედეგად გამოვყავი ფრაზების რამდენიმე კლასი, რომელიც პრეზიდენტთა გამოსვლებში ენის ფატიკურ ფუნქციას ასრულებს. პრეზიდენტთა, როგორც ინგლისურენოვან ასევე ქართულენოვან მიმართვებში აქტიურად გამოიყენება **I) მაღლიერების გამომხატველი თავაზიანი ფრაზები და II) მისალმების გამომხატველი ფრაზები.** ანალიზის შედეგად აღნიშნული ფრაზები სტრუქტურის მიხედვით დავყავი რამდენიმე ქვეტიპად შესაბამისი ფორმულებით.
15. ხშირად ფატიკური ფუნქციის რეალიზაცია ექსპრესივის ტიპის სამეტყველო აქტებით ხორციელდება.
16. საპრეზიდენტო გამოსვლებში ენის ფატიკური ფუნქცია ხშირად პირის დეიქსის მეშვეობით რეალიზდება.
17. ემპირიული მასალის სტატისტიკური კვლევის შედეგად გამოირკვა, რომ პრეზიდენტთა მიმართვებში მრავლობითი რიცხვის პირველი პირის ნაცვალსახელის “ჩვენ/WE” გამოყენება 5.4 –ჯერ აღემატება მხოლოდითი რიცხვის პირველი პირის “მე/I” გამოყენებას. მრავლობითი რიცხვის პირველი პირის ნაცვალსახელის მიმართება მხოლოდითი რიცხვის პირველი პირის ნაცვალსახელთან შემდეგნაირად გამოიყურება: ჩვენ/WE – 84 %; მე/I- 16%

18. პირველი პირის მხოლოდითი ნაცვალსახელი “მე/I” არ გამოიყენება მაღალი სიხშირით, მას ვხვდებით მხოლოდ იმ შემთხვევაში, როდესაც რეფერენცია მხოლოდ მთქმელზეა, პრეზიდენტის მიერ კონკრეტულ ფაქტზე გარკვეული პასუხიმგებლობის აღების ან პიროვნული დამოკიდებულების გამოსატვის შემთხვევაში კონკრეტულ მოვლენასთან მიმართებაში.
19. პრეზიდენტთა გამოსვლებში გადაჭარბებულად გამოიყენება პირველი პირის მრავლობითი ნაცვალსახელი “ჩვენ/WE,” მისი გამოყენება ფატიკურ ფუნქციას ასრულებს და კიდევ უფრო აახლოებს მსმენელს მოსაუბრესთან. პრეზიდენტთა მიმართებებში ნაცვალსახელის “ჩვენ/WE” გამოყენება უჩენს მსმენელს იმის განცდას, რომ ის თავადაც ქვეყანაში მიმდინარე პოლიტიკური პროცესების და დინამიკის ნაწილია.
20. ნაცვალსახელი “ჩვენ/WE” საკმაოდ ფართო მნიშვნელობით გამოიყენება. კონტექსტიდან გამომდინარე, ნაცვალსახელი “ჩვენ/WE” სხვადასხვა მნიშვნელობას იძენს. კვლევის შედეგად გამოვყავი
- I) ინკლუზიური “ჩვენ/WE” (მოსაუბრე + მსმენელი = პრეზიდენტი + აუდიტორია + ყველა)
  - II) ექსკლუზიური ჩვენ “ჩვენ/WE” (მოსაუბრე + სხვ(ები)ა - მსმენელი = პრეზიდენტი + მთავრობა)
21. პრეზიდენტთა გამოსვლებში მეტალინგვისტური ფუნქცია სათანადო რეგისტრის, სტილის (ოფიციალური, არაოფიციალური, ნეიტრალური, ამაღლებული სტილი) და მეტაენის შერჩევაში ვლინდება, როდესაც პრეზიდენტები საუბრობენ საერთო თემების ირგვლივ, როგორცაა ქვეყნის და ერის ღირებულებები, სიკეთის (დემოკრატიის) ბრძოლა ბოროტების (ტირანიის) წინააღმდეგ და სხვ. საპრეზიდენტო გამოსვლებში საკმაოდ ხშირია ამაღლებული სტილის გამოყენება. ამაღლებულ სტილს ხშირად ციტატების, აღუზიების, მეტაფორების და სხვა სტილისტური თუ

ექსპრესიული საშუალებების გამოყენება ქმნის, რაც პოეტურობასა და ექსპრესიულობას სძენს ნათქვამს და შესაბამისად ხდება ენის პოეტური და/ან ემოციური ფუნქციის რეალიზებაც.

22. პრეზიდენტთა გამოსვლებში ენის პოეტური ფუნქცია ძალზედ ხშირად არის რეალიზებული. პოეტური ფუნქცია გამოიხატება:
- ა) ფონეტიკური გამომხატველობითი საშუალებები და სტილისტური ხერხებით, როგორცაა: ალიტერაცია, რითმა, რიტმი.
  - ბ) სინტაქსური ექსპრესიული გამომხატველობითი საშუალებებით და სტილისტური ხერხებით, რომელთაგანაც სჭარბობს პარალელური კონსტრუქციები, ანაფორული გამეორება, პოლისინდეტონი;
  - გ) მყარი სიტყვათშეთანხმებებით, როგორცაა: კლიშე, ანდაზები, ციტატები, და ლიტერატურული, ისტორიული, რელიგიური აღუზიები.
23. პრეზიდენტთა გამოსვლებში ენის ექვსივე ფუნქცია - რეფერენციული, ემოციური, კონატიური, ფატიკური, მეტალინგვისტური, პოეტური ფუნქცია - აქტიურად რეალიზდება და არის კორელაციაში ერთმანეთთან. პრეზიდენტების მიერ მსმენელისათვის გადაცემული ფაქტობრივი ინფორმაცია ემოციურად, ექსპრესიულად, პოეტურად დატვირთულია, რის შედეგად პრეზიდენტები მსმენელში სათანადო, სასურველ რეაქციას აღძრავენ, ამას გარკვეულწილად მათი მეტაენაც განაპირობებს. მსმენელთან კავშირს ფატიკური ფუნქციით, ხოლო მათ ჩართულობას კონატიური ფუნქციის რეალიზების გზით აღწევენ.
24. პრეზიდენტთა გამოსვლებში ექვსივე ფუნქციის რეალიზაციისას მაღალი სიხშირით გამოიყენება როგორც ლექსიკური და სინტაქსური, ასევე ფონეტიკური სტილისტური ხერხები და გამომხატველობითი საშუალებები.

25. ემპირიული მასალის სტატისტიკური კვლევის შედეგად დადგინდა სამეტყველო აქტთა გამოყენების სიხშირე და მათი ურთიერთმიმართება როგორც ქართველ ასევე ამერიკელ პრეზიდენტთა გამოსვლაში. მონაცემების შეპირისპირებით ანალიზის შედეგად დადგინდა შემდეგი: როგორც ქართველ ასევე ამერიკელ პრეზიდენტთა გამოსვლებში რაოდენობრივად სჭარბობს რეპრეზენტაციების გამოყენება. ამერიკელ პრეზიდენტთა გამოსვლებში რეპრეზენტაციების რაოდენობა 63% აღწევს, ხოლო ქართველ პრეზიდენტთა გამოსვლებში 51% შეადგენს. რეპრეზენტაციებს მოსდევს კომისიების გამოყენება, რაც ქართველ პრეზიდენტთა გამოსვლებში 4%-ით აღემატება კომისიების რაოდენობას ამერიკელ პრეზიდენტთა გამოსვლებში (18%). დირექტივების რაოდენობა შემდეგნაირად გადანაწილდა: 17% ქართველ პრეზიდენტთა გამოსვლებში და 13% ამერიკელ პრეზიდენტთა გამოსვლებში, ქართველ პრეზიდენტთა გამოსვლები მეტად ექსპრესიულია და შეადგენს 9%, ხოლო ამერიკელ პრეზიდენტთა შესწავლილ გამოსვლებში ექსპრესიული აქტების გამოყენება 5 %-ით შემოიფარგლება. ყველაზე მცირე რაოდენობით, როგორც ქართულ ასევე ინგლისურენოვან ემპირიულ მასალაში დეკლარაციები გამოიყენება და შეადგენს მხოლოდ 1 %. მდენად, ანალიზმა ცხადყო, რომ მიუხედავად მცირე პროცენტული განსხვავებებისა, სამეტყველო აქტთა თანმიმდევრობა პროცენტული მაჩვენებლის მიხედვით მსგავსია, როგორც ქართველ ასევე ამერიკელ პრეზიდენტთა სხვადასხვა ჟანრის გამოსვლებში.

26. პრეზიდენტთა გამოსვლებში რეპრეზენტაციის ტიპის სამეტყველო აქტის გამოყენება რაოდენობრივად დომინირებს პრეზიდენტთა გამოსვლებში. ქართველ პრეზიდენტთა გამოსვლებში რეპრეზენტაციები 51% შეადგენს, ხოლო ამერიკელ პრეზიდენტთა გამოსვლებში კი 63%. ვხვდებით რეპრეზენტაციის მრავალფეროვან ტიპებს, რომელიც სხვადასხვა პერფორმატიული ზმნით (პირდაპირი სახით, ექსპლიციტურად), ზოგჯერ კი პერფორმატიული ზმნის გარეშე (არაპირდაპირ, იმპლიციტურად) არის

გადმოცემული. რეპრეზენტაციების შემცველი მასალა ორ ძირითად ტიპად იყოფა:

1) პერფორმატიული ზმნის შემცველი რეპრეზენტაციები. რეპრეზენტაციები, გადმოცემული შემდეგი ზმნებით: მჯერა, მწამს (believe); ვიცი (know); ვთვლი, ვფიქრობ, მიმაჩნია (think)

2) რეპრეზენტაციები, გადმოცემული პერფორმატიული ზმნის გარეშე:

ა) კონსტრუქციით there is/are;

ბ) კუთვნილებითი ზმნით –ქონა, ყოლა/ have;

გ) სინტაქსურად მარტივი და/ან რთული SVO სტრუქტურებით.

27. ილოკუციური ძალის მაიდენტიფიცირებელი/ განმსაზღვრელი ხერხებიდან (Illocutionary Force Identification Device – IFIDs) რეპრეზენტაციის ტიპის აქტის გადმოსაცემად პერფორმატიული ზმნების გამოყენებასთან ერთად პრეზიდენტები იყენებენ სიტყვათწყობას სასურველი აქცენტების გასაკეთებლად, სასურველი ილოკუციური მიზნების მიღწევის მიზნით.

28. რეპრეზენტაციები პრეზიდენტთა დისკურსში გადმოიცემა რეპრეზენტაციის დამახასიათებელი ვერბალური ქმედებების გამომხატველი ზმნებით ისევე, როგორც სხვა აქტების ვერბალურ ქმედებებში შემავალი ზმნებით. ზოგჯერ რეპრეზენტაციების ტიპის აქტები გადმოცემულია დისკრიბციული ხასიათისა და კაუზალური მიმართების მქონე სინტაქსურად მარტივ და/ან რთულ პასაჟებში, ქრონოლოგიურ ნარატივში, სადაც არ გამოიყენება უშუალოდ რეპრეზენტაციის გამომხატველი პერფორმატივები, თუმცა პრეზიდენტები აღწერენ არსებულ რეალობას და მსმენელს უზიარებენ მათ დამოკიდებულებასა და რწმენას.

29. რეპრეზენტაციების ტიპის სამეტყველო აქტები განსხვავდება ჭეშმარიტების ხარისხის, მტკიცების გაძლიერება/გაღრმავების ან



შესუსტება/შერბილების მიხედვით, რაც მიიღწევა ლექსიკური და სინტაქსური ზღუდეების გამოყენებით.

30. რეპრეზენტაციების ტიპის სამეტყველო აქტების შემდეგი კომისიები ყველაზე ხშირად არის რეალიზებული საპრეზიდენტო გამოსვლებში. კომისიებს დიდი სიხშირით ვხვდებით როგორც ქართველ (22%), ასევე ასევე ამერიკელ (18%) პრეზიდენტთა გამოსვლებში.

პრეზიდენტთა გამოსვლებში გვხვდება:

- 1) პირდაპირი/ექსპლიციტური
- 2) არაპირდაპირი/იმპლიციტური კომისიის ტიპის სამეტყველო აქტები.

1. პირდაპირი (ექსპლიციტური) კომისიის ტიპის სამეტყველო აქტები გამოიხატება შემდეგი პერფორმატივებით, შესაბამისი ფორმულებით:

ა) კომისიები, გამოხატული პერფორმატივით “Pledge” I/WE + V (Pledge); “პირობის/ფიცის მიცემა” (მე/ჩვენ + ზმნა ( პირობის მიცემა/ფიცის დადება);

ბ) კომისივი, გადმოცემული პერფორმატივით – “offer” I/WE +Verb (offer); “ვთავაზობ/ ვთავაზობთ” (მე/ჩვენ + ზმნა (ვთავაზობ(თ)));

2. არაპირდაპირი (იმპლიციტური) კომისიის ტიპის სამეტყველო აქტები.

ა) პრეზიდენტები ერიდებიან მუქარის გამომხატველი პირდაპირი სამეტყველო აქტების გამოყენებას და ამჯობინებენ, რომ მუქარა გამოხატონ შეფარვით, არაპირდაპირ/იმპლიციტურად, ზოგჯერ კი მეტაფორულად.

ბ) დაპირების გამომხატველი კომისივი ხშირად არ არის გადმოცემული პერფორმატივით ”გპირდებით”, არამედ სხვადასხვა ზმნების მეშვეობით, რომელთაც სხვადასხვა დენოტაციური მნიშვნელობა გააჩნიათ, თუმცა კონტექსტში გარკვეულწილად დაპირების მნიშვნელობას იძენენ.

კვლევის შედეგად პრეზიდენტთა გამოსვლებში გამოყვავი დაპირების გამომხატველი შემდეგი ტიპის კომისიები:

- I) ჩვენ + ზმნა (მომავალ ფორმაში); We +WILL+VERB
  - II) ჩვენ + ზმნა (მომავალ უარყოფით ფორმაში); WE+WILL+ NOT+VERB
  - III) მე + ზმნა (მომავალ ფორმაში); I+WILL +VERB
  - IV) არსებითი სახელი + ზმნა (მომავალ დადებით ფორმაში); NOUN+WILL+VERB
- IV ჯგუფის ცალკე ქვეჯგუფში შედის ასევე ზმნა/შემასმენელი (მომავალ ფორმაში) + ქვემდებარე ფორმულით გადმოცემული მიუკერძოებელი სტილის ფრაზები და წინადადებები, რომლებსაც ქართული პრეზიდენტების გამოსვლებში ვხვდებით და სადაც არ ჩანს დანაპირების შემსრულებელი სუბიექტი.
- V) არსებითი სახელი + ზმნა (მომავალ უარყოფით ფორმაში); NOUN+WILL+NOT + VERB

31. კომისიის ორივე ტიპის აქტებში პირის დეიქსისი მნიშვნელოვან როლს თამაშობს ქმედების შემსრულებელი სუბიექტის დადგენის თვალსაზრისით. აღნიშნული ქვეტიპის კომისიებებში მრავლობითი რიცხვის პირველი პირის ნაცვალსახელი “ჩვენ” გამიზნულად გამოიყენება, როგორც ინკლუზიურად, ასევე ექსკლუზიურად და გარკვეულ კონცეპტუალურ ცვლილებას სძენს გამონათქვამის მნიშვნელობას. ინკლუზიური ნაცვალსახელის გამოყენების შემთხვევაში ხალხი ხდება ქმედების ნაწილი, ხოლო ექსკლუზიურის შემთხვევაში დანაპირის შესრულებაზე პასუხისმგებლობა ეკისრება პრეზიდენტსა და მთავრობას. მხოლობითი რიცხვის პირველი პირის ნაცვალსახელის “მე” გამოყენებით ხდება პრეზიდენტების მიერ დანაპირების შესრულებაზე პასუხისმგებლობის მხოლოდ საკუთარ თავზე აღება.

32. პრეზიდენტთა გამოსვლებში მოქმედებით და ვნებით გვართან ერთად პრეზიდენტთა ინგლისურ და ქართულენოვან გამოსვლებში გამოიყენება

საშუალო გვარი, რაც გამიზნულია მოქმედი პირების იმპერსონიფიკაციაზე მოქმედების შემსრულებელი აგენსების არ მითითების გზით. თუმცა, მსგავსი მიუკერძოებელი დაპირებები ხშირად ჰიბრიდული ტიპისაა და ერთდროულად მოიცავს როგორც მოქმედებით, ასევე ვნებით და საშუალო გვარს.

33. ვინაიდან კომისიები ძირითადად არის დაპირება მომავალში გარკვეული ქმედებების გატარებისა, როგორც ამერიკელ, ასევე ქართველ პრეზიდენტთა გამოსვლებში კომისიის ტიპის სამეტყველო აქტების გამოსახატავად გამოიყენება მომავალი დროის ფორმები.
34. კომისიის სამეტყველო აქტები ზოგჯერ გამყარებულია სტილისტური ხერხებით, როგორცაა: პერსონიფიკაცია და მეტაფორა, რაც ფრაზებს მეტ გამომხატველობასა და ექსპრესიულობას სძენს.
35. პრეზიდენტთა გამოსვლებში დირექტივების გამოყენება ქართველ პრეზიდენტთა გამოსვლებში შეადგენს 17%, ხოლო ინგლისურ ენოვან ემპირიულ მასალაში 13% პროცენტს. დირექტივები პრეზიდენტთა გამოსვლებში დომინანტ აქტებად გვევლინებიან და გამოყენების გარკვეული თავისებურებებით გამოირჩევა. დირექტივების ტიპის სამეტყველო აქტები საპრეზიდენტო გამოსვლებში ძირითად აქტებად გვევლინება. დირექტივები პრეზიდენტთა გამოსვლებში არ გვხვდება განცალკევებულად, ისინი ყოველთვის გამყარებულია სხვა სამეტყველო აქტებით. ინგლისურენოვან გამოსვლებში მეტწილად გვხვდება ურთიერთმიმართება რეპრეზენტატივებს და დირექტივებს შორის, ხოლო ქართველ პრეზიდენტთა გამოსვლების შემთხვევაში საინტერესოა დირექტივებისა და კომისიების ტიპის აქტების ურთიერთმიმართება.
36. პრეზიდენტთა გამოსვლებში არ გვხვდება მკაცრი დირექტივები, კერძოდ დირექტივების ვერბალური აქტები, გამოხატული პირდაპირ პერფორმატიული ზმნებით: ბრძანება (order, command), თხოვნა (request).

პრეზიდენტები გამოსვლებში შერბილებულ დირექტივებს მიმართავენ, რომლებსაც უფრო მოწოდებების ფორმა აქვთ. ზოგჯერ მოწოდებები გადმოიცემა პირდაპირ პერფორმატივით “მოგიწოდებთ”, ხოლო ამერიკელ პრეზიდენტთა გამოსვლებში პერფორმატივი “ask” მეშვეობით. პრეზიდენტების მიმართვებში ვხვდებით ასევე მოწოდების გამომხატველ ფრაზებს, სადაც გამოყენებული არ არის კონკრეტული სამეტყველო აქტის შესაბამისი პერფორმატივი და სამეტყველო აქტი იმპლიციტურად არის გადმოცემული ამერიკელ პრეზიდენტთა გამოსვლებში დეონტიკური დირექტიული მოდალობის გზით, რომელიც გამოხატულია კონსტრუქციით **LET US + VERB**, ხოლო ქართულ პრეზიდენტთა გამოსვლებში კომბინაციით **მო-დი-თ + ზმნა**.

37. დირექტივები პრეზიდენტთა გამოსვლებში ზოგჯერ უფრო ძლიერი ვალდებულების გამომხატველი მოდალური ზმნით გადმოიცემა, როგორცაა “must” / “უნდა”. სხვა აქტების მსგავსად, დირექტივის ტიპის სამეტყველო აქტების განხილვისას ასევე მნიშვნელოვანია პირის დეიქსისზე დაკვირვება, კონკრეტულად კი პირველი პირის მრავლობითი რიცხვის ნაცვალსახელის ინკლუზიურ და ექსკლუზიურ გამოყენებაზე, რაც დამატებით კონტრაციებს მატებს წინადადებებს. კვლევის შედეგად გამოვყავი დირექტიული სამეტყველო აქტების შემდეგი ქვეტიპები, რომელიც მოდალური ზმნით “must” / “უნდა” არის ფორმულირებული: (ქართულ პრეზიდენტთა გამოსვლებში არაპირდაპირი დირექტიული აქტები გადმოიცემა “უნდა” ნაწილაკის კომბინაციით სრულმნიშვნელოვან ზმნასთან, სადაც ის საჭიროებას და აუცილებლობას გამოხატავს).

I) ნაცვალსახელი (ჩვენ) + (არ) უნდა + ზმნა; WE + MUST (+NOT) +VERB, სადაც ჩვენ/ WE გვხვდება როგორც ექსკლუზიური, ასევე ინკლუზიური მნიშვნელობით; ექსკლუზიური ნაცვალსახელით გადმოცემული ბრძანების შემთხვევაში ბრძანების შემსრულებელი სუბიექტი არის პრეზიდენტი მთავრობასთან ერთად, ხოლო ინკლუზიური

ნაცვალსახელის ჩვენ/ WE გამოყენებით, ბრძანების შემსრულებელ სუბიექტთა რიგს ემატება თავად მსმენელი, ადრესატი.

II) თქვენ + უნდა + ზმნა; YOU + MUST + VERB

III) არსებითი + უნდა + ზმნა (მომავალ ფორმაში); Noun +MUST +VERB

III ჯგუფის დირექტივებში შედის აგრეთვე ფორმულით “უნდა + ზმნა” გამოხატული დირექტივები, რომლებიც ქართველ პრეზიდენტთა გამოსვლებში გვხვდება. ასეთი ტიპის დირექტივები მიუკერძოებელი სტილის არის, სადაც არ ჩანს, თუ ვისკენ არის მიმართული დირექტივები, ვისზეა გათვლილი ბრძანების პერლოკუციური შედეგი, ვინ არის გაცემული ბრძანების შემსრულებელი სუბიექტი.

38. ცალკე ჯგუფად გამოიყოფა ემოციურად დატვირთული დირექტივები, რომელებითაც პრეზიდენტთა გამოსვლები სრულდება. ესენია პრეზიდენტთა გამოსვლების დამამთავრებელი ფრაზები, რაც პრეზიდენტთა სიტყვის სხვადასხვა ქანრის დამახასიათებელი და აუცილებელი ელემენტია. დამამთავრებელი ფრაზები ძირითადად ლოცვა-კურთხევის ფორმულით არის წარმოდგენილი, სადაც გამოყენებულია ძლიერი ილოკუციური ძალის სიტყვები, როგორცაა: დალოცვა, გამარჯვება, მფარველობა.
39. პროცენტული მაჩვენებლის მიხედვით რიგით მეოთხე აქტი, რომელიც პრეზიდენტთა გამოსვლებშია არის რეალიზებული ექსპრესივებია. საპრეზიდენტო გამოსვლებში გვხვდება როგორც მორალური დამოკიდებულების, ასევე ემოციური დამოკიდებულების გამომხატველი ექსპრესიული აქტები.
40. პრეზიდენტთა გამოსვლებში მორალური დამოკიდებულების გამომხატველი ექსპრესიული აქტები გადმოიცემა მისაღმების თავაზიანი ფრაზებით. მისაღმება პრეზიდენტთა ნებისმიერ სიტყვაში აუცილებელ ელემენტს წარმოადგენს. მისაღმების ფრაზები მოსაუბრის მორალური პასუხისმგებლობის გრძნობიდან გამომდინარეობს, რომ მიესაღმოს,

გამოხატოს დამსწრე საზოგადოებისადმი, ან მსმენელისადმი მისი აღფრთოვანება ან დადებითი დამოკიდებულება, რომ მოხარულია მათი მისაღმებით. ილოკუციური აქტი ამ შემთხვევაში არის, ის რომ მოსაუბრეს უნდა მიესალმოს მსმენელს, აგრძნობინოს, რომ მასთან პირდაპირი ან ვირტუალური შეხვედრა უხარია, პერლოკუციური ეფექტი კი მსმენელში დადებითი დამოკიდებულების საპასუხო დადებითი რეაქციის აღძვრას. მისაღმება ზოგჯერ გამოიხატება სამეტყველო აქტის ზმნით (პერფორმატივით) ექსპლიციტურად, ზოგჯერ კი მისაღმება იმპლიციტურად, ყოველგვარი პერფორმატიული ზმნის გამოყენების გარეშე ხდება.

- ა) პირდაპირი (ექპლიციტური) ექსპრესიული მორალური სამეტყველო აქტები გამოხატული პერფორმატივით “მოგესალმებით” ; “salute”; “welcome”.

ქართველ პრეზიდენტთა გამოსვლებში გამოიყენება შემდეგი ფორმულები:

D) სიტყვა-წინადადება, რომელიც კონსტრუქციულად სუბიექტურ პრედიკატიული ტიპისაა (თუმცა ეს მხოლოდ და მხოლოდ ქართულენოვან მიმართვებში გვხვდება, ვინაიდან ცნობილია, რომ ინგლისურ ენაში მოქმედი და მოქმედება აუცილებლად ორი სიტყვაფორმით გამოიხატება)

III) ზმნა (ე-ე-საღმ-ებ-ი) + ობიექტი

III) მინდა + მი-ე-ე-საღმ-ო + ობიექტი

IV) ნაცვალსახელი (მე) + ზმნა (მივესალმები) + ობიექტი

ხოლო ამერიკელ პრეზიდენტთა გამოსვლებში გამოიყენება შემდეგი ფორმულები:

D) I/WE + SALUTE/WELCOME + OBJECT

- ბ) არაპირდაპირი (იმპლიციტური) ექსპრესიული მორალური სამეტყველო აქტები სამეტყველო აქტის ზმნის გარეშე.

საგულისხმოა, რომ მისაღმების ან მიმართვის ზოგიერთ ფრაზაში ექსპრესიული სამეტყველო აქტის თავად პერფორმატიული ზმნა მოგესალმებით (მივესალმები, ვესალმები, greet, salute, welcome) არ

არის ნახსენები. ამ ტიპის მიმართებისას პრეზიდენტები იერარქიულ წყობას იყენებენ.

41. პრეზიდენტთა მიმართებებში ემოციური დამოკიდებულების გამომხატველი ექსპრესიული აქტები გადმოიცემა მაღლიერების გამომხატველი თავაზიანი ფრაზებით.

ა. პირდაპირი (ექპლიციტური) ექსპრესიული ემოციური სამეტყველო აქტები გამომხატული პერფორმატივით thank

კვლევის შედეგად ამერიკელ პრეზიდენტთა გამოსვლებში გამოიკვეთა შემდეგი ფორმულებით გადმოცემული პირდაპირი ექსპრესიული ემოციური აქტები:

IV) Verb (THANK) + Object/ Noun Phrase + (Preposition (FOR))

V) Pronoun (I/ WE) + Verb (THANK) + Object/ Noun Phrase

VI) Pronoun (I)+ Verb (THANK)+ Object + Preposition (FOR) + Noun Phrase

პრეზიდენტთა გამოსვლებში სიტყვა “Thank” გვხვდება ასევე არა როგორც პერფორმატიული ზმნა, არამედ როგორც არსებითი სახელი, ქვემოთ მოცემულია მაღლიერების გამომხატველი ფრაზების ორი ქვეტიპი, სადაც გამოყენებულია ფორმულები Thanks + for + smth და Give+thanks+ for +smth

პრეზიდენტთა ქართულენოვან მიმართებებში ვხვდებით მაღლიერების გამომხატველ ფრაზებს, რაც გამოყენების საკმაოდ დიდი სიხშირით გამოირჩევა და სხვადასხვა სტუქტურული ფორმებით გადმოიცემა. ქართველ პრეზიდენტთა გამოსვლებში არ გვხვდება “მაღლობა” ზმნური ფორმით (გმაღლობთ), მაღლობის გამომხატველი ფრაზები გადმოიცემა ძირითადად კომბინაციით “მაღლობას მო(ვ)(გ)ახსენებ(თ), თუმცა ვხვდებით არსებითი სახელით და ზედსართავი სახელით გადმოცემულ მაღლიერების გამომხატველ

თავაზიან ფრაზებს. კვლევის შედეგად გამოვლინდა შემდეგი ფორმულები:

- I) მადლობა-ს (არსებითი სახელი, პირდაპირი ობიექტი) + მოვასხენებ (ზმნა, შემასმენელი) + ობიექტი (არსებითი სახელი, ირიბი ობიექტი)
- II) მინდა (ზმნა) + მადლობა (არსებითი სახელი, პირდაპირი ობიექტი) + მოვასხენო (ზმნა, შემასმენელი) + ირიბი ობიექტი (არსებითი სახელი)
- III) მადლობა (არსებითი სახელი) + ობიექტი (არსებითი სახელი)
- IV) მადლიერი (ზედსართავი სახელი)+ ზმნა (ყოფნა ზმნა)
- V) მადლიერებ-(ით) (არსებითი სახელი) + ზმნა + ობიექტი (არსებითი სახელი)

42. დეკლარაციების ტიპის სამეტყველო აქტებს პრეზიდენტთა გამოსვლებში ყველაზე დაბალი სიხშირით ვხვდებით (1%). რაოდენობივად მეტი დეკლარაცია დაჯილდოვების და შეწყალების ჟანრის პრეზიდენტთა გამოსვლებში გხვდება. ძალზე იშვიათად გვხვდება პირდაპირი დეკლარაციის ტიპის სამეტყველო აქტი, გადმოცემული პერფორმატივით “declare”, “ვაცხადებთ,” ამავედროულად, აღნიშნული პერფორმატივი ყოველთვის არ გულისხმობს დეკლარაციის სამეტყველო აქტის არსებობას. პრეზიდენტთა გამოსვლებში ვხვდებით სხვა სამეტყველო აქტის განმსაზღვრელი პერფორმატივით გადმოცემულ არაპირდაპირ დეკლარაციებს, გამოხატულს ზმნით “proclaim”. გრამატიკული კატეგორია, კერძოდ, სწორი დროის შერჩევა შეიძლება ხელს უწყობდეს პერლოკუციური შედეგის მიღწევას. დირექტივის და კომისივის ტიპის აქტების კომპლექსური განხილვა ექსტრალინგვისტურ ჭრილში, გვაძლევს საფუძველს დავასკვნათ, რომ აღნიშნული აქტები, ამავე დროს წარმოადგენენ დეკლარაციის ტიპის აქტებს.



43. პრეზიდენტთა დისკურსში სამეტყველო აქტები ინტეგრირებულად გამოიყენება შეტყობინებების პერლოკუციური შედეგის მისაღწევად. აქტებს შორის არსებობს კავშირი და ურთიერთმიმართება, რაც დომინირება-დაქვემდებარებულობის პრინციპზეა აგებული. დირექტივები გვევლინება დომინანტ აქტებად, ვინაიდან სწორედ დირექტივები გადასცემენ მსმენელს შესასრულებელ მითითებას, თუმცა პრეზიდენტთა დისკურსში დირექტივებთან ერთად არანაკლებ მნიშვნელოვანია სხვა აქტების გამოყენება, ვინაიდან თითოეულ აქტს აკისრია შესაბამისი რელევანტური მისია იმისათვის, რომ ადრესატსა და ადრესანტს შორის შედგეს წარმატებული ურთიერთგაგებინება. ამ მხრივ უნდა გამოიყოს დირექტივებისა და რეპრეზენტატივების ურთიერთმიმართება: ილოკუციური მიზანი გადმოიცემა დირექტივაში, ხოლო რეპრეზენტატივები არის დამხმარე საშუალება, რაც ძირითადი აქტის მოტივაციას უზრუნველყოფს, ავსებს სათანადო მიზეზებით და არგუმენტებით, რაც ამართლებს გაცემულ დირექტივას მსმენელის მიმართ. თუმცა რეპრეზენტატივის ტიპის აქტები არანაკლებ მნიშვნელოვანია პერლოკუციური ეფექტის მიღწევის თვალსაზრისით, ვინაიდან სწორედ მათი მეშვეობით არის შესაძლებელი მსმენელის მომზადება დირექტივის აქტის მისაღებად. დირექტივის გაცემამდე საჭიროა დირექტივის გამართლება და მსმენელის უზრუნველყოფა დირექტივისათვის საჭირო მოტივაციით ან მიზეზებით, რაც რეპრეზენტატივების, ზოგჯერ კი კომისივების აქტებით არის შესაძლებელი.

## გამოყენებული ლიტერატურა

1. Abrams, A Glossary of Literary Terms, s.v. "Allusion", 1971.
2. Anderson, S. R.; & Keenan, E. L. Deixis. In T. Shopen (Ed.), 1988.
3. Aristotle. Rhetoric. (W.R. Roberts, Trans.). New York: Modern Library, 1954.
4. Austin, J. L. How to Do Things with Words. Oxford University Press, 1962.
5. Bakhtin, M. M. The Problem of Speech Genres. Speech genres and other late essays. Trans. McGee, V. W. Eds. Emerson, C. & Holquist, M. Austin: University of Texas Press, 1986.
6. Beasley, V.B. The rhetoric of ideological consensus in the United States: American Principles and American Prose in Presidential Inaugurals, Communication Monographs, 2001.
7. Bitzer, L. Language and the Pedagogy of Exchange." Pedagogy, 2001.
8. Bradley, B. E. Jefferson and Reagan: The Rhetoric of Two Inaugurals, 1983.
9. Browne, S.H. The Circle of our Felicities: Thomas Jefferson's First Inaugural Address and the Rhetoric of Nationhood, Rhetoric and Public affairs, 2002.
10. Campbell & Jamieson, Deeds Done in Words: Presidential Rhetoric and the Genres of Governance. Chicago: University of Chicago Press, 1990.
11. Campbell and Jamieson, "Inaugurating the Presidency", Presidential Studies, Quarterly, 1985.
12. Cap, P. Legitimization in Political Discourse, A Cross-Disciplinary Perspective on the Modern US War Rhetoric, Cambridge Scholars Press, 2006.
13. Cap, P. Towards the Proximization Model of the Analysis of Legitimization in Political Discourse. Journal of Pragmatics, 2008.
14. Carpenter, R.H. Rhetorical Eloquence: John F. Kennedy's Inaugural Address. Collage Station, TX: Texas A&M University Press, 2005.
15. Chester, E.W. Beyond the Rhetoric: A New Look at Presidential Inaugural address, Presidential Studies Quarterly, 1980.
16. Chilton, P. Analyzing Political Discourse: Theory and Practice. Rutledge: London, 2004.

17. Chilton, P. & Schäffner, C. Discourse and Politics, co-authored with Christina Schaeffner, in Teun A. van Dijk (ed.), Discourse as Social Interaction. Discourse Studies: A Multidisciplinary Introduction, 1997.
18. Chilton, P. Politeness, Politics and Diplomacy, Discourse and Society, 1990.
19. Chilton, P. Politics as Text and Talk: Analytic Approaches to Political Discourse, co-edited with Christina Schäffner, John Benjamins, Amsterdam, 2002.
20. Chilton, P., M. V. Ilyin, 'Metaphor in Political Discourse: the Case of the "Common European House" ', Discourse and Society, 1993.
21. Cook, G. Discourse, Language Teaching. A Scheme for Teacher Education Editors: C N Candlin and HG Widdowson Oxford University Press, 1989.
22. Crystal, D. A Dictionary of Linguistics and Phonetics. 2nd edition. New York: Basil Blackwell, 1985.
23. Cutting, J. Pragmatics and Discourse. Routledge, London and New York, 2002.
24. Denton, R.E., Series Foreword, in H. Ryan (ed) The Inaugural Address of Twentieth-century American Presidents, Westport, Connecticut: Praeger, 1993.
25. Dinkin, R. J., Campaigning in America: A History of Election Practice. Westport: Greenwood, 1989.
26. Donaldson, S. K. One Kind of Speech Act: How do we know when we are conversing? Semiotics, 1979.
27. Ericson, D. Presidential Inaugural Address and American Political Culture”, Presidential Studies Quarterly, 1997.
28. Fillmore, C. J. Deictic Categories in the Semantics of ‘Come’. Foundations of Language, 2, 1966.
29. Fillmore, C. J. Towards a Descriptive Framework for Spatial Deixis. In R. J. Jarvell & W. Klein (Eds.), Speech, Place and Action: Studies in Deixis and Related Topics, London: Wiley, 1982.
30. Fries, P.H. On the Status of Theme in English: Arguments from Discourse, 1983.
31. Galperin I.R. Stylistics, Second Edition, Revised, Higher School, Moscow, 1977.
32. Galperin, I.R. “Stylistics of Fiction: A Literary – Linguistic Approach, Rutledge, London, 1990.

33. Gaynesford, M. *The Meaning of the First Person Term*, Oxford, Oxford University Press, 2006.
34. Geis, M. *The Language of Politics*. New York: Springer; & Dedaic, M. *Political Speeches and Persuasive Argumentation*. In *Encyclopedia of Language and Linguistics*, Vol. 9 Keith Brown (ed), Amsterdam: Elsevier, 2006.
35. Goffman, E. *Forms and Talk*. Oxford: Basil Blackwell, 1979.
36. Goffman, E. *Replies and Responses*. *Language in Society*, 1976
37. Grice, H.P. *Logic and Conversation*. In P. Cole and J. Morgan, (Eds.) *Syntax and Semantics, Volume 9: Pragmatics*. New York: Academic Press, 1975.
38. Halliday, M.A.K. *An Introduction to Functional Grammar*, London: Edward Arnold, 1985.
39. Halliday, M.A.K. *Explorations in the Functions of Language*. London: Edward Arnold, 1973.
40. Halliday, M.A. K. "Language, Context and Text: Aspects of Language in a Social Semiotics Perspective. *Oxford University Press, Oxford, 1989 pp.27-31*
41. Halliday, M.A.K. and Hasan, R. *Cohesion in English*, London: Longman, 1976.
42. Harris, Z. *Discourse Analysis Language*, 1952.
43. Hart, C. *Analyzing Political Discourse: Toward a cognitive approach*. *Critical Discourse Studies*, 2005.
44. Hart, R.P. "Verbal Style and the Presidency: A Computer-Based Analysis. *Orlando, FL: Academic Press, 1984*.
45. Hasan, R. *Coherence and Cohesive Harmony*, In J. Flood (Ed) *Understanding Reading Comprehension*. Newark, Delaware: International Reading Association, 1984.
46. Hatch, E. *Discourse and Language Education*, Cambridge: Cambridge University Press, 1992.
47. Hermeren, L. *On Modality in English*. Lund: CWK Gleerup, 1978.
48. Hinckley, B. *The Symbolic Presidency*. New York: Routledge, 1990.
49. Hymes, D. *Towards Ethnographies of Communication*. In J.J. Gumperz and D. Hymes (Eds), *The Ethnography of Communication*. *American Anthropologist*, 1964.
50. Jakobson R. *Closing Statement: Linguistics and Poetics*, Cambridge, MA: MIT Press, 1960.

51. Jakobson R. Concluding Statement: Linguistics and Poetics.- In: Style in Language. New York, 1960.
52. Jakobson R. Selected Writings, V 2, 1971
53. Jakobson R., [http://www.newworldencyclopedia.org/entry/Roman\\_Jakobson](http://www.newworldencyclopedia.org/entry/Roman_Jakobson)
54. Jakobson, R. Linguistics and Poetics: Style in Language. Ed. Sebeok. New York-London, 1976.
55. Kang, S.N. The Change of Administrative Philosophy”, in KNOU (ed) The Theory of Administrative Change, Seoul Korean National Open University, 2006.
56. Korzi, M. The President and the Public: Inaugural Address in American History, Congress and The presidency, 2004.
57. Kowal, S., O’Connel, D.C., Forbush, K., Higgins, M., Clarke, L., & D’Anna, K., Interplay of Literacy and Orality in Inaugural Rhetoric, Journal of Psycholinguistic Research, 1996.
58. Krauthmmer, Ch. “The Secret of Our Success”, in Time, European ed., January 30, 1989.
59. Krekel, M . Communicative Acts and Shared Knowledge in Natural Discourse, London: Academic Press, 1981.
60. Labov, W. Language in the Inner City. Oxford: Basil Blackwell, 1972.
61. Lakoff, G. Moral Politics. Chicago: University of Chicago Press, 1996.
62. Lee, S.C. Republic of Korean President Kim Young-SAM’s Rhetoric in the 1992 Campaign and the First Year in the Office: An Institutional Study of Presidential Rhetoric in Democratization. Doctoral Dissertation, University of Minnesota, 1998.
63. Leech, G Principles of Pragmatics, Harlow: Longman, 1983.
64. Levinson, S.C. Pragmatics, Cambridge: Cambridge University Press, 1983.
65. Levinson, S.C. Presumptive Meanings: The Theory of Generalized Conversational Implicature. Cambridge, MA: The MIT Press, 2000.
66. Lim, E.T. Five Trends in Presidential Rhetoric: An analysis of Rhetoric from George Washington to Bill Clinton”, Presidential Studies Quarterly, 2002.
67. Loos, Eugene E.; Susan Anderson; Dwight H. Day, Jr.; Paul C. Jordan; J. Douglas Wingate. "What is deontic modality?". Glossary of linguistic terms. SIL International. Retrieved 2009-12-28. [http://en.wikipedia.org/wiki/Deontic\\_modality](http://en.wikipedia.org/wiki/Deontic_modality)
68. Lu, X. An Ideological, Cultural Analysis of Political Slogans in Communist China, Discourse and Society.1999.

69. Lucas, S.E. Generic Criticism and Historical Context: The Case of George Washington's First Inaugural Address, *Southern Speech Communication Journal*, 1986.
70. Lyons, J. *Linguistic Semantics*, Cambridge: Cambridge University Press, 1995.
71. McCarthy, M. *Discourse Analysis for Language Teachers*, Cambridge University Press, 1991.
72. McDevitt, M. Ideological Language and the Press: Coverage of Inaugural, State of the Union Address", *Mass Communications Review*, 1986.
73. Mey, J. *Pragmatics: An Introduction*, Oxford: Blackwell, 1994.
74. Miller, C. R. Genre as Social Action. *Quarterly Journal of Speech*, (May), 1984.
75. Miller, N.L., & Stiles, Verbal Familiarity in American Presidential Nomination Acceptance Speeches and Inaugural Address (1920-1981)", *Social Psychology Quarterly*, 1986.
76. Neubauer, F. *Coherence in Natural Language texts*. Hamburg: Helmut Buske Verlag, 1983.
77. Ochs, E. Planned and Unplanned Discourse, in T. Givon (ed) *Syntax and semantics*, New York, Academic Press, 1979.
78. Paquette, L. *Campaign Strategy*. New York: Nova, 2006.
79. *Perspectives in Politics and Discourse* (Ed. by Cap, P. & Ursula Okulska) John Benjamins Publishing Company Amsterdam/ Philadelphia, 2010.
80. Ryan, H. *The Inaugural Address of Twentieth-century American Presidents*. Westport, CT: Praeger, 1993.
81. Sacks, H., Schegloff, E. A. & Jefferson G, A Simplest Systematics for the Organization of Turn Taking in Conversation, *Language*, 1974.
82. Sadock J.M. *Towards a Linguistic Theory of Speech Acts*, New York, 1988.
83. Schaffner, C. *Political Speeches and Discourse Analysis*, *Cuurent Issues in Language and Society*, 1996.
84. Schiffrin, D. *Dsicourse Makers*. Cambridge: Cambridge Univeristy Press, 1984.
85. Schiffrin, D. *Multiple Constrains on Discourse Options: A Quantitative Analysis of Casual Sequences*. *Discourse Processes*, 1985.
86. Schiffrin, D. *Everyday Argument: The Organization of Diversity in Talk*. In T. van Dijk (ed) *Handbook of Discourse Analysis*, vol 3 London: Academic Press, 1985.

87. Schmidt R. W. & Richards J.C., Speech Acts and Second Language Learning, In Richards J.C., The Context of Language Teaching, Cambridge University Press, 1985.
88. Searl, J.R. Speech Acts. Cambridge: Cambridge University Press, 1969.
89. Searl J.R. A Classification of Illocutionary acts, In language in Society, Volume 5, N 1, 1979.
90. Searl J.R., Metaphor. In Ortony, Cambridge University Press, 1979.
91. Searl J.R., Kefer F. & Bierwisch M., Speech Act Theory and Pragmatics, Synthese Language Library, Volume 10, Reidel, Dordrecht, 1980.
92. Sigelman, L. Presidential Inauguration: The Modernization of a Genre”, Political Communication, 1996.
93. Smith, C.A., and Smith, K.B. The Presidential and the Public: Rhetoric and National Leadership. New York: University Press of America, 1985.
94. Snyder, J. Writing a Great Campaign Speech, The Heartland Institute, 2000.
95. Sosnovskaya, V. B. Analytical Reading, Higher School, Moscow, 1974.
96. Stilwell Peccei, J. Pragmatics, London: Routledge, 1999.
97. Swales, J. Genre Analysis, Cambridge: Cambridge University Press, 1990.
98. Tannen, D. Oral and Literate Strategies in Spoken and Written Discourse. Language, 1982.
99. The United States Constitution, Article 2, Clause 8. Retrieved 2009-09-10  
[http://en.wikipedia.org/wiki/Article\\_Two\\_of\\_the\\_United\\_States\\_Constitution#Clause\\_8:  
\\_Oath\\_or\\_affirmation](http://en.wikipedia.org/wiki/Article_Two_of_the_United_States_Constitution#Clause_8:_Oath_or_affirmation)
100. Thurber, J. A., Campaigns and Elections American Style. NY Westview Press; 2nd edition, 2004.
101. Traut, Gregory P. and Kazzazi, Kerstin. Dictionary of Language and Linguistics. Routledge. London and New York, 1996.
102. Tulis, J. The Rhetorical Presidency. Princeton, NJ: Princeton University Press, 1987.
103. Turner, G.W. Stylistics (Aylesbury) Penguin Books, 1977.
104. Van Dijk, T. A. Handbook of Discourse Analysis. 4 Vols. London: Academic Press, 1985.
105. Van Dijk, T. A. Some Aspects of Text Grammars. The Hague: Mouton, 1972.

106. Van Dijk, T. A. What is political discourse analysis?" Belgian Journal of Linguistics, 1997.
107. van Eemeren, F. Grootendorst, R. A Systematic Theory of Argumentation. Cambridge: Cambridge University Press, 2004.
108. van Ek, J.A. The threshold level. Strasbourg: Council of Europe, 1975.
109. Verdonk, P. Stylistics, oxford University Press, Oxford, 2003.
110. Verschueren, J. Understanding Pragmatics, London: Arnold, 1999.
111. Voolf, V. Between Acts, London: Grafton, 1978.
112. Webster's Revised Unabridged Dictionary. Retrieved 2010-05-07  
<http://machaut.uchicago.edu/?resource=Webster%27s&word=inauguration&use1913=on&use1828=on>
113. Weiss, G. & Wodak, R. (eds) Critical Dsicourse Analysis. Theory and Disciplinarity. London: Palgrave, 2003.
114. Whissell, C., & Sigelman, L. The Times and the Man as Predictors of Emotion and Style in the Inaugural Address of U.S. presidents, Computers and the Humanities, 2001.
115. Whissell, C. A Parsimonious Technique for Analysis of Patterns of Word Usage in Texts and Transcripts", Perceptual and Motor Skills, 1998.
116. Wodak, R. & Chilton, P. (eds) A New Agenda in (Critical) Discourse Analysis. Amsterdam: Benjamins, 2005.
117. Wikipedia Encyclopedia - <http://en.wikipedia.org/wiki/Politics> retrieved 20.08.2010
118. Wikipedia Encyclopedia. Retrieved 2010-22-22  
[http://en.wikipedia.org/wiki/Political\\_campaign#History](http://en.wikipedia.org/wiki/Political_campaign#History)
119. Yeager, F.A. Linguistic Analysis of Oral Edited Discourse, Today's Speech, 1974.
120. Yule, G. Pragmatics, Oxford: Oxford University Press, 1996.
121. გამყრელიძე, თ., კიკნაძე, ზ., შადური, ი., შენგელაია, ნ., თეორიული ენათმეცნიერების კურსი, ივ. ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი, ტბილისის უნივერსიტეტის გამომცემლობა, თბილისი, 2003.
122. ემპირიული მასალის ელექტრონული წყაროები: <http://www.president.gov.ge/>;  
<http://www.presidentialrhetoric.com/>.



123. თოფურია, ვ., გიგნიეშივილი, ივ. ქართული ენის ორთოგრაფიული ლექსიკონი, მეორე შევსებული გამოცემა, გამომცემლობა განათლება, თბილისი, 1998.
124. ლებანიძე, გ. “ათნოროპოცენტრიზმი და კომუნიკაციური ლინგვისტიკა, გამომცემლობა “ენა და კულტურა” თბილისი, 1998.
125. საქართველოს კონსტიტუცია 1995  
[http://www.parliament.ge/index.php?lang\\_id=GEO&sec\\_id=69&kan\\_det=det&kan\\_id23](http://www.parliament.ge/index.php?lang_id=GEO&sec_id=69&kan_det=det&kan_id23)
126. საქართველოს პრეზიდენტების საინაუგურაციო სიტყვები (1991- 2004წ.წ.) კრებული, პოლიტოლოგიის ინსტიტუტი, თბილისი, 2007.
127. სიამაშივილი, გ. რიტორიკის შესავალი, პოლიტოლოგიის ინსტიტუტი, თბილისი, 2009
128. უცხო სიტყვათა ლექსიკონი, (შეადგინა მიხეილ ჭაბაშვილმა) მესამე შესწორებული და შევსებული გამოცემა, გამომცემლობა “განათლება”, თბილისი, 1989.
129. შანიძე, აკ. ქართული ენის გრამატიკის საფუძვლები, საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემია, თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი, თბილისი, 1980.
130. ჩიქობავა, არ. ქართული ენის განმარტებითი ლექსიკონი, ენთომეცნიერების ინსტიტუტის გამომცემლობა, 1985.
131. Якобсон, Р. “Избранные Работы” Москва, “Прогресс”, 1985.